საქართველო ბეჭედია გაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული გადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№22 (648) – 2 ივნისი ფასი 1,50 ლარი




გვ. 70

რა საქმე მიიყვანა ბოლომდე სანდრო კაკულიამ და რამდენნაირი ცხოვრება აქვს მას

გვ. 22

გვ. 18

როგორ გახდნენ „ევროვიზიაზე“ ლიდერები და გამარჯვების პრეტენდენტები ქართველი კონკურსანტები და რატომ შეიცვალა ფინალამდე მათ მიმართ დამოკიდებულება

გახდება თუ არა ნატა ასათიანი პოლიტიკოსის ცოლი და როდის აქვს მას ოჯახში ხმამაღალი გარჩევები



გვ. 10

როგორი გახდა შალვა ნათელაშვილი ცოლის თვალში და რისგან გამოუვიდა მას „ლაყუჩები“



გვ. 13

რატომ არჩია დიმიტრი შაშკინთან მუშაობას ბაჩო ახალაიასთან გადასვლა სალომე მახარაძემ და რატომ არ დატოვა ის ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროში



გვ. 74

რა ჯოჯოხეთი მოუწყვეს ციხეში თემურ გვალიას ძმებმა ახალაიებმა და რა ლექსი მიუძღვნა მან ნაციონალებს


ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 7.50 + ჟურნალი 1.50 = 9 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 14 ლარი

საბავშვო ენციკლოპედია




ქიმია


გილოცავთ ბავშვთა დღეს!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ არ არსებობს სომხეთში ნარკომანიის პრობლემა და რატომ მიიჩნევა აზერბაიჯანში ნარკოტიკის მოხმარება ტრადიციის ნაწილად .............. 6

განკურნების რა სასწაულებრივ მეთოდს ფლობს ექიმი თინათინ მაჩაიძე და როგორ უბრუნებს ის დაკარგულ იმედს თავის პაციენტებს ..................................................... 7

ვინ უჭერს მხარს კოალიციის შიგნით კობა დავითაშვილის კრიტიკას, ვისთანაც ერთად მოდის ხელისუფლებაში და რატომ მობეზრდა ერთი და იმავე კინოს მესამე სერიის ყურება ............................................ 8

უცოლო მილიარდერების 2013 წლის რეიტინგი ............................................................ 9

რა ბიზნესის დახურვა მოუხდა პრინც ჩარლზს და რომელი ქვეყნის პრინცესას ედება ბრალი წამებაში ............................. 12

ადვოკატი გირჩევთ ..................................... 16

აფასებს თუ არა ქალის პატიებას მამაკაცი და როგორ პოულობს ის სიყვარულს თავისით .................................. 20

ვინ ეძებს ჯარის მეგობარს რუსეთიდან საქართველოში და როგორ დაკარგეს მათ ერთმანეთი ................................................ 21

ვინ იყვნენ ინფორმაციის მთავარი გამავრცელებლები თბილისში პრესის გამოჩენამდე და რა ფუნქცია ჰქონდა დარეჯანის სასახლეს მეფის რუსეთის დროს ............................................................ 23

როდის ეგზავნება ადამიანს ღმერთისგან გაჭირვება, ნერვიულობა და რას მიჰყავს ის მარადიულ ტანჯვამდე ......................... 24

რამდენი ტიტული აქვს მოგებული „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს..................26

ექიმის რჩევები..........29

როგორ მოკლა დირიჟორმა სტოლერმანმა თავისი ცოლი „აბესალომ და ეთერის" პარტიტურის დახევის გამო............................30

იღებს თუ არა სწორად შერჩეული საფულე თილისმის ძალას და რა ხერხით მოვიზიდავთ გამდიდრების ენერგიას ........................................................ 32

ჯორჯ კლუნი: გზა სახის დამბლიდან – „ყველაზე სექსუალურის" ტიტულამდე .................................................... 34

ვინ დაჭრა მხარში სტალინი ..................... 35

კოსმეტოლოგის რჩევები ........................... 47

როგორ გაიხსნა თბილისელი მკვლელის საქმე, რომელიც რუს ტურისტებს ხოცავდა ........................................................ 48

რომელმა ქართველმა მეფემ ჩაუყარა დასაბამი სამედიცინო აცრებს საქართველოში ............................................. 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ...... 51

ვეტერინარის რჩევები ................................ 56

ფლორის სამყაროში ................................... 56

როგორ იქცა დაბადების დღის სუფრა ოჯახში სასტიკი მკვლელობის ადგილად და რამ აიძულა მამაკაცი, საკუთარი რძალი მოეკლა ............................................. 57

მე – დაქირავებული მკვლელი ................. 58

მკვდარი ვერსია ........................................... 66

ვინ იყო თენგიზ ჩანტლაძის „წურბელა და რატომ „ჩაიმატა" მან გვარში ასობგერა „ც" ............................................... 78



## ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი" სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!

ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!

ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან") მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.

ვრცლად: facebook-ზე აკადემია ლიბერთი-პროფ

აფთიაქი TITANI

# ტ რ ი გ ა ნ – დ

## ტკივილგამაყუჩებელი საშუალება




**შეიცავს**: პარაცეტამოლი 500 მგ დიციკლომინის ჰიდროქლორიდი

**გამოიყენება** კუჭ-ნაწლავის, თირკმელების, თავის ტკივილისა და ტკივილით მიმდინარე მენსტრუალური ციკლის სამკურნალოდ.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას

* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**პრეპარატის მიღებამდე გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას**

**ფარმაცევტული კომპანია ტიტანი**

**თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 31-11-32; 38-28-40; 38-88-71.**

# „გულს რად მიკლავ“ ანუ, ვარდები არ არიან...

რაკი ფარული თვალთვალი იმდენად ორგანული გახდა ჩვენი ცხოვრებისთვის, იმის პარალელურად, რომ საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრება გადაშლილი წიგნია დაინტერესებული სახელმწიფო მოხელეებისთვის, სავსებით ბუნებრივია, რომ გასულ კვირას „თბილისი მერიოტში“ ფარული თვალთვალისა და პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კონფერენციაც კი გაიმართა.

მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი ქ-ნი გიგაური დარწმუნებულია, რომ შსს-ს კვლავაც



აქვს საშუალება, მოისმინოს ჩვენი სატელეფონო საუბრები.

ხოლო, რადგან სატელეფონო საუბრების მოსმენის საშუალებას შესაბამის სტრუქტურებს მობილური ოპერატორები აძლევენ (მეორე მხრივ, არ მისცემენ და მათი აჯობებს), ბუნებრივია, მათი დახმარების გარეშე ეს საქმე ვერ იქნება.

თუმცა, გვაიმედებენ, რომ მობილური ოპერატორები პიონერულ მზადყოფნაში არიან, ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ეს მანკიერი პრაქტიკა აღკვეთონ, ყოველ შემთხვევაში, კანონიერ ჩარჩოებში მაინც მოაქციონ.

ჩვენ არ ვიცით, გაუძლებს თუ არა ამ ცდუნებას სხვის პირად ცხოვრებაში თვალისა და ხელის ფათურს მიჩვეული სისტემა (იმის გათვალისწინებით, რომ სისტემაში კვლავ ძველი კადრები მუშაობენ), თუმცა, პირადად მე, ფრიად მომაკლდა ჩემი მოთვალთვალეების მიერ ავტომანქანის შუშის საწმენდში დატოვებული ვარდები (ასე დავიწყებაც არ შეიძლება, მოტივზე: „გულს რად მიკლავ, მე თვალთვალი ჯერ არ დამიმთავრებია“).

# ლხინგაუზიარებელი და ჩაძინებულები

რადგან გირაო შეუფარდეს, ბუნებრივია, რომ კახეთის გუბერნატორი ბ-ნი ჭიაბერაშვილი გათავისუფლდა. მართალია, მის სასამართლო პროცესს თანაგუნდელები დაესწრნენ,



მეტიც, არც სიტყვიერი მხარდაჭერა დაუკლიათ (ანუ, მისი ჭირი გაიზიარეს), მაგრამ, როგორც გაირკვა, ლხინის გამზიარებელი ნაკლებად ჰყოლია.

და, თუმცა პრეზიდენტმა ისიც კი გაგვიმხილა, რომ მის შემდეგ პრ. პუტინი დაუძინებელი მტერი სწორედ ბ-ნი ჭიაბერაშვილისთვის იყო (ისე ენერგიულად იგერიებდა რფ-ის შემოტევებს დიპლომატიურ ფრონტზეო), მაინც ისე მოხდა, რომ ქუთაისის ნომერ მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსულ ბ-ნ ჭიაბერაშვილს მხოლოდ ჟურნალისტები დახვდნენ (ისიც იმიტომ, რომ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ).

ჩემი კოლეგების ცნობით, „ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთი არათუ ლიდერი, თვით ყველაზე რიგითი წევრიც კი, წამლადაც არ ყოფილა.

თუ დაკავებამდე და სასამართლო პროცესის პროლოგსა და ეპილოგში ბობოლ-ბობოლა „ნაციონალების“ გამოთქმულ თავგანწირულ კომენტარებს გავიხსენებთ,



რთული სათქმელია, რატომ არ მოისურვეს გათავისუფლებული თანამებრძოლის დახვედრა (მით უფრო, რომ, როგორც გვითხრეს, „ნაციონალური მოძრაობა“ მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა), თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად სასამართლოც დიდხანს გაგრძელდა და მუშაობის რეჟიმიც 24-საათიანი აქვთ, იქნებ, ჩაეძინათ?!

# რიტორიკულად გაოცებული

## ანუ, რა უნდა საქართველოში სამუშაო ადგილებს?!

*პროლოგის ნაცვლად:* კლიენტი შესჩივის სასადილოს ოფიციანტს: გუშინ თქვენი კატლეტის ხორცმა მომწამლა. სასადილოს ოფიციანტი გაკვირვებული პასუხობს: თუ ინტრიგანი არ ხარ, რა უნდოდა ჩვენს კატლეტში ხორცს?!

იმ მარტივი მიზეზით, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრებს ყოველდღიურად არ აკავებენ, ბუნებრივია, მეც თითისტარივით ამ თემის გარშემო მიწევს ტრიალი. თუმცა, არა მხოლოდ მე, მის თანაგუნდელებსაც.



ჰოდა, რაკი გვიწევს, მაგალითად, კვლავაც ხალხის რჩეული, ოღონდ, აწ უკვე უმცირესოელი ბ-ნი წიკლაური დარწმუნებულია, რომ „ხელისუფლება სჯის უშუალო პოლიტიკურ ოპონენტს.“ მეტიც, ჩვენც გვაჯერებს, რომ ბ-ნ მერაბიშვილს გამოგონილი და ცინიკური ბრალდებით აღუკვეთეს თავისუფლება.

ბრალდების „ცინიკურობას“ კი შემდეგნაირად ხსნის: „იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ყოველდღიურად მცირდება სამუშაო ადგილები, ვანო მერაბიშვილი დაკავებულია იმისთვის, რომ შექმნა სამუშაო ადგილები და დაასაქმა საქართველოს მოქალაქეები.“

თუ ოფიციალურ სტატისტიკას მოვიშველიებთ, რის მიხედვითაც, საქართველოში ბოლო ათწლეულია, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა სტაბილურად 600 000-ია, რთული სათქმელია, რას გულისხმობს ბ-ნი წიკლაური შექმნილ სამუშაო ადგილებში. თუმცა, რთულია თუ იოლი, პროგნოზირებს, რომ ეს უსამართლობა, საბოლოოდ, ქართველი ხალხის მხრიდან ამ ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი საპროტესტო ტალღის დაწყებით დაგვირგვინდება.

ჩვენ არ ვიცით, ახდება თუ არა ბ-ნი წიკლაურის პროგნოზი, თუმცა, ზემოთქმული (პროლოგის ნაცვლად მოხმობილი ანეკდოტის მოტივებზე) ბუნებრივად იწვევს რიტორიკულ გაოცებას: თუ ინტრიგანი არ ხარ, რა უნდოდა საქართველოში სამუშაო ადგილებს?!


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

განყოფილებები

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# შემოსევა

ჯერ იყო და, **ამერიკულ პეპელას ვებრძოდით, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ლამის კაპიტულაცია გამოაცხადებინა**, ახლა კი **აღმოსავლეთ საქართველოს კალიებიც დაერივნენ** (თან, იმპორტული წარმოშობის).



როგორც გაირკვა, **კახეთის ხუთ რაიონს** (დედოფლისწყაროს, სიღნაღს, ახმეტას, გურჯაანსა და საგარეჯოს) **იტალიური და მაროკოული კალიები შეესივნენ**. თუმცა, **გვაიმედებენ** (სურსათის ეროვნული სააგენტო), რომ **კალიების წინააღმდეგ წამლობა დედოფლისწყაროსა და სიღნაღში უკვე მიმდინარეობს,** ხოლო, წესით, **ახლა უკვე დანარჩენ სამ რაიონშიც შეებნენ ამ მავნებელ**

# მოთელვა – კალიებზე

**მხტუნავებს.**

საერთო ჯამში, **კახეთში 13 100 ჰექტარის შეწამვლაა დაგეგმილი** და **ამ ტერიტორიას სრულად მას შემდეგ აითვისებენ, რაც საძოვრებიდან პირუტყვს გაიყვანენ.**

მართალია, კალია **არცთუ მცირეწონიანი მავნებელია** (მიუხედავად რეალური მცირეწონიანობისა), მაგრამ, **იმედია, მას მაინც დავამარცხებთ.** მით უფრო, რომ **სურსათის ეროვნული სააგენტოსვე ცნობით, ბრძოლაში ავიაციაც ჩაერთვება**, რაც ორმხრივ სასარგებლო შეიძლება, გახდეს: **კალიებზე მოთელვა, იქნებ, ოკუპანტებზე გამოგვადგეს?!**



# მოხალისე მრჩეველი

იმ მარტივი მიზეზით, რომ **სამშობლოში რამდენიმე თვის წინათ დაბრუნდა** (საიდანაც, როგორც თავად ამბობს, **იმიტომაც გაიხიზნა, რომ საკუთარი ოჯახის უსაფრთხოება უზრუნველეყო**), განათლების **ექსმინისტრმა** ბ-ნმა **შაშკინმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსაც შეაწია თავისი ექსგანმანათლებლური სიტყვა.**



კერძოდ, მისეული **სათქმელის ძირითადი თეზა შემდეგნაირია: ხელისუფლებამ პირად წყენას ქვეყანა არ უნდა გადააყოლოს.** თუმცა, იქვე განმარტებაც მოაყოლა (მეტიც, საკითხი ფართოდ და ფილოსოფიურად შეაფასა): **„9 წლის განმავლობაში ბევრმა ბევრს აწყენინა მთავრობაში ყოფნისას, მეც ვაწყენინე ვიღაცას, თქვენც აწყენინეთ**, როგორც ჟურნალისტებმა – **ეს ბუნებრივი პროცესია.**"

ჰოდა, **რაკი ბუნებრივია** და **ვინაიდან** ბ-ნი

## ვამპირობიდან – „აბიჟნიკებამდე"

შაშკინი **ფიქრობს, რომ დღეს „აბიჟნიკების" დრო მოსულა**, გვაფრთხილებს, რომ **მეტად ცუდ შედეგს მივიღებთ, თუ ქვეყანას „აბიჟნიკობანამანიას" გადავაყოლებთ.**



მე არ ვიცი, **გულისხმობს თუ არა ექსმინისტრი** თავის მიერ **ნაწყენებში სკოლის იმ დირექტორებს, რომლებსაც ჰპირდებოდა, თქვენს სისხლს დავლევო** და **არც ის ვიცი, მათგან ვისი სისხლის დალევა მოახერხა** (გადატანითი მნიშვნელობით), მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ჯერჯერობით არჩევანი მწირია: ვამპირი თუ – „აბიჟნიკი"?!

# „ისე, როგორც ფანჯარა"

თუკი **საზოგადოების ერთი ნაწილი შეფრთიანებულია** (მოტივზე: **„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე"**), **მეორე ნაწილი** (სავარაუდოდ, უფრო მცირერიცხოვანი) **„ნაცმოძრაობის" გენმდივნისთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის მისჯას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს.**



ბუნებრივია, **მომხდარი ყველაზე მკვეთრად „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა შეაფასეს**: ბრიფინგებიც გამართეს და სასამართლო პროცესსაც დაესწრნენ. **არც კომენტარები დაიშურეს და განგაშის ზარებიც შემოჰკრეს.** მაგალითად, **პრეზიდენტმა ბრძანა,** რომ **ვანო მერაბიშვილის დაჭერა ქვეყნისთვის თვითმკვლელობაა, დავით დარჩიაშვილი კი დარწმუნებულია, რომ „ევროპისკენ წვალებით გაღებული ფანჯრები სათითაოდ იკეტება და ლურსმნებით იჭედება."**

ამ შეფასებების მიუხედავადაც, **დაკავებულის თანამებრძოლები ოპტიმისტურად და საბრძოლველად არიან განწყობილნი.** კერძოდ, დავით **ბაქრაძე კვლავაც იმ იდეის ერთგულია**, რომ, **რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს.**

ჰოდა, **რაკი ერთგულია, გვაიმედებს, რომ ბრძოლა გაგრძელდება.** ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ეს ის** ბ-ნი **ბაქრაძეა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში** (პარლამენტის თავმჯდომარის რანგში) **მოგვიწოდა, ოკუპანტისგან თავი საკუთარი ძალებით და თქვენს ხელთ არსებული საშუალებებით დაიცავითო** (რის გამოც „ჩანგლების მბრძანებლის" ტიტულიც დაიმსახურა), ბუნებრივად, **იბადება მეტად პრაქტიკული კითხვა: ბრძოლა ჩანგლებით გაგრძელდება თუ რამე სხვა ყოფითი იარაღით?!**

# სიყვარული აგვამაღლებს

## ანუ, საჯდომის როლი დემოკრატიულ აღმშენებლობაში

ტერმინთა თუ სხვა რამის აღრევის გამო, **სექსუალური უმცირესობების თემა იმდენად გააქტიურდა, რომ ჩვენი საზოგადოების ლამის ნომერ პირველ დაბრკოლებად იქცა ევროპულ ოჯახში გასაწევრიანებლად.** უფრო მეტიც, **ნათლად ისიც ვერ გავარკვიეთ,** ბოლოს და ბოლოს, **გეი-აღლუმი ტარდებოდა თუ ჰომოფობიის დაგმობის აქცია.** ოღონდ, ისიცაა, რომ, **მართალია, ვერ გავარკვიეთ, მაგრამ, შარში მაინც გავეხვიეთ.** ასეა თუ ისე, ყველა ისევ თავის აზრზეა: **სექსუალური უმცირესობები და მათი მხარდამჭერები საკუთარი უფლებების გარანტირებულ დაცვას ითხოვენ**, მათი **ოპონენტები – ჰომოსექსუალთა ცხოვრების წესის პროპაგანდის აკრძალვას,** ხელისუფლება კი სადღაც შუაშია.

წინა კვირის დასაწყისში **კვირის ფრაზის ავტორი**, უდავოდ, **პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გახლდათ: „მთელი ერი რომ გავპედერასტდეთ, „ნატოში" ახლო მომავალში მაინც არავინ მიგვიღებს".** სხვათა შორის, იქვე მეტად არასახარბიელო პროგნოზიც გაგვანდო: **„თუ ასე წავა პროცესები, მე ვერ მოვესწრები, მაგრამ, 20-30 წლის შემდეგ, მწარმოებელი, ნამდვილი ბავშვის დამბადებელი მამაკაცები თითზე ჩამოსათვლელები იქნებიან.**" მეორე მხრივ, ცნობილია სავალალო სტატისტიკა, რის მიხედვითაც, **სელექციური აბორტების წყალობით, საქართველოში ახალშობილ გოგონებსა და ვაჟებს შორის ბუნებრივი ბალანსი დარღვეულია**, რაც თავის საბედისწერო როლს შეასრულებს დემოგრაფიულ პრობლემაში.

როგორც უნდა იყოს, **გასული კვირისავე ბოლოს** კვირის ფრაზის ავტორს **კონკურენტი გამოუჩნდა,** კერძოდ, **დათო ტურაშვილის სახით, რომელმაც შეშფოთებული საზოგადოება შემდეგნაირად გაამხნევა** (მომყავს ციტატა ბოდიშის მოხდით): **„სისულელეა, რომ ევროპაში მხოლოდ უკანალის მიცემის პირობით მიგვიღებენ."**

მოკლედ, ისე მოხდა, რომ **ადამიანის სხეულის** ამ, ერთი შეხედვით, **ფუნქციით არცთუ გამორჩეულმა ორგანომ, ცენტრალური ადგილი დაიჭირა თანამედროვე საქართველოს მოქალაქის ცხოვრებაში** (სხვათა შორის, არა ზოგადად ამ ორგანომ, არამედ, კერძოდ, მამრობითი სქესის მოქალაქეების განხრით). შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ, **სახელდობრ, ჩვენს სამშობლოში, გზა დემოკრატიისკენ სწორედ მასზე გადის?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შესახებ საუბრები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მალევე დაიწყო და პარლამენტის შესაბამის კომიტეტში შესაბამისი კანონპროექტიც დევს, თუმცა საკითხი ადგილიდან არ დაძრულა. უფრო მეტიც, მარიხუანის ლეგალიზაციას მომხრეებიც გამოუჩნდნენ და ამ მიზნით აქციის მოწყობასაც კი გეგმავენ. არის თუ არა გონივრული მარიხუანის ლეგალიზაცია საქართველოში მოტივით, რომ ყველა მსურველი მაინც ეწევა. რა გართულებებს იწვევს მარიხუანის მოხმარება, რატომ მიიჩნევა ის (თან სრულიად მცდარად) უვნებელ ნარკოტიკად და რას ნიშნავს დეკრიმინალიზაცია, – ამ კითხვებზე პასუხების მიღებას ნარკოლოგ გელა ლეჟავასგან შევეცდებით.**

# რატომ არ არსებობს სომხეთში ნარკომანიის პრობლემა და რატომ მიიჩნევა აზერბაიჯანში ნარკოტიკის მოხმარება ტრადიციის ნაწილად



ქართველებს ისედაც არხეინი ცხოვრება გვიყვარს და, თუ ამას მარიხუანის ლეგალიზაციას დავამატებთ, კატასტროფულ შედეგს მივიღებთ

**– მარიხუანის დეკრიმინალიზაციას აქვს რამე კავშირი მარიხუანის თავისუფლად გაყიდვასთან?**

– არის ზოგიერთი ადამიანი, ვისაც ისე ესმის, როგორც თქვენ ამბობთ. არადა, დეკრიმინალიზაცია ნიშნავს მარიხუანის მომხმარებლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნას, რაც არ ნიშნავს დაუსჯელობას. არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი და, ასევე, ადმინისტრაციული კოდექსი. ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის, ორთვიან პატიმრობასაც კი. როდესაც ლაპარაკია მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე, იგულისხმება, რომ მარიხუანის მოხმარებას მოეხსნას სისხლის სამართლის დანაშაულის სტატუსი, რასაც მე ვემხრობი. დეკრიმინალიზაციის მოთხოვნა არ ნიშნავს, რომ მარიხუანის მოწევა თავისუფლად იქნება შესაძლებელი. დეკრიმინალიზაციის იდეაა, რომ მარიხუანის მომხმარებელი პირებისთვის აკრძალვისა თუ შეკავების ზომები იყოს მათი ქმედების ადეკვატური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარიხუანის ერთხელ მოწევისთვის ადამიანის ციხეში ჩასმა მეტისმეტია, გინდა, ორჯერ და სამჯერ მოწევის გამოც. ამიტომაც არის მოსაზრება, რომ მოიხსნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოხმარებაზე, მაგრამ ეს უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა. არ შეიძლება, მხოლოდ დეკრიმინალიზაცია ჩაატარო, იმიტომ რომ მაშინვე გაიზრდება ნარკომანთა რიცხვი საქართველოში.

**– რატომ?**

– ძალიან მომწონს პრეზიდენტ ობამას გამონათქვამი ნარკომანიის შესახებ. ის ამბობს, წამალდამოკიდებულება არის ისეთი მოვლენა, როგორიც შიდსი ადამიანის ორგანიზმისთვის, რადგან, როგორც შიდსიან ადამიანს იოლად ემართება ყველანაირი დაავადება, რომელიც კლავს მას, ასევე, ქვეყანაში, რომელშიც წამალდამოკიდებულებაა გავრცელებული, მაღალ დონეზეა კორუფცია, მძიმე მდგომარეობაშია ხალხის ჯანმრთელობა. იცით, რომ უკრაინაში უბედურება ტრიალებს შიდსის გავრცელების თვალსაზრისით და ძალიან მაღალია კრიმინალი. ამიტომ ცხადია, ყველა ზომა, რომელიც იქნება გამოყენებული, მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ არ გაიზარდოს ნარკომანთა რიცხვი.

**– თითქოს ყველამ ყველაფერი იცის მარიხუანის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში თითქმის არავინ – არაფერი.**

– არსებობს ლეგენდა, რომ მარიხუანის მოწევა არაფერია. თუ არ ხარ არასრულწლოვანი და მძღოლი, მართლაც, ერთი-ორჯერ მოწევ და უკვალოდ ჩაივლის, მაგრამ დღეს უკვე დადასტურებულია, რომ მარიხუანაზე ვითარდება დამოკიდებულება. ამის მარტივი საბუთი ის არის, რომ დღეს ევროპის ნარკოლოგიურ დაწესებულებებში 30-დან 35 პროცენტამდე წვანან პირები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მარიხუანაზე. ესე იგი, მათგან მესამედზე მეტი, ვინც მკურნალობს წამალდამოკიდებულებას, დამოკიდებულია მარიხუანაზე, ანუ მარიხუანა არის ნარკოტიკი, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას. მეორე: თუ გამოჰკითხავთ დანარჩენებს, ვინც მკურნალობს, აღმოჩნდება, რომ მათგან ძალიან მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო მარიხუანის მოწევით. ამიტომაც მიიჩნევა მარიხუანა, როგორც ნარკოტიკების კარიბჭე.

ამდენად, მართალია, ერთი და ორი მოწევა არ იძლევა კატასტროფულ შედეგს, მაგრამ ცნობილია, რომ 100 ადამიანიდან, რომელმაც მარიხუანის მოწევა დაიწყო, 20-25 გახდება დამოკიდებული, კიდევ 40 კი – გადავა მძიმე ნარკოტიკებზე.

**– დეკრიმინალიზაციამ რატომ უნდა შეამციროს მარიხუანის მომხმარებელთა რაოდენობა?**

– ცნობილია, რომ სასჯელის სიმძიმე კი არ წყვეტს პრობლემას, არამედ სასჯელის გარდუვალობა. ის კი არ არის საქმე, რომ მარიხუანის მეორე თუ მესამე მოწევისთვის გადავახდევინოთ პირს 5 000-ლარიანი ჯარიმა, არამედ ის, რომ ის თითოეული მოწევის გამო დავაჯარიმოთ, თუნდაც, ეს იყოს 200 ლარი. თუ ჩვენ დეკრიმინალიზაციას ვაპირებთ, ცვლილებები უნდა შევიდეს ადმინისტრაციულ კოდექსში. ადამიანი, ვინც ერთხელ და ორჯერ დააკავეს მარიხუანის მოწევის გამო, დავაჯარიმოთ 200 ლარით, მაგრამ შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის ვალდებული უნდა იყოს, გამოცხადდეს ყოველ კვირას შემოწმებაზე, იღებს თუ არა ნარკოტიკს და, თუ იღებს, კვლავ დავაჯარიმოთ. ესე იგი, მარიხუანის მომხმარებელი უნდა მოექცეს კონტროლის ქვეშ სახელმწიფოს მხრიდან.

**ზიონარკოტიკი შარმსია, იმიტომ რომ ახალი შმქმნილია და არავის შმშსწავლია მისი ზმმოქმმდმბა ადამიანის ორგანიზმზმ**

**– ანუ პირი სახელმწიფომ უნდა აკონტროლოს მას შემდეგ, რაც ერთხელ მაინც იქნება შემჩნეული მარიხუანის მოწევაში?**

– დიახ, ასეთი ზომები ტარდება უცხოეთშიც: კონტროლზე აჰყავთ, აჯარიმებენ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას აიძულებენ, გამოიყენება შინა პატიმრობაც, არ შეუძლია სახლიდან გასვლა საღამოს ექვი საათის შემდეგ; ასევე, გამოიყენება ჭეშმარიტი პატიმრობაც 2 კვირით, 20 დღით, ორი თვით. ასე რომ, ღონისძიებათა კომპლექსი უნდა იყოს გამოყენებული იმისთვის, რომ პიროვნებას ვუბიძგოთ, თავი დაანებოს გასართობად დაწყებულ საქმიანობას.

**– დაფიქრდეს, ულირს თუ არა ამდენ წვალებად ერთხელ მარიხუანის მოწევა?**

– თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ საშიშროებასაც, რაც მოსდევს მარიხუანის გამოყენებას, იმედი მაქვს, დეკრიმინალიზაცია მოიტანს სარგებლობას, თუ შესაბამის ღონისძიებებს გავატარებთ. მაგრამ ამას დასჭირდება შესაბამისი დაფინანსება, შესაბამისი სტრუქტურის შექმნა, რომელიც მიხედავს ამას, ცვლილებები ადმინისტრაციულ კოდექსში. როდესაც ეს ყველაფერი თავს ერთად მოიყრის, მაშინ შეიძლება, მივიღოთ კანონი დეკრიმინალიზაციის შესახებ.

**– ლეგალიზაციის მოთხოვნა რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ?**

– პირდაპირ შეგიძლიათ, დაწეროთ, რომ ვინც საქართველოში მარიხუანის ლეგალიზაციას ითხოვს, არის ქართველი ხალხის მტერი. ლეგალიზაცია ნიშნავს, რომ ყოველგვარი დასჯის გარეშე მოიხმარო ნარკოტიკი, თან, ამას დაამატეთ ჩვენი მძიმე დემოგრაფიული ვითარება და ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგსაც მივიღებთ. მაგალითად, ჩვენს მოძმე სომხეთში, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ და შურის თვალით შევცქერი, ფაქტობრივად, არ არსებობს ნარკომანიის პრობლემა, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის მოსახლეობისთვის ნარკოტიკის მოხმარება ტრადიციულია და მათ ათწლეულების, საუკუნეების განმავლობაში გამოუმუშავდათ გარკვეული ტოლერანტური დამოკიდებულება ნარკოტიკისადმი, ისევე, როგორც ჩვენ – ალკოჰოლისადმი. შევხვედრივარ შუა აზიის მაღალი რანგის სპეციალისტებს, რომლებიც მეუბნებოდნენ, ბატონო გელა, როგორც თქვენ არ შეგიძლიათ ალკოჰოლის გარეშე, ისევე, ჩვენ არ შეგვიძლია ოპიუმის გარეშე. საუკუნეების განმავლობაში გამოგვიმუშავდა წესი, თუ როგორ უნდა მივიღოთ და ნარკოტიკის ამ ტრადიციული მოხმარებით დღემდე მოვედითო. ჩვენთან კი, რადგან ამის ტრადიცია არ არის, ლეგალიზაცია რომ მოვახდინოთ, 10 წელიწადში არც ერთი ქართველი ცოცხალი აღარ დარჩება. ამდენად, ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც დღეს მარიხუანის ლეგალიზაციაზე ლაპარაკობს. მარიხუანის მოხმარებაზე აკრძალვის მოხსნა კატასტროფას გამოიწვევს.

**– რა ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს მარიხუანის მუდმივი ან არახშირი მოხმარება ადამიანის ორგანიზმზე?**

– რომ ჩახედოთ „ვიკიპედიაში“, ნახავთ, რომ მარიხუანის ხანგრძლივი მოხმარებისას არ რჩება არც ერთი ორგანო, რომელიც არ ზიანდება. ქალებში იწვევს მკერდის კიბოს, მამაკაცებში – სასქესო ორგანოების კიბოს, ფილტვების კიბოს, ჰორმონალურ ცვლილებებს. ერთი სიტყვით, ყველანაირ ცვლილებას, თუკი რამ არსებობს. მარიხუანის მოწევას აქვს ერთი თავისებურება, რაზეც მაღალი რანგის საერთაშორისო სპეციალისტები ხმამაღლა არ ლაპარაკობენ: სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში იმიტომაა ცხოვრების დაბალი დონე, რომ ისინი ეწევიან მარიხუანას, რომელსაც აქვს ერთი თვისება, ადამიანს უქრება მისწრაფებები წინსვლის, განვითარების. მშვენივრად არის, თუ ყოველდღიურად იშოვა მარიხუანის ერთი ან ორი ულუფა, აღარ აინტერესებს ფოსტლები აცვია თუ ფეხსაცმელები, როგორ სახლში ცხოვრობს. ქართველებს ისედაც არხეინი ცხოვრება გვიყვარს და, თუ ამას მარიხუანის ლეგალ-

# განკურნების რა სასწაულებრივ მეთოდს ფლობს ექიმი თინათინ მაჩაიძე და როგორ უბრუნებს ის დაკარგულ იმედს თავის პაციენტებს


თინათინ მაჩაიძე

*დღესდღეობით ასე მომრავლებული მკურნალების ფონზე განკურნების საოცარი ისტორიებით ვერავის გააკვირვებ. ექიმები თავიანთი განკურნებული პაციენტებით იწონებენ თავს და კიდევ მრავალ პაციენტს ეპატიჟებიან თავისთან. ძნელია ასეთ დროს ნდობის მოპოვება ექიმისთვის, თუმცა პაციენტი, უპირველესად, საკუთარ თავზე გრძნობს, ჭეშმარიტად შესწევს თუ არა განკურნების უნარი იმ ექიმს, ვისთანაც ის მკურნალობას გადაწყვეტს. მაგრამ, არიან ისეთებიც, ვისი ძალა და მკურნალობის უტყუარი მეთოდი, არავისთვის გამხდარა ეჭვის საბაბი, რადგან მათ უკმაყოფილო პაციენტი პრაქტიკულად არ ჰყავთ. სწორედ ასეთი მკურნალია ექიმი-ბიოენერგოთერაპევტი, საერთაშორისო კლასის მკურნალი, ბიოენერგოთერაპევტთა ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ქალბატონი თინათინ მაჩაიძე, რომელსაც ჩვენი მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს ისევ და ისევ მისი მადლიერი პაციენტების წყალობით, რომლებიც ავადმყოფობისგან განკურნების საკუთარ ისტორიებს დაუზარებლად გვიყვებიან. ქალბატონ თინათინს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს და არც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ცდილობს ხშირად გამოჩენას. აქვე კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, თავის მიერვე დასმული უტყუარი დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და, რაც ყველაზე მთავარია, თინათინ ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს.*

*თინათინ მაჩაიძის პაციენტების დაჟინებული თხოვნით, აქვე გთავაზობთ მათი განკურნების ისტორიებს:*

**ნანა ინწკირველი** *(36 წლის, პედაგოგი):* ქალბატონ თინასთან ჩემი მეზობლის წყალობით მოვხვდი. ეს ბედის საჩუქარი იყო, რადგან არ ვიცი, რა მეშველებოდა მისი დახმარების გარეშე. ალბათ, იქამდე მივიდოდი, რომ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი. ჩემი პრობლემა იყო მწვავე ნევროზი – აკვიატებული შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, დეპრესია. თინა ექიმმა ამქვეყნად დამაბრუნა, რასაც სულ რამდენიმე სეანსი მოანდომა. ულრმესი მადლობა, ჩემო გადამრჩენელო.

**ნიკოლოზ გელაშვილი** *(49 წლის, იურისტი):* უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოვხვდი ქალბატონ თინათინთან, სხვათა შორის, თქვენი ჟურნალის მეშვეობით. მქონდა ნერვის ანთება და რადიკულიტიც დამემატა, რასაც საშინელი ტკივილები ახლდა თან. ჯერ თავს ისევ ახალგაზრდად მივიჩნევ, მაგრამ ტკივილებმა ყველაფრის ხალისი დამაკარგვინა და იმედი გამიქრო. თინა ექიმმა კი თავისი ჯადოსნური ხელებით და მკურნალობის მეთოდით სასწაული მოახდინა და თითქოს ხელახლა დავიბადე.

**ნანა ჩოგოვაძე** *(62 წლის):* საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**გურამ ბაინდურაშვილი** *(68 წლის):* ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მომიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა.

**ქეთევან ფირცხალავა** *(55 წლის, დიასახლისი):* მე ჩემმა გასაჭირმა, კუჭ-ნაწლავის და ნაღვლის ბუშტის პრობლემებმა მიმიყვანა თინა ექიმთან. უკვე წლებია ვმკურნალობ სხვადასხვა ექიმთან, მაგრამ საშველის რა მოგახსენოთ. ამდენმა დიეტამ და არასწორად დანიშნულმა უამრავმა წამალმა უარეს დღეში ჩამაგდო. ქალბატონმა თინათინმა შეუძლებელი შეძლო და მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. მადლობის მეტი რა მეთქმის!

***P. S.* ვისაც გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და საიმედო მკურნალობა გჭირდებათ, მიმართეთ თინათინ მაჩაიძეს. ის თავისი მკურნალობის უნიკალური მეთოდით მალევე გაგათავისუფლებთ აბეზარი დაავადებებისგან და თავს ჯანმრთელად და ბედნიერად იგრძნობთ!**

**თამუნა ახობაძე**

ტელ: 599-58-69-47, 555-12-78-30, 593-38-26-13, 235-18-68 (ოფისი).

პაციენტთა მიღება ხდება წინასწარ ჩაწერით! $11^{00}$–$16^{00}$ სთ

იზაციას დავამატებთ, კატასტროფულ შედეგს მივიღებთ.

თუ ლეგალიზაცია მოხდა, როგორ გაკონტროლდება, რომ 12 წლის ბავშვმა არ მოწიოს მარიხუანა?! არადა, განსაკუთრებით, მძიმედ მოქმედებს მარიხუანა ბავშვის ორგანიზმზე. ცვლის მის ფსიქოლოგიას. იცით, რომ 18 წლამდე ხდება ცენტრალური ნერვული სისტემის ჩამოყალიბება. ამ დროს ყალიბდება თავის ტვინში სიამოვნების და უსიამოვნების ცენტრები. ვინც მარიხუანას ეწევა, მას ძალაუნებურად ეცვლება სიამოვნების ცენტრის ზღურბლი, ის სხვანაირად ყალიბდება. ამიტომ ასეთი პიროვნება აღარ კმაყოფილდება სიამოვნების ჩვეულებრივი განცდებით, რითაც ჩვეულებრივი ადამიანი კმაყოფილდება, ეძებს რაღაც ახალს და ამიტომაც არის, რომ მარიხუანის მომხმარებლები შემდეგ უფრო მძიმე ნარკოტიკებზე გადადიან.

**– ისე, ლეგალიზაციის შემთხვევაში რა გამოდის, აქ მწარმოებლები გაჩნდებიან და შემომტანებიც? ბიზნესი გახდება?**

– ჯერ ერთი, თუკი ვინმეა ნარკოტიკის მსურველი, ყველა აქ ჩამოვა, არადა, ისედაც არ ვიცით, საქართველოში, ვინ რატომ შემოდის. თუ მშვენიერ კლიმატს, ვიზების არარსებობას დაემატა იაფფასიანი მარიხუანა, წაილეკება საქართველო.

**– დიდი სპეციალისტი არ ვარ ამ საქმეში, მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული ბიომოსაწევი რა არის?**

– კარგია, რომ ეს თემა ახსენეთ. მაფიამ გადაწყვიტა, რაღა რგას ეს მცენარეები, აგროვოს, დაფშვნას, გადაიტან-გადმოიტანოს და ასე შემდეგ, ამიტომ პირდაპირ ქიმიურად გააკეთეს. მარიხუანის ათამდე ქიმიური ნაირსახეობა შექმნეს. ფორმულები ოდნავ განსხვავებულია, ამიტომ მათ მიერ გაკეთებული ეგრეთ წოდებული „სპაისები“ არ შედის გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების ჩამონათვალში და თავისუფლად იყიდება. დიდი ხანია, ვამბობ, რომ ჩვენ უნდა შევიტანოთ „სპაისები“ ჩვენს კანონმდებლობაში. რამდენიმე თვეა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ნივთიერებები გაუტოლეს მარიხუანას და მათზე გაავრცელეს ყველა აკრძალვა. საქართველოში, კანონში, გვაქვს ანალოგის ცნება, მაგრამ ვერაფრით მივაღწიეთ, რომ ეს ანალოგები ამუშავდეს და ეს ყველაფერი ჩამოკიდებულია ჰაერში.

**– და გამოვლენაც ვერ ხდება?**

– გამოვლენაც საკმაოდ რთულია, იმიტომ რომ ამას სპეციალური ტესტები სჭირდება: ზოგი იქმნება, ზოგი შექმნილი არ არის, მაგრამ ის მაინც გავაკეთოთ, რომ შემოტანაზე დავიჭიროთ, თუ მომხმარებელს ვერ ვიჭერთ და ლეგალიზაცია ხომ საერთოდ დაამძიმებს ვითარებას.

**– ბიომოსაწევი უფრო მავნებელია თუ ნატურალური მარიხუანა?**

– ბიო უარესია, იმიტომ რომ ახალი შექმნილია და არავის შეუსწავლია მისი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. მარიხუანის მოქმედება შესწავლილია საუკუნეების განმავლობაში, ბიოს საზიანო თვისებები კი არავინ იცის. ამას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი, რომ გამოვლინდეს, ადამიანზე ხომ ვერავინ ჩაატარებს ექსპერიმენტს?!

**– მარიხუანა, განსხვავებით ყველა დანარჩენი ნარკოტიკისგან, ყველაზე დიდხანს რჩება ორგანიზმში. ეს იწვევს ფიზიოლოგიურ ცვლილებებს?**

– ის იხსნება ცხიმში, ამიტომაც არის, რომ მარიხუანა ისეთ მძაფრ „ლომკას“ არ იწვევს, ცხიმში რჩება და ნელ-ნელა გამოდის ორგანიზმიდან. უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა ნარკოტიკი არის საწამლავი, რომელიც მეტ-ნაკლებად წამლავს ორგანიზმს. ხშირად მომყავს ეს მაგალითი: ადამიანს აქვს სისტემები, რომლებიც არეგულირებენ სიამოვნებას და და უსიამოვნებას ადამიანის ორგანიზმში, ორგანიზმი ცდილობს, დაარეგულიროს. როდესაც ორსული ქალი ზაფხულში მოდის დიდი მუცლით და ბედნიერი სახით, ეს იმიტომ, რომ გამომუშავდება ენდორფინები, რომლებიც ფარავენ სიმძიმის გრძნობას, დისკომფორტს. ორგანიზმი თვითონ ზრუნავს ამაზე. როდესაც ადამიანი იწყებს ნარკოტიკის მიღებას, ირღვევა წონასწორობა სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის. როდესაც ორგანიზმში შედის სიამოვნების მომგვრელი ნივთიერებები, ეს იქნება მორფინი თუ კანაბისი, ორგანიზმი ამას, ერთი მხრივ, ებრძვის, ცდილობს, რაც შეიძლება, მალე გაიყვანოს ორგანიზმიდან და, მეორე მხრივ, ცდილობს, თვითონ რაც შეიძლება, ნაკლებად გამოიმუშაოს ეს ნივთიერება. ამიტომ, როდესაც ადამიანი წყვეტს ნარკოტიკის მიღებას, აღმოჩნდება, რომ გარედანაც ვერ იღებს და ორგანიზმის მიერ სიამოვნების გამომწვევი ნივთიერების გამოყოფაც შემცირებულია. ეს კი იწვევს მძიმე რეაქციას.

**– ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ ანტინარკოტიკული აღზრდა ბაღებიდან და სკოლებიდან?**

– ჯერ მასწავლებლებს უნდა ვასწავლოთ. პედაგოგობის მსურველებისთვის აუცილებელია სპეციალური სალექციო კურსი, რომ მათ ავუხსნათ, რა არის ეს. ამიტომაც ვამბობ, რომ დეკრიმინალიზაცია ღონისძიებათა კომპლექსია. მაგალითად, უცხოეთში 12-14 წლის ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური პედაგოგიური ერთეული, რომელიც იხილავს, თუ რატომ ვერ სწავლობს ბავშვი, რატომ არღვევს დისციპლინას და ასე შემდეგ. დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ მერვე ბავშვს სჭირდება ასეთი დახმარება, ყოველ მეთორმეტეს კი – ექიმისა და ფსიქოლოგის დახმარება, რადგან ნორმიდან გადახრა აქვს. ამ დროს კი ჩვენთან ყოველწლიურად სახელმწიფო თითო მოქალაქეზე ანტინარკოტიკული ღონისძიებებისთვის ხარჯავს ლარზე ნაკლებს, არადა, ევროპაში – 60 ევროს, ჰოლანდიაში, რომელიც ჩვენთან ზოგიერთს მოსწონს, 117 – ევროს. როგორ შეიძლება, რომ ჩვენ მათი მსგავსი კანონები გვქონდეს?! ყველაზე მეტი თანხა ანტინარკოტიკული ღონისძიებებისთვის სწორედ ჰოლანდიაში იხარჯება. თუ ყველაფერი რიგზეა, რატომ ხარჯავენ ამდენ თანხას?! ასე რომ, მარიხუანის დეკრიმინალიზაციას სერიოზული მუშაობა სჭირდება და ამ პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთონ პროფესიონალები, იმას გარდა, რომ განხორციელებისთვის საჭიროა დრო და თანხა.

**ნინო ხაჩიძე**

**ისე მოხდა, რომ ის ყველა იმ პარტიის საქმიანობას აკრიტიკებდა, ვისთანაც ერთად ხელისუფლებაში მოდიოდა. ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი პირველია მათ შორის, ვინც კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მისი აზრით, სუსტი წერტილებისკენ მიუთითებს. რა მოსწონს და რაში არ ეთანხმება დღევანდელ მმართველებს,– ამ თითქმის რიტორიკულ კითხვაზე კობა დავითაშვილი თავად უპასუხებს.**

# ვინ უჭერს მხარს კოალიციის შიგნით კობა დავითაშვილის კრიტიკას, ვისთანაც ერთად მოდის ხელისუფლებაში და რატომ მობეზრდა ერთი და იმავე კინოს მესამე სერიის ყურება

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ მმართველი ძალის მოქმედებაში?**

– ძალიან ზოგადი შეკითხვაა და ჩემგან მოითხოვს თქვენი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას. მე თვითონ უნდა გავიხსენო თემები.

**– მე კი ვიფიქრე, მეტი თავისუფლება მოგანიჭეთ.**

– მესმის, მაგრამ ეს გადაიზრდება ჩემს სარედაქციო სტატიაში.

**– კეთილი, სხვანაირად გკითხავთ. როდესაც კოალიციასთან გაერთიანდით...**

– უნდა განვმარტო: ჩემი მდგომარეობა ცოტა პარადოქსული და უცნაურია. მე ვარ „ხალხის პარტიის“ ლიდერი, მაგრამ კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ „ხალხის პარტია“ არ გახდებოდა კოალიციის წევრი, განსხვავებით ექვსი პოლიტიკური პარტიისგან.

**– მე იმას ვგულისხმობდი, რომ თქვენ სწორედ კოალიციის მეშვეობით მოხვდით საკანონმდებლო ორგანოში?**

– პარტიულ სიაში შემიყვანეს, ოღონდ როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბატონები გია ჟორჟოლიანი და გია გაჩეჩილაძე. „სახალხო პარტია“ არ არის კოალიციის წევრი, ამიტომ არც ხმის უფლება გვაქვს პოლიტსაბჭოზე, ჩვენ უბრალოდ ვართ ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები და, ამდენად, თუ ჩვენზე რამე დისციპლინა ვრცელდება, ეს არის ფრაქციული დისციპლინა.



**ჩვენთან ხომ არავინ ფიქრობს დროებით მოსვლას, ყველა ფიქრობს, რომ მოვედით და მოვედითო**

**– დავასრულებ შეკითხვას: როგორც ელოდით, ისე განვითარდა მოვლენები კოალიციის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ?**

– ძალიან ბევრი დარგის შეფასება გამიჭირდება. მაგრამ მთავარი დაპირება, მართლმსაჯულების განხორციელება და სამართლიანობის აღდგენა, ვერ შესრულდა. კოალიციის წევრები ხშირად ამბობენ, ჩვენ თვითონ არ ვისაუბროთ ამაზე და მიმდინარეობს ეს პროცესიო. თუმცა ძალიან დიდი ჭრიალით მიმდინარეობს, რასაც აქვს თავისი მიზეზი, მათ შორის, ობიექტური – „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან სასამართლოს კონტროლი. ოღონდ არის სუბიექტური მიზეზებიც: სასამართლო რეფორმების გაჭიანურება, ვენეციის კომიის დასკვნის არდალოდება, შემდეგ ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება, გავცდით კიდეც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. ეს ყველაფერი ზედმეტი ლოლიავი მგონია. გასაგებია, რომ ევროპასა და ამერიკაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს გავლენიანი მფარველები, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ კი არ მისტირიან, არამედ, თავიანთ თავს დასტირიან, რადგან მოუწევთ, აუხსნან საკუთარ მოსახლეობას, რაზე ხარჯავდნენ მათ ფულს და რატომ უჭერდნენ მხარს ავტორიტარულ რეჟიმს, რომელიც ხოცავდა და აწამებდა ადამიანებს. ამის გამოაშკარავება მათთვის არ არის ხელსაყრელი და სულ რომ არ ეხატებოდეთ გულზე სააკაშვილი და დარწმუნებული ვარ, დღეს თავში იცემენ ხელს, ეს ვის გადავეკიდეთო, მაინც იცავენ, იმიტომ რომ ამით საკუთარ თავს იცავენ. ამიტომ ჩვენ იქ, იმ საზოგადოებაში, უნდა მოვნახოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მფარველების ოპონენტები, დემოკრატიულ ქვეყანაში ეს რთული არ არის – ყველა პოლიტიკოსს ჰყავს თავისი ოპონენტი და მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ ვისზე ხარჯავდა მათი ოპონენტი თავისი გადასახადის გადამხდელის ფულს და დანარჩენს ჩვენი უნებლიე მოკავშირეები თავად გააკეთებენ.

**– ეს რატომ არ კეთდება. თქვენ რა დასკვნა გამოიტანეთ?**

– შეიძლება, რაღაც ხიბლია, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“, ამისთანა ტკბილი ოპოზიცია არ გვეყოლება, თუ რამეს გვეტყვიან, თავში წამოვარტყამთ და ვეტყვით, აქამდე, 9 წელი რას აკეთებდითო. ეს ძალიან კომფორტულია, მაგრამ ცუდია ქვეყნისთვის. ჯერ ერთი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა ისხდნენ და მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს და, მეორე, ასეთმა ოპოზიციამ მართალიც რომ თქვას, არ დაეჯერება, იმიტომ რომ თავი აქვს შერცხვენილი. ამ ორი მიზეზის გამო კოჰაბიტაციას არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რაც შეიძლება, სწრაფად ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და „ნაციონალურ მოძრაობას“ მიეჩინოს თავისი ადგილი პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა შუალედურ არჩევნებზე.

**– მაგრამ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, სულ მცირე, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ დაინიშნება.**

– ეს უნდა მომხდარიყო აპრილში. თავის დროზე საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება მოვახდინეთ, მეც დავუჭირე მხარი ბატონ ივანიშვილს, რომ ხელოვნური კრიზისი შეგვექმნა და სააკაშვილისთვის პარლამენტის დათხოვნის უფლება მიგვეცა, მაგრამ ეს ნორმა ამოვარდა და მომეჩვენა, რომ უმცირესობის წარმომადგენლები უფრო იყვნენ დაინტერესებულნი სააკაშვილისთვის უფლებამოსილების შეკვეცით, ვიდრე უმრავლესობა. რადგან ბევრმა მათგანმა იცის, რომ ახალ პარლამენტში მოხვედრის შანსი არ აქვს და ისიც საკითხავია, რა პროცენტს მიიღებს ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“, ან მისი ნამსხვრევები. ბევრი დილემა აწუხებთ და ამიტომ ურჩევნიათ, ოთხ წელს გარანტირებულად ისხდნენ პარლამენტში.

**– და გარანტირებული 560-ლარიანი პენსიაც ექნებათ.**

## თუ პოლიტიკური ნება არსებობს, შესაძლებელია კონსტიტუციური კრიზისის ხელოვნურად ინიცირება, რაც რიგგარეშე არჩევნებით დასრულდება

– დიახ. მაგრამ ქართველ ხალხს ეს ნამდვილად არ აინტერესებს და ჩვენი ამოცანა ვერ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური ძალის გადარჩენა.

**– რეალური გგონიათ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება?**

– რატომაც, არა, თუ პოლიტიკური ნება არსებობს, შესაძლებელია კონსტიტუციური კრიზისის ხელოვნურად ინიცირება, რაც რიგგარეშე არჩევნებით დასრულდება.

**– თქვენ შიგნიდან აკვირდებით მოვლენებს, მზად არის კოალიცია ამისთვის?**

– რომ არსებობდეს პოლიტიკური ნება კოალიციის შიგნით, ეს აქამდეც შეიძლებოდა.

**– გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, როგორც ამბობენ, უმრავლესობის წევრებიც არ არიან დაინტერესებულები რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით, იმიტომ რომ კოალიციის სიაც გადაიხედება.**

– არ გამოვრიცხავ, ასე იყოს. შეიძლება, მეც ვერ მოვხვედრილიყავი სიაში ჩემი ასეთი განცხადებების გამო, მაგრამ საქმეს წაადგებოდა გადახალისება.

**– თუ ისევ „ოცნებამ“ წაიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და ისევ იგივე სურათი მივიღოთ, რასაც ბოლო 9 წელს ვუყურებდით?**

– თუ ხალხი ამას მხარს დაუჭერს, რატომ არ უნდა აისახოს ეს არჩევნების შედეგებზე?!

**– ხალხი სააკაშვილსაც უჭერდა მხარს და ჩვენ ისიც ვნახეთ, როგორ გარყვნა ამან ხელისუფალი?**

– გასაგებია, მაგრამ ძალაუფლებამ გარყვნა სააკაშვილი, როდესაც იმაზე მეტი მიიტაცა, რაც ხალხმა მისცა. ამასთან, ის სისტემატურად აყალბებდა არჩევნებს. ბოლო შედეგებიც გაყალბებულია, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეალურად ბევრად ნაკლები ხმა მიიღო.

**– ესეც ერთგვარი კრიტიკის საგანია, თუ რატომ აღიარა ეს შედეგი „ოცნებამ“ და დათანხმდა „ნაცმოძრაობის“ 40-პროცენტიან წარმომადგენლობას?**

– ეს მოგება იყი, ბერკეტი, რომელიც უნდა განვითარებულიყო. ბუნებრივია, დათანხმდა და შევიდა პარლამენტში, მაგრამ შემდეგ ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით და დაჯდებოდა ის ციფრი, რაც რეალურია.

**– არ ფიქრობთ, რომ ამდენმა არჩევნებმა შეიძლება, დაღალოს ხალხი და ის უბრალოდ აღარ მივიდეს არჩევნებზე?**

– არ მგონია, ხალხს ვატყობ დაღლილობას უმოქმედობითა და „ნაციონალების“ დაუსჯელობით. სხვათა შორის, ფართო გაგებით სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობ იმ ვითარებას, რაც შეიქმნა სახელმწიფო აპარატში. სახელმწიფო აპარატში ჩვენთან კვლავ „ნაციონალების“ მოძალებაა. მათთვის არაფერი შეცვლილა, ბევრი მათგანი დაწინაურდა კიდეც. პრემიერი ღიად აცხადებს, რომ მათ ბევრი პროფესიონალი ჰყავდათ თავიანთ გუნდში და საკუთარი გუნდის პროფესიონალიზმით უკმაყოფილოა. ეს შემთხვევითი არ არის და ძალიან სამწუხაროა.

**– შემთხვევითი რატომ არ არის?**

– როდესაც პოლიტიკური ძალა ოპოზიციაშია, მას გარშემო ახვევია ნონკომფორმისტები, რომლებიც შეეგუვნენ რეჟიმს და ხმას იმაღლებდნენ. შემდეგ ეს ოპოზიციური ძალა მოდის ხელისუფლებაში და უცბად აღმოაჩენს, რომ ის ნონკომფორმისტი ძალიან უხიაგია, შეიძლება, რაღაცაში არ დაგეთანხმოს. ამ დროს მას სამსახურში ხვდება უკვე გამოცდილი კომფორმისტი, რომელიც იმ ცნობილი ანეკდოტის არ იყოს, სამსახურში მიმიღეთ, ბატონო, ეგ კადრების საკითხია და ყველაფერს ვიკადრებო. როდესაც ამას ხედავს, გულის სიღრმეში აღმოაჩენს, რომ ისევ ამ ხალხთან ჯობია ურთიერთობა, რასაც ეტყვი, უსიტყვოდ შეასრულებენ, თუ ცოტას ფეხს გააფაჩუნებს, თავში წამოარტყამ.

**– მაგრამ ეს ბეცი გათვლაა: თუ სხვა ძლიე-**

# უცოლო მილიარდერების 2013 წლის რეიტინგი

*ამერიკული ხალხური ანდაზაა: ღარიბ ადამიანზე გათხოვება ისევე მარტივია, როგორც მდიდარზეო. თანამედროვე მსოფლიოში მდიდართა ვინაობის დადგენა კი „ფორბსის" საშუალებითაა შესაძლებელი, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიო მილიარდერების რეიტინგს აქვეყნებს. ამავე რეიტინგის თანახმად, შესაძლებელია იმის დადგენაც, თუ რომელი მილიარდერია დაქორწინებული და რომელი – არა. გთავაზობთ იმ უცოლო მილიარდერთა ჩამონათვალს, რომელთა პოტენციურმა მეორე ნახევარმა შესაძლოა „თბილისელების" ეს ნომერი გადაფურცლოს.*

## ალეხანდრო სანტო-დომინგო დავილა

***ასაკი: 36 წლის; კაპიტალი: 11,7 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: კოლუმბია; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 82.***

ახალგაზრდა, რისკიანი და ამავე დროს, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – ალეხანდრო სანტო-დომინგო პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძოა. ის ფლობს მსოფლიოში სიდიდით მეორე ლუდის მწარმოებელ კომპანიას („საბმილერი") და კუნძულს კარიბის ზღვის აუზში.

## ჰავიერ ნიელი

***ასაკი: 45 წლის; კაპიტალი: 6,6 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: საფრანგეთი; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 179***

სექს-შოპისა და პიპ-შოპის წილების გამო, ჰავიერ ნიელი პროსტიტუციის საქმეზე იყო დაპატიმრებული. თუმცა, ბრალი „სუტენიორობაში" მოეხსნა და ამჟამად ის უმსხვილესი აქციონერია სატელეკომუნიკაციო კონცერნ „ილიადაში". ჰავიერი საავტორო უფლების მფლობელია ფრენკ სინატრას ჰიტზე „მაი ვეი" და თუკი მისი გულის მონადირებას მოახერხებთ, შესაძლოა, ფრენკ სინატრას კომპოზიციების კრებულიც გაჩუქოთ.

## სკოტ დუნკანი

***ასაკი: 30 წლის; კაპიტალი: 5,1 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: ამერიკის შეერთებული შტატები; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 239.***

კიდევ ერთი მდიდარი და მარტოხელა მილიარდერი, რომლის გულიც თავისუფალია. ქონება მან „ენტერფრაიზ პროდუქტს ფარტნერში," 2010 წელს გარდაცვლილი მამისგან მიიღო და ამჟამად მთელი ეს სიმდიდრე დიასახლისის მოლოდინშია.

## ტორ პეტერსონი

***ასაკი: 48 წლის; კაპიტალი: 2,3 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: ამერიკის შეერთებული შტატები; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 641.***



მარტოხელა ამერიკელი მილიარდერი, კალიფორნიის მკვიდრი, რომელიც ცხოვრობს შვეიცარიაში და იქიდან მართავს ბიზნესს „გლენკორ ინტერნეიშენალში". ტორმა 1986 წელს დაამთავრა დიუკის უნივერსიტეტი და კურსზე „წვეულებების მეფის" სახელით სარგებლობდა.

## ედუარდო სავერინი

***ასაკი: 30 წლის; კაპიტალი: 2,2 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: ბრაზილია; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 670.***

სავერინი მსოფლიოს ნომერ პირველი სოციალური ქსელის, „ფეისბუქის" აქციების 5 პროცენტს ფლობს. ამჟამად თავისი წილის 5 პროცენტი მან უკვე გაყიდა. 2011 წელს სავერინმა ამერიკის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა, გახდა ბრაზილიის მოქალაქე და ამჟამად ცხოვრობს სინგაპურში, სადაც საღამოებს ყველაზე პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ ღამის კლუბ „ფილტერში" ატარებს.

## ნიკოლას ბერგრიუენი

***ასაკი: 51 წლის; კაპიტალი: 2 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: აშშ; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 736.***

კერძო საინვესტიციო კომპანია „ბერგრიუენ ჰოლდინგისა" და მსხვილი პოლიტიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, „ნიკოლას ბერგრიუენ ინსტიტუტის" დამფუძნებელი, პრეზიდენტი და მფლობელი. ნიკოლას ბერგრიუენის მამა ცნობილი ებრაელი კოლექციონერი, ჰაინც ბერგრიუენია, ბერლინის ბერგრიუენის მუზეუმის დამაარსებელი. საინტერესოა, რომ ნიკოლასს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი. ის ბევრს მოგზაურობს და სასტუმროებში ცხოვრობს.

## რიჩარდ ლი

***ასაკი: 46 წლის; კაპიტალი: 1,9 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: ჰონკონგი; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 792.***

რიჩარდის მამა აზიის უმდიდრესი ადამიანი ლი კა შინია, თუმცა შვილმა დამოუკიდებელი ბიზნესის აწყობა მოახერხა. 1991 წელს მან მამისგან ისესხა 125 მილიონი დოლარი და თანამგზავრული ტელევიზია „სტარ-ტვ", რომელიც 5 წლის წინ, მედიამაგნატ რუპერტ მერდოკს 950 მილიონად მიყიდა.

## ტედი საგი

***ასაკი: 41 წლის; კაპიტალი: 1,8 მილიარდი დოლარი; მოქალაქეობა: ისრაელი; ადგილი მილიარდერების რეიტინგში: 831.***

თავისი ბიზნესი საგიმ „პლეიტექზე" ააწყო, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის უმსხვილესი მწარმოებელია აზარტულ თამაშებში. ტედი ყველაზე ძვირად ღირებული სახლის პატრონია ისრაელში, რომელშიც 35 მილიონი გადაიხადა. წარსულში ტედი საგი ებრაელ მსახიობსა და მოდელს, ბარ რაფაელის ხვდებოდა. ამჟამად კი მისი რჩეული მის ისრაელი – იაელ ნიზრია.

**უშანგი რუხაძე**

---

**რი ძალა გამოჩნდება, ასეთი კომფორმისტი იქ გადაბარგდება.**

– მაგრამ ჩვენთან ხომ არავინ ფიქრობს დროებით მოსვლას, ყველა ფიქრობს, რომ მოვედით და მოვედითო.

**– კოალიციაც ასე ფიქრობს?**

– არის ამის ნიშნები და ეს საზოგადოების პრობლემაა და არა – კოალიციის. ჩვენთან საზოგადოება ირჩევს არა პოლიტიკურ ძალას გარკვეული ვადით, არამედ, აბსოლუტურ მონარქს.

**– მე ვიტყოდი, პატრონს.**

– დიახ. რომელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს მათ ნაცვლად: იშრომოს, იფიქროს, დაგეგმოს, განახორციელოს, სახლში მიუტანოს და დაუწყოს კართან. ეს არის ქართული ოცნება და, აქედან გამომდინარე, შემდეგ ყველა უკმაყოფილოა, არადა, ეს ოცნება ვერასდროს ახდება. საოცნებოა, რომ გქონდეს შრომის ნორმალური პირობები და შენი შრომით მოიპოვო შენი მდგომარეობა ქვეყანაში.

**– მკადრებელ კადრებზე ამბობდით...**

– ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ქუჩაში იმიტომ, რომ არ შეეგუა უსამართლობას, ახლა ისინი სამართლიანად ითხოვენ თავიანთი უფლებების აღდგენას. მათ ეუბნებიან, ჩვენ დემოკრატები ვართ, სახელმწიფო აპარატს არ ვცვლით და ამიტომ ვერ გავუშვებთ ძველ კადრებს, რომ თქვენ დაგაბრუნოთ. ჩვენ რის მორჩილი სახელმწიფო აპარატი გვინდა: უფროსის თუ კანონის? თუ უფროსის, მაშინ „ნაციონალური მოძრაობის" გამოცდილ კადრებზე უკეთესს ვერავის ვნახავთ, ყველაფერს იკადრებენ და თვალს არ დაახამხამებენ. თუ კანონის მორჩილი, მაშინ ის ნონკომფორმისტი გვირჩევნია. მიმაჩნია, რომ საკონკურსო სისტემა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, უპირატესობა მიენიჭოთ მათ, ვინც პრინციპების გამო თქვა უარი თავის პოსტზე. ჩვენთან კვალიფიკაციას, ძირითადად, იმაღლებდნენ უფროსის მლიქვნელობისთვის. გამოცდილი მლიქვნელები კი ჩვენ არ გვჭირდება, ისედაც ბევრი გვყავს. ამ კინოს უკვე მესამე სერიას ვუყურებ და მწყინს. ასე, ვნახეთ გადაბარგება ჯერ „მოქალაქეთა კავშირში", შემდეგ – „ნაციონალურ მოძრაობაში", ახლა – „ოცნებაში" და გამოდის, რომ სულ ერთი და იგივე ხალხია ხელისუფლებასა და ოპოზიციაში.

**– თბილისში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან, ქართულ პოლიტიკაშიც ასეა: სულ ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ სხვადასხვა პარტიაში.**

– კარგი შედარებაა. ამიტომ ეს თავიდანვე უნდა გავაკრიტიკოთ, სანამ ხელისუფლება ჯერ ისე არ არის წელმომაგრებული, რომ ფეხებზე დაიკიდოს ეს კრიტიკა. მიმაჩნია, საკრიტიკოა იმის მხრიდან, ვისაც აქვს კრიტიკის მორალური უფლება და არა „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან, რომლის კრიტიკა უკვე ქებაა. ამდენად, მე მინდა, შევასრულო ეს როლი. თუმცა პასუხად მითხრეს, კრიტიკა იოლია, აბა, პასუხისმგებლობა აიღეო, მეც მზად ვარ, ავიღო პასუხისმგებლობა და ვაჩვენო, როგორ წარმომიდგენია სამინისტროს მოწყობა.

**– არ განვრცობილა ეს თემა?**

– ეს უფრო ჰიპოთეტური საუბარი იყო. მითხრეს საყვედური, რომ პასუხისმგებლობის ეშინიაო. მე ვუპასუხე, აბა, მომეცით და ნახეთ, მეშინია თუ არა-მეთქი. ბოლოს თქვეს, გვჯერა, რომ არ შეგეშინდებაო.

**– ანუ დაგიჯერეს.**

– დამიჯერეს, რომ არ შემეშინდება. პირველი, რასაც გავაკეთებ, დავნიშნავ კონკურსს და ჩავდებ პირობას, რომ ყველა, ვინც არ შეეგუა უსამართლობას, იმსახურებს მეტ ქულას, ვიდრე ის, ვინც დარჩა, შეეგუა და კვალიფიკაცია აიმაღლა.

**– კოალიციის შიგნით გყავთ თანამოაზრეები კრიტიკაში?**

– არიან, მაგრამ მე მხარდაჭერა საჯარო მირჩევნია და არა ფარული.

**– ამბობთ, რომ უკვე მესამე სერიას უყურებთ, მაგრამ თქვენც, ასევე, მესამედ იქცევით ასე, ანუ მაშინვე იწყებს იმ პარტიის კრიტიკას, ვისთან ერთადაც მოდიხართ ხელისუფლებაში. თქვენი მოსაწონი პარტია არ არის?**

– მე არ ვერიდები იმის კრიტიკას, რაც არ მომწონს. ძალიან მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო დაპირებების თემა. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" საუბრობს „ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებებზე, ეს პოლიტიკური ნონსენსია. მე, როგორც კოალიციის მონაწილეს, სრული იურიდიული და მორალური უფლება მაქვს, გავაკრიტიკო „ოცნება", როდესაც ის გადაუხვევს საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებას, ამდენად, სწორედ უმრავლესობის მხრიდან უნდა ისმოდეს მთავრობის კრიტიკა, თუ წინასაარჩევნო დაპირებები არ სრულდება და არა – ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიცია უნდა ცდილობდეს თავისი პროგრამის უპირატესობის დამტკიცებას და, თუ ხედავს, რომ მთავრობა მის ჭკუაზე გადადის, პირიქით, ტაშს უნდა უკრავდეს. მიწევს ხოლმე ასეთი საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება „ნაციონალური მოძრაობის" რიგებში, რომლებიც ძალიან დაჩლუნგდნენ ამ 9 წლის განმავლობაში და დაავიწყდათ, რას ნიშნავს პოლიტიკა და ოპონირება.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია



არის ერთი სამსჯავრო – უფლის, სადაც შალვა ნათელაშვილი როგორც ერთი მართალი კაცი, ყოველთვის პირნათელი წარდგება. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, დანარჩენი ყველაფერი კი, წარმავალია

**ჭკვიანი, ლამაზი, კეთილი, ცოტა გულჩვილი, ძალიან ყურადღებიანი, რომელსაც თვალები სულ უბრწყინავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეუღლეზე საუბრობს – ბელა ალანია, შალვა ნათელაშვილის მეუღლე, შეიძლება ითქვას აქტიური ცოლების კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ქმარს ყოველთვის გვერდში უდგას, ბოლომდე იზიარებს მის შეხედულებებს, შენიშვნებს, მიდგომებს ამა თუ იმ საკითხისადმი, ბევრ რამეს ერთად წყვეტენ, ბევრი კარგი და რთული დღეები ერთად გამოიარეს. ამ შემართებამ, გულწრფელობამ და სიყვარულმა, ბევრ ქარტეხილს გაუძლო, რომელიც ოცი წლის შემდეგაც, ერთხელ არ შერყეულა. მაშ ასე, გაიგეთ როგორია ცოლის თვალით დანახული შალვა ნათელაშვილი.**

# როგორი გახდა შალვა ნათელაშვილი ცოლის თვალში და რისგან გამოუვიდა მას „ლაყუჩები“

**– ქალბატონო ბელა, აი, ამდენი წელი გავიდა, რაც ერთად ხართ თქვენ და ბატონი შალვა. დროთა განმავლობაში რა შეხედულება, დამოკიდებულება გაგიჩნდათ ქმრის მიმართ, რას გრძნობთ, განიცდით?**

– საერთოდ, კეთილ ადამიანს გალაქტიკასთან ვაიგივებ, იმიტომ რომ უსასრულო პარამეტრები აქვს; არასოდეს იცი დღეს, ხვალ, მაზეგ, როგორ შეიძლება ეს გამომჟღავნდეს; სად შეიძლება სიახლე, სილამაზე დაიჭირო, სულ ძიებაში ხარ. გალაქტიკაში არის ერთი ასეთი ვარსკვლავი, რომელსაც შალვა ნათელაშვილი ჰქვია. ის, მართლაც ჩემთვის და ჩემი შვილებისთვისაც არის ვარსკვლავი. მამაკაცი მაინც ძლიერი ხერხემალია, რომლის გარშემოც ვართ შემოკრებილნი და არავინ თქვას, თუ მამაკაცი არ არის თბილი, მოსიყვარულე, ის ოჯახი შემდგარია. მხოლოდ ქალზე არ არის დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობა. ღვთის ნებით შევხვდით ერთმანეთს და ღვთის ნებით გაჩნდნენ ჩვენი შვილები. ჩვენ გავაჩინეთ და გავზარდეთ ნამდვილი ქართველები. სადაც არ უნდა იყვნენ, რომელ ქვეყანაშიც, ყოველთვის იამაყებენ თავისი ქართველობით, იქნებიან შესანიშნავი სახე თავიანთი ქვეყნის, დანარჩენს, დრო გამოაჩენს, მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. დარეჯანი ძალიან კარგად წერს. საერთოდ, ყველა ადამიანს სჭირდება თვითონ გადალახოს ბარიერი როდესაც ის ირწმუნებს საკუთარ ძალებს და მაგალითად, ის, რაც დაკომ დაწერა, დახატა, მოკლედ, რაც შექმნა მნიშვნელოვანია არა მარტო მისთვის, არამედ სხვისთვისაც. ეს მომენტი როცა დადგება დაკოს ცხოვრებაში, ის ხმამაღალ განაცხადს გააკეთებს თავის კარიერაში. მე ასე მჯერა.

**– თქვენი მეუღლე სულ იბრძვის, სულ რაღაცის დამტკიცებას ცდილობს, სულ დაძაბული და ემოციურია თავის გამოსვლებში. ცხადია, ძალიან უნდა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი დალაგდეს და ყველას ოცნებაც ეს არის, მაგრამ, თითქოს პოლიტიკური იღბალი მის მხარეს არ არის და უკუღმა ტრიალებს. არასდროს გითქვამთ, რომ ჩამოშორებულიყო პოლიტიკას და სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი? მე ვიცი, რომ ძალიან კარგი იურისტია, ასტრონომი, ბიოლოგი, ყველაფერში საკმაოდ კარგად ერკვევა.**

– ეს რომ მეთქვა ჩემი ქმრისთვის, მაშინ სუსტი ქალი ვიქნებოდი, რომელსაც არ შეუძლია რეალობისა და შალვას შესაძლებლობების შეფასება. თუ შალვა არ იქნება, მაშინ ვინ უნდა იყოს? თუ ყველა ჭკვიანი ადამიანი, მშრომელი, ინტელექტუალური ჩამოშორდება თავის საქმეს და წავა ქვეყნიდან, მაშინ ვის უნდა ვანდოთ ის? იმედი მაქვს, ჩვენს ქვეყანაში დროთა განმავლობაში პოლიტიკური კულტურა დაიხვეწება და ოპონირება გახდება უფრო ცივილიზებული და არა ცილისმწამებლური. ძალიან უთანასწორო ბრძოლაა.

**– ქართველ კაცებს არ უყვართ აქტიური ქალები, მით უმეტეს, თუ ის მისი ცოლია და ცდილობს, ქმრის გარშემო არსებული მოვლენების ეპიცენტრში იყოს. როგორია ამაზე ბატონი შალვას აზრი?**

– მისთვის აბსოლუტურად მისაღებია, როცა ცოლი ქმარს გვერდში უდგას, ერთმანეთს აზრს ეკითხებიან, ერთმანეთის რჩევებს ისმენენ. რა თქმა უნდა, მას ეს არ აღიზიანებს, ისიც აფასებს მეუღლის ინტელექტუალურ და გონებრივ შესაძლებლობებს და დასკვნებს აკეთებს – რა შემიძლია გავაკეთო მისთვის და ზოგადად საქმისთვის. მაგრამ მე არ მაქვს იმის სურვილი, რომ აქტიურად ჩავერთო პოლიტიკაში. მგონია, რომ ზურგში უფრო ძლიერად დავუდგები, ვიდრე პარტიულ საქმიანობაში.

> **მრთსა და იმავე დროს, პრეზიდენტობის ორი კანდიდატი – ბადრი პატარკაციშვილი და შალვა ნათელაშვილი, ერთი და იგივე დიაგნოზით იღუპებოდნენ. ამიტომ, ჩემთვის ეს დარჩა დიდ გამოცანად – რა მოხდა მაშინ? 9 თებერვალს ბადრი დაიღუპა და თვის ბოლოს შალვას გაუკეთეს გულზე ოპერაცია**

**– თქვენ ყველაზე უკეთ იცნობთ მას. გვითხარით, როგორი ადამიანია?**

– ძალიან კეთილშობილი, არ იცის ბოღმის გულში ჩადება, რაღაცის აკვიატება, დამახსოვრება, რაც ძალიან კარგი თვისებაა პოლიტიკოსისთვის. ის ხშირად პატიობს ბევრ შეცდომებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს და ყოველთვის აძლევს მათ შანსს, დაფიქრდნენ და გამოასწორონ შეცდომები, რაც შეეხება გაბრაზებას, უმიზეზოდ არ გვიბრაზდება. მე ყოველთვის ვჩუმდები, რადგან ვიცი, რომ მალე გაუვლის და ისევ მოგვეფერება. ძალიან უყვარს თავისი შვილები და იმ მცირე დროსაც, რომელსაც სახლში ატარებს, უნდა, რომ სულ ბავშვების გვერდით იყოს. უზარმაზარ ინფორმაციას ფლობს, შეუძლია მათ საათობით დაუჯდეს და ათასგვარ თემაზე ესაუბროს. თუ ბაზალეთში ვართ, შეუძლია მოგვემსახუროს, მწვადი შეგვიწვას ან ყავა მოგვიდუღოს, ოღონდ აპარატში. რომ გითხრათ, ძალიან მჭამელია-მეთქი, ტყუილი იქნება, ფაქტობრივად, ჩვენ ვახშამი არ გვაქვს ოჯახში, უკვე ბევრი წელია. ერთი ჭიქა მაწონია მისი ვახშამი. შალვას ყოველ საღამოს ხვდება ერთი ჭიქა მაწონი. ასე რომ, როგორც დიასახლისს, ძალიან დიდი დატვირთვა არ მაქვს სახლში. ერთადერთი, მინდა, რომ სადილი ჰქონდეს ჯანსაღი პროდუქტებით მომზადებული, ვიტამინებით სავსე. ამიტომ, ყოველდღე ვუგზავნი სადილს სამსახურში, მძღოლს ვატან. ქუჩაში ხომ არ ვაყიდინებ. მართალი გითხრათ, ხორცი ნაკლებად უყვარს. მისი სადილია თევზეული, სოკო სხვადასხვანაირი, სალათები, ხილი. თევზზე ხუმრობს კიდეც – მგონი, ლაყუჩები გამომივიდა ამდენი თევზის ჭამითო.

**– ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ახლა, წარსულში დავბრუნდეთ, როგორც ვიცი, სანამ ცოლად გაჰყვებოდით, მოსკოვში ცხოვრობდით საკმაოდ კარგად და კარგი სამსახურიც გქონდათ. ამ გადასახედიდან, ასეთი დაძაბული პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე, არ ნანობთ, რომ ყველაფერი მიატოვეთ და ცხოვრება საქართველოში, პოლიტიკოსი ქმრის გვერდით გააგრძელეთ?**

– მე მოსკოვში ვცხოვრობდი, საკუთარი ბინა მქონდა, ვკითხულობდი ლექციებს, რაღაც პერიოდი ვმუშაობდი, ყოველ შემთხვევაში, სადაც ვიყავი, ცუდად არ ვიყავი. კარიერაც არაჩვეულებრივი მქონდა, ეკონომიკის დარგში ბევრი ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული და, თუ ამ გზას გავყვებოდი, უფრო მშვიდი ცხოვრება მქონდა გარანტირებული. რამდენჯერ წამომცდენია, რომ არ წამოვსულიყავით, უფრო მშვიდად ვიქნებოდით-მეთქი, მაგრამ ეს, ალბათ, პატარა ქალური სისუსტეა. სინამდვილეში კი, ასე არ ვფიქრობ, ყველა ქართველი უნდა შეეცადოს, თავის ქვეყნის მშენებლობაზე ერთი აგური მაინც დადოს. სიყვარული სულს სხვა რაღაც არის. რომ დავრჩენილიყ-


## შინმოვლის უფასო მომსახურება სოციალურად დაუცველი პირებისთვის

კოალიცია შინმოვლა საქართველოში
Coalition Homecare In Georgia

პროფესიული მოვლა ბინაზე მისვლით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ ორივე მოთხოვნას:

• შეზღუდული აქვთ გადაადგილებისა და საკუთარი თავის მოვლის უნარი დროებით ან მუდმივად;

• არიან სოციალურად დაუცველი პირები და მინიჭებული აქვთ არაუმეტეს 100,000 ქულისა – თბილისში, ხოლო 70,000 ქულისა – გორში, ბათუმსა და ხელვაჩაურში.

მომსახურება ამ პირთათვის უფასოა!

„კოალიცია „შინმოვლა საქართველოში.“
ტელეფონის ნომრები: 231-62-02; 231-41-58; 231-41-59;
10:00 საათიდან – 18:00 საათამდე; ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №187ა.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ლალი პაიჭაძე** *(39 წლის, დიასახლისი. ბათუმი).*

– გასულ წელს ძლიერი, გაუსაძლისი ტკივილები დამეწყო წელის არეში. ტკივილი გადაეცემოდა მარჯვენა ფეხში და მიჭირდა მოძრაობა. მივაკითხე ნევროპათოლოგს და დამიდგინეს წელის სპონდილოზი. L3, L5 დისკების პროტრუზია. L4 დისკის სეკვესტრირებული თიაქარი მარჯვნივ. ექიმების გადაწყვეტილებით, ქირურგიული ჩარევა იყო ერთადერთი გამოსავალი, რომელზეც შიშის გამო უარი ვთქვი. შემთხვევით „თბილისელებში“ ამოვიკითხე ქალბატონი მანანას კლინიკის შესახებ და მივაკითხე. მან დამაიმედა და მითხრა, რომ ტკივილებს შემიმსუბუქებდა. მართლაც, დავიწყე მკურნალობა და, ქალბატონი მანანას წყალობით, სამი სეანსის ჩატარების შემდეგ საგრძნობი შვება მომეცა, ფეხში ტკივილს აღარ ვგრძნობდი და გავთავისუფლდი გაუსაძლისი ტკივილისგან. ვმოძრაობ თავისუფლად. დიდი მადლობა ქალბატონ მანანას პროფესიონალიზმისთვის!

**ვაჟა ბახტურიძე** *(38 წლის. მარნეული)*

**დიაგნოზი**: კისრის მალთაშუა დისკოზი.

– აქ გაუსაძლისი ტკივილით მომიყვანეს: კისერზე კორსეტი მეკეთა, თავს ვერ ვატრიალებდი, ტკივილი მხარსა და ხელის თითებში გადადიოდა, მიბუჟდებოდა. ჩვენკენ მაშინვე ოპერაცია მირჩიეს, აქ კი ისეთი შედეგი მომცა მკურნალობამ, ოპერაციაზე როგორღა ვიფიქრებ. 4 დღეში ყველა მწვავე ტკივილი მოიხსნა. აღარც კი მახსოვს, ოდესმე თუ მაწუხებდა. სიტყვებით ვერ გამოვთქვამ, ისეთი მადლობელი ვარ.

**მამუკა ლობჟანიძე** *(47 წლის, ეკონომისტი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: პოდაგრული ართრიტი.



– მთელი ახალგაზრდობა ქეიფსა და დროსტარებაში გავატარე და სწორედ ამის გამო დამემართა პოდაგრა. ერთ დღესაც, გავიღვიძე და მაჯა მქონდა გასიებული, დაწითლებული, მტევანი – გავარვარებული და საშინლად მტკიოდა.

ამ კლინიკაში ახლობელმა მომიყვანა. პირველივე პროცედურამ შედეგი გამოიღო – ხელი დამიცხრა. ასეთი სწრაფი შედეგით გაოცებული დავრჩი. ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმო!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ქეთევან ოდიშელიძე** *(32 წლის, ექთანი. თბილისი).* ძალიან რთული მდგომარეობა მქონდა. გეგმური ოპერაცია უკვე გადაწყვეტილი იყო, დროც – დანიშნული.

ყველაფერი მეორე მშობიარობის შემდეგ დამეწყო – კვანძების გამოვარდნა, სისხლდენა, კუჭის შეკრულობა, ტკივილი... სანამ მდგომარეობა არ დამიმძიმდა, მორიდების გამო ექიმთან ვერ მივედი. ოპერაცია რომ მითხრეს, თავზარი დამცა, ვიფიქრე, მკურნალობას მოვსინჯავ-მეთქი და... გამიმართლა – პირველივე კურსზე მომიწესრიგდა კუჭის მოქმედება, შეწყდა სისხლდენა, მკვეთრად დაპატარავდა კვანძები, მეორე კურსზე კი ნარჩენებიც ალაგდა. ახლა რეკომენდაციებისთვის მოვედი და... მადლობის სათქმელად.

**თემურ ჯინჭარაძე** *(45 წლის, ინჟინერი. ქუთაისი).* 45 წლის ისე გავხდი, ექიმთან არ ვყოფილვარ, მაგრამ, ამ დაავადებამ მე დღე მაყარა?! – მტერს არ ვუსურვებ. ჩემი დიაგნოზია ანალური ნაპრალი, დისბაქტერიოზი. არანორმალური ტკივილები მქონდა. გამაყუჩებელი გამიკეთეს, თორემ, მგზავრობასაც ვერ შევძლებდი. მანანა ექიმმა მომცა დანიშნულება და საკუთარი, ნატურალური მალამოები გამატანა. მალამოს დადება და ტკივილის მოხსნა ერთი იყო. ასეთი სასწაული არაფერი მინახავს. პირველივე კურსმა მომიწესრიგა კუჭის მოქმედება, მომიხსნა ყოველგვარი ტკივილი და ახლა ქუთაისში ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვბრუნდები.

გაიხარეთ, მანანა ექიმო, თქვენს ოჯახში!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

ავი მოსკოვის ბინაში, მქონოდა სამსახური და არ მყოლოდა გვერდით შალვა, ძალიან უინტერესო იქნებოდა ცხოვრება. ეს აბსოლუტურად სხვა განზომილებაა. მშვიდი ცხოვრება საქართველოში მარტო ჩვენ კი არა, არავის აქვს. ეს რეალობაა, რომელსაც ან ეგუები, ან მიდიხარ ამ ბრძოლაში, ან უნდა გაექცე და მე, როგორც უკვე გითხარით, არ ვარ ისეთი სუსტი, რეალობას გავექცე ან პირიქით, შევეგუო რაღაცას.

**– ბევრჯერ გქონიათ ცხოვრებაში პოლიტიკურად რთული მომენტი. თვითონ აშკარად რისკიანი ადამიანი ჩანს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ადვილად შეიძლება, უფსკრულისკენ წავიდეს. ალბათ, გიჩნდებათ სურვილი, ხელი სტაცოთ, რომ ფეხი არ დაუცდეს.**

– მე არ მიმაჩნია, რომ უფსკრულისკენ მიექანება, ეს შალვას ხასიათი არ არის. პირიქით, ვინც უფსკრულისკენ მიგვაქანებს და მიექანება, სწორედ მათთვის არის შალვა მაღვიძარა. ასე რომ იყოს, ცხადია, ავაცილებდი ამას, თორემ უფსკრულში გადავარდნა ძალიან ადვილია. როცა პოლიტიკური თამაშები მიდის, რაღაც ფსონები იდება და ყოველთვის უნდა გათვალო. რისკის ფაქტორები სულ არის ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მით უმეტეს, როცა ოპოზიციაში ხარ.

**– რაც არ უნდა ძლიერი და ბედნიერი იყო, ზოგჯერ თავს მარტოდ გრძნობ – მოვიწყენთ, ვტირით. ალბათ, თქვენც გიტირიათ?**

– რა თქმა უნდა, იყო ასეთი მომენტები, მაგალითად, როცა შალვა საოპერაციოდ წაიყვანეს და არ მოველოდი, თუ ასეთი მძიმე ოპერაცია ელოდა. საშინელი განცდა იყო, როცა საოპერაციოში შეიყვანეს და მე დავრჩი მარტო, მარტო ფიზიკურად, თორემ სულიერად მარტო არასდროს ვყოფილვარ. ყოველთვის მგონია, რომ ღვთისმშობელი ჩემ გვერდითაა. აი, მაშინ ბევრი ვიტირე, რადგან არ ვიცოდი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი. ეს იყო გულთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელოვნურად იყო გამოწვეული. ზუსტად ვიცი, იმიტომ რომ ერთსა და იმავე დროს, პრეზიდენტობის ორი კანდიდატი – ბადრი პატარკაციშვილი და შალვა ნათელაშვილი ერთი და იმავე დიაგნოზით იღუპებოდნენ. ამიტომ, ჩემთვის ეს დარჩა დიდ გამოცანად – რა მოხდა მაშინ? 9 თებერვალს ბადრი დაიღუპა და თვის ბოლოს შალვას გაუკეთეს ოპერაცია. სულ დაძაბული ვარ, მაგრამ შალვას ვერ შევცვლი. იმიტომ რომ ეს არის მართალი ადამიანი და არასოდეს წავა კომპრომისზე ბოროტებასთან. ის მისია, რაც მას უფალმა დააკისრა, უდიდესი მადლია. გაცილებით კომფორტულია წაუყრუო, იქ რაღაც არ თქვა და გაჩუმდე, არც ოჯახი ინერვიულებს, არც არავინ, არც დაძაბული იქნები, ჯანმრთელობაც უკეთესი გექნება, მატერიალური მდგომარეობაც... როდესაც მოქალაქეთა კავშირი იქმნებოდა, ეხვეწებოდნენ, მოდიო. პარლამენტის თავმჯდომარე თუ არა, ვიცე-სპიკერი, ან მინისტრი მაინც იქნებოდა. იგივე სააკაშვილმა უთხრა „ვარდების რევოლუციის” შემდეგ – გვერდში დაგვიდექიო. ასევე, გაცილებით კომფორტულად იქნებოდა, ივანიშვილთან რომ ყოფილიყო. იმიტომ არის ადამიანებს დიდი თავის ტკივილი რომ არ სჭირდებათ: ჯერ შევარდნაძეს მოიხმარენ მშვიდობაში, მერე – სააკაშვილს, მერე – ივანიშვილს და სულ ასე იქნებიან. ხელფასები ექნებათ პარლამენტში, კარგად უზრუნველყოფილნი იქნებიან თვითონაც და თავიანთი ოჯახებიც, არც მწვადს დაწვავენ და არც შამფურს. მაგრამ, ასევე, ყოველთვის იქნება რაღაც, ნაწილი ერისა, რომელიც გამოგაფხიზლებს. „...დაიხსომე, განჯღრევდი და გაფხიზლებდიო...“ შალვას ძალიან უყვარს ეს ლექსი და ხშირად იმეორებს. ყოველთვის უნდა ჰყავდეს ერთი ისეთი კაცი ქვეყანას, რომელიც შეანჯღრევს და გამოაფხიზლებს საზოგადოებას. ეს არის პრინციპული ადამიანი, რომელიც ყოველთვის იქნება თავის პოზიციაზე და მას თანამდებობებით, სკამებით, ოქროთი, ვერცხლით, ფულით ვერ მოხიბლავ. მისთვის არ არსებობს არანაირი მატერიალური. წლები გავა და ალბათ ისტორია გადაიხედება, გადაფასდება, ყოველ შემთხვევაში, მოვა დრო, რომ დაფასდება ეს სიმართლე. ამის, რომ არ მჯეროდეს, ფუჭად ჩავთვლიდი მთელ ცხოვრებას და თუ არ დაფასდება, კიდევ არის ერთი სამსჯავრო – უფლის, სადაც შალვა ნათელაშვილი, როგორც ერთი მართალი კაცი, ყოველთვის პირნათელი წარდგება. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, დანარჩენი ყველაფერი კი, წარმავალია.

**– ერთ ძალიან ლამაზ ადგილას ძალიან ლამაზი სახლი გაქვთ, ბაზალეთში, სადაც ბატონი შალვას მშობლები ცხოვრობდნენ. ალბათ, ყველა სიამოვნებით დაისვენებდა იქ.**

– შალვას რომ გავყევი, ბაზალეთში ეს სახლი ჰქონდა. ბავშვები რომ მოვნათლეთ, მთელი პარლამენტი დავპატიჟეთ. ყველამ ნახა, რომ სულ არ იყო მაშინ შალვა პოლიტიკაში და ეს ყველაფერი ჰქონდა, რასაც ძალიან დიდი შრომითა და ძალისხმევით მივაღწიეთ. ყოველ კვირა დღეს, რომ არ მივიდეს და იქაურობას არ მოეფეროს, არ შეუძლია. თითოეულ ხეს, ეფერება. იცით, რა ლამაზი მოვერცხლისფრო ნაძვები გვაქვს?! განსაკუთრებით ზამთარშია კარგი სანახავი. ღმერთი თუ ინებებს, რომ დავბერდეთ, ალბათ, იქით წავალთ და ვიცხოვრებთ მე და შალვა.

**– წარმომიდგენია, ზამთარში საღამო ხანს, ბუხართან ზიხართ. ირგვლივ საოცარი სიწყნარეა, ლამპის შუქზე წიგნს კითხულობთ, ან მემუარებს წერთ. თქვენს ოჯახში მაინც ყველა წერს, თან ძალიან კარგად.**

– მემუარების წერა ჯერჯერობით ადრეა და როცა დრო მოვა, მართლაც იმდენი მწერალია ამ ოჯახში, ვიღაც, ნაყიდ ექსპერტებსა და ისტორიკოსებს ვერ ვანდობთ ჩვენს წარსულსა და აწმყოს. თვითონ დავწერთ და აღვწერთ დეტალურად ჩვენს მთელ ცხოვრებას – როგორ გვიცხოვრია, როგორ გვიშრომია, გვიბრძოლია და როგორი გულწრფელები ვიყავით მართლა ამ ბრძოლაში.

**ეკა პატარაია**

# რა ბიზნესის დახურვა მოუხდა პრინც ჩარლზს და რომელი ქვეყნის პრინცესას ედება ბრალი წამებაში

*დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრემ პრინცმა ჩარლზმა რამდენიმე ხნის წინ საკუთარი ხილ-ბოსტნეულის მაღაზია დაკეტა, რადგან მოგებას აღარ იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით ვაჭრობდა. ამჟამად პრინცი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ინტერნეტ-მაღაზიის გახსნაზე ფიქრობს, რათა საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. პრინცი ჩარლზის მსგავსად, მსოფლიოში რამდენიმეა მონარქიული ოჯახის წარმომადგენელი, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანებივით მუშაობენ და ხელფასი აქვთ.*

### პრინცი უილიამი, კემბრიჯის ჰერცოგი (დიდი ბრიტანეთი)

დიდი ბრიტანეთის მომავალი მეფის კარიერა არაფრით განსხვავდება მისი წინაპრების კარიერისგან. ინგლისელი მონარქები ჰენრიხ მეხუთიდან დაწყებული, მუდამ სამხედრო განათლებას ირჩევენ, რათა შემდგომში ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ჩასდგომოდნენ სათავეში. 2006 წლის



მაისში პრინცმა უილიამმა, იმ დროისთვის იტონის კოლეჯისა და სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულმა, სანდჰერსტის სამეფო სამხედრო აკადემიაში ჩარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად, ოფიცრის წოდება მიენიჭა. 2009 წელს უილიამმა კრენუელის მფრინავთა სკოლა დაამთავრა და სამეფოს სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებში ჩაეწერა. დღევანდელი მონაცემებით, პრინცი უილიამი საგანგებო სიტუაციების ვერტმფრენის პილოტად მუშაობს. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 2011 წელს რუსი მეზღვაურების გადარჩენის ოპერაციაში, ხოლო 2012 წლის აგვისტოში, პრინცის უშუალო დახმარებით, უელსის ნაპირებთან გოგონას გადარჩენა მოხერხდა. წელს პრინცს კონტრაქტი უმთავრდება და უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მომავალი მონარქი.

### პრინცი ამადეო (ბელგია)

27 წლის პრინც ამადეოს მცირე შანსები აქვს, რომ ბელგიის სამეფო ტახტზე ავიდეს, რადგან მხოლოდ მეექვსეა მემკვიდრეებს შორის. სავარაუდოდ, ამის გამო, მან კარიერის აწყობა გადაწყვიტა. 2005 წელს პრინცმა ბელგიის სამეფო სამხედრო აკადემია დაამთავრა, 2008 წელს – ლონდონის ეკონომიკის სკოლა და საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც კომპანია „დელოიტ ტაჩ ტომატცუში" ბიზნეს-ანალიტიკოსად მუშაობს. ისევე, როგორც სხვა მუშაკები, პრინციც დილით მიდის სამსახურში და სხვებისგან არაფრით გამორჩეულ ხელფასს იღებს. ცნობისთვის, ამადეო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სასიძოდ მიიჩნევა.

### ინფანტა კრისტინა (ესპანეთი)

ესპანეთის მეფის ხუან კარლოს პირველის და დედოფალ სოფიას უმცროსი ქალიშვილი, ქველმოქმედებისა და ოფიციალური მონარქიული ვიზიტების ნაცვლად, რეალურ სამსახურში მუშაობს. ცისფერსისხლიანი ინფანტა სოციალური პროგრამების ფონდ „ფაუნდეიშენ ლა კეიქსის" დირექტორია. კრისტინა განათლების პროექტებზე, გარემოსა და მხატვრული მემკვიდრეობის დაცვაზეა პასუხისმგებელი. 1984-1989 წლებში კრისტინა მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში პოლიტიკურ მეცნიერებას და სოციოლოგიას ეუფლებოდა. დაამთავრა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამაგისტრო სკოლა საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. გარდა ამისა, ინფანტა კრისტინას „იუნესკოს" შტაბ-ბინაში მუშაობის გამოცდილებაც აქვს.

### პრინცესა ნურა ბინტ იბრაჰიმ ალ-ჰალიფა (ბახრეინი)

პრინცესა ნურას ისტორია არატიპურია არაბული სახელმწიფოსთვის, სადაც მკაცრი ისლამური ტრადიციებია. 29 წლის პრინცესა ნურა პოლიციის საიდუმლო აგენტი და ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომელია. რამდენიმე ხნის წინ პრინცესას წამებაში მონაწილეობის ბრალდება წაუყენეს. პრინცესას იმ ექიმების მიმართ არაადამიანური მოპყრობა ედება ბრალად, რომლებიც 2012 წლის ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში იღებდნენ მონაწილეობას. დაზარალებულთა თქმით, დაკითხვისას პრინცესა რეზინის ჯოხით უსწორდებოდა მათ და ელექტროდენსაც იყენებდა წამების პროცესში. პრინცესა ნურა ყველა ბრალდებას აბსურდულს უწოდებს.

### კნიაზი – როსტისლავ რომანოვი (რუსეთი)

რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ მეორის შთამომავალი დიდ დროს ატარებს რუსეთში, მაშინ, როცა მისი ოჯახი ინგლისში ცხოვრობს. როსტისლავი განათლებით ხელოვნების ექსპერტია. მან კორნუოლის უნივერსიტეტი დაამთავრა. კნიაზი მოსკოვში რუსულ ენას სწავლობს და პარალელურად მუშაობს. საიმპერატორო ოჯახის წევრი საათების ქარხანა „რაკეტას" დირექტორთა საბჭოს წევრი და კრეატიული განყოფილების მრჩეველია. როსტისლავს ეკუთვნის მაჯის საათის დიზაინი, რომელიც რომანოვების დინასტიის 400 წლის იუბილეს მიეძღვნა.

### პრინცი კარლ ფილიპი (შვედეთი)

შვედეთის პრინცი კარლ ფილიპი, სამეფო ოჯახის მეორე შვილი და მეფე კარლ მეთექვსმეტე გუსტავის ერთადერთი ვაჟია. პრინცმა კარიერა სპორტს დაუთმო, კერძოდ ავტორბოლას. კარლ ფილიპი განათლებით გრაფიკული დიზაინერი და მარკეტინგის სპეციალისტია. გარდა ამისა, ის შვედეთის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო სკოლის კურსდამთავრებული და თადარიგის ოფიცერია – შვედეთის ამფიბიების კორპუსის ოფიცერი. ავტოსპორტით პრინცი 2003 წელს დაინტერესდა და იმავე წელს მიიღო პილოტის ლიცენზია. პრინცი ფილიპი სკანდინავიის ჩემპიონატის მონაწილეა ავტომობილ „ვოლვო ს60-თი".

### პრინცესა შარლოტა კაზირაგი (მონაკო)

პრინცესა შარლოტა, რენიე მესამის შვილიშვილი და მონაკოს მთავრის, ალბერ მეორის ნათესავია. შარლოტა ბებიის, მსახიობ გრეის კელის კვალს გაჰყვა და კინოკარიერასა და მოდელობაზე აკეთებს აქცენტს. ამჟამად შარლოტა სამოდელო სახლ „გუჩის" სარეკლამო სახეა. შარლოტა თანამედროვე ფეშენ-კერპად და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიან ქალბატონადაა მიჩნეული. გარდა ამისა, მონაკოს პრინცესა ბრიტანელებმა მსოფლიოს ულამაზესი ქალების ათეულში



დაასახელეს. საგულისხმოა, რომ თავად პრინცესას არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი და მეტად მოკრძალებულია ჟურნალისტებთან.

### ზარა ფილიპსი (დიდი ბრიტანეთი)

დედოფალ ელიზაბეთ მეორის უფროსმა შვილიშვილმა ზარა ფილიპსმა კარიერა პროფესიულ სპორტს დაუკავშირა. ზარა, მშობლების მსგავსად, სპორტული ცხენოსნობითაა გატაცებული. პრინცესას დედ-მამა 1972 წელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. ზარა 2003 წლიდან გამოდის პროფესიულ ტურნირებში და მისი ცხენის სახელია „თოითაუნი". ზარა ბრიტანეთის იმპერიის ორდენოსანი და 2006 წლის ყველაზე სპორტული ინგლისელის ტიტულის მფლობელია. ზარას რამდენიმე სპორტული ჯილდო აქვს, თუმცა ყველაზე მეტად ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოგებული ვერცხლის მედლით ამაყობს. ზარას მეუღლე პროფესიონალი სპორტსმენი, ინგლისის ნაკრების წევრი, მორაგბე მაიკ ტინდალია.

### მოზა ბინტ ნასერ ალ-მისნედი (ყატარი)

ყატარის შეიხის, სამიდან მეორე ცოლი – მოზა ბინტ ნასერ ალ-მისნედი სპარსეთის ყურის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალბატონია. მოზამ აღმოსავლელი ქალის სტერეოტიპი დაანგრია – სწორედ ის გამოჩნდა პირველი საზოგადოებაში ჩადრის გარეშე. ამით დაარღვია ისლამური ეტიკეტის უმთავრესი ტაბუ. შეიხის ცოლი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებშია ჩართული, აკონტროლებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას, ჩართულია განათლებისა და ოჯახის საქმეების სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში. საინტერესოა, რომ ამ ყველაფერს მოზა ასწრებს და პარალელურად, საკუთარ შვიდ შვილსაც ზრდის.

### პრინცესა სირივანავარი (ტაილანდი)

ტაილანდის მოქმედი მეფის ფჰუმიპონ ადლუიადეტის შვილიშვილის მთავარი გატაცება ტანსაცმლის დიზაინია. პრინცესამ პროფესიად მოდელიორობა აირჩია. ის სტაჟირებას „არმანის" და „დიორის" სამოდელო სახლებში გადიოდა, სწავლობდა ტექსტილის დიზაინს იაპონიაში. პრინცესას აქვს საკუთარი ბრენდი „სირივანავრი", რომლის კოლექციებსაც წარმატებით ყიდის, როგორც ტაილანდში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ტაილანდის პრინცესა ხშირად მონაწილეობს მოდის კვირეულებში და მოდის კრიტიკოსების დიდ მოწონებასაც იმსახურებს.

**გვერდები მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რატომ არჩია დიმიტრი შაშკინთან მუშაობას ბაჩო ახალაიასთან გადასვლა სალომე მახარაძემ და რატომ არ დატოვა ის ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროში

***როგორც, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, სალომე მახარაძე ამბობს, სამსახურიდან ის საკუთარი განცხადების საფუძველზე არ წასულა. მან ახალ მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან, სულ რაღაც ერთი თვე იმუშავა. მისივე თქმით, მინისტრისგან სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზებაც მიიღო, მაგრამ, არ დასთანხმდა და სამსახურის გარეშე დარჩენა ამჯობინა. თუ რას აპირებს ის მომავალში, რაში ადანაშაულებს დღეს თავის ყოფილ უფროსსა და მეგობარს – ბაჩო ახალაიას და ვისთან ერთად ისვენებდა ის ეგვიპტეში, ამაზე თავად სალომე გვესაუბრება.***

**სალომე მახარაძე**: მუშაობა სტუდენტობის პერიოდში დავიწყე: თავიდან რადიოში ვიყავი, თუმცა, ბავშვობიდან მიტაცებდა ტელევიზია. მახსოვს, ბავშვობაში, აბაზანაში რომ შევიდოდი, დავიჭერდი ხელში აბაზანის „დუშს", წარმოვიდგენდი, რომ ეს იყო მიკროფონი, დავაყენებდი ჩემს პატარა დას და მისგან ვიღებდი ინტერვიუს, თან სარკეში ვიპრანჭებოდი. სასაცილო ის იყო, რომ ჩემი და, ამ დროს, ერთი წლის იყო და ვერ ლაპარაკობდა ***(იცინის).*** ძალიან მიზანდასახული და მებრძოლი ადამიანი ვარ და ეს ჩემს პროფესიაში ძალიან გამომადგა. მოკლედ, ჯერ დავიწყე მუშაობა ტელეკომპანია „ევრიკაში" – 18 წლის, პირდაპირ შევედი დირექტორთან და ვუთხარი, აქ მინდა მუშაობა-მეთქი. ამიხსნა, ეს რთულია, სითამამე სჭირდებაო. რომ „შევჭამე" – გინდა თუ არა, მინდა გადაცემის გაკეთება, რომელსაც „ჩვენი თაობა" ერქმევა-მეთქი, ბოლოს დამთანხმდა – კი ბატონო, გააკეთე და ვნახოთო. ჩავწერე გადაცემა და კარგი გამოვიდა. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი ტელევიზიაში. შემდეგ მოთხოვნილება გამეზარდა – მომინდა ნამდვილ ჟურნალისტიკაში გადასვლა და გადავედი ტელეკომპანია „კავკასიის" საინფორმაციო სამსახურში ჟურნალისტად ნინო ჯანგირაშვილთან. არ დამავიწყდება, ერთ დღეს, დათო აქუბარდიას არ ეცალა – სტუმრები ჰყავდა მოწვეული და მისი გადაცემის წაყვანა საკუთარ თავზე ავიღე. სიმართლე გითხრათ, დათოს მოეწონა და შემაქო. მერე, პატარა ინციდენტის გამო, გადავწყვიტე „კავკასიის" დატოვება. მთელი ღამე ვინერვიულე – ახლა რა ვქნა-მეთქი, მაგრამ, მეორე დღესვე დამირეკეს, ტელეკომპანია „იბერიიდან". შევხვდი ლუბა ელიაშვილს, ვისაუბრეთ და იქ დავიწყე მუშაობა. შემდეგ ეს არხიც დაიხურა და გადავედი „მზეში", სადაც პოლიტიკაზე გადავერთე. აქაც რეორგანიზაცია წავიდა და ათმა ადამიანმა საკუთარი სურვილით, დავტოვეთ ტელეკომპანია „მზე". თან, სამაგისტროს ვიცავდი და ამისთვის გამოვიყენე თავისუფალი დრო.

**– მოკლედ, ქართული ტელეკომპანიების უმრავლესობა მოიარე. სამინისტროში როგორ აღმოჩნდი?**

– სხვათა შორის, ყველა ფიარმა უნდა გაიაროს ეს საფეხური, რადგან, აქ სწავლობ სისწრაფესა და ოპერატიულობას. სამაგისტრო დეკემბრის ბოლოს დავიცავი და 13 იანვარს დამირეკეს და მითხრეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იქმნება ახალი პრეს-სამსახური, სადაც იქნებიან ეკა სარია და გოდერძი შარაშია, თუ მოინდომებ და შენც მოხვალ, შეგიწყობთ ხელსო. მოკლედ, ეკას სხვა სამსახური ჰქონდა და ვერ მოიცალა, გოდერძისაც თავისი პრობლემები გამოუჩნდა – ზუსტად მაშინ შესთავაზეს ფილმების გადაღება და ასე აღმოვჩნდი მე ამ თანამდებობაზე. სიმართლე გითხრათ, იმ დროს ისევ ჟურნალისტიკაში დაბრუნება მინდოდა და ვიფიქრე, ცოტა ხანს ვიმუშავებ, შევიხედავ, ციხის შიგნით რა ხდება, როგორ მუშაობს ეს სისტემა და შემდეგ, სადმე გადავალ-მეთქი, მაგრამ, შემოვრჩი და შემოვრჩი. ასე რომ, იუსტიციის სამსახურში ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს სამი წელი ვიმუშავე, შემდეგ სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩამოყალიბდა და, დიმიტრი შაშკინის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, კიდევ ცხრა თვე დავრჩი. ამ პერიოდში თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო ბაჩო ახალაია, ხოლო, როცა მინისტრად დაინიშნა, დამირეკა და მითხრა, შენ აქ უნდა გადმოხვიდეო. სხვათა შორის, როცა ჭორი გავრცელდა, ახალაიები უცხოეთში სასწავლებლად მიდიანო, ვამბობდი, უცხოეთში კი არა, ბაჩო თავდაცვაში წავა-მეთქი. სულ მეგონა, ის თავდაცვის მინისტრად დაინიშნებოდა და ეს ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. თუმცა, ჩემი წინასწარმეტყველება მართლაც ახდა. ასე რომ, ფიარის ხელმძღვანელად გადავედი მასთან თავდაცვაში.


მე და ბაჩოს ხანდახან დღე და ღამე არ გვიძინია

**– შენ და ბაჩო ისეთი მეგობრები იყავით, ვისთანაც შეგეძლო, გულახდილად გესაუბრა?**

– როცა წლები გადის და ადამიანებთან ერთად მუშაობ, მათთან გარკვეული დოზით მეგობრობაც თანდათან ყალიბდება. ბაჩო მართლაც საუკეთესო, ერთგული მეგობარია, ვისთანაც შემიძლია გულახდილად საუბარი. როცა რაიმეს პირადზე ვუყვებოდი, გულით მისმენდა და რჩევას მაძლევდა. ბაჩო ძალიან ერთგულია, რასაც ვერ წაართმევ და ამას ის ჩემშიც ხედავდა. ერთგული შაშკინთანაც ვიყავი, მაგრამ, ბაჩოსთან წლები მაკავშირებს. ხშირად, როცა საგანგებო სიტუაცია იყო, ღამითაც დაურეკავს და გავუღვიძებივარ. ბევრი ღონისძიება დაგვიგეგმავს თავდაცვაში ერთად. მოკლედ, ფანტასტიკური ურთიერთობა გვქონდა მე და ბაჩოს. ახლა კი ამბობს, ჩემი ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ საზოგადოებასთან უფრო მეტი კონტაქტი უნდა მქონოდაო და ამ დანაშაულს აღიარებს, მაგრამ, ახლა გვიანაა. დიახ, მისი შეცდომაა, რომ საზოგადოებასთან მეტი კონტაქტი არ ჰქონდა.

## ერთ მშვენიერ დღეს, მინისტრმა დამიბარა და მითხრა: გული კი მწყდება, მაგრამ, განცხადება უნდა დაწერო და წახვიდეო. სახეზე ეტყობოდა, რომ ეს მას არ უნდოდა

**– მერე, თუ ასეთი მეგობრები იყავით, ამ საკითხზე რატომ არ ლაპარაკობდით?**

– მე სულ ვეუბნებოდი, უფრო მეტად გამჭვირვალე და საჯარო უნდა იყო-მეთქი, მაგრამ, არ მიჯერებდა. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ, დამაჯერებლად ვერ ვეუბნებოდი, მაგრამ დამიჯერეთ, ხანდახან ამას მეგობრობის დონეზე მეტად ვაძალებდი. თუმცა, ის ჯიუტობდა. ახლა, ამ შეცდომას აღიარებს და მიხარია, რომ თავად ამბობს ამას. შემდეგ კი, გარკვეული პერიოდი ერთად ვიმუშავეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში, სანამ ეკა ზღულაძე დაინიშნებოდა. ასე რომ, შვიდი-რვა წლის მეგობრობა გვაკავშირებს მე და ბაჩოს და ერთად ბევრი საქმე გვიკეთებია. ხანდახან დღე და ღამე არ გვიძინია – ძალოვან სტრუქტურაში ასეთი რეჟიმი ხშირია. ძალიან მწყდება გული, რომ დღეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ბაჩო ახალაია, ბრალდებულია და დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს სასამართლო პროცესებს, როგორ განვითარდება მოვლენები.

**– და, ამის შემდეგ, სამინისტროში ახალი მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი მოვიდა. მართალია, საზოგადოების სამსახური ნინო გიორგობიანს გადააბარა, მაგრამ, მან სხვა თანამდებობა შემოგთავაზა და ამაზე თავად არ დასთანხმდი. რატომ?**

– ირაკლი ღარიბაშვილი მინისტრი რომ გახდა, მასთან ჩვეულებრივად განვაგრძობდი მუშაობას. მინისტრად რომ დაინიშნა, იმავე საღამოს შევხვდით და ვისაუბრეთ. ისიც ვუთხარი, ჩემს მეგობრებს ყოველთვის ვეტყვი გამარჯობას, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და, თუ გაუჭირდათ, გვერდშიც დავუდგები-მეთქი. ეს წმინდა ადამიანური საქციელია. ირაკლიც დამეთანხმა: მეგობრობა – მეგობრობაა, ეს მესმის, ჩვეულებრივად განაგრძე მუშაობაო. თუმცა, ერთი თვის განმავლობაში ყურმოკრულად ვიგებდი, რომ კადრის შეცვლა იგეგმებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, დამიბარა და მითხრა: გული კი მწყდება, მაგრამ, განცხადება უნდა დაწერო და წახვიდეო. სახეზე ეტყობოდა, რომ ეს მას არ უნდოდა, თუმცა, სხვა გზა არ ჰქონდა. ამ გადასახედიდან მე ირაკლის თანავუგრძნობ, რადგან, ზუსტად იცოდა, რას აკეთებდა და ეს მისი ნება არ იყო. მოკლედ, ვუთხარი, მე წასვლაზე განცხადებას არ დავწერ, თავად მოიფიქრეთ მიზეზი და გამათავისუფლეთ-მეთქი. სხვა ადგილიც შემომთავაზა, მაგრამ, უარი ვთქვი, რადგან, მე ჩემი პროფესიით მინდა მუშაობა. თუ კარგად ვაკეთებდი საქმეს, მაშინ, რატომ არ დამტოვეს ჩემს ძველ სამსახურში? კიდევ ვამბობ: სამსახური კარგია, ხელფასიც საჭიროა, მაგრამ მე ჩემი პროფესიით მინდა მუშაობა.

**– დღეს უმუშევარი ხარ. მომავალში რას აპირებ?**

– დიახ, სამწუხაროდ, დღეს უმუშევარი ვარ, მაგრამ, მაქვს მომავლის გეგმები და კერძო სექტორში ვგეგმავ გადასვლას.

**– სალომე, ახლახან ჩამოხვედი ეგვიპტიდან. იქ ვისთან ერთად ისვენებდი?**

– დიახ, კარგად დავისვენე ეგვიპტეში და არაფერზე ვფიქრობდი, გარდა დასვენებისა. ადრე სულ საქმეზე ვფიქრობდი და ტელეფონზე ვიყავი ჩამოკიდებული, ვნერვიულობდი, რა ხდებოდა სამსახურში ჩემს არყოფნაში. ახლა ეს მომენტი არ მქონია და სრულფასოვანი, მშვიდი, წყნარი დასვენება გამომივიდა. ეგვიპტეში ჩემს დასთან ერთად ვიყავი. მან სადოქტორო დაიცვა, მეც გადაღლილი ვიყავი, დასვენება გვჭირდებოდა, დავგეგმეთ და ეს კარგად გამოგვივიდა.

**ნონა დათეშიძე**



**არაადეკვატური ქცევები მაქვს ხოლმე. თუმცა, ვინც მიცნობს, იმან იცის, რომ ვხუმრობ და არ ვარ გიჟი**

**„საქართველოს ვარსკვლავის“ ერთ-ერთმა ენერგიულმა, ემოციურმა მონაწილემ, მარიკო ლეჟავამ, სკოლა ახლახან დაამთავრა და, კონკურსის პარალელურად, მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება. მიუხედავად დატვირთული რეჟიმისა, მაინც ახერხებს რეპეტიციებზე სიარულს, საატესტატო გამოცდების ჩაბარებასა და მასწავლებლებთან მომზადებას. ასე რომ, ვისაც გსურთ მარიკოს ნახვა შემდეგ ტურებში, შეგიძლიათ, დაუმესიჯოთ ნომერზე: 0 903 700 005.**

# რატომ ეძახის მარიკო ლეჟავა საკუთარ თავს „მეამბოხესა“ და „უცნაურს“ და რატომ დაიწყო მის ცხოვრებაში საგიჟეთი

**მარიკო ლეჟავა**: აბიტურიენტი ვარ. გარეგნულად ყველას დიდი ვგონივარ, მაგრამ, პატარა ვარ – გუშინწინ დავამთავრე სკოლა *(ინტერვიუ ჩაწერილია 22 მაისს, – ავტორი).* ბოლო ზარი მქონდა. პარალელურად ვსწავლობ, ვემზადები, მინდა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარო. ვიმედოვნებ, ეს საქმეც გამომივა და სტუდენტი გავხდები.

**– რატომ აირჩიე ეს პროფესია?**

– მომწონს და ვიცი, ბევრი რამ არის საჭირო იმისთვის, რომ ფსიქოლოგი გახდე. ძალიან მიყვარს ხალხთან ურთიერთობა, დახმარება. ადამიანთან კონტაქტში რომ შევიდე, ამისთვის, მაქსიმუმ, ხუთი-ათი წუთი მჭირდება. არ ვარ ჩაკეტილი ადამიანი და, არ არსებობს, საურთიერთობო ფორმა ვერ მოვძებნო. ვფიქრობ, ეს თვისებები მომავალ პროფესიაში დამეხმარება.

**– როგორ ასწრებ ამდენ რამეს: სკოლა, მასწავლებლები, პლუს – რეპეტიციები?**

– ყველაფერი ცუდად დამემთხვა, მაგრამ, იმდენად მიყვარს და ჩემი ცხოვრებაა მუსიკა, სიმღერა, რომ ყველაფერს ვახერხებ. მასწავლებლებიც ძალიან მიწყობენ ხელს, რადგან, უყვართ ჩემი საქმე და პატივს სცემენ ჩემს მონდომებას. რეპეტიციებს გვიან ვამთავრებ და მერე მიბარებენ, ასე, საღამოს 9-10 საათზე. კიდევ კარგი, დავალებებს არ მაძლევენ, რადგან, სახლში ისეთი გათიშული მივდივარ, შანსი არ არის, ვიაზროვნო. გაკვეთილზე ვმეცადინეობ ყველაფერს. თან, ძირითადები გავლილი მაქვს, ბოლოსკენ ვარ და ძალიან არ მიჭირს.

***– როგორ ჩაიარა ბოლო ზარმა?***

– ზუსტად ათი წუთი ვიყავი ბოლო ზარზე, მეტხანს დარჩენა ვერ მოვახერხე. მეგობრებმა დამაწერეს წინსაფარზე – ეს პროცესი სულ მომწონდა და ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა ჩემი ბოლო ზარის დღე. მაგრამ, არ მეგონა, ათწუთიანი თუ იქნებოდა. თუმცა, კმაყოფილი ვარ.

**– უკვე მოასწარი იმის გაცნობიერება, რომ შენს ცხოვრებაში ერთი ეტაპი დასრულდა და ახლა მეორე, საკმაოდ საინტერესო ეტაპი იწყება?**

– ახლაც ვერ ვხვდები, რომ სკოლა დავამთავრე, უნდა ჩავაბარო უმაღლესში და სხვა ეტაპი იწყება. ანუ, ახალი რაღაცეების უცბად აღქმა მიჭირს ხოლმე. ძალიან გვიან ვხვდები – „ვაიმე, ეს მოხდა!..“ მოგვიანებით ვაცნობიერებ ყველაფერს და ძალიან სასიამოვნოა, როცა რაღაც ახალს იგებ, გრძნობ, ხვდები, რომ რაღაც ახალი დაიწყო.

**– დიდი ხანია, მღერი?**

– 4 წლიდან ვმღერი. მახსოვს კონცერტები, სიმღერების ჩაწერები. მერე, ერთი პერიოდი, ანუ, ასე, 7 წლის რომ ვიყავი, სიმღერას თავი დავანებე – საერთოდ აღარ მიმღერია, აღარ მაინტერესებდა. მოგვიანებით, „იუთუბიზე“ დავიწყე სიმღერების მოსმენა – ჩვენ ხომ „იუთუბის“ ინტერნეტის თაობა ვართ; კარაოკეზეც ვმღეროდი. გემოვნება ნელ-ნელა ჩამომიყალიბდა, მივხვდი, რა ჟანრში უნდა მემღერა, რა მიხდებოდა, რა არ მიხდებოდა. თუმცა, კონკურსზე გასვლა არ მიცდია. დახლოებით ოთხი წელია, რაც ისევ დავიწყე სიმღერა. ახლაც სულ ვმღერი, მუდამ. მართლაც ძალიან ენერგიული ვარ, არასდროს ვიღლები. ჩემ გარშემო სულ არის ყვირილი, სიცილი, ხმამაღალი საუბარი, არ შემიძლია ხმადაბლა ლაპარაკი, სულ ვროხროხებ და ამიტომაც ხშირად მაქვს ყელზე პრობლემები – მელლება. რა ვქნა, არ შემიძლია, დავჯდე და წყნარად ვისაუბრო. ჟესტებით, მანერებით, ხმამაღლა უნდა ვილაპარაკო და გამოვხატო ემოციები. ყველა მეუბნება, შენგან კარგი მსახიობი გამოვიდოდაო, რადგან, გამოხატვის კარგი უნარი მაქვს. არასდროს მიცდია ეს, თუმცა, მიფიქრია. ალბათ, ჩემს პატარა მსახიობურ ნიჭს სიმღერაში ვიყენებ. ნახევარ საათში მავიწყდება, რომ ჩუმად უნდა ვიყო და განვაგრძობ ყვირილს, სიმღერას, ხმამაღლა საუბარს.

> **მამაკაცი თუ არ არის ურთიერთობაში წამყვანი, ეს ურთიერთობა მოსაბეზრებელი ხდება და აღარ არის იმ ფაზაში, როგორშიც უნდა იყოს**

**– პატარაც ასეთი ენერგიული იქნებოდი.**

– ძალიან. ოღონდ, ხიფათიანი არასდროს ვყოფილვარ, რადგან, ძალიან ფრთხილი ვარ. უნდა დავფიქრდე, დიდხანს უნდა ვიფიქრო, რომ მერე რაღაც გადავწყვიტო. მიჭირს გადაწყვეტილების მიღება და ამაზე ბევრს ვფიქრობ.

**– ასეთ დროს ვის ეკითხები აზრს?**

– დედას, მამას, უფრო – მამაჩემს. მასთან ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. როცა რჩევას ვეკითხები, კი არ მეუბნება – ეს ცუდიაო, მიხსნის, რატომ არის ცუდი, რატომ არ უნდა გავაკეთო და არასდროს მელაპარაკება როგორც პატარა ბავშვს. დიდი ხანია, ასეთი ურთიერთობა გვაქვს და მისი ასაკი ჩვენ შორის ბარიერი არასდროს ყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ დამყოლი ხასიათი მაქვს. აბსოლუტურად ყველაფერზე ჩემი აზრი გამაჩნია. რაც მთავარია, ყველასგან განსხვავებული. მეამბოხე ვარ, სულ სიახლეებს ვეძებ და, ზოგადად, უცნაური ადამიანი ვარ.

**– რაში გამოიხატება შენი უცნაურობა?**

– ალბათ, სხვებისგან იმით განვსხვავდები, რომ ძალიან კონტაქტური, კომუნიკაბელური ვარ, არაფერი არ მიჭირს ურთიერთობაში. როგორი დაძაბული სიტუაციაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ადვილად განვმუხტავ. უცნაური ქცევები მაქვს და, ვინც არ მიცნობს, შეიძლება, იფიქროს, ამ გოგოს აკლია, გაგიჟდა, ან უკვე იყო გიჟიო, რადგან, არაადეკვატურად ვიქცევი ხოლმე. თუმცა, ვინც მიცნობს, იმან იცის, რომ ვხუმრობ და არ ვარ გიჟი. სადაც და როცა აუცილებელია, სერიოზული ვიყო, ვარ კიდეც, მაგრამ, როცა არ არის საჭირო, რატომ უნდა მოვიქცე ასე? ეს ასაკი მერე აღარ მექნება. ამიტომ, ასაკის შესაფერისად ვიქცევი. რომ გავიზრდები და კიდევ ვიცანცარებ, იტყვიან, გაგიჟდა ეს გოგოო, ახლა კი იფიქრებენ – პატარაა და ცანცარი უხდებაო.

**– რატომ გადაწყვიტე „საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობა, თან, შენთვის გადატვირთული რეჟიმის ფონზე?**

– საშინლად შემეცვალა ცხოვრების რიტმი, საგიჟეთი გახდა, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, ეს მსიამოვნებს. როცა შენს საყვარელ საქმეს აკეთებ, ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა. მინდოდა საკუთარი თავის გამოცდა, შევძლებდი თუ არა ჟიურის წინ გამოსვლას, შემდეგ ტურებში გადასვლას, ვიყავი თუ არა ამისთვის მზად. ახლა უკვე დიდი გამოცდილება მივიღე, რადგან, ფილარმონიის სცენაზე დადგომა და ცოცხლად სიმღერა არ არის მარტივი, თან, პირდაპირი ეთერია და უნდა გააკონტროლო შენი ემოციები, არ უნდა შეგეშინდეს, არ უნდა ინერვიულო; ანუ, უფრო მეტად თავდაჯერებული გავხდი და, თან, ხალხის სიყვარულს ვიღებ – ისეთი დიდი ბედნიერებაა, როცა პატარა ბავშვები მოდიან და გთხოვენ ფოტოს გადაღებას, იმდენად სასიამოვნოა, რომ აქეთ ვუხდი ყოველთვის მადლობას. თან, პატარა ბავშვები გულით, ემოციებით მოდიან, არ ფიქრობენ, რომ სირცხვილია ფოტოს გადაღება.

ძალიან კარგ ნაკადში, კარგ ჯგუფში მოვხვდი: სტაფიდან დაწყებული – კონკურსანტებით დამთავრებული. არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ კონკურსზე ვარ, რადგან, ჩვენთან არ არის დაძაბულობა, ცუდი ურთიერთო-

www.times.ge

მედია ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ წარმოგიდგენთ ეროვნულ ჯილდოს ბიზნესის სფეროში

საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ბიზნესმენი და კომპანია

XIV ბიზნეს - რეიტინგი



ყოველწლიური გარდამავალი ეროვნული ჯილდო

THE GEORGIAN TIMES MEDIA HOLDING
GORBI
SOCAR ოქროს სპონსორი
შ.პ.ს გაზ-ენერჯი, ორბი ჯგუფი — ვერცხლის სპონსორები
FlyGeorgia გენერალური სპონსორი

პარტნიორები

ფინანსთა სამინისტრო; საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა საქართველოში; საქართველოს ბიზნეს ასოციაცია; ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა საქართველოში; საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა; ქიმერიონი; პეტრა

გამარჯვებული 25 კომპანია

თიბისი ბანკი; ქართული ლუდის კომპანია; სოკარ ენერჯი ჯორჯია; გაზ-ენერჯი; ფლაი ჯორჯია; სმარტ რითეილი; ვისოლ ჯგუფი; სარაჯიშვილი; საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი; კომპანია ნატახტარი; ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი; ჯეოსელი; ვითიბი ბანკი საქართველო; რუსთავის მეტალურგიული ქარხანა; გეოპლანტი; ქართული შაქარი; გუდვილი; რუსთავის აზოტი; პე ეს პე ჯგუფი; ბანკი კონსტანტა; ჯორჯიან ამერიკან ელოის; ვაგონშემკეთებელი კომპანია; კომპანია ავერსი; საქართველოს ბანკი; წყალი მარგებელი

მედია პარტნიორები

1tv.ge; მაესტრო; 106.9 FM Fortuna; თბილისელები; The Georgian Times; Business Week; The Leader Today; Prime Time; Commersant.ge

www.geotimes.ge

ბა: ამას ხმა ჩაუწყდეს, ამას ეს დაემართოს... მარტო მე კი არ ვარ ასეთი დამოკიდებულებით, სხვებიც ასე არიან. კონცერტის შემდეგ სამშაბათი გვაქვს დასვენების დღე და იმ დღესაც ერთად ვართ. ერთი დღე რომ ვერ ვნახო რომელიმე კონკურსანტი, შეიძლება, გავგიჟდე, რადგან, დღე და ღამე ერთად ვართ და ძალიან მივეჩვიეთ ერთმანეთს. ნებისმიერის გავარდნა ჩემთვის არის კატასტროფა, რადგან, ძალიან კარგი ადამიანები და კარგი მომღერლები არიან. როგორ მაგრადაც უნდა იმღერო და აგყვეს დარბაზი, რომ დგახარ და ითვლება ის საშინელი წამები, მაინც ფიქრობ: ახლა მე დავდგები აუტსაიდერებშიო. რომ არ დგები და მერე სხვა გამოდის, საშინელი გრძნობა გიჩნდება: ეს რომ გავარდეს, მეწყინება; ესეც... ანუ, ვერ ამოარჩევ და, ვინც არ უნდა გავარდეს, გეწყინება.

**– მარიკოს არ ჰყავს შეყვარებული?**

– ამჯერად არ ჰყავს მარიკოს შეყვარებული. იყო ადრე რაღაც, მაგრამ, ახლა არ არის.

**– როგორი უნდა იყოს ბიჭი, რომ მოგეწონოს?**

– ჩემნაირი აქტიური – არა, რადგან, შეიძლება, რაღაც ავაფეთქოთ. მეც აქტიური და ისიც – დიდი ჩართვა მოხდება... უნდა იყოს სერიოზულიც და ხუმარაც, რადგან, ჩემ გვერდით ვერ წარმომიდგენია ძალიან სერიოზული ადამიანი, მუდმივად გასწორებული სახით. ხუმრობაც უნდა შეეძლოს, სერიოზულად ყოფნაც, სიყვარულის გამოხატვაც და თავდაჭერილიც უნდა იყოს. გარეგნობაც მნიშვნელოვანია, მაგრამ, ადამიანი თუ კარგია, სხვა დანარჩენი უკვე მერე იქნება. ასაკითაც უფროსი უნდა იყოს. ვისთანაც მქონია ურთიერთობა, ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა ყოფილა ორი-სამი წელი და მართლა ძალიან პატარები არიან ამ ასაკში ბიჭები. თუ მამაკაცი არ არის ურთიერთობაში წამყვანი, ეს ურთიერთობა მოსაბეზრებელი ხდება და აღარ შედის იმ ფაზაში, როგორშიც უნდა იყოს. თუ გინდა, რომ მამაკაცთან ურთიერთობისას მას ენდო, კომფორტულად იგრძნო მასთან თავი, შენზე უფროსი უნდა იყოს. დიდ ადამიანებთან უფრო გამომდის ურთიერთობა, ვიდრე ორი-სამი წლით უფროსებთან.

**– თქვი, რომ ადრე იყო რაღაც ურთიერთობაო... შენს ასაკში, ალბათ, სერიოზული არაფერი ყოფილა.**

– სერიოზული არაფერი, თან, ძალიან მალე მბეზრდება ადამიანი და ეს არის ჩემი ყველაზე ცუდი თვისება. რაღაც სერიოზული, მნიშვნელოვანი თუ არ მოხდა, მბეზრდება ურთიერთობა და მერე ძალიან მალე, ცუდად ვამთავრებ ურთიერთობას, რაც, ალბათ, ასაკის ბრალია.

**ნათია უტიაშვილი**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტულად რას ნიშნავს სისხლის სამართლის კანონის უკუძალის პრინციპი, რა შემთხვევებში აქვს კანონს უკუძალა და როგორ ხდება ამ პრინციპის გამოყენება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისთვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.



**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, მოქმედებს თუ არა კანონის უკუძალის პრინციპი მაშინ, როდესაც ხდება პირის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს, ანუ, ამ ღონისძიებების გამოყენებისას კანონს უკუძალა არ აქვს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა, საქართველოს მოქალაქე, რომელმაც დანაშაული საქართველოში ჩაიდინა, სასჯელის მოსახდელად მისივე თხოვნით გადაეცეს სხვა სახელმწიფოს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ უცხოელი საქართველოში ჩაიდენს დანაშაულს, მოხდება თუ არა სასჯელის მოსახდელად მისი საქართველოდან სხვა სახელმწიფოში გადაცემა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად, შეიძლება, ექსტრადირებულნი იყოს სხვა სახელმწიფოში ან გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში არ შეიძლება, საქართველომ სხვა სახელმწიფოში მოახდინოს უცხო ქვეყნის მოქალაქე დამნაშავე პირის ექსტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მეგობარი სახელმწიფოს მოთხოვნა ამ პირის გადაცემის შესახებ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოს გადაეცეს დანაშაულის ჩამდენი შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის, აგრეთვე, ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან, თუ ჩადენილი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც მის გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, რა არის ზოგადად დანაშაული, რა იგულისხმება ამ ცნებაში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ანუ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია ორი ნიშანი: ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. თუ არსებობს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ქმედება რომ შეიცავდეს კიდეც დანაშაულის ნიშნებს, დანაშაულად არ ჩაითვლება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში ითვლება ჩადენილი დანაშაული საშიშ რეციდივად და რა შემთხვევაში – განსაკუთრებით საშიშ რეციდივად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ასეთ ტერმინებს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს. საშიში რეციდივი და განსაკუთრებით საშიში რეციდივი ამოღებულია სისხლის სამართლის კოდექსიდან და დღეს არსებობს მხოლოდ დანაშაულის რეციდივი.

**კითხვა: მაინტერესებს, ჩაითვლება თუ არა ქმედება რეციდივად იმ შემთხვევაში, თუ პირი ნასამართლევია არასრულწლოვნების პერიოდში და გათავისუფლების შემდეგ კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისთვის; აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, რეციდივი არ იქნება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელად ჯარიმის დანიშვნისას არის თუ არა კანონით განსაზღვრული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა და ზოგადად როგორ ხდება ჯარიმის თანხის შეფარდების კრიტერიუმების განსაზღვრა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ოდენობა განუსაზღვრელია. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლითა და სხვა გარემოებებით.

# ინტიმური საუბრები

## მანიაკი გადამეკიდა

ჩემი უიღბლო სასიყვარულო თავგადასავალი სამი წლის წინ დაიწყო. მე ახალი გრძნობებისა და ემოციების სამყაროში დავიწყე ცხოვრება, სადაც ყოველი წამი უსასრულო სიზმარი მეგონა. თუმცა, მალე ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა და ჩემი სილაღე და სიხარული ჯოჯოხეთის ცეცხლში შთაინთქა. აჯობებს, თავიდან დავიწყო.

ერეკლე ჩემი მეგობრების, ანასა და მამუკას ქორწილში გავიცანი. გამოგიტყდებით, გაცნობისთანავე მოვიხიბლე მისით. მთელი ქორწილი ჩემ წინ იჯდა და დროთა განმავლობაში მორიდებით შემომხედავდა ხოლმე. ლამაზად ეცვა და სასიამოვნოდ საუბრობდა. გიტარაზეც დაუკრა. სუფრასთან მის ყოველ ქმედებას ვაკვირდებოდი – ნამდვილი ხელოვნება იყო. საცეკვაოდაც დამპატიჟა, მაგრამ, უარი ვუთხარი. მერე შორიდან ვაკვირდებოდი, როგორ ეცეკვებოდა პატარძალს. ინტელიგენტის შთაბეჭდილება დატოვა და მაშინ პირველად ვიგრძენი ახლად გაცნობილი ადამიანის მიმართ სასიამოვნო სითბო.

არც მე ვარ უშნო, როგორც ჩანს, ერეკლეც მოიხიბლა ჩემით. იმ საბედისწერო დღიდან განსაკუთრებით მისი დაჟინებული მზერა დამამახსოვრდა, როცა ოდნავ შეზარხოშებულმა სახლამდე მიმაცილა და მრავალი წუთი წამოწითლებულ ლოყებზე მიყურა. მობილურის ნომრები გავცვალეთ და კონტაქტი სოციალურ ქსელში გავაგრძელეთ. ორი დღის შემდეგ მეგონა, რომ ერეკლე კარგად გავიცანი. ის თავის სურათებს მიგზავნიდა, მეც ვუგზავნიდი ჩემსას; მიყვებოდა სამომავლო გეგმებსა და სურვილებზე. მეც ვუყვებოდი ბავშვობის ოცნებებზე. ერთმანეთთან მიმოწერაში ღამეც კი გავათენეთ. ვხვდებოდი, რომ მალე ჩვენი ვირტუალური ურთიერთობა ახალ, უფრო საინტერესო ეტაპზე გადავიდოდა და მე უკვე მზად ვიყავი.

გაზაფხულის პირველ დღეს ერეკლემ არ მომწერა. არც ჩემს რამდენიმე შეტყობინებაზე უპასუხია. ის ერთი თვით გაუჩინარდა. მოგვიანებით ანამ და მამუკამ მითხრეს, ერეკლე დუბაიში გაემგზავრა საქმიან შეხვედრაზე და მალე დაბრუნდებაო. მეგობრების ნათქვამმა ძალიან გამახარა. გული საოცარი სითბოთი ამევსო, წყენაც გაქრა.

ერეკლეს გაუჩინარებიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, როცა ჩემი მშობლები სამსახურში იყვნენ და მე უნივერსიტეტში წასასვლელად ვემზადებოდი, ერეკლემ პირდაპირ სახლის კარზე დამიკაკუნა. უამრავი ბოდიში მომიხადა. მეც ჩუმად ვუსმენდი მის თავის მართლებას და ძალიან მიხაროდა, რომ ის დაბრუნდა. მეგონა, გულწრფელად ნანობდა, რომ გაუფრთხილებლად გაემგზავრა. ერეკლე სახლში შემოვუშვი და ყავაზე დავპატიჟე. პატარა კოლოფით დუბაიში ნაყიდი სუნამო მაჩუქა. იმ საღამოს პირველად ვაკოცეთ ერთმანეთს.

ადრეც მიკოცნია ბიჭისთვის, მაგრამ ერეკლეს შემთხვევაში განსაკუთრებული შეგრძნება დამეუფლა. რაღა დაგიმალოთ და, აგზნებულს თავის შეკავება მიჭირდა, მაგრამ, შორს არ უნდა შემეტოპა. ჯერ ადრე იყო. ჩვენმა სასიყვარულო ურთიერთობამ ვირტუალური სამყაროდან რეალობაში გადმოინაცვლა. მშობლებთან კრინტი არ დამიძრავს ერეკლეზე, მაგრამ დედა ნამდვილად ეჭვობდა. ბოლო დროს სახლში გვიან ვბრუნდებოდი, სადარბაზოსთან გიჟურად ვკოცნიდით ერთმანეთს, სიყვარულით დაბრმავებული მხოლოდ ერეკლეზე ვფიქრობდი. მიხაროდა, რომ ჩემი ცხოვრება გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა, ვიდრე ოდესმე.

ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ მოსახდენი მოხდა და საყვარელი მამაკაცის წყალობით, უბედნიერეს ქალად ვიქეცი. მის მიმართ ძლიერი სიყვარული ვიგრძენი. ახლა უკვე იმ დღეს ველოდი, როცა რომანტიკული ვახშმის დროს ცალ მუხლზე დაჩოქილი წითელ კოლოფს გახსნიდა და ცოლობას მთხოვდა. მაგრამ, ეს ყველაფერი აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ხუთჯერ ვიწექით ერთად და ყოველი ინტიმისას ერეკლე უფრო და უფრო უხეში ხდებოდა, ტკივილს მაყენებდა. ერთი პერიოდი სხეულზე სილურჯეები დამეტყო. სილურჯეები მარცხენა მკლავზე დედაჩემმაც შემამჩნია და მამასთან ერთად აუტანელი დაკითხვა მომიწყო. დიდი კამათის შემდეგ მშობლები დავაჯერე, რომ უნივერსიტეტის კიბეზე ფეხი დამიცდა და უხერხულად დავეცი.

ერეკლესთან სექსი სიამოვნებას კი არ მგვრიდა, სერიოზულ ტკივილს მაყენებდა. ის მხეცივით მხვდებოდა და თმებით ლოგინისკენ მიმათრევდა. თავიდან ჩემდამი ასეთი მოპყრობა ძლიერ სიყვარულს მივაწერე და ვფიქრობდი, რომ ამაში საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ, როცა ყელზე ქამარი გადამიჭირა და კიდურებით საწოლზე მიმაბა, მივხვდი, ერეკლე ნამდვილად არ იყო ის კაცი, რომელსაც სიცოცხლეს მივუძღვნიდი, რომელიც მუდამ მეყვარებოდა. ერეკლემ მე გამაუპატიურა.

გამთენიისას, როცა ჯერ კიდევ საწოლზე ვეგდე შიშველი, ერეკლე სავარძელში იჯდა და ამაზრზენი სახით მიყურებდა. მისმა დაჟინებულმა მზერამ ჩვენი გაცნობის დღე გამახსენა საერთო მეგობრების ქორწილში და უეცრად გულისრევის შეგრძნებამ თავბრუ დამახვია.



იმის გააზრებაც მტანჯავდა, რომ ის ადამიანი, რომელიც მიყვარდა და პატივს ვცემდი, გასართობი ნივთივით მიყენებდა და მაუპატიურებდა. ერეკლე შანტაჟისტი მხეცი აღმოჩნდა. მასთან არაერთხელ ვცადე ურთიერთობის გაწყვეტა, მისგან დამალვა: მობილური საერთოდ გავთიშე და დროებით სოფელში გავემგზავრე. რა თქმა უნდა, მშობლები ხვდებოდნენ, რომ სიყვარულში იმედები გამიცრუვდა, მაგრამ, ჩემი გაუპატიურება ნამდვილად ვერ წარმოედგინათ. დედა ხშირად მეფერებოდა და გამაღიზიანებელ ლექციებს მიკითხავდა იმის შესახებ, რომ დღეს კაცები მხოლოდ გართობაზე ფიქრობენ და მათთან ურთიერთობისას ფრთხილად უნდა ვიყო.

ქალაქში დაბრუნებულს, მეგონა, ყველაფრის დავიწყებას შევძლებდი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამას დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ, ერეკლე დაბრუნდა და დამაშანტაჟა – მშობლებზე და შენს მეგობრებზე იფიქრეო. ულტიმატუმი წამიყენა: თუ კვირაში ერთხელ მაინც მასთან სექსი არ მექნებოდა, ჩემი ოჯახის წევრებს ხელის თითებს დააჭრიდა.

ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება, რომ მე მსხვერპლი ვარ და ახლობლების დასაცავად პატიოსნება მტკივნეულად მელახება. ნუთუ მარტო მე ვარ ასეთ დღეში? ნუთუ მხოლოდ მე ვიტანჯები? ღმერთო, მაკანკალებს იმაზე ფიქრი, რომ მე ვილაცა მანიაკის სათამაშო გავხდი. ახლა თავი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის გმირი მგონია. ვერ ვხვდები, რა საერთო უნდა ჰქონოდათ ჩემი დიდი ხნის მეგობრებს, ანასა და მამუკას, ერეკლესნაირ ფსიქოპათთან? უნდა ვაღიარო, ერეკლე მანდილოსნების მოხიბვლის ნამდვილი ოსტატია. ღმერთმა იცის, მისთვის მერამდენე სათამაშო ვარ.

დიდხანს ვფიქრობდი, სად უნდა მეძებნა ასეთი სიტუაციიდან გამოსავალი. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მაინც გავბედე და ახლა თქვენი ჟურნალის მეშვეობით ვუყვები საზოგადოებას ჩემი უიღბლო სიყვარულის ამბავს.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არც ერთი ხსენებული სახელი ნამდვილი არ არის. საშინელ გაუგებრობაში ვარ, ცხოვრება მენგრევა. არ მინდა სიცოცხლეზე ხელის აღება. ყოველთვის მებრძოლი ვიყავი და, დარწმუნებული ვარ, ახლა არაფერზე დავიხევ უკან. ოღონდ, დახმარება მჭირდება, სამწუხაროდ, მხოლოდ ლოცვა და ვედრება არაფერს მიშველის.

**ელენე, 20 წლის.**

## ფსიქოლოგის რჩევა

*ასე ცხოვრება გაგიჭირდებათ, შეიძლება, ფსიქიკა შეგერყათ. ამ პრობლემას მარტო ვერ გაუმკლავდებით. აუცილებლად უნდა ჩააყენოთ საქმის კურსში თქვენი მეგობრები, ვისგანაც ერეკლე გაიცანით; ასევე, მშობლები (დედა მაინც), მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება ძალიან ძნელია. გარდა ამისა, აუცილებლად მიმართეთ გამოცდილ ფსიქოლოგს და იარეთ მასთან კონსულტაციებზე. გულს ნუ გაიტეხთ. ფარ-ხმალი არ დაყაროთ. თუ სწორად და თამამად მოიქცევით, აუცილებლად გათავისუფლდებით პრობლემისგან.*

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**„ევროვიზიის“ კონკურსიდან, ალბათ, დიდ შედეგებს არავინ ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის დუეტი ღირსეულად წარდგა და მათი ნამღერი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. სექტემბრიდან სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ტურის მოწყობას აპირებენ.**

# როგორ გახდნენ „ევროვიზიაზე“ ლიდერები და გამარჯვების პრეტენდენტები ქართველი კონკურსანტები და რატომ შეიცვალა ფინალამდე მათ მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად

**სოფო გელოვანი**: შეიძლება, ვიღაცას მოსწონდეს ეს „ევროვიზია“, ვიღაცას – არა, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ძალიან მასშტაბური კონკურსია და მომღერალს დიდი გამოცდილება ეძლევა. თან, საოცარ კომფორტს გიქმნიან და ნამდვილად ღირს მასში მონაწილეობა. რაც შეეხება შედეგებს, ფავორიტებად მოვიაზრებოდით და ჟურნალისტები იმასაც გვეკითხებოდნენ, სად ჩაატარებთ „ევროვიზიას“ – თბილისში თუ ბათუმშიო. ბუქმეიკერებში საუკეთესო ადგილებზე ვიყავით. შემდეგ რა მოხდა და რატომ მოხდა, ნამდვილად არ ვიცით. ფინალამდე ყველაფერი სხვანაირად იყო და მერე უცბად შეიცვალა ჩვენ მიმართ დამოკიდებულება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ 3 000 ჟურნალისტის გამოკითხვის შემდეგ, რომლებიც კონკურსს ესწრებიან და აკვირდებიან გამომსვლელებს, მივიღეთ პრესის ჯილდო, ანუ 39 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე გაგვიყვანეს ფინალამდე ერთი საათით ადრე.

**ნოდიკო ტატიშვილი**: წინა წელს ეს ჯილდო ლორენამ აიღო და, რეალურად, ვინც ამ პრიზს იღებს, ის სამეულში ყოველთვის ხვდება.

**სოფო**: როდესაც მონაწილეებს ეკითხებოდნენ, ვინ არის თქვენი ფავორიტიო, ყველა ჩვენ გვასახელებდა და ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული.

**ნოდიკო**: როდესაც ვამბობდით, შეიძლება, ფინალშიც ვერ გადავიდეთო, ჟურნალისტებიც და მონაწილეებიც, ყველანი გვეუბნებოდნენ: რას ბოდავთ, ვინმე განიხილავს იმას, რომ თქვენ ფინალში ვერ მოხვდებითო?! გადავედით ფინალში და, მერე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდით, საქართველოს არავინ გაამარჯვებინებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვქონდა იმედი, რომ სამეულში მაინც მოვხვდებოდით. ორგანიზატორებს, ხელმძღვანელებს, რომლებიც გამარჯობასაც კი არ ეუბნებიან ყველას, ქართულ დელეგაციასთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, ეს უფრო გვიხაროდა. იყო ქება-დიდება, მოლოცვები, ჩახუტება, რაც აბსოლუტურად აღარ იყო 18 მაისს, კონცერტამდე. სითბოს მაინც გამოხატავდნენ, თუმცა, არა იმ დოზით, როგორც მანამდე.

**სოფო**: ხმის მიცემის დროს მე და ნოდიკო ერთად ვისხედით და ერთმანეთს ვეკითხებოდით: რა ხდება? – მაგრამ, პასუხი ვერ მივიღეთ. გვერდით მეჯდა შვედი კომპოზიტორი, რომელმაც ჩვენი სიმღერა დაწერა და დარწმუნებით გვეუბნებოდა: დაწყნარდით, დამშვიდდით, თქვენ სამეულში ხართო.

**ნოდიკო**: მერე მას ნათია უზნაძე „ნატვრის ხეში“ სესილია თაყაიშვილის გმირს ადარებდა – ხმას რომ არ იღებს და, გაოგნებული, ჟესტებით რომ გამოხატავს ყველაფერს. ჩვენი კომპოზიტორი ხელებგაშლილი გვიყურებდა – აბსოლუტური შოკი იყო მისთვის. ჩემთვის, სოფოსთვის, ქართული დელეგაციისთვის ეს არ ყოფილა ტრაგედია – ვაიმე, ეს რა გვიქნესო, რადგან, 18-ში უკვე ჩანდა ეს დამოკიდებულება, არა აგრესიული, მაგრამ, მანამდე არსებული თბილი დამოკიდებულებისგან რადიკალურად განსხვავებული.

**სოფო**: ბუქმეიკერების ხუთეული გამართლდა, მხოლოდ ჩვენ ამოვვარდით.

**ნოდიკო**: ვერ გაარტყეს – არა; მათი მონაცემები ზუსტი იყო. ფაქტია, რაღაც მოხდა, მაგრამ, რა – არ ვიცით.

**სოფო**: თითქოს ყველამ ერთად შეკრა პირი.

**ნოდიკო**: ჩვენ დაგვასახელეს ყველაზე ელეგანტურ, ემოციურ დუეტად.

**სოფო**: რაც მთავარია, ფინალში ბოლო ნომრისკენ მოგვიტოვეს, ლიდერები ჩასვეს ბოლოსკენ, ანუ, ვინც გაიმარჯვა, ყველა ბოლოს მღეროდა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ხალხის მხარდაჭერა იყო – უცხოეთში მცხოვრები ქართველებისგან ვიგრძენით დიდი მხარდაჭერა. თან, გვწერდნენ: სად წავიდა ჩვენი ზარები, სად წავიდა ჩვენი ესემესებიო.

**ნოდიკო**: სულ გვეკითხებოდნენ: ისეთი შეწყობილია თქვენი ხმები, ალბათ, დიდი ხანია, ერთად მღერითო. რომ ვეუბნებოდით, სულ რაღაც ორჯერ გვაქვს ერთად ნამღერიო, უკვირდათ. ამის მერეც ვიმღერებთ ერთად, კარგი რაღაცეებია დაგეგმილი. ბევრმა სოფოს ჰკითხა: შენ და ნოდი მხოლოდ სცენაზე ხართ პარტნიორები და მეგობრებიო? მე ვპასუხობდი: სოფოს ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილი-მეთქი.

**სოფო**: აბა, როგორ თამაშობთ ასე კარგად შეყვარებულ წყვილს, როგორი შემღერებულები ხართო... ბედნიერი ვარ, რომ „ევროვიზიაზე“ მოვხვდი, ძალიან ბედნიერი წუთები იყო. თან, საოცარი ჯგუფი შედგა და მადლობა ამისთვის შემ-



**სოფო: „ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ 3 000 ჟურნალისტის გამოკითხვის შემდეგ, რომლებიც კონკურსს ესწრებიან და აკვირდებიან გამომსვლელებს, პრესის ჯილდო მივიღეთ“**

ოქმედებით ჯგუფს, რეჟისორ ლაშა ონიანს, რომელმაც მთელი სული და გული ჩადო.

**ნოდიკო**: ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა და დაგვეხმარა. ავთანდილს, რომელმაც არაფერი დაიშურა და, ამიტომაც, ყველა სოფოს კაბაზე ლაპარაკობდა.

**სოფო**: ყველა მონაწილე ლაპარაკობდა ჩემს კაბაზე, ბონი ტეილორი ხომ, საერთოდ გადაირ-

> **ნათია: „ქუჩაში რომ იტყოდი – „ჯორჯია“, მაშინვე იწყებდნენ სიმღერის შესრულებას“**

ია. რუსებმა დაწერეს: ყველაზე „შიკარნი“ კაბა.

**ნოდიკო**: ჩემთან ერიდებოდათ და მეუბნებოდნენ: არა, შენც ლამაზად გამოიყურებიო. მე ვპასუხობდი: არ არის პრობლემა, მეც ვაფრენ ამ კაბაზე-მეთქი. ფინალამდე სხვადასხვა გადაცემიდან გვირეკავდნენ და გვითანხმდებოდნენ მიწვევაზე, რადგან, ყველა დარწმუნებული იყო, რომ გავიმარჯვებდით. „ნიუს ტივიმ” დარეკა: ზაფხულში გვაქვს დაჯილდოება და, მოკლედ, რადგან თქვენ იმარჯვებთ, უკვე დაჯავშნილები ხართ ამ გადაცემისთვის, „ევროვიზიის“ მერე დაგირეკავთ დეტალებზეო. „მალახოვის შოუდან“ გვქონდა პირდაპირი ჩართვა, მაგრამ, აღარ ჩავერთეთ, რადგან, ამის სურვილი არ გვქონდა. ანუ, წინასწარ რეკავდნენ ტელევიზიებიდან, გვითანხმდებოდნენ, რომ ფინალის შემდეგ ჩავრთულიყავით. ჟურნალისტები მოდიოდნენ და წინასწარ გვილოცავდნენ. ამას ჯობია, რომ ფავოროტი არ იყო, რადგან, ამ ყველაფერმა შინაგანად აჟიტირებული გაგვხადა და ძალიან გვიხაროდა. ვიყავით ოფიციალური ლიდერები, ფავორიტები, თუმცა, ჯობდა, არ ვყოფილიყავით.

**სოფო**: ყველაფერი იმდენად იდეალურად მიდიოდა, თუნდაც ჩვენი ურთიერთობა, რომ, ვიფიქრეთ, ასეთივე იდეალური დასასრული ექნებოდა.

**ნათია უზნაძე** ***(„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი):*** სხვა დელეგაციებს თუ ჰყავდა 10 ფანი, ამათ ჰყავდათ 100 ფანი. პირველი რეპეტიციის შემდეგ მივედით „ევროკლუბში“ და დაგვახვედრეს ჟურნალისტების სია: 10 ჟურნალისტს უნდა გასაუბრებაო და ეს 10 არასდროს დამთავრდა, გახდა 100. ბოლოს ისე ვიყავით, არაფერი აღარ გვინდოდა. ჩვენ ვიდექით, ვიდექით, სხვა კონკურსანტები კი მოდიოდნენ და მიდიოდნენ.

**სოფო**: პრესკონფერენციებზე ხშირად გვამღერებდნენ ქართულ სიმღერებს.

**ნათია**: ოფიციალურად გამოაცხადეს: „ევროვიზია 2013-ის“ ყველაზე ელეგანტური, სიმპათიური წყვილი არის სოფო და ნოდი! მათ ჩაცმულობაზე, სიმღერაზე, ქორეოგრაფიაზე ლაპარაკობდა ყველა. ქუჩაში რომ იტყოდი – „ჯორჯია“, მაშინვე იწყებდნენ სიმღერის შესრულებას. ყოველდღე გაზეთებში ხომ იწერებოდა ნოდიზე და სოფოზე, ბოლოს, რომ ამოწურეს მათზე ყველაფერი, ჩემზე და ვიზუალური სამსახურის უფროსზე გადმოვიდნენ. ერთხელ, წავედით „ევროკლუბში“ და ვამბობდით, ნეტავი, არ წავსულიყავითო. ისეთი ამბავი ხდებოდა, სოფოს ოქროსფერი კაბა ბოლოს დაფლეთილი იყო... შვიდი წელია, „ევროვიზიაზე“ დავდივარ და, რაც წელს ხდებოდა საქართველოზე, ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა. მოდიოდნენ კონცერტის წინ დელეგაციის ხელმძღვანელები და მეუბნებოდნენ: მომავალ წელს ჩვენ ჩამოვალთ, გვერდში დაგიდგებით და, რაშიც დაგჭირდებით, დაგეხმარებითო... წარმოიდგინე, ასე მიდის ყველაფერი და, უცებ... ეს იყო ყველაზე დიდი იმედგაცრუება, რაც კი მქონია „ევროვიზიაზე“. პრესის წარმომადგენლებს მინდა ვუთხრა ერთი რამ, რომლებიც წერენ: რატომ შეგვჭამეს პრესის ჯილდოთი. ეს მათი კოლეგების დაწესებული ჯილდოა და არასდროს მიუღია საქართველოს. 5 000-ზე მეტი კაცია აკრედიტებული – 3 000 ჟურნალისტი და 2 000 ბლოგერი და ისინი გიწესებენ ამ ჯილდოს და, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგის მანიშნებელია. კრიტიკაზე ადვილი არაფერია, მაგრამ, იქნებ, დაუმსახურებელი კრიტიკისგან შევიკავოთ თავი. დიდი მადლობა სოფოსა და ნოდის, რომ არ დაიშურეს ენერგია, ძალა... მე ვარ ამაყი, როცა „ევროვიზიაზე“ ისმის საქართველო, გამოდიან მომღერლები და, მით უმეტეს, წელს, მე ბოლო წუთებამდე ძალიან ამაყი ვიყავი...

**ნოდიკო**: ეს იყო ცხოვრების ისეთი რიტმი, რაზეც ყველა მომღერალი ოცნებობს. მადლობელი ვარ სოფოსი, მთელი ჯგუფის, რადგან, ჩვენთვის მთავარი იყო, ვყოფილიყავით ღირსეულები...

**ნათია უტიაშვილი**

**GDS TV-HD გასართობი და შემეცნებითი არხია, რომლის მაყურებელიც 13-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ერთიანდება. სეგმენტი განპირობებულია სატელევიზიო ბადეში არსებული გადაცემების შინაარსითა და ფორმით. ახალი არხის ეთერში გადის, როგორც ახალგაზრდული პროექტები, ასევე შემეცნებითი გადაცემები. ძალიან მალე კი GDS მაყურებელს სიახლეს სთავაზობს. ლამაზი და ნიჭიერი წამყვანებით 2-საათიანი დილის გადაცემა გავა ეთერში, რომელიც ორი ჯგუფით არის დაკომპლექტებული. ჩვენი რესპონდენტები ამჯერად არიან: ნინო კვანტრიშვილი, ანი მამულაშვილი და ლაშა რამაზაშვილი.**

# პოზიტიური, ლამაზი და ფერადი „დილა“ GDS-ის მაყურებლისთვის



**ნინო კვანტრიშვილი**: სამივე ერთ ჯგუფში ვართ: მე შოუ-ბიზნესის წამყვანი ვარ, ანი – კულტურის, ლაშა კი ჩვენი მთავარი წამყვანია.

**– როგორ მოხვდით ამ პროექტში?**

**ნინო**: გასულ წელს ქასთინგი რომ გამოცხადდა, დამირეკეს, მოვედი და, იმისთვის, რომ „დილაში“ მოვხვედრილიყავი, რამდენიმე ტური გავიარე.

**ანი მამულაშვილი**: მე პირადად, ქასთინგის შესახებ „ფეისბუქის“ საშუალებით გავიგე. რამდენიმე ტური გავიარეთ. ამის შემდეგ ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით, ჩაგვიტარდა მეტყველებისა და ფსიქოლოგიის გაკვეთილები, მოვემზადეთ და, მგონი, უკვე ყველანაირად მზად ვართ გადაცემისთვის.

**– GDS-ში მოსვლამდე რას საქმიანობდით?**

**ანი**: პროფესიით ჟურნალისტი ვარ, ვმუშაობდი „იმედში” და „რუსთავი 2-ში.” ახლა აქ ვარ და ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს.

**ნინო**: დავამთავრე ESM და „ჯიპა” ფიარის განხრით. სკოლის დამთავრების შემდეგ სულ ვმუშაობ. ვიყავი მოდელიც, მაგრამ, ხელს მიშლიდა მუშაობაში და შევეშვი სამოდელო ბიზნესს.

**ლაშა რამაზაშვილი**: ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსზე ვსწავლობ. 14 წლის განმავლობაში ჩოგბურთს ვთამაშობდი, მერე კი ტრავმა მივიღე და თავი დავანებე. ქასთინგის შესახებ რომ გავიგე, GDS-ში მოვედი. რადგან სპორტსმენი ვიყავი, თავიდან სპორტულ სიახლეებს ვაკეთებდი, მერე კი მთავარ წამყვანად ამოვყავი თავი.

**– ქართულ არხებზე დილის გადაცემების კონკურენცია საკმაოდ დიდია.**

**ნინო**: მართლა დიდი კონკურენციაა, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, ჩვენ საუკეთესო „დილა“ გვექნება.

**ანი**: ზოგადად GDS-ის ფორმატია განსხვავებული, რის გამოც, ჩვენი „დილა“ ყველაზე საინტერესო და პოზიტიური იქნება. ძალიან ლამაზი და ყველაზე ფერადი სტუდია გვაქვს. ჩემი აზრით, ყველაზე ყურებადი „დილა“ GDS-ზე იქნება.

**ლაშა**: მამაკაცი რომ გადმორთავს ჩვენს არხზე და ასეთ ლამაზ გოგონებს დაინახავს, არა მგონია, ამის მერე სხვა არხზე გადართოს. „დილა“ იქნება შემეცნებითი, რისი საშუალებითაც ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობს ჩვენი მაყურებელი. ეთერში გავალთ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 8-დან 10 საათამდე.



**ანი**: საკმაოდ ცხელი ზაფხული გველოდება, რადგან, აგვისტოშიც კი ეთერში ვიქნებით.

**– რა რუბრიკებს მოიცავს თქვენი „დილა“?**

**ნინო**: იქნება შოუ-ბიზნესი, კულტურა, „ფეისბუქი“, სპორტი და გარე ჩართვა.

**– ლაშა, ინტერვიუს ჩაწერამდე აღნიშნე, რომ მარწყვი გიყვარს ყველაზე მეტად.**

– რის გამოც რაღაცეებს ვაკეთებ, ვარ კარგ ხასიათზე და, მინდა, რაღაცას მივაღწიო, ერთადერთი მიზეზი არის მარწყვი, ანუ, ჩემი ცხოვრება მთლიანად მარწყვს უკავშირდება.

**ნინო**: გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ – მარწყვი.

**– ერთმანეთში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?**

**ნინო**: ანი ძალიან თავდაჯერებული გოგოა. რაც მთავარია, არის პირდაპირი – ცუდია თუ კარგი, მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანს ყველაფერს პირდაპირ ეუბნება. ლაშა გამორჩეულად მიყვარს, რადგან ჩემთვის ყველაზე საყვარელი ბიჭია, ვისაც ვიცნობ; ყველაზე კეთილი და დადებითი ადამიანია. ძალიან ახლო მეგობრები ვართ და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. რაც მთავარია, მთელ GDS-ში ყველაზე სიმპათიური ბიჭია.



**ანი**: ლაშას თვალებში რომ შეხედავ, არ შეიძლება, არ შეგიყვარდეს. მისგან ძალიან კარგი ენერგია მოდის. რაც შეეხება ნინოს, რაც უნდა ცუდ ხასიათზე იყო, ისეთ რაღაცას გეტყვის, აუცილებლად გაგეღიმება.

**ლაშა**: ნინო ჩვენი ენერგიის წყაროა. ანი ძალიან პირდაპირი და თავდაჯერებულია. ვმეგობრობთ და მისი გამოცდილება ძალიან გვეხმარება მუშაობაში.

**– გამოდის, რომ ერთმანეთს ავსებთ.**

**ანი**: კი, ნამდვილად. ჩვენს ჯგუფში კიდევ გვყავს წამყვანები: ლაშას მეწყვილე, მაკო მჭედლიშვილი, რომელიც ამჟამად ამერიკაშია; ასევე, გვყავს ნუცა მესტუმრიშვილი და სპორტის წამყვანი – გეგი კიკაბიძე.

**ნინო**: მაყურებელს ვეტყვი, რომ დაელოდოს ჩვენს „დილას“, რომელიც მთელ საქართველოში ყველაზე მაგარი იქნება.

**ანი**: სხვანაირად გათენდება მაყურებლის დილა, როცა მას GDS „დილასთან“ ერთად დაიწყებს. ჩვენთან არ იქნება პოლიტიკა და მძიმე თემები, ჩვენთან მხოლოდ პოზიტივი და კარგი განწყობაა.

**მარიკა ხიდურელი**





# აფასებს თუ არა ქალის პატიებას მამაკაცი და როგორ პოულობს ის სიყვარულს თავისით

**ქალები გაცილებით მეტს რისკავენ ოჯახისთვის. ისინი ბევრად უფრო ხშირად მიდიან მსხვერპლზე სიყვარულისთვის და, შეიძლება, ამით ბევრსაც აგებენ. მაგრამ, რა მოვუხერხოთ გულს, რომელიც უკითხავად აპატიებს, არ ემორჩილება გონებას და ანგრევს ყველანაირ პრინციპებს, როგორც მორალურს, ისე ეთიკურს?! რამდენიც უნდა იმსჯელონ ფსიქოლოგებმა, რამდენიც უნდა ითვალონ სოციოლოგებმა სტატისტიკა, რეალობა მაინც სხვანაირი იქნება: შეყვარებული ადამიანი ყოველთვის დაიხევს უკან და ყოველთვის აპატიებს.**

**თიკო** ***(31 წლის):*** არც ისეთი დიდი ვარ, მაგრამ, ცხოვრებამ მწარე გაკვეთილები უკვე გამატარა. პრინციპში, არ ვნანობ, თუმცა, გული მაინც ძალიან მტკივა – ამას ვერაფერს ვუხერხებ. სისულელე ყოფილა ყველაფერი, მამაკაცის დიდი სიყვარული კი – მირაჟი. ჩვენი ბებიები და დედებიც რაღაც სისულელეებს გვაჯერებდნენ. მაგალითად, რა ნათქვამია: „მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის". სინამდვილეში, რა სად გადის, ვერაფრით მიხვდები, ზოგადად, იმასაც კი ვერ გაიგებ, კაცის ერთგულება როგორ მოითხოვო.

**– ერთგულებას ითხოვენ? ანუ, უნდა მოითხოვო?**

– საერთოდ, ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებით მივხვდი, რომ, თუ გინდა, რამე მიიღო, უნდა მოითხოვო – ასეა, მოგვწონს და ვაღიარებთ ამას თუ არა. დაფიქრდით და მიხვდებით, რომ თქვენს ცხოვრებაშიც ასეა. სიყვარულიც უნდა მოითხოვო, ყურადღებაც, თანაგრძნობაც, თანადგომაც და ერთგულებაც, რა თქმა უნდა. უანგაროდ არავინ გაირჯება შენთვის.

**– არც შვილი ან შეყვარებული?**

– შვილიც ეგოისტია და შეყვარებულიც. ისინი თავისთვის ირჯებიან.

**– ეს ხომ ბუნებრივია?**

– შეიძლება, მაგრამ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, რომ, როცა ჩემს ქმარს ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, ამ სიტყვების შედეგები ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული, ანუ, პასუხისმგებლობა სრულად ვერ გავიაზრე. კაცები ამ სიტყვებს თავისებურად აანალიზებენ.

**– ამბობენ, კაცებს ქალის სიყვარულის ეშინიათო.**

– ეშინიათ – ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია. რომც ეშინოდეთ, ამას არაფრით აღიარებენ. სიყვარული მათ აკომპლექსებთ. თვითონ ურჩევნიათ სიყვარულის ახსნა და ამით თავს ქვეყნიერების ბატონ-პატრონად მიიჩნევენ. ძალიან სასაცილოები იქნებოდნენ, ჩვენ რომ არ ვზარალდებოდეთ ამით. ლამის სანანებლად გამიხდა ის, რომ ქმარს სიყვარულის ახსნა დავასწარი. ზოგჯერ მჯერა, რომ ჩემი უბედურებები აქედან დაიწყო.

**– რა უბედურება?**

– ორი თვე გაშორებულები ვიყავით – გაგდებული მყავდა სახლიდან. მერე კი ვაპატიე და უკან დავიბრუნე. არ არის ეს უბედურება?!

**– თუ აპატიეთ, უბედურება რატომ არის?**

– იმიტომ, რომ ამით მე მსხვერპლი გავიღე. სამწუხაროდ, ყველანაირი ოჯახი ქალისთვის დაუსრულებელი მსხვერპლშეწირვაა – სულ რაღაცას თმობ, სულ რაღაცას წირავ და ამას ვერავინ ხედავს. ჩემმა ქმარმა თქვა, უფრო სწორად, უნებლიეთ წამოსცდა: ჯანდაბა ამ სტერეოტიპებს! განა არ ვნანობ, რომ გიღალატე, მაგრამ, შენ მაიძულე, ეს გამეკეთებინა. ამოსუნთქვის საშუალება არ მომეცი და თავი კაცად ხომ უნდა მეგრძნოო. ძალიან უცნაური არგუმენტია ღალატის გასამართლებლად. ანუ, რა გამოდის? – რადგან მე ვუთხარი პირველმა, რომ მიყვარდა, ამით მისი თავმოყვარეობა დავაკნინე. ხომ არ გგონიათ, რომ ეს პრობლემა არ არის?! ფსიქოლოგიურად ანგრევს ადამიანს.

**– ანუ, იმას გულისხმობთ, რომ ღალატის ბოლომდე პატიება შეუძლებელია?**

– სიტყვით შესაძლებელია, მაგრამ, შიგნით ყოველთვის რჩება ნალექი და ვერც ვერაფრით დაივიწყებ, გამორიცხულია. სულ რომ ფრთები ამოუვიდეს თქვენს ქმარს და თავს შემოგევლოთ, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაინც ვერ შეძლებთ, მეხსიერება ამ საშინელი, ნეგატიური ინფორმაციისგან გაწმინდოთ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია „ზედაპირზე წამოტივტივება" და შენი ხელახლა გამწარება. რომელი მოღალატე მამაკაცი გინახავთ, მისთვის ქალს ეპატიებინოს და სინანული დიდხანს გაჰყოლოდეს?! აპატიებ თუ არა, ეგრევე დაავიწყდება, რაც გააკეთა, როგორ გატკინა გული და, გამორიცხული არ არის, გაიმეოროს. აი, მერე კი უკვე ძალიან რთულდება ხოლმე საქმე: ან ანგრევ ყველაფერს, ან დაუსრულებლად გღალატობენ და შენც დაუსრულებლად პატიობ – აი, რა არის ჩვენი რეალობა. ეს, მგონი, მარტო ქართველი ქალებისთვის დამახასიათებელი ფენომენია.

> **როცა ჩემს ქმარს ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, ამ სიტყვების შედეგები ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული**

**– რატომ გგონიათ?**

– იმიტომ, რომ ბრმა არ ვარ. ქართველი კაცები დიდი ხანია, აღარ არიან არც რაინდები და არც ღირსეული მამრები. გარეგნულადაც კი ვეღარ შეინარჩუნეს იერსახე. ვითომ რაღაცის დამტკიცებაც უნდათ; ვითომ ძალიან მაგარი ტიპები არიან; განსაკუთრებულობაზე დებენ თავს, მაგრამ, სინამდვილეში, რაღაც მავნე სტერეოტიპების გავლენის ქვეშ არიან. ღალატი და ბევრი ქალის „შებმა" დიდი ვაჟკაცობა ჰგონიათ. აბა, რომელიმეს უთხარი, ერთგულებაა ვაჟკაცობა და კაცისთვის საამაყოო – მაშინვე ირონიულად გაეღიმება. შეიძლება, აშკარად არ დაგცინოს, მაგრამ, მისთვის ეს აუცილებლად ხუმრობის თემა იქნება.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ყველა მამაკაცი ასეთია?**

– გამონაკლისები, ალბათ, იქნებიან – ამას ვერ უარვყოფ. მაგრამ, ჩემი შემთხვევა მირჩევნია განსახილველად, უფრო კონკრეტულია. ისიც ბლეფია, რომ მიზეზად ვითომ სერიოზული არგუმენტი აქვს: ღალატი თავისი მამაკაცური „ეგოს" გასამყარებლად დასჭირდა. მე ამის არ მჯერა.

**– თუმცა, აპატიეთ.**

– დიახ, სხვა გზა არ მქონდა.

**– ასეთ რამეს ქალები ხშირად ამბობენ. რას ნიშნავს – სხვა გზა არ მქონდა? რატომ არ გქონდათ? საქმე მატერიალურ კეთილდღეობას ეხება?**

– არა. სხვების შემთხვევაში როგორ არის, არ ვიცი, მაგრამ, მე უფრო მესაკუთრული განცდის გავლენით ვაპატიე. უცებ ვიფიქრე, რატომ უნდა დავუთმო სხვას ის, რაც ჩემია-მეთქი. გულახდილი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ყველა ქალს ქმარი თავის საკუთრებად მიაჩნია.

**– კაცს არ მიაჩნია ცოლი თავის საკუთრებად?**

– როგორ არ მიაჩნია! ეს ადამიანის ბუნებაა, ადამიანი ბუნებით არის მესაკუთრე და ამას ვერ გავექცევით. თქვენ, შეიძლება, არ აღიარებდეთ და არც არავინ აღიარებდეს, მაგრამ, ეს ხომ რეალობას არ შეესაბამება.

**– იქნებ, უნდა შეიქმნას აღარპატიების პრეცედენტი? ხომ შეიძლება, ეს პრევენციად გამოდგეს სხვა მამაკაცებისთვის?**

– რთული საკითხია. რამდენი ოჯახი უნდა დაინგრეს, რომ მამაკაცებმა ჭკუა ისწავლონ და საკუთარ მეუღლეებს გაუფრთხილდნენ? მეეჭვება, ეს მალე მოხდეს. მანამდე ძალიან ბევრი ბავშვი დარჩება უმამოდ და, ღირს კი ეს „ექსპერიმენტი" მათი ცრემლებისა და ნერვიულობის ფასად?! პრობლემა ამით არ მოგვარდება. ჩემი ქმრისნაირად, სამწუხაროდ, ბევრი მამაკაცი აზროვნებს. ჩემმა ქმარმა მითხრა, შენ თვითონ რომ არ გაგეგო ჩემი ღალატის შესახებ, მე არ გეტყოდიო. ანუ, ხვდება, რომ ისე არ მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

**– როგორ გაიგეთ?**

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? ადრე თუ გვიან, ყველაფერი ნათელი ხდება და სააშკარაოზე გამოდის. ქალები გაცილებით მალე იგებენ ხოლმე ქმრების ღალატის შესახებ, ვიდრე მამაკაცები – ცოლების ღალატს და ესეც ჩვენი საზოგადოების უცნაურობაა.

**– ამასაც აქვს მიზეზი?**

– რა თქმა უნდა. ქალები თვითონ აგებინებენ მოტყუებულ ცოლს, რომ მისმა ქმარმა მასთან უღალატა – ხომ იცით, რომ ეს ზოგადად ასე

# ვინ ეძებს ჯარის მეგობარს რუსეთიდან საქართველოში და როგორ დაკარგეს მათ ერთმანეთი

*56 წლის ანატოლი ვასილის ძე რეუსი ეძებს 56 წლის რომან ბედიას.*

**ისტორია**: ვეძებ ჯარის მეგობარს – 56 წლის რომან ბედიას (მამის სახელი უცნობია). მე და რომანი 1974-1976 წლებში გერმანიაში ჯარშივე დავმეგობრდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, ანუ 1976 წლის მერე, მე ის აღარ მინახავს. ძალიან მინდა მისი პოვნა და ურთიერთობის აღდგენა. თავად მე რუსეთში, ქალაქ კოროლიოვში ვცხოვრობ. რომანი საქართველოდან, თბილისიდან იყო. დიდი იმედი მაქვს, რომ მეგობრის პოვნაში დამეხმარებით. მაქვს რომანის ჯარისდროინდელი ფოტო. პირადად მე ამჟამად შეცვლილი ვარ და ამიტომ გიგზავნით ჩემს ჯარისდროინდელ ფოტოს, იქნებ ჩემმა მეგობარმა სურათიდან მიცნოს.



**– გვიამბეთ თქვენი ისტორია – როგორ დამეგობრდით და შემდგომ როგორ დაკარგეთ ერთმანეთი?**

– მე და რომა 1974-1976 წლებში ერთად ვმსახურობდით ჯარში, გერმანიაში. დავმეგობრდით, რადგან, ძალიან ბევრი საერთო გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ვიყავით, ერთმანეთის გადასარევად გვესმოდა და ვუგებდით. მოგეხსენებათ, ჯარის პერიოდი რა მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია თითოეული მამაკაცისთვის (ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობის ხალხისთვის ასეა). ჩემთვის მნიშვნელოვანია რომანის პოვნა, რადგან მასთან უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს. ჩემი და რომას „როტის" მეთაური და ლეიტენანტი იყო ნიკოლუსი. მე და ჩემმა მეგობარმა ერთად მივიღეთ შეტყობინება ჯარიდან გათავისუფლების შესახებ და ერთადვე ვასწორებდით ჩვენს შეცდომებს *(იცინის)*. რომას უნდა ახსოვდეს ეს ეპიზოდი: გათავისუფლების შესახებ შეტყობინება მივიღეთ სასწავლო პოლიგონზე ყოფნის დროს (რომელიც ჩვენს ნაწილთან ახლოს მდებარეობდა). ეს იყო 1976 წლის მარტში. ჯარის დასრულების შემდეგ კი, როგორც ეს ხშირად ხდება, ჩვენ დავშორდით. მოხდა ისე, რომ ამდენი წლის შემდეგ მე რომა არც ერთხელ არ მინახავს და არაფერი ვიცი მისი ცხოვრების შესახებ, მისი პოვნა კი ძალიან მინდა.



**– კიდევ რა იცით თქვენს ქართველ მეგობარზე, რაც მის პოვნაში დაგვეხმარებოდა?**

– სამწუხაროდ, რომას შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, არ მახსოვს, მამამისს რა ერქვა ან დედმამიშვილი თუ ჰყავდა. თუ სწორად მახსოვს, ის თბილისიდან იყო. მაგრამ, მე შენახული მაქვს ჩვენი ჯარის დროინდელი ფოტოები, რომლებიც მის პოვნაში დაგვეხმარება. ფოტოებზე მეც და რომაც 18-20 წლისანები ვართ. ამჟამად, ალბათ, ჩემი მეგობარიც შეცვლილია – უკვე ამდენი წელია გასული ჩვენი ჯარის დასრულების შემდეგ, მაგრამ, თავის თავს აუცილებლად იცნობს. მაინტერესებს, როგორ აეწყო მისი ცხოვრება, აქვს თუ არა ოჯახი და, საერთოდ, როგორ არის.

**– მეგობრის პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა შეხვედრას და, თუ აპირებთ, სად და როგორ გეგმავთ ამას?**

– რომას მოძებნა გასული თვის პირველ რიცხვებში დავიწყე – ვგულისხმობ მის აქტიურ მოძებნას, ანუ, განვათავსე განაცხადი სამძებრო საიტებზე, შემდგომ გავიგე თქვენი რუბრიკის შესახებ, ვიცი, რომ საკმაოდ ბევრ ადამიანს დაეხმარეთ და მეც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. ჩემთვის მთავარია, ვიპოვო ჩემი მეგობარი, შემდგომ კი არ ვიცი, როგორ აეწყობა. თუკი შევძლებთ, რა თქმა უნდა, შევხვდებით ერთმანეთს – ამას რა ჯობია, მაგრამ, თუ შეხვედრა ვერ მოვახერხეთ, ტელეფონით ან ინტერნეტით ხომ მაინც გვექნება ურთიერთობა.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

ხდება.

**– ანუ, მამაკაცები გვჯობნიან საიდუმლოს შენახვაში?**

– გვჯობნიან? არა, უბრალოდ, მათ ინტერესებში არ შედის ამ ტიპის რომანის „გაბაზრება". კაცები ბუნებით არ არიან ავანტიურისტები. მათ ეშინიათ სკანდალების, თანაც – პანიკურად. იმ ქალს კი, რომელიც ცოლიან მამაკაცთან იწყებს ურთიერთობას, ხშირ შემთხვევაში, დასაკარგავი არაფერი აქვს. ის ასეთი წესით ცხოვრობს და, პირიქით, სიამოვნებასაც კი ანიჭებს ცოლის გამწარება.

## ოჯახი ყველა ქალისთვის დაუსრულებელი მსხვერპლშეწირვაა – სულ რაღაცას სწირავ და ამას ვერავინ ხედავს

**– რატომ? ცოლს რას ერჩის?**

– აბა, როგორ გითხრათ... რას მერჩოდა, რომ დამირეკა და მომახსენა, შენი ქმარი ჩემს სხეულზე გიჟდებაო? რა ამბიცია დაიკმაყოფილა ამით?

**– სკანდალი გქონდათ?**

– რა თქმა უნდა. არც ერთმა ცოლმა არ თქვას, რომ მოღალატე ქმართან მშვიდად, წყნარად და მეგობრულად აგვარებს ურთიერთობას. ამაზე დიდი სისულელე არ მსმენია. იყო ძალიან სერიოზული სკანდალი. მის სახლიდან გაგდებასაც სერიოზულად ვფიქრობდი – ბარგიც კი ჩავულაგე, მაგრამ, მერე ჩემი შვილის თვალებს რომ შევხედე და იმასაც მივხვდი, ვის წისქვილზე ვასხამდი წყალს ოჯახის დანგრევით – გადავიფიქრე. თუმცა, ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. ბევრი ცრემლი დავღვარე და ავადმყოფურად ვინერვიულე.

**– და... ბოლომდე მაინც ვერ აპატიეთ.**

– შეუძლებელია ბოლომდე პატიება. ძალიან ბევრჯერ გამოვიჭირე საკუთარი თავი იმაში, რომ ქმრის მიმართ აგრესია მიჩნდებოდა. უმნიშვნელო წვრილმანებზე ვეკიდებოდი და ვეჩხუბებოდი და ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება. არ ვიცი, რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ აგრესიის შემოტევებმა გაიაროს. მგონი, ეს არასოდეს მოხდება. შეიძლება, ერთი სიტყვა გახდეს ახალი ქარიშხლის ამოვარდნის მაპროვოცირებელი, ან – ქუჩაში სხვა ქალისთვის ერთი თვალის გაყოლება. რა ვქნა, განა მინდა, მაგრამ, ვერ ვერევი საკუთარ თავს, ძალიან მტკივნეულია.

**– დრო აშუშებს ჭრილობებსო.**

– ბოლომდე ვერ აშუშებს, არავინ დაიჯეროს ეს. არ არსებობს ჭრილობა ნაწიბურის გარეშე. ნაწიბური კი ყოველთვის შეგახსენებს თავისი გაჩენის მიზეზს. განა რა სიამოვნებას იღებენ კაცები ღალატით, რომ მზად არიან, მასში ასეთი საფასური გადაიხადონ?!

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**შვიდი წელია, დაქორწინებული ვარ. ცოლი მიყვარს და ისევ ისე მიზიდავს, როგორც ადრე, მაგრამ, საკუთარ თავს ვატყობ, რომ დროდადრო რაღაც სიახლის სურვილი მაწუხებს. არადა, არ მინდა, ცოლს ვუღალატო, ამჩატებისაც მრცხვენია – კაცს ღირსება უნდა ჰქონდეს. მაგრამ, ერთი ჩემი თანამშრომელი ქალი სერიოზულ ინტერესს იჩენს ჩემ მიმართ. ქმარი ჰყავს, თუმცა მაგრძნობინებს, რომ ჩემთან პატარა ინტიმური თავგადასავლის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მართლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე. პირდაპირ ვუთხრა, რომ მომწონს, მაგრამ ღალატი ჩემთვის მიუღებელია, თუ, სამსახური გამოვიცვალო? ქალები საშიში არსებები არიან. მე რა ვიცი, როგორი რეაქცია ექნება.**

**გამოხმაურება:** ალბათ, აჯობებს, მაქსიმალურად მოერიდოთ და ყურადღება არ მიაქციოთ. არავითარი კომპლიმენტები, ღიმილი და ახსნა-განმარტება. იყავით გულგრილი მისი ყურადღების მიმართ. შემოიფარგლეთ მხოლოდ უბრალო მისალმებით. შესაძლოა, უსიამოვნო საუბარი არც დაგჭირდეთ. მით უმეტეს, ნუ გამოიდებთ თავს, რომ ერთგულების ნიმუში ხართ და ნუ მოახდენთ მისი თავმოყვარეობის გაღიზიანებას, აგრესიის პროვოცირებას.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძე**

**სანდრო კაკულიას შესახებ ვიცოდი, რომ „ჩემი ცოლის დაქალებში” სანდრექსას როლს თამაშობს, კიდევ ის, რომ პროფესიით იურისტია და სულ შემთხვევით მოხვდა კინოში. ინტერვიუს ჩაწერამდე მითხრა, ჩემი ცხოვრება რამდენიმე სხვადასხვა ცხოვრებისგან შედგებაო. ჩვენს რუბრიკაში ის სწორედ ამ ცხოვრებათა შესახებ გვესაუბრება.**

# რა საქმე მიიყვანა ბოლომდე სანდრო კაკულიამ და რამდენნაირი ცხოვრება აქვს მას

**სანდრო კაკულია:** ჩემი ცხოვრება შედგება რამდენიმე სხვადასხვა ცხოვრებისგან.

ყველაფერი სკოლის ასაკში დაიწყო. მერვე კლასს რომ ვამთავრებდით, ღონისძიება უნდა მოგვეწყო ამ ფაქტთან დაკავშირებით. იმ წელს ქართულში „ვეფხისტყაოსანს” ვსწავლობდით. მე გამოვაცხადე – მოდი, ეს ღონისძიება სპექტაკლი იყოს-მეთქი და საკუთარ თავზე ავიღე პიესის დაწერა. ამის შემდეგ უცბად გამოვაცხე პიესა „ვეფხისტყაოსნისა” და „ტრისტან და იზოლდას“ მიხედვით – გაერთიანებულ-გათანამედროვებული ვარიანტი. გამოვიდა ორმოქმედებიანი, თავისი გარდასახვებით, ძალიან დიდი და სერიოზული, მეც რომ არ ველოდი, ისეთი. დამრიგებელმა რომ წაიკითხა, ლამის გული წაუვიდა – ამას ვინ ითამაშებსო?! მოკლედ, შემრჩა ეს პიესა. მართალია, არ დაგვიდგამს, მაგრამ, მაგარი სტარტი აღმოჩნდა ჩემთვის. ასე რომ, 13 წლიდან დავიწყე პიესების წერა. 17 წლის ვხდებოდი, როდესაც ჩემი პიესა – „ფანჯარა” ლელა ჭინჭარაულმა დადგა „სარდაფში“ და მას შემდეგ სულ ვწერ – დღემდე.



მე ძალიან სწრაფი ვარ: საქმეში, საუბარში, ურთიერთობაში – ყველაფერში.

**– ჩაბარებას, ანუ, სწავლის გაგრძელებას ამავე სფეროში გეგმავდი?**

– არა. დრამატურგია ჩემი ერთი ცხოვრებაა. მეორე ცხოვრება დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩავაბარე უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. წარმოიდგინე, ვწერდი და, უცებ, აღმოვჩნდი იურიდიულ ფაკულტეტზე, აბსოლუტურად სხვა ცხოვრებაში. თავიდან მაგრად გავისტრესე. გადასვლა მინდოდა სხვა ფაკულტეტზე, მაგრამ, შემდეგ ეს გადაწყვეტილება შევცვალე, რადგან, მე ვცხოვრობ ერთი ფილოსოფიით: ყველა გამოცდილება კარგი გამოცდილებაა. ამიტომ, იურიდიულ ფაკულტეტზეც მეორე კურსზე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს გამოცდილება ცხოვრების ამ ეტაპზე ყველა ვარიანტში ბოლომდე მქონდა მისაყვანი. თავი დავაჯერე, რომ ეს ძალიან საინტერესო პროფესიაა და ბოლომდე უნდა ჩავერთო მასში. ამის შემდეგ მაგრად დავიწყე სწავლა და, საბოლოო ჯამში, კარგი შედეგით დავამთავრე – ამით ეს ცხოვრებაც დასრულდა ჩემს ცხოვრებაში.

**– ამის შემდეგ?**

– ამის შემდეგ ჩავერთე მესამე ცხოვრებაში – ეს არის რეკლამა, მარკეტინგი და გაყიდვები. სრულიად შემთხვევით მოვხვდი ამ ბიზნესში და უკვე შვიდი წელია, ამ საქმეში ვმოღვაწეობ. ამჟამად ვარ ამ სფეროს სპეციალისტი.

ამ ყველაფერთან ერთად, 2002 წელს პირველად გადამიღეს მხატვრულ ფილმში – „გასეირნება ყარაბაღში,” პირველ ნაწილში.

**– თუ შეიძლება, ამ ადგილიდან ცოტა დაწვრილებით გვიამბე.**

– სრულიად შემთხვევით, ნაცნობმა თქვა, რომ ქასთინგია გამოცხადებული და მიდიო. მივედი და, მოხდა ისე, რომ გადამიღეს ამ ფილმში. ამას სამი წლის შემდეგ მოჰყვა „გასეირნება ყარაბაღში 2” და შემდეგ – „ბოლო გასეირნება”. მეგონა, ამით ამოიწურა ჩემი ეს ცხოვრება. საერთოდ, არტისტობა ჩემი ცხოვრება არ არის, ბევრ დროს და პროფესიონალიზმს მოითხოვს, მე კი არსად მისწავლია ეს. ძლივს შევეგუე კამერასთან მუშაობას. ამის შემდეგ, გავიდა დრო – მე ისევ ვწერ და ისევ სარეკლამო ბიზნესში ვარ; ისევ იდგმება ჩემს პიესებზე სპექტაკლები, 2012 წლის დეკემბერში კი „ფეისბუქზე“ მომდის მესიჯი – ფორმულა „კრეატივის” პროდიუსერი მწერდა: ვარ „ჩემი ცოლის დაქალების” პროდიუსერი, გვაქვს ქასთინგი და, თუ შეგიძლია, დაგვიკავშირდი ან მოგვწერე ნომერიო. მივწერე ნომერი და მაშინვე გადმომირეკეს. ღამის პირველის ნახევარზე დამიბარეს „რუსთავი 2-ში,“ შევაღე კარი და ზის ყველა: მიშა მშვილდაძე, ქეთი დევდარიანი, გიორგი ლიფონავა... მივესალმე თუ არა, მაშივე თქვეს: შენ ნამდვილად სანდრექსა ხარ, გიღებთ ფილმშიო.

**– წინასწარ გაქვს მოთხოვნა, რომ სახელი არ შეგიცვალონ და ყველა ფილმში სანდრო გერქვას თუ როგორაა საქმე?**

– არა, დამთხვევაა, სასიამოვნო დამთხვევა. მოკლედ, გადავიღეთ კინო, ძალიან გავერთე და მაგარი ხალხი გავიცანი. ზოგიერთ მსახიობს მანამდეც ვიცნობდი – კოტე თოლორდავა ჩემს სპექტაკლში თამაშობდა 2003 წელს; გიორგი ყიფშიძე და მე ერთი ოჯახის სიძეები ვართ, ჩვენი ცოლები ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან; კაბუს „ყარაბაღიდან” ვიცნობდი, ვანიკოსაც ვიცნობდი.

ან ხარ მსახიობად დაბადებული, ან – არა. ეს ის პროფესიაა, რომელიც მარტო ამ წესით მოითხოვს ცხოვრებას. მე კი ბევრი ცხოვრება მაქვს, რასაც ამ ერთში ვერ გავცვლიდი

კინო აქ დამთავრდა, რადგან, ძალიან ბევრი საქმე მქონდა და დავუბრუნდი სხვა ცხოვრებას. წარმოდგენა არ მქონდა, რომ, თურმე, ჩემი როლი სერიალშიც გათვალისწინებულია და ახალი, მესამე სეზონი რომ დაიწყება, სანდრექსას პერსონაჟი კინოდან უნდა გადმოჰყვეს. გავიდა ერთი თვე და მირეკავენ – ზეგ გადაღებაა, სად ხარო? არ მინდოდა, მართლა გულწრფელად არ მინდოდა, ბევრი დრო მიაქვს. თან, ეს ის სფეროა, რომ, ან ხარ მსახიობად დაბადებული, ან – არა. ის პროფესიაა, რომელიც მარტო მისით ცხოვრებას მოითხოვს, მე კი ბევრი ცხოვრება მაქვს, რომლებსაც ამ ერთში ვერ გავცვლიდი. მაგრამ, მოხდა ისე, რომ დავთანხმდი, დღემდე მოვყვები და ვარ ამ სერიალში. ძალიან კარგია. ახლა მივხვდი, როგორია, როცა ცნობილი ტიპი ხარ. ხალხი ქუჩაში მხვდება – ტაქსის მძღოლები, მაღაზიაში – გამყიდველები, უკვე სახლშიც კი სანდრექსას მეძახიან.

**– მარკეტინგში და რეკლამებში არ გეხმარება „სანდრექსობა”?**

– მაგარია, შეხვედრაზე რომ მიდიხარ, წარდგენა აღარ გჭირდება – გუშინ გნახა სერიალში და, დღეს ბიზნესშეხვედრაზე რომ გხვდება, უკვე კეთილგანწყობილია შენ მიმართ.

**– დანარჩენ ბაბულიკებთან შედარებით უმცროსს თამაშობ და, მგონი, რეალურადაც ასეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამდენ ცხოვრებაში მოგისწრია მთავარი, კიდევ ერთი ცხოვრება – ოჯახს ვგულისხმობ.**

– მე ძალიან სწრაფი ვარ – საქმეში, საუბარში, ურთიერთობაში – ყველაფერში. 22 წლის ვიყავი, როცა დავქორწინდი. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა და მე და ნუცა აბაშიძეს გვყავს 3 წლის ელენე კაკულია. მე და ნუცა ტოლები ვართ, ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით. ის სწავლობდა სოციოლოგიურზე, მე – იურიდიულზე და კიბეებზე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს.

**– ამდენი ცხოვრება რომ გაქვს, ნუცა ხომ არ წუწუნებს – ჩემთვის დრო არ გრჩებაო?**

– არა, ნუცა როცა გავიცანი, მაშინაც ასეთი ვიყავი. ის ძალიან კომფორტული ადამიანია და ამის გამო ათასჯერ უფრო მეტად მიყვარს. ქორწინების შემდეგ ჩვენ შორის თითქმის არაფერი შეცვლილა – მე ისევ ათას რაღაცას ვარ მოდებული. სამწუხაროა, რომ ძალიან ვაკლივარ ხოლმე ბავშვს. სულ მინდა, სანამ დაიძინებს, მანამდე მოვასწრო სახლში მისვლა. დილით რომ იღვიძებს, პირველად მე მკითხულობს ხოლმე. ამიტომ, ვცდილობ, ბაღში მაინც მივიყვანო და ეს დრო მაინც გავატაროთ ერთად.

**– ამჟამად რომელ ცხოვრებაში ხარ ყველაზე აქტიურად დაკავებული?**

– ამჟამად ჩემი ყველაზე დიდი პროექტია საერთაშორისო საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც იმართება მსოფლიოს 120 დიდ ქალაქში, მათ შორის წელს პირველად – თბილისშიც. 300 ყველაზე მდიდარი და წარმატებული ქართველი დაესწრება ამ ღონისძიებას 27 ივნისს, რომელიც თბილისის „ბუდა-ბარში“ გაიმართება. ეს იქნება მარათონი, რომელიც მსოფლიოს ამ 120 დიდ ქალაქში პირდაპირ ეთერში გადაიცემა ერთსა და იმავე დროს. შეგროვდება თანხა, რომლის ნაწილი გადაირიცხება მსოფლიო საქველმოქმედო ფონდში, მეორე ნაწილი კი მოხმარდება ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციას. საქართველოში შემოსული თანხით დავეხმარებით იმ ბავშვებს, რომლებსაც ყველაზე უფრო სჭირდებათ ჩვენი დახმარება.

**ეკა სალაღაია**

# ვინ იყვნენ ინფორმაციის მთავარი გამავრცელებლები თბილისში პრესის გამოჩენამდე და რა ფუნქცია ჰქონდა დარეჯანის სასახლეს მეფის რუსეთის დროს

*ერეკლე მეორის მოედანი თბილისის ერთ-ერთი უძველესი მოედანია, რომელსაც არაერთი ისტორიული ფაქტი უკავშირდება. იმავეს თქმა შეიძლება დარეჯანის სასახლეზე, რომელიც თბილისის ისტორიული ნაგებობა, კულტურული ძეგლია. საინტერესო ცნობებს ამ ორი ისტორიული ადგილის შესახებ ძველი ფოტოების დახმარებით მოგაწვდით.*

## ერეკლე მეორის მოედანი

როსტომ მეფემდე სამეფო სასახლე მდებარეობდა ნარიყალაში, ისანში, სეიდაბადში. მაგრამ, იმის გამო, რომ ნარიყალაში ძირითადად სპარსელი მეციხოვნეები იდგნენ, როსტომ მეფემ სპარსული გარნიზონის გარემოცვაში ყოფნა არ ისურვა და 1638 წელს სიონისა



ერეკლე მეორის მოედანი – გუბერნატორის მოედანი (1870-იანი წლები)

და ანჩისხატის ეკლესიებს შორის მდებარე მოედანზე სასახლე ააგო, რის გამოც სასახლის ტერიტორიას სამეფო უბანი, ხოლო მიმდებარე მოედანს – ბატონის ანუ მეფის მოედანი ეწოდა. მოედანი წარმოადგენდა ქალაქის ზემო უბნის ცენტრს და მას ზემო მოედანსაც ეძახდნენ. ადმინისტრაციულმა და ფუნქციურმა ცენტრმა გადმოინაცვლა კალაში – მეფის მოედან-



ხედი ეგზარქოსის სასახლეზე (1890-იანი წლები)

ზე, სიონისა და ანჩისხატის შემაერთებელი ქუჩის გასწვრივ. მანამდე თბილისის ცენტრალურ მოედნად ითვლებოდა თათრის მოედანი. სასახლის გვერდზე მეფე როსტომმა ააშენებინა გოგირდის აბანო. აბანოთუბნიდან საგანგებოდ გამოიყვანეს ცხელი და ცივი წყალი თიხის მილების ორი ხაზით. მისი რვა ოთახის კედლები მოპირკეთებული იყო ორნამენტებიანი მოჭიქული ფილებით, ხოლო იატაკი თეთრი მარმარილოსგან იყო გაკეთებული. აბანოს ამშვენებდა დიდი და მცირე გუმბათები, სინათლისათვის დატოვებული ჭრილებით. სამეფო უბანი შიდა გალავნითაც იყო შემოფარგლული და ღამით იკეტებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში სასახლე გადააკეთა მეფე ვახტანგ მეხუთემ. 1709 წელს მეფე ვახტანგ მეექვსემ მოედანზე, აბანოს წინ, არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში პირველი სტამბა დააარსა. სტამბის შექმნაში დიდი მონაწილეობა მიიღეს რუმინელმა კულტურის მოღვაწეებმა ეპისკოპოს ანთიმოზ ივერიელის მეთაურობით, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო. თბილისში მაშინდელი ვლახეთიდან ჩამოვიდა უნგრელი ოსტატი მიხაი უნგროვლახელი (იშტვანოვიჩი), ჩამოიტანა სტამბის მოწყობილობა, მასალები და მისი ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად გამოიცა ქართული ბეჭდური წიგნები. აქ დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსნის" სტამბური გამოცემა. 1723 წელს სტამბა თურქებმა დაანგრიეს, შემდეგ ერეკლე მეორემ აღადგინა, მაგრამ, კვლავ დაინგრა. 1959 წელს, როდესაც აღინიშნა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის 250 წლისთავი, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც სტამბა არსებობდა, დაიდგა სამახსოვრო ობელისკი (არქიტექტორი ლერი კენჭოშვილი). 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის დროს მეფის სასახლე დაინგრა. დაინგრა აბანოც, რომელშიც საჭურისი აღა-მაჰმად-ხანი ჩავიდა განკურნების მიზნით და, რომ ვერაფერი ეშველა, სერიოზულად დააზიანა. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების მიერ ქალაქის აოხრების შემდეგ საქართველოს უკანასკნელმა მეფემ, გიორგი მეთორმეტემ მოედნის ჩრდილოეთით დროებით სადგომად უბრალო სასახლე ააშენა. მეფის სიკვდილის შემდეგ სასახლეს სხვა, კერძო პატრონები გამოუჩნდა, რომელთა დროს მისი ფასადი და შიდა სათავსები რამდენჯერმე გადაკეთდა. საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში განლაგებული იყო საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1809 წელს, მოედანზე გუბერნატორის სახლი ააგეს და ბატონის მოედანს გუბერნატორის მოედანი ეწოდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ამ ადგილას იყო სინოდის კანტორა და საქართველოს ეგზარქოსის რეზიდენცია და ახალი სახელწოდებაც აქედან მიიღო – ეგზარქოსის მოედანი. 1804 წელს ნახევრად დანგრეული მეფის აბანოში ფულის მოსაჭრელი შენობა (ზარაფხანა) და სასინჯი პალატა გახსნეს.

ერეკლე მეორის მოედანი ფორმით ოთხკუთხა იყო, ოთხივე მხრივ სავაჭრო დუქნები იდგა და ხალხმრავლობის გამო მას სალაყბოსაც ეძახდნენ. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ თბილისში პრესა გაჩნდებოდა, ქალაქში ინფორმაციის მთავარ გამავრცელებლად ეგრეთ წოდებული „რაამბავისტები" არსებობდნენ. ისინი ბატონის მოედანზე იყრიდნენ თავს და ქალაქის მოსახლეობას საინფორმაციო წყურვილს უკლავდნენ. ამავე მოედანზე გაიგო ქართულმა საზოგადოებამ ქვეყნის ანექსიის შესახებაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოედანს ავგუსტ ბებელის, უფრო გვიან კი – ერეკლე მეორის სახელი ეწოდა. 1956-1957 წლებში მოედანზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და დადგინდა 4 ფენა, რომელთაგან უძველესი მეხუთე საუკუნის პერიოდს მიეკუთვნება.

## საქართველოს საპატრიარქოს შენობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესი-



ხედი ერეკლეს მოედანზე (მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდი)

ის საპატრიარქოს შენობა ზემო კალის ისტორიულ უბანში, ერეკლე მეორის მოედანზე მდებარეობს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე საპატრიარქოს ადგილზე გუბერნატორის სახლი და ადმინისტრაციული დაწესებულება მდებარეობდა. 1848 წელს ეს ადგილი სასულიერო უწყებამ შეიძინა და შენობაში ეგზარქოსის სასახლე მოთავსდა. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების განმავლობაში ნაგებობამ არაერთხელ შეიცვალა ფუნქცია და არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა. საბჭოთა პერიოდში შენობაში მილიციის სამმართველო იყო, ხოლო 1990 წლიდან აქ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოა განთავსებული. მრავალგზის გადაკეთებული დიდი ზომის მონუმენტური შენობა რუსული კლასიცისტური სტილის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თბილისში. 1993 წელს საპატრიარქო მაღალი, ქვის გალავნით შემოზღუდეს. ამავე პერიოდში ეზოში გაშენდა ბაღი და ორანჟერეა.



საქართველოს ბოლო ეგზარქოსი – პლატონ როჟდენსტვენსკი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



წმიდა მამა ბრძანებს: „მორწმუნეთა გულგრილობა ბევრად საშინელია, ვიდრე ის ფაქტი, რომ საერთოდ ურწმუნოები არსებობენ“

**თანამედროვე ადამიანები ყოველდღიურად ვეძებთ ბედნიერებას და მცირე რაღაცაც კი გვანიჭებს ამ გრძნობას. თუმცა, როგორც სხვა გრძნობები, ბედნიერებაც ხშირად ხანმოკლეა და ძალიან მალე სრულდება. როგორ უნდა ვიპოვოთ ბედნიერება, როგორია ქრისტიანული შეხედულება სიცოცხლეზე, ბედნიერებაზე, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის ეგზავნება ადამიანს ღმერთისგან გაჭირვება, ნერვიულობა და რას მიჰყავს ის მარადიულ ტანჯვამდე

– თანამედროვე ადამიანები თითქმის არ ფიქრობენ სიცოცხლის ჭეშმარიტ მიზანზე. რის ვაივაგლახით მოიპოვებენ საკვებს, სამოსს, სხვა საჭირო საგნებს და ჰგონიათ, რომ სიცოცხლის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. მაშინ, როდესაც ეს არის მხოლოდ წვრილმანი საქმიანობა. ძალიან მცირენი თუ ფიქრობენ ღვთისგან ბოძებული სიცოცხლის მიზნის დანიშნულებაზე, ადამიანური ბედნიერების საიდუმლოზე და იცნობენ ქრისტიანულ შეხედულებებს მარადიულ სიცოცხლეზე. ყველა გონიერმა არსებამ იცის, რომ ამქვეყნად ყველაფერი რაღაცისთვის არსებობს: მიწა და წყალი – ყველა ცოცხალი არსებისთვის, ბალახნი და მცენარენი – ფრინველთა, მხეცთა და პირუტყვთათვის, ეს უკანასკნელნი – ადამიანებისთვის.

**– და რისთვის არსებობს ადამიანი, რა არის მისი ცხოვრების მიზანი, აზრი?**

– რა თქმა უნდა, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის. საღმრთო წერილის თანახმად, ადამიანი ღმერთისგან იმისთვის არის შექმნილი, რათა დედამიწაზე არსებობდეს ვინმე, ვინც გაიგებდა, შეაფასებდა და ადიდებდა ღმერთს, შემოქმედის სიბრძნეს; ვინც ამქვეყნიდან ზეცაში ამ ქების შემძლედ გადასახლდებოდა და იქ შევიდოდა წმიდა ანგელოზთა დასში მათ ურიცხვ ხატთა შესავსებად, ღმერთისგან იმ განდგომილ სულთა სანაცვლოდ, რომლებიც ანგელოზთა დასიდან განვიდნენ და ცნობილი არიან ბოროტ სულთა, დემონთა სახელით. ამიტომ, ჩვენი სიცოცხლის მიზანი ის არის, რომ ანგელოზებთან ერთობისთვის განვამზადოთ თავი, შევეჩვიოთ წინასწარ ზეციურ ანგელოზებრივ მოვალეობებს, რომელთაგან მთავარია ღმერთის დაუღალავი ქება-დიდება. ყოველმა ადამიანმა ყოველდღიურად უნდა ადევნოს თვალი, თუ რამდენად წარმატებულად მიდის ჩვენი სამზადისი ამ მიმართულებით. თანამედროვე ადამიანთა უმეტესობა ყურადღებასაც არ აქცევს იმას, თუ როგორ წარიმართება ჩვენი სიცოცხლის დღენი. ბევრმა მიაღწია სიბერეს, მაგრამ ცხონებისთვის, ღმერთთან მარადიული ცხოვრებისთვის, ცოტა ვინმე თუ ირჯება. რაც შეიძლება ხშირად უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რისთვის ვცხოვრობთ აქ, დედამიწაზე, შევესატყვისებით თუ არა ჩვენს ღვთაებრივ დანიშნულებას. ადამიანი ამქვეყნად ეძიებს ბედნიერებას და სიამეს, მაგრამ ვერ ჰპოვებს მყარ და მუდმივ ბედნიერებას. ამ ძიებაში კი აუმჯობესებს ცხოვრების ფორმებს, იძენს გამოცდილებას და იმ იმედით ცხოვრობს, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც მოიპოვებს ბედნიერებას.

**– და ეს ნამდვილად არის შესაძლებელი?**

– კაცობრიობის ისტორიის თანახმად, ეს მხოლოდ ფუჭი იმედებია. როცა ადამიანები განვითარებისა და სრულყოფილების უმაღლეს ხარისხს აღწევდნენ, იმავდროულად, ადამიანის ბუნებაში არსებული ბოროტება თავის მხრივ ვითარდებოდა მისთვის ჩვეული ძალით. ქვეყნიერება არ იძლევა მყარ ბედნიერებას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავად ძევს ბოროტებაში, შეაქვს ადამიანის ცხოვრებაში ტყუილი, სიძულვილი, თვითტკბობა – წყენით, მოტყუებით, სხვების შევიწროებით. ამიტომ, თესავს მტრობას ადამიანებს შორის და სინდისის შფოთვას პიროვნების სულში. ღმერთი იძლევა სიცოცხლის შემქმნელ საწყისებს. ის მოითხოვს სულის ბატონობას ხორცის ვნებებზე, მოითხოვს სიწმიდეს, სიმართლეს, სიყვარულს. მოკლედ, იმას, რასაც ჩვენ სიკეთეს ვუწოდებთ. სწორედ ეს სიკეთეა ღვთის მცნება, მარადი საწყისი ღვთაებრივი სიცოცხლისა, ადამიანის ბედნიერების წყარო. გასული საუკუნეები გვიჩვენებენ, რომ, როცა ადამიანები ცდილობდნენ განეხორციელებინათ ცხოვრებაში ღვთისგან სასურველი წესები, როცა სულიერი მოთხოვნილება ბატონობდა ხორციელზე, ღვთიური სიმართლე – ტყუილზე, უფლისა და მოყვასის სიყვარული – საკუთარი თავის სიყვარულზე, მაშინ კაცობრიობა მეტად უახლოვდებოდა ბედნიერებას, რომელსაც მუდამ ეძიებდა. თუ გვინდა ბედნიერები ვიყოთ, უპირველეს ყოვლისა, კეთილმორწმუნენი უნდა გავხდეთ. თუ საკუთარ თავში ასეთ სულს ზრდით, ნუ

**მორწმუნე ის კი არ არის, ვისაც ყოველივე სჯერა, არამედ ის, ვისაც სწამს ჭეშმარიტი ღმერთი**

გათელავთ კეთილმორწმუნეობას ბიწიერებით, განსაკუთრებით იმ დღეებში, როდესაც საჭიროა ღრმა თვითშემეცნება და გაძლიერებული ლოცვა უფლისადმი, ჩვენი ცოდვათა პატიებისა და წარმატებისთვის.

**– არ ეხმარება უფლის მადლი ბედნიერების მოპოვებაში?**

– ნეტარ ავგუსტინეს მოსაზრებით: ღმერთს, როგორც აბსოლუტურ სრულქმნილებას, შეუძლია, უნდოდეს მხოლოდ სიკეთე, რადგან ის არის ყველაფრის საწყისი და შემქმნელი. ამიტომ, მისგანვე მომდინარეობს ადამიანური სიწმიდე და სიკეთე – ის, რაც ღმერთს შეუძლია, სურდეს. მაშასადამე, ადამიანი უნდა იყოს სიკეთისადმი, ღვთაებრივისადმი მიმართული ღვთაებრივი განგების ძალით. სწორედ ეს „უნდა“ არის ის აუცილებლობა, რასაც ნამდვილი თავისუფლება შეიძლება, ეწოდოს. შესაბამისად, ადამიანის ნება მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა შერწყმულია ღვთის ნებასთან, მისით არის სავსე და თავის თავს მისით წარმართავს. ხსნა, ცხონება ერთეულ ადამიანებს ეძლევათ ღვთის დახმარებით და ეს დახმარება არის მადლი. ღვთიური მადლი ჯერ განაწყობს ადამიანს სინანულისკენ, შეინანებს, აღვიძებს ღვთაებრივი დახმარების საჭიროების ცნობიერებას და, ამ საფეხურზე არის მოსამზადებელი წინასწარი მადლი. მეორე საფეხურზე მადლი თავისი მოქმედებით ადამიანში აღვიძებს ქრისტეს სიყვარულს და ის ამით ურთიერთობას ამყარებს ქრისტესთან, მისი მეშვეობით კი მას ეპატიება ცოდვები და იძენს სიკეთის ძალას. ეს მოქმედი მადლია. მხოლოდ ახლა შეუძლია ადამიანს, თავისუფლად წარმართოს თავისი თავი სიკეთისკენ. ცხადია, ადამი ახლაც მოქმედებს ადამიანში. ამიტომ, მას სჭირდება დამხმარე მადლი, რომელიც ადამიანს აძლევს უნარს, ცოდვასთან განუწყვეტელ ბრძოლაში ყოველთვის იდგეს კეთილის მხარეს. ბოლოს, ადამიანი მთლიანად განიმსჭვალება ღვთაებრივი ნებით და მას აღარ შეუძლია, უნდოდეს რამე ისეთი, რაც არ უნდა უფალს – ეს არის ნამდვილი თავისუფლება, მარადიული სიცოცხლე და ნეტარება...

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხორციელი სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ ის წყვეტს ჩვენს მარადიულ ბედს, ანუ მომავალს. ყველაფერი, რასაც აქ, დედამიწაზე ვაკეთებთ, რისკენაც ჩვენი სურვილებით მივილტვით, რასაც მთელი გულით ვეკვრით, უკვალოდ კი არ დაიკარგება, არამედ საუკუნოდ დარჩება, განუყოფელ მონაპოვრად, ამასთან, ისეთ მონაპოვრად, რომელიც ჩვენს მარადიულ სიმშვიდესა და ნეტარებას, ან უსასრულო წამებასა და ტანჯვას განაპირობებს. მართალი გონება, სუფთა გული, სიკეთისკენ მიმართული ნება, მტკიცე რწმენა ღვთისა, იმედი მისი მადლმოსილებისა და მოწყალებისა, მარადიულ სიმშვიდესა და უსასრულო ნეტარებაში შეგვიყვანს. ბოროტება, სიძულვილი, ამპარტავება, ღვთის უარყოფა და ურწმუნოება კი, სიჯიუტისა და მოუნანიებლობის შემთხვევაში, მარადიულ ტანჯვამდე მიგვიყვანს. თუ ჩვენ ცხოვრებაში შევითვისებთ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მაშინ თავიდან ავირიდებთ სიბრძნით გამოგონილ ყველა მახინჯ შეხედულებას, არ ვიტყვით ცდუნებულ ადამიანებთან ერთად, რომ სიცოცხლე არის ბრძოლა არსებობისთვის. ეს ცრუ მოძღვრება ისეთ მხეცად აქცევს ადამიანებს, რომლებსაც სუსტებზე ძალადობა ახასიათებთ. ქრისტიანულ თვალსაზრისს სიცოცხლეზე ჩვენთვის ისეთი სიმშვიდე და სიწყნარე მოაქვს, როგორის მოცემაც არ ძალუძს ადამიანურ სიბრძნეს. ის გვარწმუნებს, რომ ყოვლისმპყრობელის ძალა სიკეთისკენ წარმართავს მისი ნების აღმსარებელი ადამიანის ყველა გზას და გამოასწორებს ბოროტებას, რომელიც ხდება ჩვენი უგუნურებისა და ურჩობის გამო, რომ ღვთის ნების გარეშე თმის ბეწვიც კი არ ჩამოგვივარდება; რომ ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი ღმერთის ხელთაა. ჭმუნვა, გაჭირვება, სიხარული, ბედნიერება ადამიანს უფლის ნებით ეგზავნება. მორწმუნე ადამიანი არ შფოთავს, უშფოთველად უყურებს ყველა ცხოვრებისეულ გასაჭირს და უკუღმართობას; სწამს, რომ ღმერთი ყველაფერს კეთილ დასასრულამდე მიიყვანს. რაც მთავარია, უნდა გვქონდეს სწორი სარწმუნოება, რწმენა, რადგან, როგორც ერთი წმიდა მამა ბრძანებს: „მორწმუნეთა გულგრილობა ბევრად საშინელია, ვიდრე ის ფაქტი, რომ საერთოდ ურწმუნოები არსებობენ... მორწმუნე ის კი არ არის, ვისაც ყოველივე სჯერა, არამედ ის, ვისაც სწამს ჭეშმარიტი ღმერთი. რწმენა განანათლებს, აკურთხებს, სულიწმიდის ღირსად ხდის ადამიანს... სადაც რწმენაა, იქ ძალაა, სადაც ურწმუნოებაა, იქ უძლურებაა. რწმენა სიკეთის სათავეა, რწმენა სიკეთის წყაროა...“

**ნათია უტიაშვილი**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

### მოძღვარი ეკლესიისა

თხრობა არის წმიდა მარკოზ ეგვიპტელზედ: რომ იგი 30 წელიწადს გამოუსვლელად ჩაკეტილი იჯდა თავის სენაკში, მასთან ხშირად მოდიოდა სოფლის მღვდელი წმიდა ზიარებით. ეშმაკმა გაივლო გულში, შეეცდინა წმიდა მოხუცი. მან შთააგონა ვიღაც ბნედიანს კაცს, წასულიყო წმიდა მარკოზთან, ვითომდა სალოცავად. იგიც მივიდა მოხუცთან და ეშმაკისავე შთაგონებით წამოიძახა:

– მამაო! შენი მოძღვარი ძლიერ ცოდვილი კაცია. აღუკრძალე შენთან სიარული!

წმიდა მარკოზმა მიუგო.

– შვილო, მაშინ, როდესაც ცუდ საქმეს და სიბილწეს ყველა თავიდგან იშორებს, შენ იგინი ჩემთან შემოგაქვსო. საღმრთო წერილში სწერია: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“. გინდა, დიდი ცოდვილიც იყოს იგი მოძღვარი, მაინც აცხოვნებს მას უფალი, რადგანაც ნათქვამია: „ულოცავდით ერთი ერთსა, რათა განიკურნეთ“.

შემდეგ ამისა, წმიდა მოხუცი შეევედრა ღმერთსა, განედევნა კაცისა მისგან ბოროტი სული და განკურნებული გაგზავნა.

ხოლო, როდესაც მოძღვარი ჩვეულებრივ მივიდა წმიდა მარკოზთან, მან იგი დიდის სიხარულით მიიღო, და ღმერთმა იხილა რა წმიდა მოხუცის მტკიცე სარწმუნოება და სულგრძელობა, მოუვლინა მას სასწაული: როდესაც მოძღვარი წარდგა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, მოხუცმა შენიშნა, რომ ციდან ჩამოვიდა ანგელოზი ღვთისა, დაადო მან ხელი მოძღვარს, რის შემდეგ იგი (მოძღვარი) გარდაიქცა ვითარმცა ცეცხლის ბოძად. წმიდა მარკოზი დიდად განცვიფრებული უცქეროდა ამ ჩვენებას. უცბად მოესმა ხმა:

–კაცო, რას გიკვირს ეგე?! თუკი ქვეყნიური მეფე უკრძალავს თავის ხელქვეითთ, ანუ მოსამსახურეთ, რომ უწმინდურნი და უსუფთაონი არ მივიდნენ მასთან, რამდენად უფრო აღუკრძალავს ამას ზეციური მეუფე? ნუთუ იგი არ განსწმენდს თავის მოსამსახურეთ, წარდგომილთ წინაშე მის წმიდისა ტრაპეზისა?

ამდენად, სრულებითაც არ უნდა შესცდებოდეთ იმით, თუ ვინიცობაა, ჩვენს მღვდელს აქვს რაიმე კაცობრიული სისუსტე და ზნე-ცოდვები, კიდევ რომ იყვნენ იგინი მეტად დიდნი. მხოლოდ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც წესია. ჩვენი საქმე არ არის, თუ რამდენად ცოდვილია მღვდელი. იგი თავის ცოდვებისთვის თვითონვე აგებს პასუხს ღვთის წინაშე. მას არ უჭირს თქვენი სამართალი და განსჯა, იგი თვითონ წარსდგება თავის მოსამართლესთან. ხოლო ერთი არ უნდა ვჰქმნათ: ნუ მივბაძავთ მის ცხოვრებას, თუ დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ იგი უწმიდურია და გარყვნილი. გარნა მტკიცედ აღვასრულოთ ყველა ის, რასაც კი გვიბრძანებს და რასაც დაგვარიგებს; რადგანაც არასოდეს იგი ცუდ საქმეზე არ დაგვაყენებს, რაც უნდა ცოდვილი კაცი იყოს (უკეთუ იგი არ არის მწვალებელი). წმიდა ტიხონ ზადონელი ამბობს: „შენ არ მისცემ ღვთის წინაშე პასუხს იმაზედ, რომ მოძღვარი ცუდათა სცხოვრობს და არ ასრულებს, რასაც სხვას ასწავლის. რა შენი საქმეა, თუ იგი ცუდათა ცხოვრობს? შენ უყურე და აღასრულე მხოლოდ ის, რასაც იგი გასწავლის, როგორც დაგარიგებს, ხოლო მის ცხოვრებას კი არ მიჰბაძო“.

**„მწყემსი“, 1896 წელი. №9.**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ჩემი შვილიშვილი უკვე 2 წლის ხდება და ჯერ არ არის მონათლული. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩემს სიძესა და მის მშობლებს სურთ, ნათლობის აღსანიშნავად, დიდი სუფრის გადახდა, რისთვისაც ვერ მოიცალეს. შეიძლება თუ არა, მე თვითონ წავიყვანო ბავშვი ეკლესიაში და მოვანათვლინო?**

**პასუხი**: სასურველია, ეს მოიმოქმედოთ ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით. სიძესა და მის მშობლებს აუხსენით, რომ ნათლობის სუფრა არც მთავარია და არც აუცილებელი. მთავარი ისაა, ბავშვს ჰყავდეს მფარველი ანგელოზი და დაცული იყოს მის მიერ, რაც ნათლობის საიდუმლოს აღსრულების შემდეგ მოხდება.

**კითხვა: ბაბუაჩემმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ შოკიდან დღემდე ვერ გამოვდივართ ოჯახის წევრები. გადადის თუ არა ეს ცოდვა მის შთამომავლებზე?**

**პასუხი**: ეს ცოდვა შთამომავლებზე არ გადადის, მაგრამ, თქვენი სულის ცხონებისთვის აუცილებელია, იცხოვროთ ქრისტიანულად: ლოცვით, მარხვით, სიწმიდითა და ზიარებით.

**კითხვა: ხალხური გადმოცემით, თუკი ძირს დაგდებულ პურის ნატეხს ვნახავთ, უნდა ავიღოთ და ვემთხვიოთ მას. როგორ უყურებს ამ ტრადიციას მართლმადიდებლობა?**

**პასუხი**: პურის მიმართ კრძალვით დამოკიდებულება განმტკიცებულია ლიტურგიაზე აღსრულებული საიდუმლოთი. როდესაც ლოცვის შედეგად ის გარდაიქმნება ქრისტეს პატიოსან ხორცად. პური, ისევე, როგორც ღვინო, ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლოს დიდი სიწმინდეა. ამდენად, ხალხური რწმენა სავსებით შეესატყვისება ეკლესიის დამოკიდებულებას.



**კითხვა: როდესაც რამე საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი და ახლოს არ გვყავს მოძღვარი, როგორ გავიგოთ, რომელი გზაა ღვთისთვის სასურველი?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში, რჩევა ჰკითხეთ გამოცდილ, მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც ობიექტურად, გარედან შეხედავენ თქვენს პრობლემებს და უფლისთვის მოსაწონ გზას გიჩვენებენ.

# მამათა შეგონებანი

**ზოსიმე პალესტინელი**: ბედნიერია ის სული, რომელმაც თავისი თავი შეამზადა ღვთიური ნიჭის მისაღებად, ასეთს არასდროს ტოვებს უფალი და მარად ეხმარება და იფარავს იმ საქმეშიც კი, რისთვისაც თავისი უმეცრების გამო არ ევედრებოდა უფალს. კარგად თქვა ბრძენმა, რომ ღმერთი მარადის მფარველობს და ხელს აფარებს თავის მოშიშთ. ბევრჯერ აღიძრა საული ნეტარი დავითის მოსაკლავად, რა არ ილონა, რა ხრიკებს არ მიმართა, მაგრამ დავითი მას არას ვნებდა და ინდობდა, რადგანაც არ იყო მის სულში გესლი უკეთურებისა.

**იოანე ოქროპირი**: გონება და გული სულიერ სფეროს მიეკუთვნება. ამიტომ გულისა და გონების მიერ გარედან მიღებული აზრებისა და შეგრძნებების აღქმას სულიერი ხედვა ეწოდება. მაგრამ ჩვენი სულიერი თვალიც ბრმა არის. ეს სიბრმავე არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გარედან მოსული აზრებისა და შეგრძნებების გააზრება და განცდა. ჩვენი სულიერი ხედვა შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც აზრების, განცდებისა და ზრახვების შეფასებისა და სწორად განმარტების უნარი. სახელდობრ, ამ უნარს ჩვენ არ ვფლობთ. ჩვეულებრივი მხედველობის ანალოგიურად, ჩვენ თითქოს რაღაც ლაქებს ვხედავთ, მათი მოხაზულობის გარჩევისა და არსის გაგების უნარი კი არ შეგვწევს.

**პაისი მთაწმინდელი**: ადამიანთა ტანჯვას დასასრული არა აქვს. საყოველთაო ხრწნილება სუფევს მთელს ოჯახებში, მოზრდილებში, ბავშვებში. ყოველდღიურად ჩემი გული სისხლით ივსება. სახლების უმრავლესობა განხეთქილებით, არეულობით, შფოთითაა სავსე. მხოლოდ იმ სახლებში, სადაც ღვთის ნებით ცხოვრობენ ადამიანები, გრძნობენ თავს მშვიდად. სხვაგან კი – აქ გაყრა, იქ – გაკოტრება, სადღაც ავადმყოფობა, სადღაც უბედური შემთხვევები, ზოგი წამალს ეძალა... საცოდავები! ზოგს – მეტად, ზოგს – ნაკლებად, მაგრამ ყველას ტკივილი აწუხებს. განსაკუთრებით – დღეს. სამუშაო არ არის, ვალებია, ტანჯვაა, ბანკები ადამიანებს უკანასკნელ კაპიკებს სწოვენ, სახლებიდან ასახლებენ, ტანჯვაწამების მთელი გროვაა. და ეს არა მხოლოდ ერთ-ორ დღეს! თუკი ასეთ ოჯახში ერთი ან ორი ჯანმრთელი ბავშვი არსებობს, ყოველივე ამისგან ისინიც ავადდებიან. ამგვარ ოჯახში მცხოვრებ ადამიანებს მხოლოდ ერთი დღითაც რომ შეეძლოთ მონაზვნური უზრუნველყოფა მოიპოვონ, ეს მათთვის ყველაზე საუკეთესო სულიერი შვება იქნებოდა.

**ბერი ანთიმოზი**: რას აკეთებს ის ადამიანი, ვისაც სახე და ხელები ჭუჭყიანი აქვს; ონკანს მოუშვებს და ხელპირს დაიბანს. მივბაძოთ მას. გავაღოთ ერთი კი არა, ორი ონკანი, ესე იგი, ჩვენი თვალები, რათა უხვად დაიღვაროს მონანიების ცრემლი, რომელიც ამაო წუთისოფელს ყველა ჭუჭყს, რითაც ჩვენი წყეული სულია გაბინძურებული, ჩამორეცხავს. მხოლოდ მონანიების ცრემლს ძალუძს სულის განწმენდა.

# რამდენი ტიტული აქვს მოგებული „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს

*„მანჩესტერ იუნაიტედის" მესაჭის, ალექს ფერგიუსონის პენსიაზე გასვლის გადაწყვეტილებამ მსოფლიო ფეხბურთის მოყვარულები შოკში ჩააგდო. კარიერის დასრულება გადაწყვიტა ადამიანმა, რომელიც 26 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მანჩესტერულ გრანდს და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი ტიტულის მოგება მოახერხა. დღევანდელ რუბრიკაში გაგაცნობთ მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელთა ტოპ-ათეულს, რომელსაც სათავეში ლეგენდარული სერ ალექს ფერგიუსონი უდგას.*

**ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია)**
**– 47 ტიტული**

„მანჩესტერ იუნაიტედი" – ინგლისის ჩემპიონობა: 13; ინგლისის სუპერთასი: 10; ინგლისის თასი: 5; ლიგის თასი: 4; ჩემპიონთა ლიგა: 2; თასების თასი: 1; უეფას სუპერთასი: 1; საკონტინენტთაშორისო თასი: 1; მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი: 1.



„აბერდინი" – შოტლანდიის ჩემპიონობა: 3; შოტლანდიის თასი: 3; თასების თასი: 1; უეფას სუპერთასი: 1; ლიგის თასი: 1.

თავის ბოლო სეზონში ალექს ფერგიუსონმა მეოცედ მოაგებინა „მანჩესტერ იუნაიტედს" ინგლისის ჩემპიონატი და აქედან ცამეტჯერ თვითონ იყო მწვრთნელი. თუმცა, შესაძლოა, ასე არც მომხდარიყო, რადგან 1990 წელს ფერგიუსონს მოხსნასაც კი უპირებდნენ. 1999 წლის სეზონში ფერგიუსონმა პირველად მოიგო ჩემპიონთა ლიგა და მალევე განაცხადა, რომ პენსიაზე წასვლას აპირებდა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება მან შემდგომ 13-ჯერ გადადო და მხოლოდ ამ სეზონის დასრულებისას გადაწყვიტა კლუბიდან საბოლოოდ წასვლა, რომელსაც მომავალი სეზონიდან დევიდ მოიესი გაწვრთნის.

**უილიამ მეილი (შოტლანდია)**
**– 30 ტიტული**

„სელტიკი" – შოტლანდიის ჩემპიონობა: 16; შოტლანდიის თასი: 14.

„სელტიკის" პირველ ლეგენდარულ მწვრთნელს მუშაობის ორიგინალური მანერა ჰქონდა, ის არ ესწრებოდა ყოველდღიურ ვარჯიშებს და თამაშის წინ ხანდახან არანაირ წინასწარ მონახაზს არ აკეთებდა. შესვენების დროს ის ლოჟიდან ჩადიოდა გასახდელში, ჩუმად იჯდა და თამაშის შემდეგ ფეხბურთელებს საგაზეთო სტატიების წაკითხვას აიძულებდა. მეილიმ 43 წელი იმუშავა „სელტიკის" მწვრთნელად და ყველაზე ტიტულოვანი და წარმატებული მწვრთნელი გახლდათ კლუბის არსებობის ისტორიაში.

**უილიამ სტრატი (შოტლანდია)**
**– 30 ტიტული**

„რეინჯერსი" – შოტლანდიის ჩემპიონობა: 18; შოტლანდიის თასი: 10; ლიგის თასი: 2.

მეილისგან განსხვავებით, სტრატი ნოვატორი და პროფესიული მიდგომის მომხრე გახლდათ. ის პირადად ადგენდა ვარჯიშის განრიგს თითოეული ფეხბურთელისთვის, მათი ანთროპომეტრიისა და პოზიციის გათვალისწინებით. სტრატი ნამდვილი ფსიქოლოგი იყო, რომელმაც „რეინჯერსის" ფეხბურთელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბა. მეილისა და სტრატის დაპირისპირება საფეხბურთო მოედანზე ნამდვილი შოუ იყო.

**ვალერი ლობანოვსკი (უკრაინა)**
**– 28 ტიტული**

„დინამო კიევი" – სსრკ-ის ჩემპიონობა: 8; სსრკ-ის თასი: 6; უკრაინის ჩემპიონობა: 5; უკრაინის თასი: 3; სეზონის თასი: 3; თასების თასი: 2; უეფას სუპერთასი: 1.



ვალერი ლობანოვსკი საბჭოთა და უკრაინული ფეხბურთის ლეგენდა და ყველა დროის საუკეთესო საბჭოელი მწვრთნელია, რომელმაც შექმნა ლეგენდარული კიევის „დინამოს" საფირმო ხელწერა. ლობანოვსკიზე, როგორც მწვრთნელზე საუბარი ურთულესია, რადგან მისი შეფასება რამდენიმე წინადადებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

**ჯოკ სტეინი (შოტლანდია)**
**– 26 ტიტული**

„სელტიკი" – შოტლანდიის ჩემპიონობა: 10; შოტლანდიის თასი: 8; ლიგის თასი: 6; ჩემპიონთა თასი: 1.

„დანფერმლაინი" – შოტლანდიის თასი: 1.

პირველი ბრიტანელი მწვრთნელი, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოიგო და არაოფიციალური ვერსიით, ალექს ფერგიუსონის მასწავლებელი გახლდათ. ჯოკ სტეინი 2003 წელს ყველა დროის საუკეთესო შოტლანდიელ მწვრთნელად დასახელდა. გარდა ამისა, მის სახელს ატარებს „სელტიკ პარკის" ერთ-ერთი ტრიბუნა.

**ოტმარ ჰიტცფელდი (გერმანია)**
**– 23 ტიტული**

„ბაიერნი" – გერმანიის ჩემპიონობა: 5; გერმანიის თასი: 3; ლიგის თასი: 4; ჩემპიონთა ლიგა: 1; საკონტინენტთაშორისო თასი: 1.

„დორტმუნდი" – გერმანიის ჩემპიონობა: 2; გერმანიის სუპერთასი: 2; ჩემპიონთა ლიგა: 1.



„გრასჰოპერსი" – შვეიცარიის ჩემპიონობა; შვეიცარიის თასი: 2; შვეიცარიის სუპერთასი: 1.

„არაუ" – შვეიცარიის თასი: 1.

ოტმარ ჰიტცფელდი განსაკუთრებული მოვლენაა გერმანულ ფეხბურთში – ყველაზე ტიტულოვანი გერმანელი მწვრთნელი, რომელმაც ორ გერმანულ კლუბთან ერთად, მოახერხა, მოეგო ყველაზე პრესტიჟული ევროპული თასი – ჩემპიონთა ლიგა.

**მირჩა ლუჩესკუ (რუმინეთი)**
**– 25 ტიტული**

„შახტარი" – უკრაინის ჩემპიონობა: 7; უკრაინის თასი: 4; უკრაინის სუპერთასი: 4; უეფას თასი: 1.

„ბეშიქთაში" – თურქეთის ჩემპიონობა: 1.

„გალათასარაი" – უეფას სუპერთასი: 1; თურქეთის ჩემპიონობა: 1.

„რაპიდი" ბუქარესტი – რუმინეთის ჩემპიონობა: 1; რუმინეთის სუპერთასი: 1; რუმინეთის თასი: 1.

„დინამო" ბუქარესტი – რუმინეთის ჩემპიონობა: 1; რუმინეთის თასი: 2.

თავისი რიგით 25-ე ტიტული მირჩა ლუჩესკუმ რამდენიმე კვირის წინ მოიპოვა დონეცკის „შახტართან" ერთად. დიდი ხანია, ლუჩესკუ საკულტო ფიგურად იქცა უკრაინულ ფეხბურთში და თუ ამ ტემპში გააგრძელებს მუშაობას, ახლო იქნება ის დრო, როცა ვალერი ლობანოვსკის გადაასწრებს მოგებული ტიტულების რაოდენობით.

**ჯოვანი ტრაპატონი (იტალია)**
**– 22 ტიტული**

„იუვენტუსი" – იტალიის ჩემპიონობა: 7; იტალიის თასი: 2; უეფას თასი: 2; ჩემპიონთა თასი: 1; თასების თასი: 1; საკონტინენტთაშორისო თასი: 1; უეფას სუპერთასი: 1.

„ინტერი" – იტალიის ჩემპიონობა: 1; იტალიის სუპერთასი: 1; უეფას თასი: 1.

„ბაიერნი" – გერმანიის ჩემპიონობა: 1; გერმანიის თასი: 1. ლიგის თასი: 1.

„ბენფიკა" – პორტუგალიის ჩემპიონობა: 1.

„რედ ბული" – ავსტრიის ჩემპიონობა: 1.



დონ ტრაპი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც მოახერხა, ყველა არსებულ თასზე ევროპული კლუბებით მოეპოვებინა გამარჯვება. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ის ოთხი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მფლობელია, რაც მანამდე მხოლოდ ერნსტ ჰაპელსა და ჟოზე მოურინიოს მოუხერხებიათ.

**ნილს არნე ეგენი (ნორვეგია)**
**– 22 ტიტული**

„რუსენბორგი" – ნორვეგიის ჩემპიონობა: 14; ნორვეგიის თასი: 6; ნორვეგიის სუპერთასი: 1.

„მოსი" – ნორვეგიის ჩემპიონობა: 1.

ეგენი ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ნორვეგიელი მწვრთნელია, რომელიც 1971 წლიდან, პერიოდულად „რუსენბორგთან" ერთად, აგროვებდა ტიტულებს. ეგენი ნორვეგიულ ფეხბურთში უნიკალური მოვლენის ავტორია – მისმა გაწვრთნილმა „მოსმა" პირველ დივიზიონში სადებიუტო წელს ჩემპიონობა მოიპოვა.

**უოლტერ სმიტი (შოტლანდია)**
**– 21 ტიტული**

„რეინჯერსი" – შოტლანდიის ჩემპიონობა: 10; შოტლანდიის თასი: 5; ლიგის თასი: 6.

კიდევ ერთი შოტლანდიელი მწვრთნელი ამ რეიტინგში, რომელმაც „რეინჯერსთან" ერთად, ზედიზედ შვიდჯერ იზეიმა ჩემპიონობა. სამწუხაროდ, ევროპული თასის მოგება სმიტისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, ყველაზე ახლოს ის უეფას თასის მოგებასთან 2008 წელს იყო. თუმცა, ფინალურ მატჩში „ზენიტთან" დამარცხდა. გარკვეული პერიოდი სმიტი შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი და „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონის თანაშემწეც კი გახლდათ.

## მეგოლფე შევჩენკო



საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ უკრაინელმა სუპერვარსკვლავმა ანდრეი შევჩენკომ პოლიტიკაში სცადა ბედი, თუმცა, წარუმატებლად და ამჟამად, ძალების მოსინჯვა გოლფში გადაწყვიტა. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე მას არცთუ ცუდად გამოსდის. ანდრეიმ ინგლისის „ქუინვუდ გოლფ კლუბის" ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. აღნიშნული გოლფის კლუბი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ნისლიან ალბიონზე და მისი წევრი სულ 300-მდე გოლფის მოყვარულია. გოლფის თამაშით შევჩენკო ჯერ კიდევ აქტიური სპორტული კარიერის პერიოდში დაინტერესდა და ამჟამად დღეში 3-4 საათს უთმობს სპორტის ამ სახეობას. უკრაინაში ვარაუდობენ, რომ 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე შევჩენკომ უკრაინა შესაძლოა, გოლფის სახეობაში წარადგინოს, როგორც პროფესიონალმა მეგოლფემ.

## მსოფლიო ჩემპიონი ტოპ-მოდელი

ვენესუელელი მოდელი, ტელეწამყვანი და მსახიობი – ოგლეიდის სუარესი ქალებს შორის პროფესიულ კრივში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში. აღნიშნული ტიტული ლამაზმანმა მოქმედი ჩემპიონის, კორეელი ჰიუნ მი ჩოის სხვა წონით კატეგორიაში გადასვლის გამო მიიღო. 25 წლის სუარესი 2006 წლიდან პროფესიულ რინგზე მართავს შეხვედრებს და მის ანგარიშზე 21 ბრძოლაა, მათ შორის 18 ნოკაუტით მოგებული. კრივის გარდა, ოგლეიდისი აქტიურად არის ჩართული სამოდელო ბიზნესში და არც გულახდილ ფოტოსესიებზე ამბობს უარს.

## მოძალადე მარადონა

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ახალ სკანდალში გაეხვია, რომელიც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჟურნალისტებს უკავშირდება. არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან მშობლიურ ბუენოს-აირესში ახალდაბადებული შვილის, დიეგო ფერნანდოს სანახავად ჩასულ „ფეხბურთის ღმერთს" აეროპორტში უამრავი ადამიანი დახვდა. თაყვანისმცემლებისა და ჟურნალისტების არმია, მარადონას აეროპორტიდან მის სახლამდე გაჰყვა. ჟურნალისტების ყურადღებისგან შეწუხებულმა დიეგომ ავტომობილი გააჩერა და ჟურნალისტების კორტეჟს ქვების სროლა დაუწყო, ერთ-ერთ მათგანს კი პანღურიც ამოსცხო. დაზარალებული ჟურნალისტები მარადონასგან მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ.

## მექრთამე ეკლსტოუნი



„ფორმულა ერთის" ბრიტანელ მეპატრონეს, მილიარდერ ბერნი ეკლსტოუნს გერმანულმა პროკურატურამ ქრთამის მიცემაში წაუყენა ბრალი. ეკლსტოუნი ბრალდებულია ყოფილი გერმანელი ბანკირისთვის გერჰარდ გრიბკოვსკისთვის ქრთამის მიცემაში, რომელსაც აღნიშნულ მომენტში სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. ფაქტი 2006 წელს მოხდა და „ფორმულა ერთის" რბოლების ტრანსლირების გაყიდვის უფლებას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ გრიბკოვსკის უკვე დაუმტკიცდა ქრთამის აღების ფაქტი და ამჟამად გამოძიება ეკლსტოუნის პერსონით დაინტერესდა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბერნის პატიმრობა და „ფორმულა ერთის" საქმიანობიდან ჩამოშორება ემუქრება.

## ფედერერი – ჩოგბურთელ გეებზე

ჩოგბურთის შვეიცარიელი ვარსკვლავი – როჯერ ფედერერი გამოეხმაურა კალათბურთელ ჯეისონ კოლინზს, რომელმაც აღიარა, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა. ფედერერმა განაცხადა, რომ ჩოგბურთის სამყარო ნორმალურად შეხვდება იმ ფაქტს, თუკი რომელიმე ჩოგბურთელი აღიარებს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას. „არა მგონია, ეს პრობლემა იყოს. ჩოგბურთი ინდივიდუალური სპორტის სახეობაა და ნაკლებად ვიცნობთ ერთმანეთის პირად ცხოვრებას, თუმცა გეი ჩოგბურთელი, პირადად მე, არ შემხვედრია" – განაცხადა ფედერერმა. ფედერერის აზრით, თუკი რომელიმე სპორტსმენი გაბედავს აღიაროს, რომ გეია, ეს ფაქტი საზოგადოებამ ნორმალურად უნდა აღიქვას.

## ფიტნესის ამერიკელი დედოფალი



„მაიამი ჰითის" სექსუალურმა ქომაგმა, ფიტნესის ამერიკელმა დედოფალმა, ჯენიფერ ნიკოლ ლიმ ორიგინალურად აღნიშნა საყვარელი გუნდის გამარჯვება NBA-ს პლეი-ოფში და მაიამის სანაპიროზე პლაჟზე შეკრებილი დამსვენებლებისთვის ექსპრომტად სტრიპტიზი იცეკვა. ფიტნესის სექს-ბომბა ჯენიფერ ნიკოლ ლი ამერიკაში განთქმულია კონკურსით „მის სველი მაისური", სადაც ის გულახდილ სამოსში წყლით გაწუწული პოზირებს ფოტოკამერების წინაშე.

## „ოქროს" ავტომობილი უსეინ ბოლტს

მსოფლიო რეკორდსმენმა ასმეტრიან დისტანციაზე სირბილში, ანუ მსოფლიოს ყველაზე სწრაფმა ადამიანმა – იამაიკელმა უსეინ ბოლტმა ახალი საჩუქარი მიიღო – „ოქროსფერი" სპორტული ავტომობილი „ნისანი", რომელიც სპეციალურად ბოლტისთვის დამზადდა. ავტომობილი ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში იყო მზად, თუმცა ჩუქება, მხოლოდ ახლა მოხერხდა. „ნისანის" წარმომადგენელმა უსეინ ბოლტს ავტომობილი სახლში, იამაიკაზე ჩაუყვანა.

## სნუკერის მეფე – ო'სალივანი

სნუკერის პროფესიონალი მოთამაშე, ბრიტანელი რონი ო'სალივანი მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული. „სნუკერის მეფედ" წოდებულმა ო'სალივანმა ფინალურ შეხვედრაში თანამემამულე – ბარი ჰოკინსი დაამარცხა. მანამდე ო'სალივანი – 2001, 2004, 2008 და 2012 წლებში გამხდარა ჩემპიონი და ეს მისი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა. ექსპერტების აზრით, ო'სალივანი ოცდამეერთე საუკუნის საუკეთესო სნუკერისტია, რომლის მეტსახელია „რაკეტა". ცნობისთვის, 1992 წელს რონის მამას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა მკვლელობის გამო. თუმცა, 2010 წელს იგი გაათავისუფლეს. 1995 წელს კი დაპატიმრებული იყო სალივანის დედაც, რომელსაც ბრალად გადასახადების გადახდისგან თავის არიდება ედებოდა.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ახალი ხილი და ბოსტნეული ღვიძლის გამწმენდია

ღვიძლის უჯრედებში შეუწყვეტლივ მიმდინარეობს ბევრი ქიმიური რეაქცია, მაგალითად, ალკოჰოლის გადამუშავება, ტოქსინების გამოდევნა, გლუკოზის მარაგის შექმნა და მისი გაცემა, ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების წარმოქმნა და ცვლა, ნაღვლის გადამუშავება...

ღვიძლის უჯრედებს შესწევს აღდგენის უნარი, მაგრამ ეს გარკვეულ ზღვრამდე შეუძლია. ალკოჰოლმა, ზოგიერთმა წამალმა, ვირუსებმა, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ღვიძლს, რაც მაშინვე აისახება მთელ ორგანიზმზე. ამ დროს იცვლება სახის ფერი, ირღვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობა, პირის ღრუში ჩნდება უსიამოვნო სუნი. ამ დროს სასწრაფოდ უნდა ჩაიტაროთ სისხლის ბიოლოგიური ანალიზი და ულტრაბგერითი გამოკვლევა. ასევე, აუცილებელია ანალიზი ჰეპატიტის ვირუსზე, რომელიც შვიდი სახისაა. მათგან A და B ჰეპატიტით დასნებოვნება დაკავშირებულია წყალთან და ჰაერთან, ასევე, საკვებთან. დანარჩენი 5 ვირუსი კი, ორგანიზმში სისხლით ხვდება.

ღვიძლის დაუძინებელი მტერია ალკოჰოლი. სპირტი გადამუშავდება ღვიძლის უჯრედებით. მაგრამ, თუ ალკოჰოლს დიდი რაოდენობით მიიღებთ, ღვიძლში ირღვევა ცვლის პროცესი, უჯრედები კვდება და ვითარდება ციროზი. ამიტომ, ეცადეთ, არ გადატვირთოთ ღვიძლი ალკოჰოლით. ასევე, არ ჭამოთ ცხიმიანი, შემწვარი, მწარე და შებოლილი პროდუქტები დიდი რაოდენობით.

ახალი ხილი და ბოსტნეული ღვიძლის გამწმენდია. ასევე, კარგია მარცვლეულის ქატო. ეს ყველაფერი შეიცავს ბევრ უჯრედისს და პექტინურ ნივთიერებას. ისინი ორგანიზმიდან გამოდევნიან მძიმე ლითონებსა და ტოქსინებს. ღვიძლისთვის კარგია ვიტამინები ნატურალური სახითაც, ზეთებიდან კი სიმინდის, ზეითუნისა და მზესუმზირის ზეთი.

## რა იწვევს ეპილეფსიის განვითარებას და როგორ ავიცილოთ თავიდან ის

ეპილეფსია, როგორც დაავადება, მაშინ განიხილება, როდესაც ყოველგვარი გამღიზიანებლის გარეშე, თავისთავად აღმოცენდება გულყრები. ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც განმეორებადი ეპილეფსიური კრუნჩხვითი ან არაკრუნჩხვითი გულყრით ვლინდება. მისი რისკ-ფაქტორია ნებისმიერი მოვლენა. ძლიერი კრუნჩხვა იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ ადამიანს ეს გენეტიკურად აქვს შეძენილი. უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია ძილის დარღვევა, ემოციური სტრესი, ფიზიკური გადაღლა, ჭარბი განათება.

ეპილეფსიური კრუნჩხვების განვითარებას ასევე, ხელს უწყობს ინფექციური დაავადებები, მაღალი ტემპერატურა, ენდოკრინული დაავადებები, კვებითი ინტოქსიკაციები, ნარკომანია, ზოგიერთი მედიკამენტი, ალკოჰოლი და ასე შემდეგ. ზოგჯერ დაავადება მექანიკურად ვითარდება, მაგალითად, ტვინის ქსოვილის სიმსივნის, ტრავმის, ორგანიზმში პარაზიტების არსებობის გამო. განსაკუთრებით კი, სამშობიარო ტრავმის შემდეგ. მშობიარობის დროს თუ ბავშვი დიდხანს დაყოვნდა, შესაძლოა, მას თავის ტვინის სტრუქტურების ზოგიერთი უბანი დაუზიანდეს. დაავადება ძირითადად, ბავშვთა ასაკში ვლინდება. შემდეგი პიკია სქესობრივი მომწიფების პერიოდში, ბოლოს კი, როცა ორმოცი წლის ასაკს გადასცილდება.

ეპილეფსიური გულყრა მცირე გამოვლინებით მიმდინარეობს. გამოვლინების სახე კი იმაზეა დამოკიდებული, ტვინის რა უბანია აღგზნებული.

დაავადება ყველა ასაკში ერთნაირად ვლინდება. შეტევისას არ არის საჭირო, კრიჭის გახსნა, ცემა, შემოლაწუნება და ასე შემდეგ. კრუნჩხვის დროს ადამიანი გვერდზე უნდა გადააბრუნოთ, რომ ნერწყვი არ გადასცდეს. ეპილეფსიური კრუნჩხვა დაახლოებით წუთ-ნახევარს გრძელდება. უფრო მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში, საქმე ისტერიკულ და სხვა გულყრასთან გვაქვს. ამას ფებრალური გულყრა ეწოდება. ფებრალური გულყრა ბავშვს მაღალი ტემპერატურის დროს უვითარდება და შესაძლოა, 15-20 წუთსაც კი გაგრძელდეს. ამ დროს ის ხელში უნდა აიყვანოთ, ჩაიხუტოთ ზურგით და დააკვირდეთ კრუნჩხვის ხანგრძლივობას. ფებრალური გულყრის თავიდან ასაცილებლად, ბავშვის ტემპერატურა 38,5 გრადუსს არ უნდა ასცილდეს. ხუთი ფებრალური გულყრა კი უკვე ეპილეფსიის რისკ-ფაქტორია.

ეპილეფსიის შეტევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, ცხოვრების რიტმის შეცვლა, მაქსიმალური ინტელექტუალური დატვირთვა, ძილის რეჟიმის დაცვა, სუფთა ჰაერზე სეირნობა და ასე შემდეგ.

## ადამიანის ორგანიზმის იმუნიტეტს იოდი იცავს

ადამიანის ორგანიზმისა და ბიოველის თავდაცვის უნარის შესანარჩუნებლად მეტად მნიშვნელოვანია იოდი. ეს აქტიური ფსიქო-ბიოენერგეტიკული ელემენტი მთავარ როლს ასრულებს ადამიანის იმუნიტეტისა და თავდაცვის უნივერსალურ მექანიზმში ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების, კერძოდ, რადიაციის, შხამქიმიკატების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ფარისებრი ჯირკვალი, ანუ, ეგრეთ წოდებული, ჯანმრთელობის ჰორმონი – თიროქსინი, დაახლოებით 65 პროცენტი იოდისგან შედგება. ის აძლიერებს ბიოველსა და ქსოვილების წინააღმდეგობას, უჯრედებისა და ქსოვილების უნარს, რომ გათავისუფლდეს მავნე ნივთიერებებისგან. აგრეთვე, არეგულირებს სუნთქვის ინტენსიობასა და ფსიქოენერგეტიკას. ფარისებრი ჯირკვლის მეშვეობით, დაახლოებით 15-17 წუთის განმავლობაში, ძარღვებში მიმოიქცევა ადამიანის ორგანიზმში არსებული მთელი სისხლი. ამავე დროს, იოდი, რომელსაც გამოიმუშავებს ფარისებრი ჯირკვალი, სპობს ორგანიზმში მოხვედრილ დასუსტებულ მიკრობებს, ძლიერ მიკრობებს კი ასუსტებს.

ასაკის მატებასთან ერთად, როდესაც იზრდება სხვადასხვა დაავადებათა რისკი, შესაბამისად, ზომაში უნდა მოიმატოს ფარისებრმა ჯირკვალმაც, რომელიც გამოიმუშავებს იმუნიტეტსა და ჯანმრთელობის, გონებისა და სხეულის სიმხნევის, სილამაზისა და გაახალგაზრდავებისთვის აუცილებელი ჰორმონია.

ფარისებრი ჯირკვალი, როცა მას იოდი აკლია, არ იზრდება ფსიქო-ფიზიკური და ბიოენერგეტიკული მოთხოვნილების შესაბამისად, ამიტომ, აუცილებელია, მიირთვათ ის პროდუქტები, რომლებიც იოდით არის მდიდარი.

## ოხრახუშისა და უმი კარტოფილის წვენი ძალიან სასარგებლოა

ოხრახუშის წვენი აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ჟანგბადოვანი ცვლისთვის, თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მასში შემავალი მიკროელემენტების თანაფა-

რდობა ხელს უწყობს სისხლძარღვებისა და კაპილარების გაძლიერებას. მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ ოხრახუშის წვენი საკმაოდ ძლიერმოქმედია. ამიტომ, არასდროს დალიოთ 25-30 გრამზე მეტი. უმჯობესია, თუ მას შეურევთ სტაფილოს, მწვანე სალათის, ნიახურის ან ისპანახის წვენს.

ოხრახუშის წვენი წამალია შარდსასქესო, ნაღვლის ბუშტში ქვების დაგროვების, ნეფრიტისა და თირკმელების სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მას, ასევე, იყენებდნენ წყალმანკისა და თვალის დაავადებებისას.

უმი კარტოფილის წვენი კი შეიცავს შაქარს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ადვილად ითვისებს. მათ, ვისაც აწუხებს ვენერიული დაავადებები და სექსუალურად აღგზნებულნი არიან, კარტოფილის წვენის სმა ეკრძალებათ.

კარტოფილის წვენში უხვადაა კალიუმი, გოგირდი, ფოსფორი და ქლორი. ხოლო სტაფილოს წვენი ნიახურის წვენთან ერთად, შვილის საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევებსა და ნერვულ დაავადებებს. კარტოფილის, სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი დღეში დახლოებით 300 მილილიტრი უნდა სვათ, რათა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებებისგან სწრაფად განიკურნოთ.

### ვიტამინების უმეტესობა ხილ-ბოსტნეულის კანქვეშ ილექება

ამ სეზონზე გაქვთ შანსი, ორგანიზმი ვიტამინებით მომარაგოთ. ამისთვის სეზონური ახალი ხილი ნამდვილი მისწრებაა. წვენმა რომ თავისი უნიკალური და სასარგებლო თვისებები შეინარჩუნოს, აუცილებელია, მათი მომზადების წესები დაიცვათ.

სასურველია, ხილი და ბოსტნეული გახეხოთ პლასტმასის სახეხზე და არა ლითონისაზე, რადგან რკინასთან შეხება ანადგურებს ვიტამინების ნაწილს, განსაკუთრებით კი C ვიტამინს. თუ წვენსაწური გაქვთ, კურკიან ხილს ნუ ჩაყრით. ფოთლოვანი ბოსტნეული კი, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და შემდეგ გაწურეთ.

ფერმენტები, ვიტამინები და არომატული ნივთიერებები სწრაფად ნადგურდება ჰაერზე ჟანგბადის ზემოქმედების გამო. ამიტომ, წვენი უშუალოდ მიღების წინ უნდა მოამზადოთ ან შეინახოთ მინის, ფაიფურის ან მომინანქრებულ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

წვენი უნდა სვათ ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით. წვენი ცოტა ხნით პირის ღრუში გაიჩერეთ, რათა ნერწყვს შეერიოს. ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის მთლიანად შეწოვას.

არ არის საჭირო იმ ხილისა თუ ბოსტნეულის გათლა, რომლისგანაც წვენის გამოწურვას აპირებთ, რადგან ვიტამინების უმეტესობა სწორედ კანქვეშ ილექება. ასევე, არ არის რეკომენდებული წვენს დაუმატოთ შაქარი.

### რატომ გიბუჟდებათ საღამოს ფეხები

დაბუჟება, ანუ ფეხის კუნთების კრუნჩხვები ბევრს აწუხებს. როგორც წესი, ამას წინ უძღვის ფეხების ქრონიკული დაღლილობა, ტკივილი, საღამოობით სიმძიმის შეგრძნება და ტერფების შეშუპება.

დაბუჟების გამომწვევ მთავარ მიზეზად სპეციალისტები ვენების ვარიკოზულ გაფართოებას, ბრტყელტერფიანობასა და ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობას ასახელებენ.

თუ ფეხები ძილში დაგიბუჟდათ, ნუ შეშინდებით: საწოლში ფრთხილად წამოჯექით, ფეხები იატაკზე დადგით და ნელ-ნელა წამოდექით. რამდენიმე წუთში სისხლის ცირკულაცია აღდგება და დაბუჟებაც გაივლის.

კარგია მასაჟიც. თანმიმდევრულად გაიკეთეთ მასაჟი ტერფებიდან მუხლამდე. შემდეგ დაწექით, ფეხები მოხარეთ და დროდადრო მაღლა ასწიეთ. ასე სისხლის მიმოქცევაც გაგიუმჯობესდებათ და განმეორებითი კრუნჩხვებისგანაც დაიზღვევთ თავს.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: პერიოდულად თვალებზე მაწუხებს შუქი. ვცდილობ, ჩამოვაბნელო ყველაფერი. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ეს თვალის ოპტიკურ ნაწილში არსებული ნერვული უჯრედების მომატებული გაღიზიანების შედეგია. ამ დროს თვალი მტკივნეულად რეაგირებს დღის სინათლეზე, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს თვალში მიმდინარე ცვლილებებს. მიზეზის დასაზუსტებლად მიმართეთ ოფთალმოლოგს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ექსტრასისტოლამ გულზე ან თავში ანევრიზმა გამოიწვიოს?**

**პასუხი**: ერთეული ექსტრასისტოლები ანევრიზმის ჩამოყალიბებას არ იწვევს.

**კითხვა: შეიძლება, ბავშვის სახეზე თმების ხშირმა შეხებამ (ვგულისხმობ, თუ სულ გაშლილი აქვს) თმის ამოსვლა გამოიწვიოს?**

**პასუხი**: არა, ჭარბთმიანობის მიზეზი ეს არ არის.

**კითხვა: ოდნავი მღელვარების დროსაც კი, სახეზე და გულმკერდის არეში მფოთლავს წითლად. რა იწვევს ამას და შესაძლებელია თუ არა განკურნება?**

**პასუხი**: ეს არის ფსიქოგენური ფსევდოალერგიული რეაქცია. ძირითადად, მიზეზი ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიაა. სისხლძარღვების ნორმალური ტონუსის შესანარჩუნებლად, რეკომენდებულია კონტრასტული შხაპი, ცურვა, ფიზიკური ვარჯიში და, რაც მთავარია, უნდა შეძლოთ ემოციების მართვა. დახმარების გაწევა შეუძლია ფსიქოთერაპევტს.

**კითხვა: კისერზე მაქვს ხალი. უნდა დავიკრა თუ არა რამე დაბანის დროს? ან მზეზე ყოფნისას?**

**პასუხი**: გადაჭარბებული გარუჯვა აკრძალულია, რადგან სწორედ ეს იწვევს კანის იმუნური ძალების დასუსტებას, შედეგად კი ხალების გაავთვისებიანებას.

დაბანის დროს დაკვრა არ არის საჭირო, უბრალოდ ნუ იხმართ აბანოს ღრუბელს ხალის მიდამოში და გამოიჩინეთ სიფრთხილე, რომ ფრჩხილით არ მიიყენოთ ტრავმა.

**კითხვა: როდესაც წლებთან ერთად, ხალი ზომაში იზრდება ან ფორმას იცვლის ეს „ყოველთვის" იმას ნიშნავს, რომ საქმე ავთვისებიან სიმსივნესთან გვაქვს?**

**პასუხი**: ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხალმა მალიგნიზაცია (ავთვისებიანი გადაგვარება) განიცადა. მაგრამ არის საყურადღებო ნიშანი, მთავარია, დროულად შეფასდეს განვითარებული ცვლილება. მიმართეთ დერმატო-ონკოლოგს.

**კითხვა: რამდენად სახიფათოა პატარა ბავშვისთვის ნარკოზი (მცირე დოზა)?**

**პასუხი**: ანესთეზიის (ნარკოზის) საკითხს ნებისმიერ ასაკში წყვეტს ექიმი პრობლემიდან გამომდინარე (ჩვენებების, უკუჩვენებების, უსაფრთხოების ზომების დაცვის გათვალისწინებით).

**კითხვა: 5 თვის ბავშვი მიგვყავს თვითმფრინავით და რაიმე საშიში ხომ არაა?**

**პასუხი**: ჯანმრთელი ბავშვისთვის თვითმფრინავით მგზავრობა არ არის უკუნაჩვენები, აუცილებლად დაეკითხეთ პედიატრს, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბავშვს.

**კითხვა: წლინახევრის ბავშვი მთელი დღის განმავლობაში სვამს ბევრ სითხეს. ღამე – ერთ ბოთლ ჩაის. საზიანო ხომ არ არის ამდენი სითხის მიღება?**

**პასუხი**: სითხე ორგანიზმისათვის არ არის საზიანო. იმედია, ღამით ბავშვი იღებს საბავშვო მცენარეულ ჩაის და არა შაქრიანს. მთავარია, სითხის დიდი რაოდენობით მიღება არ იყოს დაავადების სიმპტომი. თუ მიღებული სითხის მოცულობა მართლაც დიდია, მიმართეთ პედიატრს, ჩატარდება სისხლში გლუკოზის შემცველობის განსაზღვრა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# როგორ მოკლა დირიჟორმა სტოლერმანმა თავისი ცოლი „აბესალომ და ეთერის" პარტიტურის დახევის გამო

„15 წლის განმავლობაში ჩატარებული დაძაბული მუშაობის შედეგად ზაქარია ფალიაშვილი წარმტაცი ჰანგების სამყაროში აღმოჩნდა..." – ამბობს თავის წიგნში შალვა კაშმაძე პირველი ქართული ეროვნული ოპერის „აბესალომ და ეთერის" ავტორზე... რას უნდა გაეხადა იძულებული ფალიაშვილი, რომ რაც შეიძლება „აბესალომზე" მუშაობის დრო შეეკვეცა? 1919 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ ცნობებში ფალიაშვილი წერს: „ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გამიგონია უკმაყოფილება, რომ ფალიაშვილი ოპერას წერს და მის გამოქვეყნებას კი აქამდე არა ეშველა-რაო. და ეს ერთნაირ ეჭვსაც ბადებდა საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადოებამ სრულიადაც არ იცოდა ის არანორმალური პირობები, რომელშიც მე მომიხდა ამ ვრცელი ოპერის წერა..."


ზაქარია ფალიაშვილის მამა

რა ჰქონდა ზაქარია ფალიაშვილს სასაყვედურო? ვეებერთელა ენერგიის მქონე ადამიანი თითქოს ლომივით იყო გალიაში გამომწყვდეული. მის მიმართ გამოთქმული საყვედურები თავით ბოლომდე უნამუსო, უსამართლო და უმსგავსო იყო. დღეში შვიდი გაკვეთილი, გუნდების, ორკესტრების ლოტბარობითა და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთულ ზაქარიას მხოლოდ ზაფხულის თვეებში ეძლეოდა „აბესალომზე" მუშაობის შესაძლებლობა. ფორტეპიანოს თან ხომ ვერ ატარებდა?.. ბუნებრივია, რომ „აბესალომი" ნელი ტემპით იწერებოდა... როგორც კომპოზიტორის ოჯახის წევრები გადმოგვცემენ, მუშაობის დროს ზაქარია იშვიათად მივიდოდა ფორტეპიანოსთან, წერდა მაგიდაზე და პირდაპირ ნოტებზე გადაჰქონდა მელოდიები. როდესაც რომელიმე ნაწყვეტს დაამთავრებდა, მაშინ მიუჯდებოდა ფორტეპიანოს და დაწერილს შეამოწმებდა... აი, მოკლედ, ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ზაქარია ფალიაშვილი თავისი გენიალური ნაწარმოების შექმნის პროცესში. ამ დაძაბული მუშაობის დროს, რომლისთვისაც ის 15 წლის განმავლობაში ემზადებოდა, ზაქარია ფალიაშვილს მაინც ჩვეული თავმდაბლობა ახასიათებდა... „მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან ოპერა დაწერაო... მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ, გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დაწერს..." (გაზ. „ლომისი" № 25-1923 წ.) ვისაც ამის თქმის უნარი შესწევს, მას ნიჭი არ აკლია...



1913 წლის ზაფხულის თვეები ზაქარია ფალიაშვილმა გაატარა სოფელ ნიკულიჩში, მეუღლის ნათესავებთან (ქალაქ რიაზანის ახლოს). ეს ერთ-ერთი ნაყოფიერი პერიოდი იყო „აბესალომ და ეთერის" შექმნის პროცესში. ფილარმონიულმა საზოგადოებამ ზაქარიას სესხიც კი მისცა კლავირის გადასაწერად... „აბესალომ და ეთერი" დასასრულს უახლოვდებოდა. შემოქმედებით გატაცებული ზაქარია თავაუღებლივ მუშაობდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ ყველაფერს შავი ფარდა ჩამოაფარა. ზაქარიას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი – ირაკლი. ბავშვი მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული.


ზაქარია ფალიაშვილის შვილი - ირაკლი

4 წლის ირაკლის სმენით დაუკრავს ფორტეპიანოზე ცნობილი მარში „რუსლან და ლუდმილადან" და ყველა გაუოცებია... ხშირად დაჰყავდა მამას ოპერაში. ნიჭიერი ყმაწვილი გამალებით ადევნებდა თვალს დირიჟორს, ორკესტრს, სცენას... ძალიან უყვარდა იმხანად ცნობილი მომღერალი მარიამ დიმიტრის ასული ტურჩანინოვა. პანია ირაკლიმ მის პატივსაცემად ვალსი შეთხზა და ბენეფისზე მიართვა. „აბესალომის" წერის დროს ირაკლი ნიადაგ მამასთან ტრიალებდა... ზოგჯერ შთაგონებით აღსავსე ხელოვანივით ჩაფიქრდებოდა: „მამა, ეს არ მომწონს, გადააკეთე!" მაშინ, ზაქარიას შეკრულ ბაგეს ღიმილი გადაურბენდა და უფრო მეტი შთაგონებით ამეტყველდებოდნენ კლავიშებიც.



ერთხელ, ირაკლის აგარაკზე მორი დაეცა და ცალი ხელი საგრძნობლად დაუზიანდა. ამან ყმაწვილის გულზე იმოქმედა. მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. საშინელების წინ მყოფმა ბავშვმა ექიმს შეჩივლა: „ექიმო, მე მოვკვდები? თუ მოვკვდები, მაშინ... ჩემი მამაცა და დედაც მოკვდება?" ვერაფერი უშველეს, მოკვდა ირაკლი... ბედკრული ზაქარია აუწერელ წამებაში ჩავარდა. გარეტებული დადიოდა, მთელ დღეებს შვილის საფლავზე ატარებდა. გვიან საღამოს ბრუნდებოდა შინ. ეშინოდათ, თავისათვის ცუდი რამ არ აეტეხნა... არაფერი არ აინტერესებდა, ფორტეპიანოს დანახვაც კი აღარ შეეძლო. „აბესალომი" სადღაც კუთხეში მიაგდო და მივიწყა. დრო გადიოდა...ზაქარიამ ნათლად დაინახა, რომ „აბესალომის" მწუხარე ლანდს თავდახრილი თეთრი ყვავილივით ედგა გვერდში მისი ირაკლი... ისევ ამეტყველდა ხმაგაკმენდილი როიალი. ერთ მშვენიერ დღეს ზაქარიამ „აბესალომის" კლავირს წააწერა: „ძეგლად დედისერთა ყრმის – ირაკლის უმანკო სულსა, მამამისის ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილისაგან." ოპერა დამთავრებული იყო!.."

1919 წლის 21 თებერვალი. თეატრის აფიშა იუწყებოდა, რომ საღამოს პირველად იქნებოდა წარმოდგენილი ზაქარია ფალიაშვილის ხუთმოქმედებიანი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი".


ზაქარია ფალიაშვილის დედა

ფალიაშვილი ამ დღისთვის დიდხანს ემზადებოდა. მთავარი როლების შემსრულებლებთან, გუნდის თითოეულ წევრთან ცალ-ცალკე გადიოდა რეპეტიციას. წარმოდგენის მეორე აქტის შემდეგ დირიჟორის პულტთან მდგომ ფალიაშვილს მაყურებელმა მხურვალე ტაში დაუკრა (პრემიერის შემდეგ კომპოზიტორი გვირგვინებით შეამკეს და ძვირფასი საჩუქრებიც უძღვნეს. მეცენატმა მიხეილ ბუზოღლიმ კი, კომპოზიტორის პატივსაცემად ბანკეტი გამართა), სამაგიეროდ, მომდევნო აქტებს ასეთი ტაში აღარ მოჰყოლია. მაყურებელს ნელ-ნელა დაღლა დაეტყო. საღამოს რვა საათზე დაწყებული წარმოდგენა ღამის სამის ნახევარზე დასრულდა. ოპერის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი გრძელი ანტრაქტები ყოფილა, რაშიც დამნაშავე თურმე ოპერის მხატვარი, ალექსანდრე ზალცმანი იყო. ამბობენ – პრემიერისთვის მზად არ იყო და დეკორაციების მზადებას ანტრაქტებზე ამთავრებდაო. ფალიაშვილი, იმის გამო რომ პირველი ოპერის დაწერას ძალზე დიდი დრო მოანდომა, თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ რა ექნა? პედაგოგიური და საკონცერტო მოღვაწეობა დიდ დროს ართმევდა. საარსებო წყარო რომ ჰქონოდა და უმცროსი ძმებისთვის კარგი განათლებაც მიეცა, კერძო გაკვეთილების ჩატარებაც უწევდა. მატერიალური გაჭირვება ზაქარია ფალიაშვილის მუდმივი პრობლემა იყო. „ქალაქ ქუთაისის მდაბიონი" – ასე იწოდებოდა ფალიაშვილების ოჯახი (ზაქარიას ჩვიდმეტი დედმამიშვილი ჰყავდა, მათგან შვიდი ადრეულ ასაკში დაიღუპა).


ზაქარია ფალიაშვილის მეუღლე

უმაღლესი მუსიკალური განათლება ზაქარია ფალიაშვილმა მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო. ხელმოკლეობის გამო მოსკოვში გამგზავრება 29 წლის ასაკში მოახერხა. მისი სწავლისა და ცხოვრების უზრუნველყოფას თბილისის საზოგადოება გულმოდგინედ ცდილობდა. იმხანად ყველაზე ცნობილი არტისტები საქველმოქმედო კონცერტებს მართავდნენ და მთელ შემოსავალს ფალიაშვილს გადასცემდნენ. სათა-

ვადაზნაურო საკრებულომ და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მას სტიპენდია დაუნიშნა – 30 მანეთი. მოსკოვში სტუდენტმა ფალიაშვილმა ოთხსართულიანი ქვის სახლის მეოთხე სართულზე ერთი ოთახი იქირავა. სახლი პირველი გილდიის ვაჭარს, საიმპერატორო კარის მომმარაგებელს, მიხეილ უტკინს ეკუთვნოდა. ვაჭრის ქართველმა მდგმურმა უტკინის ქალიშვილი, იულია გაიცნო და მალე ცოლადაც მოიყვანა. სიმამრის წყალობით, ზაქარიას მოსკოვში გაჭირვება აღარ უგრძნია. „მიხეილ უტკინი ვაჭართა უმაღლეს გილდიას ეკუთვნოდა, მან თავისი სიძე უზრუნველყო ყველაფრით, რაც მისი წოდების ადამიანს შეეფერებოდა – ზაქარიას პირველი ფრაკი და პირველი, ევროპული მოდური სამოსიც სიმამრისგან ერგო. ფალიაშვილების უტკინებთან ნათესაური კავშირი ამით არ ამოწურულა. მოგვიანებით, ზაქარიას უფროსმა ძმამ, ივანემ ზაქარიას ცოლის, იულიას და – ლიდია უტკინა შეირთო. უმცროსმა ძმამ ნიკოლოზმა კი ზაქარიას გერი – იულიას შვილი პირველი ქორწინებიდან, ანტონინა. მოსკოვიდან დაბრუნებული, დაოჯახებული ზაქარია ფალიაშვილი თბილისში აგურის ქუჩაზე დასახლდა.

მოსკოვის კონსერვატორიიდან ახალი დაბრუნებული იყო და ოპერის დაწერის პასუხისმგებლობა ვერ იკისრა. ჯერ ქართული ხალხური ფოლკლორის შესწავლას მიჰყო ხელი. მთელი საქართველო ფეხითა და ცხენით შემოიარა. ფონოგრაფი, რომელზეც ხალხურ სიმღერებს იწერდა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აყიდინა. თბილისში დაბრუნებული მათ დამუშავებას დიდ დროს უთმობდა, სახსრებს ეძებდა, რომ ამ სიმღერების გამოქვეყნება მოეხერხებინა. რამდენიმე რომანსის დაწერაც მოასწრო და მხოლოდ შემდეგ მოჰკიდა ხელი „აბესალომს და ეთერს". ავტორს ოპერის შემოკლებას ურჩევდნენ. ეს რჩევა ზაქარია ფალიაშვილმა ზედმიწევნით გაითვალისწინა. ხუთმოქმედებიანი „აბესალომ და ეთერი" მნიშვნელოვნად შემოკლდა და ოთხმოქმედებიანად იქცა. ერთადერთი, რაც ფალიაშვილმა არ დათმო, „ჩაკრულო" იყო – სიმღერის შემოკლება კატეგორიულად იუარა. „აბესალომ და ეთერს" ერთი უსიამოვნო ისტორიაც ახლავს: ოპერის თეატრის დირიჟორმა და ზაქარია ფალიაშვილის მხურვალე თაყვანისმცემელმა ემანუილ სტოლერმანმა საკუთარი ცოლი მოკლა. მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ქალმა „აბესალომ და ეთერის" ხელნაწერი ნოტები დახია. სტოლერმანს თურმე ცოლის ისე ეშინოდა, ვერაფერი გაუბედა. მეტიც, როცა ქალმა დაიძინა, მის საძინებელში შესვლაც ვერ გაბედა, რევოლვერის ლულა კარის ჭუჭრუტანაში შეყო და


ძმები ფალიაშვილები

ისე ესროლა. მენშევიკური მთავრობის დროს სიკვდილით დასჯა არ იყო, უმაღლესი სასჯელი 18 წელს ითვალისწინებდა. ამიტომ, სასამართლომ სტოლერმანს ასეთი სასჯელი გამოუტანა: მიესაჯოს რესპუბლიკის უმაღლესი სასჯელი – 18 წელიწადი. იმ 18 წლის გათვალისწინებით კი, რომელიც მან ცოლთან ერთად გაატარა, სტოლერმანი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.

კოლეგებთან და პრესასთან ურთიერთობა ფალიაშვილს ხშირად ურთულდებოდა. იაკობ გოგებაშვილთანაც კი წამოიწყო საგაზეთო დავა მუსიკის სფეროში სტიპენდიების განაწილების შესახებ. აბრალებდნენ ანდრეა ყარაშვილის სახელგანთქმული სიმღერის, „სამშობლოს" ავტორობის მითვისებას. „აბესალომ და ეთერის" რუსული თარგმანის მისაკუთრებას ედავებოდა ზაქარიას ოპერის ლიბრეტოს ავტორი, პეტრე მირიანაშვილი და სასამართლოში ჩივილითაც ემუქრებოდა. მაგრამ, ყველაზე ცუდი ურთიერთობა ზაქარია ფალიაშვილს დიმიტრი არაყიშვილთან ჰქონდა. ორ კომპოზიტორს შორის შუღლის დაწყების მიზეზი „აბესალომ და ეთერი" გახდა. ამ ოპერის დაწერა არაყიშვილსაც სურდა, მაგრამ პეტრე მირიანაშვილისთვის ლიბრეტოს გამორთმევა მას ფალიაშვილმა დაასწრო. ზაქარიამ არაყიშვილთან შერიგება მხოლოდ სიკვდილის წინ სცადა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა ზაქარიამ ითხოვა, დიმიტრი მომიყვანეთო. არაყიშვილს გადასცეს მისი თხოვნა, მაგრამ მან უარი თქვა – არ მივიდა.

„აბესალომ და ეთერის" შემდეგ „დაისი" დაიდგა. დადგმა კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა, ქორეოგრაფიული ნომრები ილიკო სუხიშვილმა დადგა. ფალიაშვილმა „დაისი" თავის შთაგონების წყაროს, ნადეჟდა ბუზოღლის მიუძღვნა. იმდროინდელ თბილისში სახელგანთქმული ინჟინრისა და შეძლებულობით ცნობილი, მიხეილ ბუზოღლის მეუღლე სილამაზით იყო განთქმული. ზაქარია, ბუზოღლების უფროს ვაჟებს მუსიკის კერძო გაკვეთილებს უტარებდა. ნადეჟდა ბუზოღლისადმი ზაქარია ფალიაშვილის გრძნობაზე „დაისის" ნოტებზე მინაწერი მიუთითებს. კომპოზიტორი ნადეჟდას ოპერიდან მოყვანილი ციტატებით უხსნიდა სიყვარულს. ხელნაწერის მესამე გვერდზე კი, ფალიაშვილს საკუთარი ფოტო ჩაუკრავს. „დაისს" მენშევიკური მუსიკა უწოდეს და ოპერის რეპერტუარიდან მოხსნა მოითხოვეს. საქმეში გასარკვევად საგანგებო კომისია შეიქმნა. საბედნიეროდ, დისკუსიის ხელმძღვანელად „ქეთო და კოტეს" ავტორი, ვიქტორ დოლიძე დანიშნეს. ის მაშინ ძალიან პოპულარული იყო. სხვები კი, ის ახალგაზრდა კომპოზიტორები გახლდნენ, რომლებიც ზაქარ-


და-ძმა ფალიაშვილები

იას აუხირდნენ. კომისიის ბოლო სხდომაზე ბოლო სიტყვა ვიქტორ დოლიძეს უთქვამს: მე არ ვიცი, ეს ოპერა მენშევიკურია თუ ბოლშევიკური, მაგრამ თქვენ ყველას ამ მუსიკით დაგასაფლავებენო... მალევე დაიდგა ფალიაშვილის მესამე ოპერა – „ლატავრა". ოპერაში ფალიაშვილმა „აბესალომ და ეთერიდან" მორჩენილი თითქმის ყველა მუსიკალური მასალა გამოიყენა. „ლატავრა" ოთხი სპექტაკლის შემდეგ რეპერტუარიდან მოიხსნა. ამას ფალიაშვილი სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა.

**ეკა პატარაია**

# ვინ იყვნენ ინფორმაციის მთავარი გამავრცელებლები თბილისში პრესის გამოჩენამდე და რა ფუნქცია ჰქონდა დარეჯანის სასახლეს მეფის რუსეთის დროს

(23-ე გვერდიდან)

## დარეჯან დედოფლის სასახლე

1776 წელს ერეკლე მეორის მეუღლემ, დარეჯან დედოფალმა, ავლაბრის ტერიტორიაზე, ძველი ციხის ნანგრევებზე, სასახლე ააგო. დარეჯან დედოფლის სასახლეს დარეჯანის სასახლეს უწოდებდნენ, ხოლო სასახლის ერთ შემორჩენილ ნაწილს, რომელიც ასე მო-


ხედი დარეჯანის სასახლეზე მეცხრამეტე საუკუნეში

ხდენილად აგვირგვინებს ძველი ავლაბრის გალავნის ერთ-ერთ ბურჯს – საჩინოს. 1789 წელს დარეჯან დედოფალმა სასახლესთან წმინდა ირაკლისა და წმინდა დარიას სახელობის კარის ეკლესია ააგო. სასახლე ერთიან არქიტექტორულ კომპლექსს შეადგენდა, რომელიც ქვის გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული. სასახლისა და მისი კომპლექსის ზუსტ დაგეგმარებას ჩვენამდე არ მოუღწევია. თვით სასახლე აშენებულია ციხის ნანგრევებზე, რომელიც ქვაყორისა და კვადრატული აგურის ძველებური შერეული მასალითაა ნაგები. სასახლეში უმთავრეს ყურადღებას სწორედ ხის გადმოკიდებული აივანი იპყრობს, რომელიც მომრგვალებულ კონტრფორსს მხატვრულად ამთავრებს. აივნიდან საინტერესო სანახაობა იშლება. დარეჯან დედოფლის პეტერბურგში გადასახლების შემდეგ, ეს სასახლე, მისი ეკლესიითურთ, შეიძინა ეგზა-


დარეჯანის სასახლე (თანამედროვე ხედი)

რქოსმა თეოფილაქტემ და გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. საბჭოთა ეპოქაში სასახლეში მოსახლეობა შეასახლეს.

**უშანგი რუხაძე**

**ადამიანი ყოველთვის ოპტიმისტურად უნდა იყოს განწყობილი და არასდროს დაკარგოს ხვალინდელი დღის იმედი. როგორც პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ქალბატონი ფატი ამბობს, გამდიდრების პერსპექტივა ნებისმიერ ჩვენგანს აქვს, ოღონდ ამის აუცილებლად უნდა გვწამდეს და გვჯეროდეს. ასე რომ, თუ მის რჩევას გაითვალისწინებთ და ოპტიმისტურად განაწყობთ თავს, წარმატებულ კარიერას, იღბლიან სიყვარულსა და ოჯახურ იდილიას ნამდვილად მოიწყობთ.**

# იღებს თუ არა სწორად შერჩეული საფულე თილისმის ძალას და რა ხერხით მოვიზიდავთ გამდიდრების ენერგიას

**ფატი**: ყველა ადამიანს სურს, იმდენი ფული ჰქონდეს, რომ ცხოვრება მოიწყოს, ახლობლები საჩუქრებით გააბედნიეროს, ლამაზი ტანსაცმელი იყიდოს და ამით თავი ბედნიერად იგრძნოს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, გავრცელებული აზრი, თითქოს, ფული ხელის ჭუჭყია, არ არის მართალი. ფულის მოზიდვის უამრავი საშუალება არსებობს, იქნება ეს თილისმები, ოთახის მცენარეები, ფენ-შუის პრინციპით შერჩეული სახლის დიზაინი, ასტროლოგიური თუ ბიბლიური ქვები და ასე შემდეგ. მაგალითად, მე არ უარვყოფ, რომ საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან ვარ და გაჭირვების პრობლემა არასდროს მიგრძნია. ბებიაჩემი ფულის მოზიდვის ათასგვარ ხერხს მიმართავდა. დღესაც, მატერიალური კეთილდღეობა მისი ნასწავლი მეთოდებით შევინარჩუნე და მისი წყალობით უფულობას, სანათესაოში არავინ უჩივის.

**– იქნებ ჩვენს მკითხველსაც გაანდოთ ეს მეთოდები, რომ ადვილად მოვიპოვოთ კეთილდღეობა და ამ მხრივ, საწუწუნოდ არ გაგვიხდეს საქმე?**

– ამაზე არ გეტყვით უარს, რადგან ბებიაც, პრაქტიკული მაგიის რჩევებს ყველას ანდობდა. ამბობდა, მიხარია, ყველა ბედნიერი რომ არის ჩემ გარშემო და თუკი ადამიანის კეთილდღეობისთვის რჩევა-დარიგების მიცემა და მისი წელში გამართვა შემიძლია, ამას როგორ დავზარდებიო. სხვათა შორის, ბებია ხშირად ამბობდა, არასდროს იწუწუნოთ ფულზე და არც სხვას დაანებოთ თქვენი თანდასწრებით უფულობაზე წუწუნი, რადგან ეს გადამდებია და შესაძლოა, თქვენც გადმოგედოთო. ამიტომ, თუ ფულისა და მატერიალური კეთილდღეობის მოზიდვა გინდათ, არასდროს დაიჩივლოთ უფულობასა და გაჭირვებაზე, არც გარშემო მყოფების წუწუნს მოუსმინოთ ამ თემაზე. ფული რომ ბედნიერების შემადგენელი ნაწილია, ამაში, ალბათ, ვერავინ შემეკამათება. მე კი პატარა ეშმაკობებს გაგანდობთ, რომელიც ბებიაჩემისგან ვიცი. მერწმუნეთ, ამ რჩევებით ნამდვილად შეძლებთ ფინანსების ჯიბეში მოზიდვას და არც საწუწუნოდ გექნებათ საქმე, მაგრამ მთავარია, ამის გულით გჯეროდეთ და რწმენა არ დაკარგოთ. ამისთვის, უპირველესად, საჭიროა, სწორად შეარჩიოთ საფულე, ანუ ის ნივთი, რომელშიც ფულს შეინახავთ და გაუფრთხილდებით. კერძოდ, ზუსტად უნდა იცოდეთ, რა ზომის, ფერისა და ფორმის საფულე გჭირდებათ, ფინანსების მოზიდვის მექანიზმი თქვენ საკეთილდღეოდ რომ ამუშავდეს.

**– მაღაზიებში, უამრავი ლამაზი, ფერადი და ორიგინალური ფორმის საფულე იყიდება. მათგან როგორ ავარჩიოთ ის ერთადერთი, რომელიც ფულის მოზიდვის მექანიზმს აამოქმედებს ჩვენთვის?**

– დიახ, ასეთი მრავალფეროვანი არჩევნის ფონზე, ცოტა არ იყოს, დაიბნევა ადამიანი და ბოლოს იმ საფულეს აირჩევს, რომელიც ძალიან ლამაზია. მაგრამ, ეს თქვენთვის მისაღები და მომგებიანი თუ იქნება ფულის მოსაზიდად, ეს მეორე საკითხია. ზოგადად, აუცილებელი პირობაა, რომ საფულე თავად მოგწონდეთ და ის მხოლოდ თქვენი გემოვნებით შეარჩიოთ. სწორად შერჩეული საფულე თილისმის ძალას იღებს. მაგალითად, ფულის მოსაზიდად სასურველია,



მოქარგული ან მძივებით გაწყობილი საფულე – უმჯობესია, ოქროსფერი, რადგან ეს ფერი სიმდიდრის სიმბოლოა. ასევე, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს განყოფილებები – ხურდა ფულის, ქაღალდის კუპიურების,

**საფულეში სხვადასხვა ფულის კუპიურა არ უნდა აურიოთ ერთმანეთში და ფული მუდამ დალაგებული და ლამაზად ჩაწყობილი უნდა გქონდეთ**

საბუთების, საბანკო ბარათებისა და სავიზიტო ბარათების შესანახად. არ გირჩევთ, ხელოვნური მასალის საფულის ტარებას, რადგან ის არანაირ ენერგიას არ ატარებს და თავისი ხელოვნურობით, ბუნებრივი ენერგიების მოზიდვას აფერხებს.

**– ყველაზე კარგი რა მასალის და რომელი ფერის საფულეა?**

– ყველაზე კარგია ბუნებრივი ქსოვილის, ან ტყავის საფულე. ხოლო, რაც შეეხება ფერს, უპირატესობა მიწისა და ლითონის ფერებს მიანიჭეთ. კერძოდ, ატარეთ შავი, ოქროსფერი, ყავისფერი, ყვითელი ან ვარდისფერი საფულე. ყველა ჩამოთვლილი ფერის საფულე წარმატებების მომტანია ეზოთერიკაში.

**– ბევრისგან გამიგია, საფულეში რომ ფული გამოულევლად იყოს, აუცილებლად გვიდევს ერთდოლარიანი, ის ფულს მოიზიდავსო. ამაზე რას გვეტყვით?**

– სხვათა შორის, თავად ვატარებ საფულეში ერთდოლარიანს და ერთთეთრიან ხურდა ფულს. ასე რომ, საფულეში აუცილებლად უნდა გედოთ ერთთეთრიანი მონეტა, ერთლარიანი, ერთდოლარიანი ან ერთევროიანი კუპიურები. ანუ, ისეთი ფული, რომელშიც ერთი ფიგურირებს. ასევე, სხვადასხვა ფულის კუპიურა არ უნდა აურიოთ ერთმანეთში. ფული მუდამ დალაგებული და ლამაზად ჩაწყობილი უნდა გქონდეთ. მაგალითად, ლარიანები ერთად უნდა გეწყოთ, ხუთლარიანები ერთად, ხოლო ათლარიანები და უფრო მსხვილი ბანკნოტები ერთად. ამაზე ბევრისთვის მიწევს ახსნა-განმარტებების მიცემა, რადგან მეუბნებიან, მთავარია, ფული გვქონდეს და თუ მას არ ჩავაწიკწიკებ, რა პრობლემააო. ასე, ლამაზად და რიგიანად ჩაწყობილი ფული საფულეში კი, მის ენერგეტიკას ამყარებს და სიმდიდრის მოსაზიდავადაც საუკეთესოა. ასევე, ჩანთით აუცილებლად ატარეთ კანფეტი. ის სიტკბოს და სიხარულს მოგანიჭებთ და ფული, რომელიც ჩანთაში მასთან ახლოს დევს, მხოლოდ სიტკბოსა და სიხარულში დაგეხარჯებათ და არა წამალსა და ექიმებში.

**– ბევრი ადამიანი საფულეში დებს და ატარებს ახლობლის, შვილის, დედმამიშვილის ან მშობლების სურათებს. ეს მისაღებია?**

– ეს კატეგორიულად იკრძალება, რადგან, ახლობლების, ნათესავების, საყვარელი ადამიანებისა და შვილების ფოტოების შენახვა საფულეში სარისკოა. ამან შესაძლოა, იმ ადამიანების უიღბლობა გამოიწვიოს. ფოტო ფულის ენერგიის წყაროს შემოდინებას აბრკოლებს. საფულისა და თავად ფულის ენერგიამ შეიძლება, იმ ადამიანზე, რომლის ფოტოსაც თქვენ ატარებთ, ცუდად იმოქმედოს. მაგრამ, კარგია თუ საფულეში ქინძისთავს ან ეგრეთ წოდებულ „ბულავკას" ჩადებთ. ამას ფულის მოზიდვა შეუძლია. გასათხოვარმა გოგონამ კი აუცილებლად უნდა ჩადოს საფულეში ბზის ფოთოლი და გულის ფორმის პატარა სამკაული, მაგალითად, კულონი. ასე, ის უფრო საინტერესო ხდება საპირისპირო სქესისთვის, რადგან მისგან დადებითი ენერგია გაორმაგებულად იფრქვევა.

**ნონა დათეშიძე**

## მინდა და ვაკეთებ!

ზოგჯერ აუცილებლად უნდა დაელაპარაკო საკუთარ თავს და „ჩამოართვა“ მას ინტერვიუ, რათა უკეთ გაიგო საკუთარი სურვილების შესახებ და იარო წინ. ამასთან, აღმოაჩინო საკუთარი „მე“, რაც უბრალოდ აუცილებელია პიროვნების სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის.

მაგალითად, დაიწყეთ შეკითხვით: ვანდობდი ჩემს თავს დიდ საიდუმლოს? ერთი შეხედვით, თითქოს პასუხი არ უნდა იყოს ძნელი. რატომაც არაო – იტყვით. მაგრამ თუ კარგად დაფიქრდებით, შეიძლება, შეყოყმანდეთ. ნუთუ მართლა ისეთი მტკიცე და მორალური ხართ, როგორი წარმოდგენაც გაქვთ საკუთარ თავზე, თუ... გაიხსენეთ, რამდენჯერ წამოგცდენიათ საიდუმლო, რომელიც მეგობარმა სათუთად გაგიმხილათ?! უნებლიეთ, სიტუაციურად, მაგრამ მაინც წამოგცდენიათ. ჩაისუნთქეთ, ამოიოხრეთ და ისევ შეეცადეთ, პასუხი გასცეთ ამ შეკითხვას. პასუხი დაახლოებით ასეთი შინაარსის იქნება: „არ ვიცი, დამოკიდებულია სიტუაციაზე“. კარგია როცა გულახდილი ხარ, თავს გაცილებით უკეთ გრძნობ.

იცით, რას ნიშნავს, როცა არ შეგიძლია ინფორმაციის შენახვა?! – საკუთარ თავში დარწმუნებული არ ბრძანდებით და გინდათ მეტი ყურადღება თქვენი პერსონის მიმართ, თუნდაც სხვისი პირადი ინფორმაციის გამჟღავნების ხარჯზე. ნუ ეცდებით, რეიტინგი ამ იაფფასიანი და არცთუ ღირსეული ხერხით აიწიოთ. ცოტას წაიმუშავებთ საკუთარ თავზე და გამოგივათ.

## ვუყურებ და ვხედავ...

ზოგჯერ აუცილებელია, საკუთარ თავს უცხო თვალით შეხედო. ბევრმა საერთოდ არ იცის, ეს რას ნიშნავს. ადვილი ნამდვილად არ არის, მაგრამ სწავლა შეიძლება. მთავარია, ძალიან მოინდომოთ და გააცნობიეროთ ამ ქმედების სასარგებლო მხარეები. ქალი გაცილებით ეჭვიანი არსებაა, ვიდრე მამაკაცი. ის მუდმივ განცდებში და მუდმივ ემოციებშია. შეუძლია, უმნიშვნელო წვრილმანებზეც დიდხანს ინერვიულოს. ნერვიულობს იმაზე, რას იტყვიან მასზე. მოეწონებათ თუ არა ახლობლებს, ან ნაცნობებს მისი ჩაცმულობა, ახალი ვარცხნილობა. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველას ვერც აამებ და ვერც თავს მოაწონებ. ჯობია, ჩამოაყალიბო სწორი პოზიცია საკუთარ თავთან მიმართებაში. მაგალითად, თქვენი ხასიათის რომელი თვისება გინდათ, რომ შეამჩნიონ ადამიანებმა: სიკეთე?! პრინციპულობა?! დამოუკიდებლობა?! შრომისმოყვარეობა?!

აუცილებელია, პრიორიტეტი მიანიჭოთ ერთს ან ორს, რათა მერე არ იწუწუნოთ და არ ინანოთ, ნეტავი, ადრე მცოდნოდაო. წარსულის შეცვლა შეუძლებელია. სამაგიეროდ, ძალიანაც შესაძლებელია, დაგეგმო მომავალი – პოზიტიური და წარმატებული.

იმოქმედე და ნურაფრის შეგეშინდება! – იყოს ეს ფრაზა თქვენი დევიზი. უყურეთ საკუთარ თავს და დაინახეთ მასში პიროვნება. ჯერ კიდევ არ არის გვიან, შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ.

## მინდა, შემიყვარდეს!

როცა შეყვარებული ხარ, ცხოვრება გაცილებით მშვენიერია. თითქოს აღარ არსებობს არანაირი პრობლემა: გიყვარს და უყვარხარ – რა შეიძლება იყოს ამაზე მშვენიერი?! მაგრამ, იმისთვის, რომ შეგიყვარდეს, მარტო სურვილი არ კმარა, კიდევ რაღაც არის საჭირო... როგორ უნდა მოიქცე, რომ ისევ აღმოჩნდე ტკბილ ბურანში? „შპარგალკები“ გნებავთ? – ინებეთ...

გაზაფხული არ არის მარტოხელების საყვარელი პერიოდი. გაზაფხულზე სიმარტოვე განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა და მტკივნეულია. ყველაფერი გახსენებს იმას, რომ დროა, შენი მეწყვილე იპოვო. არავითარი ისტერიკა და წუხილი! ნუ დაივიწყებთ, რომ კეთილგონიერების გარეშე სიყვარული მხოლოდ ზიანს მოგიტანთ. გახსოვდეთ, ასევე, საკუთარი პრინციპებისა და მისწრაფებების შესახებ.

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრება საჩუქარია. საჩუქარი ხართ თქვენც, მაგრამ, შესაბამისად თუ არ „შეიფუთებით“, შეიძლება, მოსაწონიც კი არ იყოთ. გამოკვეთეთ ის, რაც მართლაც განსაკუთრებული გაქვთ. ლამაზ, სტანდარტულ თოჯინებზე მეტად კაცებს ინდივიდუალური, თავისებურად მომხიბლავი ქალები ამახსოვრდებათ – გამოკვეთილი ხასიათით, პიროვნული ნიშნებით. ძალიან მოკლე კაბა და ღრმა დეკოლტე კარგი საშუალებაა ყურადღების მისაპყრობად, მაგრამ, ამის ამარა დიდხანს ვერ „გაქაჩავთ“. ინტელექტი და იუმორის ნიჭი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილა. ზოგჯერ ამის დაჯერება რთულია, მაგრამ, თქვენ მაინც დაიჯერეთ, რომ მეტისმეტად ლამაზი ქალი მამაკაცისთვის არცთუ ძალიან სასურველი ცხოვრების თანამგზავრია... და, კიდევ, თუ გინდა, ვინმე შეგიყვარდეს, მზად უნდა იყო სიყვარულისთვის. გაიღიმეთ და ისე იარეთ ცხოვრების გზაზე საყვარელი ადამიანის საპოვნელად...

## სასარგებლო ტყუილი

ბრიტანელი ფსიქოლოგი რიჩარდ ვაიზმანი ამტკიცებს, რომ სიყვარულის გამოწვევა, მოზიდვა შესაძლებელია, თუ ისე მოიქცევი, თითქოს უკვე გეწვია ეს გრძნობა. ანუ, ცოტათი მაინც თავი უნდა მოიტყუო და ეს სასარგებლო ტყუილი იქნება. ამით თქვენი ემოციის წარმოდგენას შეუწყობთ ხელს. შეიძლება, გეღიმებათ, მაგრამ, არსებობს ფსიქოლოგიური ტესტი – „საკუთარი სურვილით შეყვარებული“ – ანუ, ეს რეალობაა. შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება, როცა შეგიყვარდებათ... თითქოს შინაგანი შუქით გასხივოსნდებით, თვალებგაბრწყინებული ქალი კი მამაკაცებს შეუმჩნეველი არ რჩებათ. შეყვარებული ადამიანი თითქოს ეიფორიაშია. მისთვის ნაკლებად შესამჩნევია ყოველდღიური წვრილმანი პრობლემები.

დამთრგუნველი ფიქრები და წარმოსახვითი, ნეგატიური სიტუაციები მარტო სიყვარულში კი არა, ყველაფერში შეგიშლით ხელს.

ნურასოდეს ეტყვით უარს საკუთარ თავს, გამოელაპარაკოთ უცნობს, რომელიც მოგეწონათ. რატომაც არა?! რატომ არ უნდა სცადოთ ბედი?! შეიძლება, მასაც მოეწონეთ და გამბედაობა არ ჰყოფნის. დაივიწყეთ მოძველებული სტერეოტიპი. ზოგადად, უკეთესია, რაც მალე გათავისუფლდებით შინაგანი კომპლექსებისა და ბარიერებისგან. უთხარით საკუთარ თავს, რომ ნებისმიერი მამაკაცის მოხიბვლა შეგიძლიათ. შეიძლება, ესეც ტყუილია, მაგრამ – სასარგებლო.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ჯორჯ კლუნი: გზა სახის დამბლიდან – „ყველაზე სექსუალურის" ტიტულამდე

*„ცხოვრება ყოველ ჩვენგანს აძლევს ერთ შანსს – ეს არის მაგარი ავტომობილის გასაღები, რომელსაც მისი პატრონი გვანდობს. შენ შეგიძლია, იარო ნელა ან განავითარო სიჩქარე და დატკბე მგზავრობით, რადგან იცი, რომ გასაღებს მალე წაგართმევენ," – ეს შესანიშნავი სიტყვები ჰოლივუდის ვარსკვლავს და მილიონობით ქალისთვის სასურველ მამაკაცს, ჯორჯ კლუნის ეკუთვნის.*



* ჯორჯ კლუნი 1961 წლის 6 მაისს დაიბადა ლექსინგტონში და ხუთი წლის ასაკში, მამის, ნიკ კლუნის სატელევიზიო შოუში დებიუტი ჰქონდა.

* ჯორჯ კლუნის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდად მიიჩნევა მისი სწრაფვა ბეისბოლისკენ. ჯორჯი ბავშვობიდან იყო გატაცებული სპორტის ამ სახეობით და სიყმაწვილის წლებში სერიოზულად ფიქრობდა ბეისბოლის მოთამაშის კარიერაზე, თუმცა ჯორჯის ოცნება ოცნებად დარჩა. ბეისბოლის კლუბ „ცინცინატი რედსის" მწვრთნელმა, ჯორჯ კლუნის სპორტული მონაცემები დაუწუნა და გუნდში არ აიყვანა.

* ცხოვრების რთულ პერიოდში ჯორჯი რამდენიმე ადგილას მუშაობდა ერთდროულად: ვაჭრობდა სადაზღვევო პოლისებით, მუშაობდა მძღოლად, ღამით ვაგონებს ცლიდა, იყო მზარეულის თანაშემწე რესტორანში და ანიმატორი სავაჭრო ცენტრში.

* განათლებით, მამის მსგავსად, ჯორჯ კლუნი ტელეჟურნალისტია. ის აპირებდა კიდეც ამ პროფესიით მუშაობას, თუმცა საბოლოოდ, მსახიობობა არჩია.

* 1982 წელს ჯორჯი პირველად ჩავიდა ჰოლივუდში და მსოფლიო კინემატოგრაფის ცენტრში თავის დამკვიდრება სცადა. ერთი წლის განმავლობაში დადიოდა ქასთინგებზე, თუმცა უშედეგოდ. იმ პერიოდში ჯორჯს არანაირი შემოსავლის წყარო არ ჰქონდა, მეგობრის სახლში ცხოვრობდა და იატაკზე ეძინა. საბოლოოდ, ბედმა გაუღიმა და ერთ-ერთ დაბალბიუჯეტიან სერიალში საპილოტე სერიაში გადასაღებად მიიწვიეს.

* ნამდვილი წარმატება ჯორჯ კლუნის სერიალ „სასწრაფოს" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ეწვია. პედიატრ დაგ როსის როლმა კლუნის საყოველთაო აღიარება და მილიონიანი კონტრაქტები მოუტანა.

* 1997 წელს ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფიფლმა" ჯორჯ კლუნის პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტული მიანიჭა.

* თავის მეგობარ ქალს, კელი პრესტონს ჯორჯმა აჩუქა გოჭი – მეტსახელად მაქსი. კელი ვერ მიუხვდა იუმორს, ჯორჯს დაშორდა და გოჭიც დაუტოვა. მოგვიანებით, კელი ცოლად გაჰყვა ჯონ ტრავოლტას, ხოლო ჯორჯი მაქსს ზრდიდა, რომელმაც 18 წელი იცოცხლა, 126 კილოგრამს იწონიდა და პატრონი მას პერიოდულად საწოლში იწვენდა.

* კლუნი ხუმრობების დიდი მოყვარულია. ერთხელ მან ჯულია რობერტს კონვერტში ჩადებული 20-დოლარიანი კუპიურა გაუგზავნა და ზედ წააწერა: „ამბობენ, თქვენი როლი 20 ღირს". ცნობილია, რომ ჯულიას ჰონორარი ერთი ფილმისთვის 20 მილიონ დოლარზე ნაკლები არაა.

* ჯორჯი ხმაურიანი წვეულებების მოყვარულია და სპეციალურად ამისთვის იტალიაში, ტბა კომოზე დიდი ვილა შეიძინა, სადაც რვა დარბაზი სპეციალურად წვეულებებისთვის მოაწყო.

* ჯორჯ კლუნი დიდი ხანია, საათების კომპანია „ომეგას" სარეკლამო სახეა და ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში საზოგადოებას მოუწოდებს, რომ შეისწავლონ მესაათის პროფესია.



* სკოლაში თანაკლასელები ჯორჯს „ფრანკენშტეინს" ეძახდნენ. თინეიჯერობის წლებში ჯორჯს სახის დამბლა მოუვიდა და მთელი ერთი წელი სახის ნაწილი პარალიზებული ჰქონდა – თვალს ვერ ახელდა, გამართულად ვერ ლაპარაკობდა და უჭირდა ჭამა. აღმოჩნდა, რომ ეს გენეტიკური დაავადება იყო, რომელიც მამამისს, ნიკ კლუნისაც ჰქონდა გადატანილი. ჯორჯ კლუნის არ უყვარს ცხოვრების ამ პერიოდის გახსენება.

* საერთაშორისო აღიარება ჯორჯ კლუნიმ მოიპოვა რობერტ როდრიგესის ფილმით „დაისიდან აისამდე". მან ბანდიტი და კვენტინ ტარანტინოს გმირის ძმის როლი შეასრულა, რომელიც ვამპირებთან იბრძვის.

* ჯორჯ კლუნის უცოლო კაცის იმიჯი დიდი ხანია, ჰოლივუდში ყველაზე ტირაჟირებული თემაა. ერთხელ ნიკოლ კიდმანი და მიშელ პფაიფერი დანაძლევდნენ კიდეც, რომ კლუნი 40 წლამდე ცოლსაც მოიყვანდა და შვილიც ეყოლებოდა. ნიძლავი 15 ათას დოლარზე დაიდო. დღეს კლუნი 52 წლისაა და ჯერაც დაუქორწინებელია. საინტერესოა, რომ კიდმანმა და პფაიფერმა ჯორჯს 15-15-ათასდოლარიანი ჩეკები გაუგზავნეს, თუმცა მან თავაზიანი უარი განაცხადა თანხის მიღებაზე.

* ჯორჯ კლუნი რამდენიმე ხანს ხვდებოდა მსახიობ რენე ზელვეგერს, თუმცა საქმე ქორწილამდე ვერ მივიდა.

* დროის უმეტეს ნაწილს ჯორჯ კლუნი იტალიაში, კომოს ტბაზე ატარებს.

* ჯორჯმა ხუთჯერ სცადა მიეღო როლი რიდლი სკოტის ფილმში „ტელმა და ლუიზა". მან ხუთჯერ გაიარა ქასთინგი, თუმცა ხუთივეჯერ უარი უთხრეს. საბოლოოდ, ის როლი, რომელზეც კლუნი ისინჯებოდა, ბრედ პიტს შეხვდა. ამ ფილმის შემდეგ ბრედ პიტი მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

* ჯორჯ კლუნი მეორე მამაკაცია „ვოგის" არსებობის ისტორიაში რიჩარდ გირის შემდეგ, რომელიც ჟურნალის გარეკანზე მოხვდა.

* ჯორჯ კლუნი ფლობს კინო და სატელევიზიო საპროდიუსერო კომპანია „მეისვილ ფიქჩერსს".

* ჯორჯ კლუნის საუკეთესო მეგობარი ჰოლივუდში მარკ უოლბერგია, რომელთან ერთადაც მან ითამაშა ფილმში „სამი მეფე".

* „მე და ბრედი ძველი მეგობრები ვართ. მართალია, ხანდახან ბრძოლა გვიწევს „ყველაზე მიმზიდველის ტიტულისთვის" და ხან ის იგებს, ხან მე, მაგრამ, ეს ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრობას," – ამბობს ჯორჯ კლუნი ბრედ პიტზე.

* „იუმორის გრძნობა ცნობილ მსახიობებს ვარსკვლავურ დაავადებასთან ბრძოლაში ეხმარება," – ჯორჯ კლუნი

* 1988 წელს ჯორჯ კლუნიმ მეორახარისხოვანი როლი ითამაშა დაბალბიუჯეტიან ფილმში საოცარი სახელით – „მკვლელი პომიდვრების დაბრუნება".

* ცხოვრების განმავლობაში ჯორჯი მხოლოდ ერთხელ იყო დაქორწინებული, შორეულ 1980-იან წლებში, მავან ტალია ბალსამზე.

* ჯორჯ კლუნი წარმოშობით ირლანდიელი კათოლიკეების ოჯახიდანაა.

კლუნის დედა – ნინა ბრიუსი ახალგაზრდობაში სილამაზის დედოფლის ტიტულის მფლობელი გახლდათ.

**უშანგი რუხაძე**

# ვინ დაჭრა მხარში სტალინი



### ღალატი (1942 წლის 7 იანვარი)

არავინ თქვას, რომ ადამიანის ამოცნობა ბოლომდეა შესაძლებელი და ნურც იმას დაიკვეხნის ვინმე, რომ კარგად შემოწმებული, ერთი შეხედვით, ერთგული ადამიანი აბსოლუტურად სანდოა. ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურის პირადი უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, ათასგზის გადამოწმებული, დამუშავებული და აქედან გამომდინარე, სანდო ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული, მაგრამ მათი საიმედოობის ასპროცენტიან გარანტიას ვერავინ მოგვცემს. მე არაერთხელ აღმინიშნავს, თუ რა ერთგული, სტალინზე ფანატიკურად შეყვარებული და თავგანწირული ადამიანებისგან შედგებოდა დიდი ბელადის პირადი დაცვა. თუმცა ღალატის უცხო ბაცილა ჩვენშიაც შემოიჭრა...

1942 წლის 7 იანვარს, საღამოს 19 საათსა და 45 წუთზე, კრემლის სამთავრობო კომპლექსის – გენსეკის ფლიგელის პირველ სართულზე, იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე განხორციელდა ტერორისტული აქტი, რომლის შედეგადაც დიდი ბელადი მარცხენა მხარში დაიჭრა პისტოლეტიდან გასროლილი ერთი ტყვიით... ის ავბედითი დღე მკაფიოდ დამამახსოვრდა.

მოსკოვში თოვდა. ტემპერატურა, მინუს თექვსმეტი გრადუსი იყო და თან, საშინელი ქარი ქროდა. იმდენად ძლიერი თოვა იყო, რომ მეეზოვეები ვერ აუდიოდნენ კრემლის ეზოს დასუფთავებას. წინა ღამე, სტალინმა კუნცევოში გაათენა და კრემლში რომ მივედით, ეზოში მიხვეტილი თოვლის რამდენიმე უზარმაზარი გროვა დაგვხვდა, რომლის გატანაც ვერ მოესწროთ. სტალინი უგუნებოდ იყო. საერთოდ, ისედაც ცოტას ლაპარაკობდა მანქანაში, მაგრამ იმ დღეს სიტყვაც არ დაუძრავს. მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ მან ეზოს მორიგე ოფიცერს უბრძანა, რომ თოვლის გროვები მალე მოეშორებინათ. სტალინი სადარბაზოში შევიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ლიფტში ჩამჯდარიყო, ფეხით გააგრძელა გზა თავისი კაბინეტისკენ, სადაც მას პოსკრებიშევი ელოდა. „იოსებ ბესარიონოვიჩ," – მოახსენა პოსკრებიშევმა, – „სანამ თქვენ მანქანით მოემგზავრებოდით კუნცევოდან, „დაუნინ სტრიტი" (ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სამუშაო რეზიდენცია ლონდონში) დაგვიკავშირდა და თქვენთან საუბარი მოითხოვა". სტალინს ხმა არ ამოუღია და მხოლოდ თავი დაუქნია, რაც ნიშნავდა, რომ მზად იყო პრემიერ უინსტონ ჩერჩილთან სასაუბროდ. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაურებმა 40 წუთი ისაუბრეს. ჩერჩილმა სტალინს სასურსათო და ტექნიკური დახმარების თაობაზე აუწყა, რის გაწევასაც დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდა ჩვენი ქვეყნისთვის. ფაქტობრივად, იმ დღეს ჩაეყარა საფუძველი სამი ქვეყნის კავშირს მეორე მსოფლიო ომში. იმავე დღეს, სტალინთან საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელობა შეიკრიბა, რომლებმაც ოპერაცია „ხაფანგის" (ეს უდიდესი, წარმატებული სადაზვერვო ოპერაცია მეორე მსოფლიო ომში, რომელიც ბელადმა მოიფიქრა) დეტალები დააზუსტეს და სტალინმა მის დაწყებას მოაწერა ხელი. ამასობაში სადილობის დრომ მოაღწია (ჩვეულებისამებრ, სტალინი საკუთარ დასასვენებელ ოთახში სადილობდა) და რატომღაც სტალინმა კრემლის ოვალურ სასადილოში გააშლევინა სუფრა ესტონელ მზარეულ ქალს, რომელიც ჯერ კიდევ ლენინის დროიდან კვებავდა ბოლშევიკებს. სადილობისას სტალინმა მზარეული ქალი მაგიდასთან დაისვა. მასთან ერთად მიირთვა და თან, კრემლის ცხოვრების პირველ წლებს იხსენებდა. სადილის შემდეგ დიდი ბელადი ოდნავ ხასიათზე მოვიდა და კრემლის კინოდარბაზში რუზველტის მიერ გამოგზავნილი ფილმის საყურებლად შევიდა. შუა სეანსის დროს, პოსკრებიშევმა დიდ ბელადს გუნება-განწყობა კვლავ გაუფუჭა – კინოდარბაზში შევარდა და მოახსენა: „ამხანაგო სტალინ, გუდერიანის ტანკებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს, ჩვენს პოზიციებზე შემოიჭრნენ და შეტევას აგრძელებენ". სტალინი სწრაფად წამოდგა, დარბაზი უხმოდ დატოვა და თავის კბინეტში დაბრუნდა, სადაც მას გენშტაბის მაღალჩინოსნები ელოდნენ ჟუკოვის მეთაურობით. სამხედროებთან შეხვედრა საათ-ნახევარი გაგრძელდა და საკმაოდ მძიმედ ჩაიარა. სამხედროებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბელადი ძალიან იშვიათად გამოდიოდა წყობიდან და ნებისმიერ სიტუაციაში სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, იმ დღეს საკმაოდ აფორიაქებული ჩანდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, სტალინის ასეთი მდგომარეობა მისი ვაჟიშვილის, იაკობის შესახებ მიღებული ცნობებით იყო გამოწვეული. საბჭოთა დაზვერვის ცნობით, იაკობი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მას შემდეგ გადაუყვანიათ, რაც ფაშისტებს სტალინთან ვაჭრობის ყველა იმედი გადაეწურათ. მზვერავების მიერ გამოგზავნილ ინფორმაციებს ფოტოსურათებიც თან ერთვოდა, რასაც, როგორც მოლოტოვი მოგვიანებით იგონებდა, ყველაზე მეტად აუღელვებია სტალინი. მოლოტოვის თქმით, სტალინი თურმე კარგა ხანს ათვალიერებდა სურათების სქელ დასტას, რომელიც მაგიდაზე გაუშლია და გულდასმით აკვირდებოდა. „იქიდან (სურათებიდან)," – იგონებს მოლოტოვი, – „ტუსაღის ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილი, გამხდარი და გატანჯული ადამიანის სახე გვიმზერდა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, სულიერად ვერ გაეტეხათ. იაკობი იმ სურათებში ძალიან ჩამოჰგავდა ახალგაზრდა სტალინს, იმ კობას, რომელიც მე ჯერ კიდევ ჩვენი რევოლუციური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ვიხილე. როგორც ეტყობა, თავად სტალინმაც მშვენივრად უწყოდა ეს და, შესაძლოა, ასეთმა მსგავსებამ გამოიწვია მასში ისეთი გრძნობები, რამაც ხასიათი წაუხდინა. სტალინისა და ჩემ გარდა, კაბინეტში ბერიაც იმყოფებოდა, რომელმაც სურათები მოუტანა. ბერია თვალს არ აშორებდა დიდი ბელადის მოძრაობებს და, როგორც ეტყობა, ბოლომდე ჩაწვდა მის ფიქრებს, მიხვდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა მის სულში და უეცრად ალაპარაკდა: „ამხანაგო სტალინ, ნება მიბოძეთ, ჩემი მოსაზრება შემოგთავაზოთ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ვფიქრობ, ეს საკითხი წარმატებით გადაიჭრება". სტალინმა მრისხანე მზერა ესროლა ბერიას და ამ უკანასკნელს სიტყვა შუაზე გაუწყდა. სტალინმა იცოდა, რას სთავაზობდა მას ბერია და მრისხანებაც ამან გამოიწვია. ბერიას გეგმით, სპეციალურად გაწვრთნილ მებრძოლებს, რომლებსაც წინასწარ გადასხამდნენ მტრის ზურგში, მოულოდნელი იერიში უნდა მიეტანათ საკონცენტრაციო ბანაკზე და იაკობი ტყვეობიდან გამოეხსნათ. ასეთი გეგმა სტალინმა ადრეც კატეგორიულად უარყო და საკმაოდ გაღიზიანებულმა უპასუხა: „ჩემი პოზიცია უცვლელია, არა მაქვს უფლება, პირადი ამბიციებიდან გამომდინარე, ასეთ უაზრო ავანტიურაზე გავაგზავნო ათასობით ჩვენი საუკეთესო მებრძოლი. ხალხი ჩვენ ახლა აქ, მოსკოვის მისადგომებთან გვჭირდება და ვერ დავუშვებ, ერთ რიგით ადამიანს ამხელა პატივი დავდოთ". შემდეგ სტალინმა ბერია დაითხოვა კაბინეტიდან და როგორც კი კარი მიიხურა, მომმართა: „მე ვერ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, ფაშისტების ნება-სურვილზე გავიარო". შემდეგ სტალინი დადუმდა, გაიარ-გამოიარა და მოულოდნელად, სრულიად სხვა ხმით, რომელიც მე მთრთოლვარეც კი მეჩვენა, წარმოთქვა: „მე მას ვერც ბავშვობაში გავუწიე მამობა, რადგან სულ ცეცხლის ქვეშ ვიდექი და ახლაც უძლური ვარ". სტალინის ასეთი უცნაური სიტყვები მისი უძლურობის შესახებ იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. ასეთი შეცვლილი სტალინი არასოდეს მენახა." მოლოტოვის ამ მოგონებიდან აშკარად ჩანს სტალინის ის სულიერი მდგომარეობა იმ 7 იანვარს. როგორც ეტყობა, დიდი ბელადი ორ ცეცხლს შუა იდგა. ერთი მხრივ, მასში მამობრივი გრძნობა ღვიოდა და შვილის უმძიმესი მდგომარეობა სტანჯავდა, მეორე მხრივ კი, უდიდესი პასუხისმგებლობა საბჭოთა ხალხის წინაშე საშუალებას არ აძლევდა, საკუთარ პირმშოს დახმარებოდა. როგორც ცნობილია, მეორე გრძნობამ გადასწონა და იაკობი ზაქსენჰაუზენშივე დაიღუპა, ისევე, როგორც მილიონობით ადამიანი... ასეთი გადახვევა იმისთვის დამჭირდა, რომ სტალინის მდგომარეობა დამეხატა იმ საბედისწერო და ავადსახსენებელ დღეს, სასწაულებრივად რომ გადაურჩა სიკვდილს. 20 საათზე სტალინი ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელებს უნდა შეხვედროდა. 19 საათსა და 30 წუთზე ის კაბინეტიდან გამოვიდა და ფეხით გაემართა ეზოსკენ. კიბეებზე კალინინი შეხვდა, რომელსაც გაზეთ „პრავდის" ბოლო ნომერი ეჭირა. მათ ხუთიოდე წუთი ისაუბრეს და ერთმანეთს დაშორდნენ. კრემლში, დაცვა ყოველ კუთხე-კუნჭულში იდგა და სტალინის გამოჩენისას სმენაზე დგებოდა და მხედრულ სალამს აძლევდა უმაღლეს მთავარსარდალს.. პირველ სართულზე სტალინს სამიოდე პირადი მცველი მოჰყვებოდა, მე და ვლასიკი კი სადარბაზოს გასასვლელთან ველოდებოდით. იქვე, მანქანების კორტეჟიც იდგა და ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად. სტალინი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით მოდიოდა. მორიგე ოფიცერი, რომელიც სადარბაზოს კართან მარცხნივ იდგა რაღაც დაბნეული მომეჩვენა, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მსგავსი რამ ხშირად ემართებოდათ ხოლმე ადამიანებს სტალინის დანახვისას. რაიმე განსაკუთრებული ამაში არაფერი იყო. სტალინი გასასვლელისკენ მიდიოდა და როდესაც მასსა და იმ ოფიცერს შორის მანძილი, დაახლოებით, 10 მეტრამდე შემცირდა, უეცრად ოფიცერმა პისტოლეტი ამოაძვრინა მარჯვენა სახელოდან, სტალინისკენ მიმართა და სასხლეტს გამოჰკრა... ყველაფერი ეს წამის მეათასედში მოხდა, ტერორისტის მოძრაობის ყველა ფაზა თვალნათლივ მახსოვს. გაისმა გასროლა. სტალინი წაბარბაცდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და არ დავარდნილა. თავდამსხმელმა, მეორე გასროლა ვეღარ მოასწრო. სტალინის თანმხლებმა ერთ-ერთმა მცველმა პირდაპირ მარჯვენა მაჯაში მოარტყა მას ტყვია და პისტოლეტი ხელიდან გააგდებინა, დანარჩენმა ორმა კი „დააფარეს" და საშუალება არ მისცეს, განძრეულიყო. სტალინი მარცხენა მხარში დაიჭრა. ტყვია, ძირითადად, რბილში იყო გავლილი, მაგრამ ძვალსაც ჰქონდა ოდნავ შეხებული. მცირე ქირურგიული ჩარევა მაინც გახდა საჭირო. ტერორისტი ოფიცერი ანტონ ფროლოვი აღმოჩნდა, რომელიც ჩვენი სამსახურის ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა. თავდამსხმელი ბერიას უწყებამ წაიყვანა და მას თავად ბერია უტარებდა დაკითხვას. ფროლოვი ყოველმხრივ შემოწმებული იყო და ყველას გაუკვირდა მისი ასეთი საქციელი. ის ფსიქიკურადაც შეამოწმეს, მაგრამ ჯანმრთელობის დარღვევა ვერ აღმოუჩინეს. სიმართლე თავად ფროლოვმა აღიარა. როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ ოციანი წლების ბოლოს გადაუბირებიათ ის ტროცკისტებს და სტალინის მოსაკლავად დაუგეშავთ. „მე მთელი ეს პერიოდი ხელსაყრელ მომენტს ვეძებდი სტალინის მოსაკლავად", – განაცხადა ფროლოვმა. თუმცა მან ეს მაინც ვერ შეძლო და „ბრაუნინგიდან" გასროლილმა ტყვიამ მიზანს ვერ მიაღწია.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით, მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ადამიანი სასოწარკვეთილებაში რომ ვარდება და გამოსავალს ვერ პოულობს, მხოლოდ მაშინ მიმართავს უარყოფითი, დამანგრეველი ენერგიისგან დამცავ საშუალებებს. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, ცხოვრებაში თავადვე შეიტანოს სასიკეთო ძვრები და ცვლილებები. ამაში სხვა ვერ დაგვეხმარება. თუ მოინდომებთ, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენთ ცხოვრებაში.

ბევრს აწუხებს პრობლემები როგორც კარიერაში, ასევე, პირად ცხოვრებაში; ვერ აწყობს ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან თუ საყვარელ ადამიანთან. სხედან და ფიქრობენ, როგორ მოაგვარონ ეს ყველაფერი, საშველსა და ხსნას კი ვერსად პოულობენ. მართალია, ეს ცხოვრება იოლი არავისთვისაა და პრობლემა თუ ბარიერი ნებისმიერს ხვდება წინ, მაგრამ, მთავარია, არ მოეშვათ, იბრძოლოთ და ამით საკუთარ წინსვლას, წარმატებას შეუწყოთ ხელი. საკუთარ ბედ-იღბალს თავადვე უნდა დაეხმაროთ, რომ უკეთესობისკენ წარმართოთ და ბედნიერება მოიპოვოთ.

# კვირის რომელ დღეებში გეკრძალებათ საგვარეულო ძვირფასეულობის ტარება

ცხოვრებაში უამრავი გამოცდა გველის, ბედნიერებისთვის ბრძოლა კი, ნამდვილად ღირს. არც ისაა სწორი, რომ, როცა ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება, მხოლოდ მაშინ ახსენდება დამანგრეველი ენერგიის განეიტრალების შესახებ. თილისმის ტარება ყველასთვის საჭიროა – ასე უფრო დაცულიც ხარ, ჯანმრთელიც და შესაძლო უარყოფითი მოვლენებისგან დაზღვეულიც. ასე რომ, თილისმა მხოლოდ მაშინ კი არ უნდა ატაროთ, როცა გამოსავალს ვერ პოულობთ, არამედ მაშინაც, როცა წარმატებული, ჯანმრთელი და ბედნიერი ხართ, რადგან, ის ბედნიერების უტყუარი მცველია.

ასევე, არსებობს ლითონები, რომლისგან დამზადებულ თილისმასაც სამკურნალო და დამცავი ძალა გააჩნია. ძველად, თითქმის ყველა ოჯახში მიირთმევდნენ საკვებს ლითონის ჭურჭლიდან, ხმარობდნენ ვერცხლისა და ოქროს დანაჩანგალს. ეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და სტუმარსაც იმავე ჭურჭლით მიართმევდნენ საჭმელს, რაც დიდ პატივად ითვლებოდა. ლითონისგან დამზადებული სამკაული და ჭურჭელი უარყოფითი ენერგიისგან დაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა და მას უნიკალური თვისებები გააჩნია. სხვათა შორის, ეს თვისება უბრალო რკინასაც აქვს.

ამა თუ იმ ლითონის სამკაული ყველა ადამიანზე ერთნაირ ეფექტს ვერ ახდენს, ანუ, ვერცხლი, ოქრო თუ უბრალო რკინა ყველასთვის ერთნაირად დამცავი და დადებითი შედეგის მომტანი ვერ იქნება. მაგალითად, რბილი ხასიათის, გაუბედავმა, მორიდებულმა და თავმდაბალმა ადამიანმა აუცილებლად უნდა ატაროს უბრალო რკინისგან დამზადებული სამკაული, რათა კარიერასა და პირად ცხოვრებაში წინ წაიწიოს და ადვილად დაძლიოს ბარიერები; ფეთქებად და უნებისყოფო ადამიანს ოქროს სამკაულის ტარება ეკრძალება, რადგან ეს მას კიდევ უფრო ალაგზნებს დაააფორიაქებს. უმჯობესია, ვერცხლის სამკაულები ატარონ, რაც მათ ენერგიის კონცენტრაციაში შეუწყობს ხელს. საგვარეულო, ძვირფასი სამკაულების ტარება კი ყოველდღიურად არ ღირს. ჯობია, კვირაში ერთხელ გაიკეთოთ, დანარჩენ დღეებში კი სახლში იდოს, რომ მათი მძლავრი ენერგეტიკა და პოტენციალი საცხოვრებელში დაგროვდეს. ასეთი ნივთები არც უარყოფით ენერგიას შემოუშვებს სახლში და ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრების შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ. მაგრამ, გაითვალისწინეთ, ეს ნივთები აუცილებლად თქვენს წინაპარს უნდა ეკუთვნოდეს, შეძენილ სამკაულს ეს არ ეხება.

თუ საგვარეულო, ძვირფას სამკაულს ატარებს გასათხოვარი გოგონა, დიდი შანსია, პირად ცხოვრებაში გაუგებრობები ჰქონდეს, კვირაში ერთხელ კი მხოლოდ გათხოვილმა უნდა გაიკეთოს. ასეთი ნივთის ტარებისას, ყურადღება უნდა მიაქციოთ კვირის დღეებს, მაგალითად: არ უნდა გაიკეთოთ საგვარეულო ძვირფასეულობა ორშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს. დანარჩენ დღეებში მისი ტარება გამართლებულია. კარგია, თუ რაიმე ლითონისგან თქვენს სახელზე გააკეთებინებთ სამკაულს და მას ატარებთ ყოველდღიურად – ეს ყველაზე დადებითად მოქმედებს ადამიანის ბედსა თუ კარიერაზე, ანუ, წარმატებები და იღბალი მოაქვს. სხვათა შორის, ყველაზე კარგი დამცავი თილისმა ვერცხლისგან დამზადებული სამკაულია. ის ადვილად გაგარკვევთ სიტუაციებში, გამოიცნობთ, თქვენ გარშემო მყოფთაგან ვინ არის თქვენი ნამდვილი მეგობარი და ვინ – მტერი; აგარიდებთ არასასურველ კონტაქტებს. ასეთი თილისმა ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც კარგია. წინათ თითქმის ყველა ატარებდა ვერცხლის აქსესუარებს, მაგალითად, კაცები – ქამარ-ხანჯალს, ქალები კი – საყურეებსა და გულსაკიდებს. ვერცხლი ადამიანს სურვილების ახდენაშიც ეხმარება და ბედ-იღბლის მოპოვებაშიც. ასე რომ, დამცავი თილისმა თუ გნებავთ, მაშინ ის თქვენს სახელზე ვერცხლისგან გააკეთებინეთ ოქრომჭედელს და ყოველდღიურად ატარეთ. ასეთი თილისმა ავითარებს ზებუნებრივ ძალას ანუ, გაგიძლიერებთ ინტუიციასა და წინასწარმეტყველურ ნიჭს. თუ ოჯახში ხშირად გაქვთ მეუღლესთან კონფლიქტი, მაშინ, შეიძინეთ ლითონის შანდალი და ხშირად დაანთეთ სანთლები – ეს განამტკიცებს იმ ენერგიებს, რომლებიც ოჯახური თანაცხოვრებისთვისაა საჭირო და აგარიდებთ უარყოფითი ძალების ზეგავლენას მეუღლესთან ურთიერთობაში. ასევე, დაგეხმარებათ ოჯახური პრობლემების იოლად გადაწყვეტაში.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1992 წლის 13 მაისს, ღამის 3 საათსა და 20 წუთზე. სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი შემეფერება?**

**პასუხი:** სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის თქვენთვის მისაღებია კირჩხიბის, ვერძის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი.

**კითხვა: დავიბადე 1991 წლის 20 აპრილს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისია არის ის, რომ დაეყრდნოთ ხასიათის დადებით თვისებებს. იყავით მეტად აქტიური, აიღეთ საკუთარ თავზე ინიციატივა, გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები, დააბალანსეთ ურთიერთობა სასიყვარულო სფეროში. დაეყრდენით ცოდნის ბაზასა და ოპტიმიზმს. ნუ დაგაკმაყოფილებთ ის, რაც სხვას წარმატებად მიაჩნია. იყავით მაქსიმალისტი. საქმეს მიუდექით მეტი პასუხისმგებლობით. გამოავლინეთ დისციპლინა და შეუპოვრობა. ასევე, იყავით მომთმენი, მიზანსწრაფული, ფულის პრაქტიკულად მხარჯველი. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი, სამართალდამცავი და სამხედრო სტრუქტურები, პოლიტიკა, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, იურისპრუდენცია, სამოდელო სფერო, დიზაინი, გასართობი ინდუსტრია; მედიცინიდან – პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1990 წლის 18 მარტს, ღამის საათებში. მაინტერესებს, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი მომავალში?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო, საგამომცემლო საქმე, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთარგმნელობითი საქმე, ლინგვისტიკა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1994 წლის 30 დეკემბერს. რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი:** პროფესიებიდან ძალიან კარგია: ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან საქმიანობა, მედიცინა, პროფესიონალური დიპლომატია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, საკანონმდებლო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საბანკო-ეკონომიკური, სავაჭრო-კომერციული საქმიანობა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

28 მაისი, **სამშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

29 მაისი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

30 მაისი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„ნადირობის სეზონი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

1 ივნისი, **შაბათი** 19.45 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

2 ივნისი, **კვირა** 19.45 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

28 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

28 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

29 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები".** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„პრემიერა"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ნუგზარ ჩიქოვანი, მარიამ ჩუხრუკიძე, რუსუდან მელაძე, მარინა სოლომონია, დავით ველიჯანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

30 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 მაისი - 1 ივნისი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები"** - სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეკაშვილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;***

2 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

2 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

29 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

30 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„თოჯინების სახლი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 10 წუთი;***

31 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

1 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

30 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

31 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

1 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

2 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ქავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

30 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

31 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ინსტინქტი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ბაია დვალიშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, დავით გიგოლაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

1 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 35 წუთი;***

2 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 27 მაისი

**06.30** დ/ფ "ფერების სამყარო" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **17.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული და შურისძიება**" **21.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **01.30** "საფარი" **02.00** მხ/ფ "**ცვილის ფიგურების სახლი**" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ"**გარიგება**"(ს.ბლერი) **01.25** მხ/ფ "**ქვის მთლელი**" (ჯ.პაკულა) (ტიტ.) **02.55** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრესკლუბი" **16.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ფესვები**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "**ბნელ ოთახში**" **16.50** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.15** კონცერტი - "ეგარი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "იალაღობა აჭარაში" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ბერნარდა ალბას სახლი**".

## სამშაბათი 28 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **17.00** დ/ფ "ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული და შურისძიება**" **21.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ "**საგანგებო ექსტრადიცია**" (რ. უიზერსპუნტი) **01.50** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "ორერა'' **1** ნაწილი (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) ფინალი **00.15** მხ/ფ "**მე დევიდი ვარ**" (ჯ.კავიზელი) **02.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ-შოუ – "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრეს-პრესი" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **1.00, 3.00** ახალი ამბები.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** სპექტაკლი - "**ბნელ ოთახში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.00, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** კონცერტი - კ. პევზნერის საღამო **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩემი ქვეყანა **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი **02.10** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**27 მაისი – 2 ივნისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.00, 19.50 - **„ფორსაჟი 6”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.30 - **„დიდი გეთსბი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 20.00 - **„ნაწილები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 22.15 - **„იბრძოლე”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ქრუდსების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30, 17.15, 20.00, 22.30 - **„სტარ ტრეკი: სიბნელეში”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.00, 22.30 - **„რკინის კაცი 3”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

20.00 - **„ჯარისკაცის მამა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

13.00, 16.15, 19.30 - **„დიდი გეთსბი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

22.30 - **„ფორსაჟი 6”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.30, 17.00, 19.45 - **„ფორსაჟი 6”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.30 - **„დიდი გეთსბი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

13.00, 16.00, 19.15 - **„დიდი გეთსბი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

22.15 - **„ფორსაჟი 6”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„მონსტრი პარიზში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.00, 22.00 - **„ნაწილები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).

# ხორცის ღვეზელი















**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კონა ოხრახუში, 1 კონა ქინძი, 3 ჭიქა ფქვილი, 1 ცალი კვერცხი, 180 მილილიტრი წყალი, 5 სადილის კოვზი ზეთი, ცოტა საფუარი, 500 გრამი ღორის ხორცი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ ცომი, ფქვილით, კვერცხით, წყლით, ზეთით, საფუარითა და 0,5 ჩაის კოვზი მარილით. მოზილეთ და მოათავსეთ მაცივარში, ან შეგიძლიათ, მაშინვე გამოიყენოთ.

ხორცი დაჭერით ულუფებად, რბილი ხორცი უნდა შეარჩიოთ. ხორცის ნაჭრებს მოაყარეთ მარილი, პილპილი, წაუსვით სათითაო ნაჭერს ზეთი. მწვანილი ძალიან წვრილად დაჭერით. ხორცის ნაჭრები ამოგანგლეთ დაჭრილ მწვანილში.

ცომი გაყავით რვა ტოლ ბურთულად. გააბრტყელეთ სათითაოდ ისეთ ზომაზე, რომ მასში კარგად შეიფუთოს ხორცის ნაჭრები. მოათავსეთ ხორცი შუაგულში და შეფუთეთ, როგორც მოგიხერხდებათ. გამოაცხვეთ აირღუმელში 15 წუთის განმავლობაში – თავიდან 180 გრადუს ტემპერატურაზე, მერე კი 40 წუთი გააჩერეთ 160 გრადუსზე. ძალიან მოგეწონებათ.

# ქათმის „გამომცხვარი“











**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ქათმის ბარკალი, ბარკლისძირით, ზეთი, 2 თავი ხახვი, 0,5 კილოგრამი კარტოფილი, 1 ცალი სტაფილო, 100 გრამი ყველი, მაიონეზი, შავი პილპილი, მარილი.

**მომზადების წესი:** ქათმის ბარკალი და ბარკლისძირი მოათავსეთ ღრმა ჭურჭელში, მოაყარეთ მარილი და პილპილი, წაუსვით მაიონეზი. გააჩერეთ ნახევარი საათით. კარტოფილი დაჭერით თხელ ფირფიტებად. მოათავსეთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე, მოაყარეთ მარილი და – თხლად დაჭრილი ხახვი. შემდეგი ფენა იქნება გახეხილი სტაფილო (მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ) და შემდეგ კი ისევ კარტოფილი, რომელსაც მოაყრით გახეხილ ყველს. ამ ყველაფრის ზემოდან მოათავსეთ მარინადიდან ამოღებული ქათმის ნაჭრები და შედგით აირღუმელში 200 გრადუს ტემპერატურაზე. გამოაცხვეთ და მიირთვით, ძალიან გემრიელია.

# ცხელი საუზმე







**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი გრძელი პური „ბაგეტი“, მაიონეზი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 200 გრამი მაგარი ყველი, ნებისმიერი მწვანილი – თქვენი გემოვნებით, 1 თავი წითელი ხახვი, ზეთი შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ინგრედიენტების რაოდენობა, სურვილისამებრ, შეგიძლიათ გაზარდოთ. გამოსაცხობ ტაფაზე დააწყვეთ მრგვლად დაჭრილი „ბაგეტის“ ნაჭრები. ტაფას წინასწარ წაუსვით ზეთი, პურის ნაჭრებს სათითაოდ გადაუსვით ცოტა მაიონეზი – 1/2 ჩაის კოვზი საკმარისი იქნება. მოაყარეთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, ბულგარული წიწაკა და თითო ნაჭერზე დააწყვეთ მრგვლად დაჭრილი პომიდორი. ზემოდან დაალაგეთ ყველის ნაჭრები. გააცხელეთ აირღუმელი 200 გრადუს ტემპერატურაზე და ბუტერბროდიანი ტაფა შედგით შიგნით. 10 წუთში ყველი დაიბრაწება და გემრიელი საუზმე მზად არის. ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# შოკოლადის ღვეზელი

**საჭირო ინგრედიენტები:** ღვეზელისთვის – 250 კარაქი, 0,5 ჭიქა ფქვილი, 0,5 ჭიქა კაკაო, 2 ჭიქა შაქარი, 4 კვერცხი. სოუსისთვის: 6 სადილის კოვზი კაკაო, 6 სადილის კოვზი შაქარი, 10-12 სადილის კოვზი რძე. ნაყინი გასაფორმებლად.

**მომზადების წესი:** კარაქი გაადნეთ. შეურიეთ ფქვილი და შაქარი. კვერცხი გათქვიფეთ, შეურიეთ კაკაო და დაუმატეთ ფქვილიან მასას. ცომი მოათავსეთ 25 სანტიმეტრის დიამეტრის ფორმაში და 30 წუთის განმავლობაში საშუალო ტემპერატურაზე გახურებულ ღუმელში გამოაცხვეთ. შოკოლადის სოუსის ინგრედიენტები ქვაბში მოათავსეთ და წამოადუღეთ. ნამცხვარი მიირთვით ნაყინსა და შოკოლადის სოუსთან ერთად.



# უგემრიელესი ფუნთუშები

**საჭირო ინგრედიენტები:** 350 მილილიტრი რძე, 80 გრამი მარგარინი, 2 ცალი კვერცხი, 2 სადილის კოვზი მშრალი საფუარი, 150 გრამი სხვადასხვა სახის ჩირი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 2 ჭიქა ფქვილი, 3 სადილის კოვზი შაქარი, მიხაკი, დარიჩინი, ჯავზი – გემოვნებით, 1 ცალი კვერცხის გული. ასევე, ცალკე ვაჟინისთვის – 4 სადილის კოვზი რძე, 2 სადილის კოვზი შაქარი.



**მომზადების წესი:** ფქვილში აურიეთ მარილი, 1 სადილის კოვზი შაქარი, სანელებლები და საფუარი. დანარჩენი შაქარი და მარგარინი კარგად გათქვიფეთ, დაამატეთ კვერცხი და თბილი რძე. რძიანი მასა თბილადვე შეაზილეთ ფქვილს და სხვა მშრალ ინგრედიენტებს. ცომი დადგით ასაფუებლად. როდესაც აფუვდება, დაყავით 12 ნაწილად, თითოეულს გულში ჩაუდეთ დაჭრილი ჩირი და მიეცით მრგვალი ფორმა. ფუნთუშები მოათავსეთ ცხიმწასმულ თუნუქის ფურცელზე, თითოეულს ზემოდან დანით გამოსახეთ ჯვარი, წაუსვით კვერცხის გული და დააცადეთ, რომ კიდევ ერთხელ ამოვიდეს. შემდეგ შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში და აცხვეთ 20-25 წუთის განმავლობაში. შაქრითა და რძით მოადუღეთ ვაჟინი და მზა ფუნთუშებს წაუსვით.

# ღვეზელი ნუშით, ნიგვზითა და ქიშმიშით

**საჭირო ინგრედიენტები:** ცომისთვის – 250 მილილიტრი რძე, 100 გრამი კარაქი, 150 გრამი შაქარი, 4 ცალი კვერცხი, 1,5 სადილის კოვზი მშრალი საფუარი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 700-800 ფქვილი. გულსართისთვის – 100 გრამი ნუში, 100 გრამი ნიგოზი, 100 გრამი ქიშმიში, 100 გრამი შაქარი, 2 სადილის კოვზი კონიაკი, 6 ცალი მჟავე ვაშლი.

**მომზადების წესი:** თბილ რძეში გაადნეთ შაქარი და კარაქი. ფქვილში აურიეთ საფუარი. კვერცხი ათქვიფეთ მარილთან ერთად. 2 კვერცხის გული მოიტოვეთ. მშრალ ინგრედიენტებს დაუმატეთ რძიანი მასა, ფქვილი და მოზილეთ ნაზი ცომი, რომელიც ხელს არ მიეკრობა. დადეთ ასაფუებლად. დაჭრილი ნიგოზი, ნუში, შაქარი, კონიაკი და ქიშმიში ერთმანეთში აურიეთ. ვაშლი გაფცქვენით, ამოაცალეთ თესლი და თხლად დაჭერით. აფუებული ცომი 2-3-ჯერ ჩაზილეთ. ბოლოს დაყავით 14 ბურთულად, გააბრტყელეთ. თითოეულში მოათავსეთ ნიგვზიანი გულსართი და წვრილი რულეტები გააკეთეთ. რულეტები ოდნავ გააბრტყელეთ, ზედ დააწყვეთ თხლად დაჭრილი ვაშლი და კიდევ გადაახვიეთ, ჩააწყვეთ ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ფორმაში, ზემოდან გადაუსვით გათქვეფილი კვერცხის გული და მოაყარეთ ცოტა შაქარი. დააცადეთ 30 წუთი, რომ აფუვდეს, შემდეგ კი შედგით წინასწარ 180-200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში, 35-40 წუთის განმავლობაში.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 29 მაისი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ **"ტკბილი ნოემბერი"** (კ.რივზი) **01.20** ანიმც. მხ/ფ **"გონების დაბინდვა"**(ტიტ.)(კ.რივზი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ **"ადრენალინი 2"** (ჯ.სმარტი) **01.15** მხ/ფ **"რიდიკის თავგადასავალი"** (ჯ.დენჩი) **03.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. **"გრიმი"** **00.30** კინოაფიშა. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.20** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** ჩვენი ბიბლიოთეკა **16.30** დოკ/ფ "განვლილი წლები" - ვლადიმერ ასათიანი **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ხიდი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"საბრალონი"** I სერ.

## ხუთშაბათი 30 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "სიცოცხლე" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"დაუპატიჟებელი სტუმრები"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"ყველაზე ლამაზი გრძნობა"** (მ.პფაიფერი) **00.40** მხ/ფ **"დედოფალი მარგო"** (ვ.პერესი) **03.05** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00** ახალი ამბები **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) **14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"საბრალონი"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "ხიდი" **11.15** დოკ/ფ "ჩემი ქვეყანა" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I სერ. **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - ანს."მამული" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "უბისა" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"საბრალონი"** II სერ.

## პარასკევი 31 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "სამხედრო საზღვაო ავიაცია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **20.30** **ფეხბურთი.** კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი. (პ/რ "დინამო" არენიდან) **23.00** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ **"მოკალი მონსტრი პირველ გვერდზე"** (ტიტ.) (დრამა. რეჟ: მ.ბელოკიო).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი **00.15** მხ/ფ **"დევნილი"** (ტ.ლი ჯონსი) **02.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკო ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი

**8.00, 9.15** მალვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** "მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**საბრალონი**" II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დოკ/ფ "უბისა" **10.55** მოკ/ფ "**ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა**" **11.25** დოკ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო' **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II სერ. **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.10** საუბრები ლიტერატურაზე **16.40** კონცერტი - ზ.ფალიაშვილი "ლატავრა" (დირიჟორი ი. ჩოლოყაშვილი) **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.25** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ვარდისფერი კაცი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ჩვენი ბიბლიოთეკა.

## შაბათი 1 ივნისი

**08.00** საბ. მხ/ფ "**კატები და ძაღლები**" **10.00** საბ. ტ/სერ "**ზინგზილები**" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **12.30** კლასიკური მუსიკის კონცერტი **14.00** საბ. მხ/ფ "**მოვდივართ და მოვიმღერით**" (გ.წულაია) **15.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **16.30** ანსამბლი "მართვე – **33**" **18.00** "ეტალონი" **19.00 "10|10"** **21.00** "საჯარო პოლიტიკა/ (პ/ე) **22.00** "ახალი ქართული კინო" **23.20** დ/ფ "კავკასიის შორეული ხეობები" **00.00** მხ/ფ " **ჰაროლდი და კუმარი**" (ჰ.შლოსბერგი).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **5-6** სერ. **09.00** მხ/ფ "**მიუზიკლი" სიყვარული" სპორტი — 2"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "ავატარი" **12.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი**" **1** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფილმი: "ელექტრომობილების შურისძიება" **17.50** სერ "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ "**ბოროტების სავანე**" (მ.იოვოვიჩი) **01.50** მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**" (კ.ფერტი) (ტიტ.) **03.30** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **19.00** ყველაზე ჭკვიანი. **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00** კინოაფიშა. **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. "**გრიმი**" **02.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მალვიძარა (კოლაჟი) **9.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) **11.00, 18.45, 23.00, 3.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30, 5.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **2.30** "ღია კარის დღე" **6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III სერ. **13.25** ჩვენი ბიბლიოთეკა **13.55** ქრისტიანული სწავლება **14.05** დოკ/ფ "ვარდისფერი კაცი" **15.10, 18.05, 21.05, 00.30** პატრიარქის ქადაგება **15.20** ოპერა-თამარ ივერი "**ბოჰემა**" **17.25** დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.20** წმინდა მოციქულთა სწორი ნინო **21.40** კარაბადინი **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.55** დოკ/ფ **02.15** მოკ/ფ "**ბზიანეთი**".

## კვირა 2 ივნისი

**08.00** დ/ფ"ცხოველთა სილამაზე" **09.00** საბ. ტ/სერ "**ზინგზილები**" **10.00** "ეტალონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: "ხიდი" **15.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ქართ. მხ/ფ "**სინათლე ჩვენს ფანჯრებში**" **18.30** დ/ფ "ევროვიზიის დღიური" ფინალი **19.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ბავშვთა ოცნების ქალაქი "მზიური" **20.00** "მოამბე" **20.25** ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: ირლანდია – საქართველო (პ/რ დუბლინიდან) **22.25** "უცნობი მუსიკა" **23.00** კონცერტი **00.00** მხ/ფ "**უდანაშაულობის პრეზუმფცია**" (ჰ.ფორდი).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **7-8** სერ. **09.15** ქ.მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი**" **2** სერ. **14.20** მხ/ფ "**ტალღებთან მოთამაშე**" **17.40** იმედის გმირები **17.50** სერ. "**სახიფათო კავშირი**" **1** სერ. **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **23.30** იმედიატორი **01.00** დოკ/ფ "ჩემი პერესტროიკა'' **02.00** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. "**გრიმი**" **02.00** მხ/ფ.

**7.00, 23.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მალვიძარა (კოლაჟი) **9.30, 18.45, 3.30** "ღია კარის დღე" **10.00, 11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **20.00, 4.30** ჩემი ქორწილი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 1.30** კვირის აბები.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** გამოყენებითი ხელოვნება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მაისის თოვლი**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **14.30** კარაბადინი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.35** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.30** მხ/ფ "**ჩემი მსახურის და**".

## ვერძი



გამოიყენეთ ძველი კავშირები და დაამყარეთ ახალი კონტაქტები. გაითვალისწინეთ სხვისი აზრი. ეცადეთ, არ დაიწყოთ საქმის გარჩევა საყვარელ ადამიანთან. ახლობლებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობა თქვენს შინაგან განწყობას გააუმჯობესებს.

## კურო



ამ პერიოდში ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაზე დამოკიდებული იქნება თქვენი სამომავლო მოქმედებები. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა სიმშვიდის შეგრძნებას შეგმატებთ. ფინანსური საკითხების გადაწყვეტა დამატებით ხარჯებს დაუკავშირდება. შინაგანი წონასწორობის აღდგენისთვის კარგია ახლო ნათესავებთან კონტაქტი.

## ტყუპები



მთავარია, არ აჰყვეთ მელანქოლიას და მოუსმინეთ უფროსების რჩევებს. წარმატებას მოგიტანთ საქმის მიმართ კონსერვატორული მიდგომა. საყვარელ ადამიანთან უსიამოვნება ხანმოკლე აღმოჩნდება, ქალაქგარეთ გასვლა კი სასიკეთოდ აისახება თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.

## კირჩხიბი



გაიზრდება თქვენი ორგანიზატორული თვისებები და ამის გამო მოიმატებს შემოსავალიც. სასიყვარულო კავშირები ფარული გახდება. თავს ენერგიულად იგრძნობთ, მოიმატებს გონებამახვილობაც. მოგინდებათ მეტ ხალხთან ურთიერთობა. გაიზრდება გადაადგილებებისა და ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი.

## ლომი



თქვენ წინაშე ბევრი პერსპექტივა გადაიშლება, თუმცა, საქმეების უმეტესობა ორაზროვან სიტუაციებში აღმოჩნდება. კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნეთ საქმიან ურთიერთობებში. კარგია მოგზაურობა და დასვენება, მით უმეტეს, საყვარელ ადამიანებთან ერთად.

## ქალწული



მოგინდებათ ბევრ ხალხთან ურთიერთობა, თუმცა ცხოვრების სტილისა და რიტმის ცვლილება პრობლემებს შეგიქმნით როგორც ოჯახის წევრებთან, ისე საყვარელ ადამიანთან ურთიერთობებშიც. რეალურად შეაფასეთ თქვენი ფინანსური მდგომარეობა და ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. შეამცირეთ გადაადგილებები და ერიდეთ ინტრიგებსა და რისკს.

## სასწორი



კარგი დროა გავლენიან ხალხთან ურთიერთობისთვის და პროფესიული მიღწევების გასაუმჯობესებლად. ოჯახური ურთიერთობების გამწვავებას ფარული სასიყვარულო კავშირის გამოაშკარავება გამოიწვევს. ახალი კონტაქტები და ინფორმაცია საქმის წარმართვაში დაგეხმარებათ. ფრთხილად იყავით მოგზაურობის დროს.

## მორიელი



კარგი ფსიქოემოციური მდგომარეობა და ფინანსური სიმშვიდე დაგეხმარებათ ცხოვრების ოპტიმისტურად შეფასებასა და მომავალი წარმატებების ინტუიციურად შეგრძნებაში. კარგი დროა სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. დააკვირდით განგების მინიშნებებს. არ ვარგა მოგზაურობა, ამიტომ, დროებით თავი შეიკავეთ.

## მშვილდოსანი



ეცადეთ, არ აჰყვეთ გრძნობებსა და სტრესებს. მოიმატებს ინტუიცია. როგორც საქმიანი, ისე სასიყვარულო პარტნიორები ვერაფერს დაგიმალავენ. სასურველია, ხშირად დაისვენოთ. რაც შეიძლება წინდახედულად, მორალის დაცვითა და ფრთხილად იმოქმედეთ, რათა ეს არ გახდეს საზოგადოების განხილვის საკითხი.

## თხის რქა



მოსალოდნელია როგორც ძლიერი მტრების, ასევე, საუკეთესო საქმიანი პარტნიორების გამოჩენა. მიუხედავად ამისა, ჯობია, ნაკლებად იმპულსურად იმოქმედოთ და არ აჰყვეთ ეჭვებსა და დეპრესიას. მოგინდებათ სასიყვარულო კავშირის დაწყება. რაც მეტ თაყვანისმცემელს შეიძენთ, მით უკეთ იგრძნობთ თავს.

## მერწყული



სიამოვნებით გაუწევთ დახმარებას გარშემო მყოფებს და თავდაუზოგავად იშრომებთ მიზნის მისაღწევად. მთავარია, არ იკამათოთ. შორეული მოგზაურობა ბევრ შთაბეჭდილებასა და ახალ პარტნიორულ ურთიერთობას გპირდებათ როგორც საქმიან, ასევე სასიყვარულო სფეროში.

## თევზები



სიყვარული და რომანტიკა თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა, საყვარელი ადამიანი კი უამრავ სითბოსა და სიყვარულს გაჩუქებთ. ახალი კავშირები და საზოგადოებრივი საქმეები პოპულარობის საწინდარი გახდება. თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ბევრი საქმის გაკეთებას მოასწრებთ. მოგზაურობა, ჯობია, დროებით გადადოთ.

**ახალმთვარეობა – 8 ივნისი, 15 სთ: 55 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

მაღალია ღალატისა და მოტყუების ალბათობა. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, მიწაზე შრომა, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ალექსანდრიტი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

არ მოადუნოთ ყურადღება. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, მწვანე ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ყვითელი იასპი, მალაქიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. კარგია მანქანის შეძენა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუების ალბათობა. კარგია ახალი კონტაქტები, ახალი საქმის დაწყება, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ციტრონი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური განვითარება. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოერიდეთ მნიშვნელოვან საბუთებზე ხელის მოწერას. კარგია სასიყვარულო კავშირები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, წითელი, ვერცხლისფერი, ვარდისფერი ან ნეონის ფერის სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ფირუზი ან ზურმუხტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია დიეტის დაწყება, გართობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

თავი შეიკავეთ ფინანსური გარიგებებისგან. მაღალია მოტყუების ალბათობა. მოიმატებს ხასიათში ილუზიებისა და სენტიმენტალიზმის გამოვლენის ალბათობაც. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ქრიზოპრაზი, ბრილიანტი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ტერფები, ლიმფური და ნერვული სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ნუ დაუჯერებთ ჭორებს. ნუ შეიჭრით თმას. დაუჯერეთ ინტუიციას. მოერიდეთ მოგზაურობას. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს. ატარეთ მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარჯანი, მარგალიტი ან აქატი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო კავშირებს. კარგია იურისტებთან კონტაქტი, მცენარეების დარგვა-გადარგვა, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

იყავით ყურადღებით, რადგან მაღალია მოტყუებისა და გაქურდვის ალბათობა. მოერიდეთ ფულის ხარჯვას. იმუშავეთ შემოქმედებითად. კარგია სასიყვარულო კონტაქტები. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, წესების დარღვევას, თმის შეჭრას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, თვალები.

***პოზიტიური დღეა: მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ფალაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ფალა.

გვარი მოიხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიულ საბუთებში.

იგივე ძირისაა გვარი **ფალიშვილი.**

საქართველოში 83 **ფალაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 41, კასპში – 27, დედოფლისწყაროში – 11. არიან სხვაგანაც.

**მახაჭაშვილი**

გვარისთვის **მა** არის ართრონი, ანუ წინსართი, **ხაჭა** კი – გვარის ფუძე. იგივეა, რაც **ხაჭაშვილი**, გვარის დამწყები გვეუბნება: მე ხაჭას შვილი ვარო.

სულხან-საბასთან გვხვდება ხაჭიჭორა და ხაჭო. სავარაუდოდ, ამ გვარის წარმოშობა ხელობასაც უკავშირდება, ანუ, ხაჭოს ამომყვანები იყვნენ და შემდგომ ეს გაუგვარდათ.

ამავე ფუძითაა ქართული გვარები **მახაური, მახაშვილი.**

**მახას** წაბაძვითაა გაჩენილი მოფერებითი სახელი მახაჭა.

**მახა**, სულხან-საბას მიხედვით, ყანაა, ასევე, ხორბლის ჯიშიც.

საქართველოში 124 **მახაჭაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 39, თბილისში – 30, მცხეთაში – 21. არიან სხვაგანაც,

329 **მახაჭაძე**: ქედაში – 109, ხელვაჩაურში – 94, ბათუმში – 72. არიან სხვაგანაც.

**მურვანიძე**

საკუთარი სახელი მურვანი მეხუთე საუკუნის საქართველოში უკვე ჩანს დამკვიდრებული. ასე ერქვა ფილოსოფოსს, თეოლოგსა და საეკლესიო მოღვაწე იბერ ქართველს, რომელიც ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში ქრისტიანობის მიღებისას პეტრე იბერიელად დაეწერა. იგი ერისკაცობაში მურვანისა და მურმანის სახელითაცაა მოხსენიებული. ასე რომ, მურვან ყრუს შემოსევამდე ჩვენს წინაპრებს ეს სახელი უკვე ერქვათ. არაბმა ხალიფა მურვანმა საქართველო 736-737 წლებში მოაოხრა. ეს სახელი პოპულარული ყოფილა ძველად. ამ ხალხში ალ ამირას, ანუ ემირს, აბდალ აზიზ იბნ მურვანი ერქვა, ხოლო მურვანი – ფერს ნიშნავს.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ატენის სიონის წარწერებში დასტურდება მოღვაწეები – მურვან, გაბიტა, გაბაიას სახელებით, ეს ლაპიდარული წარწერებია. მეთერთმეტე საუკუნეში ქველის ერისთავ-ჯაყელს, ასევე, მურვანი ერქვა. ცნობილია 1795 წლის **მურვანიშვილის** არზა, ანუ სიგელი, განკარგულება, საბუთი.

**მურვანიშვილები** არიან ახალქალაქში, აგრეთვე, ქარელის რაიონში. ზემო იმერეთშია სოფლის უბანი **მურვანაშვილების** სახელწოდებით, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საკრებულოში არის სოფელი მურვანეთი.

მურვანი მურმანის ფონეტიკური ვარიანტია. პირველი უფრო გვარებშია დარჩენილი, როგორც ძველი ფორმა, მეორე კი – სახელებში. ქართული ლეგენდის „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟს ხომ მურმანი ერქვა.

ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში არის მიკროტოპონიმი – „მურმანის ტყე".

ამ გვარისანი სოფელ ქობულეთშიც ცხოვრობენ.

სახელი მურვანი და გვარი **მურვანაშვილი** აჭარლებს 900-1000 წლის წინათ და უფრო ადრეც ჰქონიათ. მაჭახელას ხეობის (ხელვაჩაურის რაიონი) მკვიდრთა შორის ყოფილან მურვან გივიშვილი, მომესწარა და მიროონ **მურვანაშვილები**. იყვნენ საქართველოს სხვა მხარეებშიც.

მურვანი შავგვრემანი კაცის მეტსახელადაცაა შემორჩენილი, ის შავს ნიშნავს.

**მურვანიძეების** პირველი ადგილსაცხოვრებელი შუახევის რაიონია. აქედან განითესნენ აჭარის სხვა კუთხეებსა და გურიაში,




ხოლო ამ 10-15 წლის წინათ – მესხეთ-ჯავახეთშიც.

საქართველოს საზღვაო-სანაოსნო საზოგადოება „ცოდნის" ხელმძღვანელი, შალვა **მურვანიძე** მოგვითხრობს:

„თურქების გაორკეცებულ რისხვას იწვევდა ის, რომ მის წინაპრებს შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევში არაბული სახელიდან მომდინარე გვარები ჰქონდათ, ამ ქვეყანაში აღმოცენებული ისლამის მიღებას კი, სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ.

**მურვანიძეები** არიან ბათუმში, მათ შორის გურიიდან გადმოსული – იმათი შთამომავლები, რომლებიც თურქების მოძალებისას იძულებულები იყვნენ, მათ მიერ დაუპყრობელ გურიასა და იმერეთში გახიზნულიყვნენ, რაზეც 1614 წელს აჭარაში მყოფი ევროპელი მისიონერი ლუი გრანჯეცი გარკვევით წერს".

**მურვანიძეებსაც** ჰყავთ ნათესავ-მოყვრები თურქეთში.

საქართველოში 1 228 **მურვანიძე** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 347, ბათუმში – 229, თბილისში – 207. არიან სხვაგანაც.

**სომხიშვილი-სომხაძე**

გვარი **სომხიშვილი** მიღებულია სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვიდან – სომხითი. ისტორიის გარკვეულ პერიოდში ასე ერქვა ყოფილ ბერდუჯს (დღევანდელი ქვემო ქართლი). ზოგჯერ ჩანაწერებში გვხვდება არა **სომხიშვილი**, არამედ **სომეხიშვილი**. ისტორიულ დოკუმენტებში, მათ შორის, კამერული აღწერის მასალებში, **სომხიშვილები** არიან მართლმადიდებლები, ტომითა და ეროვნებით ქართველები.

ამირანა **სომეხიშვილი** მოხსენიებულია გაცვლის წიგნში, 1673 წელს, სოფელ ტბისში. დათუნა **სომეხიშვილი** მოხსენიებულია ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1697 წლის 21 მაისს.

ბერუა **სომხიშვილი** მოხსენიებულია მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ამილბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში.

1873 წლის დროს ლუკა **სომხიშვილის** ოჯახის აღწერის ფურცელში რეგისტრირებულია: მართლმადიდებლები, ტომით ქართველები, მშობლიური ენა – ქართული.

**სომხიშვილები** და ელიაზარაშვილები მართლმადიდებლები არიან. ეს ორივე გვარი ქართული გვარ-სახელია, უკავშირდება ქვემო ქართლის ადრინდელ სახელწოდებას – სომხითს. სომხიშვილის შტო-გვარია ელიაზარაშვილი.

ელიზაროვები იგივე ყოფილი **სომხიშვილ-ელიზარაშვილები** არიან.

საქართველოში 1 329 **სომხიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 500, გორში – 258, გარდაბანში – 130. არიან სხვაგანაც.

28 **სომხაძე**: ქარელში – 18, რუსთავში – 3, თბილისში – 7.

**ბზეკალავა**

**ბზეკალავა** გურიაში წარმოშობილ გვარად ითვლება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გვარში ფუძედაა სიტყვა ბზეკალი, რომელსაც გურულები ბავშვის სათამაშო მშვილდისარს უწოდებენ.

ასევე, სამეგრელოში ამ გვარით დაფიქსირებულია რამდენიმე კომლი.

იშვიათად, მაგრამ, გვხვდება გვარი **ბზაკალია**. დიდ ნეძში დაფიქსირებულია 2 კომლი. ითვლება, რომ ეს გვარი იგივე **ბზეკალავადანაა** წარმოშობილი.

ბზა-ბზი ფუძითაა წარმოქმნილი, ასევე, შემდეგი გვარები: ბზიავა, ბზლილავა.

ფუძე ბზა-დან წარმოშობილია მეტსახელი ბზიალა. სამეგრელოში, ასევე, გვხვდება მეტსახელი ბზლიტა.

ბზლილი, იგივეა, რაც „ჯაგრცხილა". აქედან უნდა იყოს, სავარაუდოდ, წარმოქმნილი გვარი ბზლილავაც. ვედითკარში ამ გვარის 6 კომლი სახლობს.

საქართველოში 215 **ბზეკალავა** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 133, თბილისში – 36, ბათუმში – 20. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ნაბიჯ-ნაბიჯ – სასურველი წონისა და ჯანმრთელობისკენ

*ჭარბი წონის მოშორება ძალიან კარგია, მაგრამ, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაზიანდეს ჯანმრთელობა. უფრო მეტიც, ნელ-ნელა, მოთმინებით, ნებისყოფის ძალისხმევით, გახდომის პარალელურად, უნდა გავიკაჟოთ ორგანიზმი, ანუ, ორი კურდღელი ერთად დავიჭიროთ. ამისთვის კი ელემენტარული წესების დაცვაა საჭირო. ოღონდ, წინასწარ გაფრთხილებთ: ნუ იქნებით სულსწრაფი და სასურველი შედეგის დანახვას დროზე ადრე ნუ მოისურვებთ.*

**წესი 1**. სანამ სადილობას შეუდგებით, გვერდზე გადადეთ კოვზი და ჩანგალი, აიღეთ ფურცელი და ავტოკალამი და ჩამოწერეთ ყოველი ლუკმა და ყლუპი, რაც კი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მიირთვით. თუ ამ სიას ყურადღებით დაყოფთ სასარგებლო და მავნე ჯგუფებად (რაოდენობის გათვალისწინებით), ზუსტად გეცოდინებათ, რომელი საკვები და რა რაოდენობით უნდა ამოიღოთ თქვენი რაციონიდან.

**წესი 2**. თუ ძალიან გიყვართ და ვერ ელევით ზოგიერთ არასასარგებლო ან ისეთ სასუსნავს, რომელიც ასუქებს (მაგალითად, ნაყინი, კარტოფილი „ფრი“ და ასე შემდეგ), შემოიფარგლეთ კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით, ოღონდ, მცირე დოზებით. თქვენი ამოცანაა რაციონიდან მათი არა სრული ამოღება, არამედ, კვირიდან კვირამდე მათი დოზის თანდათანობით შემცირება.



**წესი 3**. როგორც არ უნდა დაგეზაროთ, ყოველდღიურად ნახევარი საათი მაინც გამოყავით ინტერნეტში სწორი კვებისა და ფიტნესის სარგებლობის შესახებ ინფორმაციის წასაკითხად. ეს აუცილებლად დადებითად იმოქმედებს თქვენს განწყობაზე – თავი აარიდოთ არაჯანმრთელ საკვებს.

**წესი** 4. გამოიყენეთ ყოველი წუთი ფეხით სიარულის გასახანგრძლივებლად. მაგალითად, ბოლო ორი სართული ფეხით აიარეთ; ტრანსპორტიდან ჩამოდით ერთი გაჩერებით ადრე; დერეფანში იარეთ ტელეფონზე საუბრის დროს და ასე შემდეგ (გარდა იმისა, რაც ისედაც მოძრაობთ ფეხით). ასეთი „ნამატი“ წუთები, რომელთა ჯამიც ნახევარი საათი მაინც უნდა გამოვიდეს, ხელს შეუწყობს თქვენს ორგანიზმს, უკეთ დაწვას ცხიმები.

**წესი 5**. თუ ყოველდღიურად ფეხით აივლით 4-5 სართულს, მარტო ამ ქმედებით დაიკლებთ თვეში 0,5 კილოგრამს.

**წესი 6**. ნამცხვრის ჭამის წინ გააკეთეთ 10-წუთიანი პაუზა, კერძოდ: თუ თავს ვერაფრით იკავებთ, წინ თეფშით დაიდგით თქვენთვის სასურველი ნაჭერი, კარგად შეათვალიერეთ (ანუ, ჯერ თვალი „გააძღეთ“), შეისუნთქეთ მისი არომატი, მოკბიჩეთ პაწაწინა ლუკმა და დააფიქსირეთ (თქვენთვის) მისი გემო და ტექსტურა. თუ სურვილი ვერ დათრგუნეთ, კიდევ მოკბიჩეთ პატარა ლუკმა და კარგად დააგემოვნეთ. თუ ამანაც ვერ გიშველათ, მოკბიჩეთ მესამე ლუკმა და დაღეჭეთ მინიმუმ 20-ჯერ. დიდი ალბათობაა, რომ ამ „ჯადოსნური“ სამი ლუკმით სურვილს დაიკმაყოფილებთ. ეს ილეთი – „სამი პატარა ლუკმა“ – ნებას გაძლევთ, არ თქვათ უარი ტკბილეულზე და, ამასთან, მთლიანად ფლობდეთ საკუთარ სურვილსაც და სიტუაციასაც.

**წესი 7**. წვენის ნაცვლად მიირთვით ცოცხალი ხილი (თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წვენის დალევა გეკრძალებათ, უბრალოდ, სასურველია, დალიოთ დღეში 1 ან ორი ჭიქა, ოღონდ, აუცილებლად წყალში გაზავებული და უშაქრო). უჯრედისის წყალობით, ცოცხალი ხილი უფრო სწრაფად იწვევს დანაყრების შეგრძნებას; გარდა ამისა, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხილი, წვენებისგან განსხვავებით, თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, დაახლოებით 45 პროცენტით ნაკლებ კალორიას შეიცავს.

**წესი 8**. აუცილებლად მოძებნეთ ამ წესების დაცვაში თანამოაზრე ან თანამგრძნობი. კვლევების თანახმად, თუ ამ საქმეში მარტო არ იქნებით, 500 კილოკალორიით მეტს დაწვავთ, ვიდრე მარტო ყოფნის შემთხვევაში.

**წესი 9.** საგრძნობი შედეგის მასალებად, საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ 60-90 წამის განმავლობაში დატვირთოთ კუნთები. თურმე, სხეულისთვის სულერთია, როგორ ავარჯიშებთ მას. დასკვნა მარტივია: მინივარჯიშისთვის ჩაატარეთ 10 აჭიმვა, „გადაგრეხა“ და „ამოვარდნა“, შემდეგი დღიდან კი თითო-თითო მოუმატეთ.

**წესი 10.** გამოიძინეთ, რადგან, რეგულარულმა გამოუძინებლობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ნახტომი წონაში. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ორი კვირის განმავლობაში გამოუძინებლობა ნიშნავს პლუს 1,5 კილოგრამს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: **ამას წინათ თქვენს რუბრიკაში წავიკითხე, რომ წასმის წინ ლაკის ფლაკონის შენჯღრევა არ შეიძლება. მაინტერესებს, რატომ?**

**პასუხი**: შენჯღრევისას ლაკის მასაში წარმოიქმნება ჰაერის ბუშტულები, რომლებიც დიდხანს ძლებს და, შესაბამისად, წასმისას ფრჩხილებზე გადმოდის, რაც არაერთგვაროვანს ხდის ფრჩხილის ზედაპირს.

კითხვა: **რატომ ურჩევენ დიეტოლოგები ახალგამოწურული ხილის წვენის წყალში გაზავებას, ასე ხომ შემცირდება მასში არსებული ვიტამინების რაოდენობა?**

**პასუხი**: ახალგამოწურული წვენის წყალში გაზავება იმიტომ არის აუცილებელი, რომ თვით ყველაზე არამჟავე ხილის წვენიც კი, სუფთა სახით, აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს (რაც, ამავე ხილის ჭამის დროს, პრაქტიკულად, არ ხდება). ვიტამინები და მიკროელემენტები კი წვენის წყალში გაზავებისას არ მცირდება.

კითხვა: **ჩემს შვილს თმის საფარველის ქვეშ, თავზე, აღმოვუჩინე დაახლოებით 1 სანტიმეტრი სიგრძის ხალი, რომელიც ოდნავ ამობურცულია. ვიცი, რომ ხალის ხელის ხლება არ შეიძლება, არადა, მეშინია, დავარცხნისას არ დავუზიანო. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: თუ ეს ხალი არის პიგმენტური ნევუსი (ძირითადად, ხალის ეს სახეობა გადაიზრდება ხოლმე ავთვისებიან სიმსივნეში), 6 მილიმეტრზე მეტი ზომის შემთხვევაში, ხშირად იღებენ ექიმები მისი მოშორების გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის სხეულის ღია ადგილზეა და, შესაბამისად, ხშირად ხვდება მზის დასხივების ქვეშ ან ადვილია მისი ტრავმირება. თქვენი შვილის შემთხვევაში, ადვილად შეიძლება ხალის ხშირი ტრავმირება დავარცხნის დროს. მაგრამ, ჩვენ ვერანაირ კონკრეტულ რჩევას ვერ მოგცემთ ზეპირად, ხალის უნახავად. ამიტომ, აუცილებელია, მიიყვანოთ შვილი ბავშვთა დერმატოლოგთან ან დერმატოლოგ-ონკოლოგთან, რომ თავიდან აირიდოთ გართულებები.



კითხვა: **გავიგე, რომ არსებობს სპეციალური საშუალება, რომელიც ზრდის წამწამებს. ვოცნებობ გრძელ და ხშირ წამწამებზე (ხელოვნურს, ანუ მისაწებებელს, არ ვცნობ), მაგრამ, ძალიან მეშინია, ვაითუ, ამ საშუალებამ მხედველობაზე იმოქმედოს ან რამე სხვა უკუჩვენება ჰქონდეს. თქვენ რას მირჩევთ?**

**პასუხი**: ასეთი საშუალება მართლაც არსებობს, რომელსაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მისი გამოყენება ზედმიწევნით ფრთხილად უნდა მოხდეს, რადგან, თუ, ვთქვათ, მას განსაკუთრებით ზუსტად და აკურატულად არ წაისვამთ, შესაძლოა, წამწამები არათანაბარი სიხშირით, პატარა ბუჩქებად გაგეზარდოთ. თუმცა, ამ საშუალების გამოყენების შეწყვეტის შემდეგ ისინი თავისთავად დაგცვივდებათ. ასევე, შესაძლოა, წამწამები არათანაბარი სიგრძის გაიზარდოს. ამ საშუალების გამოყენებას არ ვურჩევთ მათ, ვისაც აქვს ნებისმიერი სახისა და ფორმის ალერგია, ორსულებს და მათ, ვისაც განსაკუთრებით მგრძნობიარე კანი აქვთ. მისი წასმა ნებადართულია დაძინებამდე 1 საათით ადრე, მაგრამ, ძილის დროს, შესაძლოა, თავი ისე გედოთ ბალიშზე, რომ პრეპარატი წამწამებიდან სახის კანზე გადმოვიდეს და „წამწამები“ ქუთუთოების გარშემო და სახეზეც ამოგივიდეთ. თუმცა, მისი გამოყენების შეწყვეტის შემდეგ თქვენი წამწამების სიგრძეც და ყველა დანარჩენი გვერდითი მოვლენაც ნელ-ნელა უბრუნდება საწყის მდგომარეობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, რისკი იმდენად ბევრია, რომ, ჯერჯერობით, სანამ არ მოხდება ამ საშუალების დახვეწა და ბოლომდე გაუვნებელყოფა, უმჯობესია, მისი გამოყენებისგან თავი შეიკავოთ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ გაიხსნა თბილისელი მკვლელის საქმე, რომელიც რუს ტურისტებს ხოცავდა

დღევანდელ პუბლიკაციაში მოთხრობილი ისტორია ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული იყო ყოფილი საბჭოთის კრიმინალისტიკის ისტორიაში და კარგა ხანი, გრიფი „საიდუმლო" ედო.

ფურგონიანი „მოსკვიჩი" გლდანის ნაგავსაყრელთან გაჩერდა. იქიდან მძღოლი გადმოვიდა, მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ ირგვლივ არავინ იყო, საბარგულიდან ორი უზარმაზარი გასისხლიანებული ტომარა გადმოათრია. იქვე დააგდო, შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

ნახევარ საათში ნაგავსაყრელს თხუთმეტი უზარმაზარი ღორი მიადგა და ნაგავში ქექვა დაიწყო. მათი მწყემსი კი იქვე წამოწვა და ცხოველებს თვალყურს ადევნებდა. ერთ-ერთი ღორი გასისხლიანებულ ტომარას მიადგა და ჯერ ბასრი კბილებით გაგლიჯა ის, შემდეგ კი ადამიანის მოკვეთილი მკლავი ამოათრია იქიდან და ჭამა დაიწყო. დანარჩენი ღორებიც მოცვივდნენ. მათ ტომრის შიგთავსი მიწაზე გადმოყარეს და ადამიანის დანაწევრებული სხეულის ნაწილების გლეჯა დაიწყეს. მწყემსმა ღორების გაფანტვა სცადა, მაგრამ სისხლით გახელებულმა ცხოველებმა არც მწყემსი დაინდეს და შუა ხნის მამაკაცი ცოცხლად შეჭამეს.

**უზარმაზარ ტომრებში დანაწევრებული მამაკაცების ცხედრები იყო მოთავსებული, რომლებსაც ზურგზე ბორჯღალი ჰქონდათ ამოკვეთილი**

გლდანის ნაგავსაყრელთან მომხდარი ტრაგედიის შესახებ მილიციას მენაგვემ შეატყობინა, რომელმაც იქ ნაგავი მიიტანა და ღორების დაშოშმინება სცადა. მაგრამ, ღორებმა მასაც შეუტიეს და მენაგვემ გაქცევით უშველა თავს. შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციელებს საშინელი სურათი დახვდათ. სისხლით დინგმოსვრილი ღორები საშინელი ჭყივილით დარბოდნენ აქეთ-იქით და ახალ საკბილოს ეძებდნენ. მილიციის თანამშრომლებმა კაციჭამია ღორები ჯერ პისტოლეტებით დახოცეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიუახლოვდნენ შემთხვევის ადგილს.

### საზარელი მკვლელობები

გლდანის ნაგავსაყრელზე დატრიალებული ტრაგედიიდან სამი კვირის განმავლობაში, თბილისში კიდევ სამი ანალოგიური მკვლელობა მოხდა. მსგავსი გასისხლიანებული ტომრები, რომლებშიც ადამიანის დანაწევრებული ცხედარი იყო მოთავსებული, შესაბამისი თანმიმდევრობით აღმოაჩინეს თემქის დასახლებაში, ნაძალადევსა და რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე. ექსპერტებმა სამივე დანაწევრებული გვამი შეამოწმეს და დაადგინეს, რომ ისინი მამაკაცები იყვნენ, თუმცა, მათი პიროვნება არ დადგინდა.

მკვლელობებს კაპიტანი თაზო ქვარცხავა იძიებდა. მან რამდენიმე ვერსია შეიმუშავა. თავად მანიაკის ვერსიაზე იყო კონცენტრირებული, ხელქვეითებს კი სხვა ვერსიების გადასამოწმებლად იყენებდა. ამასობაში თბილისში მორიგი მკვლელობა მოხდა. მილიციის სამმართველოს უფროსმა ქვარცხავა კაბინეტში გამოიძახა და უთხრა:

– ნელა და უშედეგოდ მუშაობ. ამასობაში კი მორიგი მკვლელობა მოხდა.

– ალბათ, ვარკეთილ-ვაზისუბნის მიდამოებში არა?

– გაიგე უკვე?

– არა, ამხანაგო პოლკოვნიკო, მკვლელობის ამბავი ახლა, თქვენგან შევიტყვე.

– აბა, როგორ გამოიცანი?

– მკვლელი აშკარად მკაცრად განსაზღვრული გეგმით მოქმედებს და ჩემი ძირითადი ვერსიის თანახმად, ის მორიგი მკვლელობის კვალს უკვე ნავთლუღის ტერიტორიაზე დატოვებს.

– ვერაფერს ვხვდები.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, მანიაკი მკვლელი ხაზს მიჰყვება, ანუ ის მოკლულებს განსაზღვრულ პერიმეტრზე ტოვებს. პირველი ხუთი მკვლელობა გლდანიდან ვარკეთილამდეა ჩადენილი და ჩემი აზრით, ის ქვევით უნდა ჩამოვიდეს. ანუ, მან ჯერ ნავთლუღში უნდა დატოვოს მოკლული, შემდეგ ორთაჭალის მიდამოებში, შემდეგ კოლმეურნეობის მოედანზე და იქიდან კი, სავარაუდოდ, რუსთაველის გამზირის მიდამოებში ავა.



პოლკოვნიკი თვალებგადმოკარკლული და პირდაღებული უსმენდა ქვარცხავას და ბოლომდე ვერაფერი გაეგო.

კაპიტანი მიხვდა უფროსის დაბნეულობას და მშვიდად უთხრა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, თბილისის რუკაზე ქინძისთავების დარჭობა თუ შეიძლება?

– შეიძლება.

ქვარცხავა კედელზე გაკრულ რუკასთან მივიდა და ხუთი ცალი ქინძისთავი გლდანიდან მოყოლებით დაარჭო ვარკეთილამდე.

– აი, ამხანაგო პოლკოვნიკო, ამ ხუთ ადგილზეა აღმოჩენილი დანაწევრებული გვამები. ეს ქინძისთავები კი, ჩემი ვარაუდით, იმ ადგილებს მიანიშნებს, სადაც მანიაკის მომავალი მსხვერპლი აღმოჩნდება. მკვლელმა ჯერ სწორ ხაზზე განალაგა თავისი მსხვერპლი, ხოლო, თუკი ჩემი ვერსია სწორია, მაშინ, ახლა ის დიაგონალს ჩამოუყვება და შემდეგ კვლავ სწორ ხაზს გაავლებს.

თაზომ რუკაზე კვლავ ხუთი ქინძისთავი ჩაარჭო და პოლკოვნიკს უთხრა:

– აი, ამგვარად ტოვებს მანიაკი მოკლულებს თბილისში და ვიზუალურად ეს ლათინური ასოა – Z.

– ანუ, ის შეშლილი, სიმბოლურად ან ხაზს უსვამს რაღაცას, ან თავის ინიციალს ტოვებს.

– უფრო მგონია, რომ ხაზს უსვამს, – მიუგო ქვარცხავამ პოლკოვნიკს.

### სატყუარა

მიუხედავად იმისა, რომ ქვარცხავას მიერ წინასწარ ნავარაუდევ ადგილებში, ოპერმუშაკებმა ფარული თვალთვალი დაიწყეს, ნავთლუღსა და ორთაჭალჰესის მიდამოებში კიდევ ორი მამაკაცის დანაწევრებული სხეულით სავსე ტომრები აღმოაჩინეს.

ამასობაში ორი მოკლულის ვინაობა დადგინდა და გაირკვა, რომ ორივე რუსეთში ცხოვრობდა. ერთ-ერთი მათგანის კვალი სოხუმში დაეკარგათ მის ნათესავებს, მეორესი კი – მახინჯაურში.

– მანიაკი მანქანით მოძრაობს. ის თავის მსხვერპლს იტაცებს, კლავს, თბილისში ჩამოჰყავს და სხვადასხვა ადგილზე ტოვებს. მე ამაში ისე ვარ დარწმუნებული, როგორც ორჯერ ორი ოთხია – განაცხადა ქვარცხავამ ერთ-ერთ ოპერატიულ თათბირზე.

ამასობაში კიდევ სამი მოკლულის ვინაობა დადგინდა და ისინიც რუსეთის მოქალაქეები, ეროვნებით რუსები იყვნენ. სამივე მათგანი საქართველოში იყო ჩამოსული დასასვენებლად და ისინიც მოულოდნელად გაუჩინარდნენ.

– აშკარაა, რომ მკვლელი მხოლოდ რუსეთიდან ჩამოსულ რუს მამაკაცებს ხოცავს და ეს ყოველივე შემთხვევითი არაა, – თქვა ქვარცხავამ, – თუმცა, რაშია საქმე, გაუგებარია.

– რუსების სიძულვილი, – თქვა პოლკოვნიკმა.

– მხოლოდ ამაში არ უნდა იყოს საქმე, – თავი დააქნია კაპიტანმა, – რუსები აქაც ბევრნი არიან, მაგრამ ის, რატომღაც ჩამოსულებს ერჩის.

თაზო ქვარცხავამ უცებ საფეთქლებზე მოიკიდა ხელი. თვალები გაუბრწყინდა და სამმართველოს უფროსს უთხრა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოუხელთებელი მანიაკი უპატრონო ბავშვთა სახლშია აღზრდილი. მისი მშობლები, ან უახლოესი ნათესავები 1921 წელს წითელი არმიის შემოსვლისას დაიღუპნენ. ის ოკუპანტებს ხოცავს და ამით უხდის სამაგიეროს მათ.

– რას ბოდავ, რის ოკუპანტებს, ხომ არ შეიშალე, ქვარცხავა? – გაფითრდა პოლკოვნიკი და კაბინეტში შეშინებულმა მიმოიხედა.

– მე მანიაკის პოზიციიდან ვლაპარაკობ, ამხანაგო პოლკოვნიკო, – ეშმაკურად ჩაეცი-

ნა ქვარცხავას, – თორემ, მშვენივრად ვიცი, რომ წითელმა არმიამ საქართველო გაათავისუფლა.

– მაინც, ასე რატომ ფიქრობ?

– იმიტომ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ დახოცილ რუსებს ბორჯღალი აქვთ ამოჭრილი დანაწევრებულ ზურგზე.

– ბორჯღალი რას ნიშნავს?

– მზის ნიშანია და დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლო იყო. როდესაც თბილისში წითელი არმია შემოვიდა და ქართველები დახოცეს, ისინი მათ ზურგზე ბორჯღალს ახატავდნენ. კაზაკები ხმლით ჭრიდნენ ამ ნიშანს მათ ზურგზე და ამით ცდილობდნენ მოკლული ქართველების დამცირებას. ჩემი აზრით, ეს ბორჯღალამოკვეთილი გვამები იმ ამბების გამოძახილია და ამიტომ ვფიქრობ, რომ მანიაკი მაშინდელი ამბების მსხვერპლი უნდა იყოს.

– რის გაკეთებას აპირებ?

– ვფიქრობ, სატყუარა შევუგდო მანიაკს და ჩვენთან კონტაქტზე გამოვიყვანო.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში დაიბეჭდა პუბლიკაცია, რომელშიც 1921 წლის ამბები იყო მოთხრობილი. იქ ბორჯღალამოკვეთილი ქართველების შესახებ ეწერა. თუმცა, ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული

**ჯორჯიაშვილის ჩვენებებიდან პოლიტიკური მოტივი ამოიღეს და ის, როგორც მანიაკი, მოსკოვში დახვრიტეს**

და ტანჯულებად წითელარმიელები იყვნენ გამოყვანილი, ხოლო მტანჯველებად – პატრიოტი ქართველები.

– მერედა, რას მოგვცემს ეს სტატია? – ეჭვობდა პოლკოვნიკი.

– დარწმუნებული ვარ, მანიაკი აუცილებლად წაიკითხავს ამ სტატიას და რედაქციაში დარეკავს, – ამბობდა ქვარცხავა.

პუბლიკაცის მეორე დღეს რედაქციაში უცნობმა მამაკაცმა დარეკა და სტატიის ავტორის ტელეფონის ნომერი მოითხოვა. რედაქციაში წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და მას ტელეფონის ნომრები მისცეს. როგორც რედაქციის, ასევე სტატიის ავტორის ბინის ტელეფონი ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი, მაგრამ ჟურნალისტისთვის არავის დაურეკავს, რედაქციაში კი ქუჩიდან იყო დარეკილი.

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლი წამითაც არ შეწყვეტილა, ხოლო სტატიის ავტორი კი ოპერმუშაკების მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, მათ საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ.

– სულ ტყუილად მოაცდინე ამოდენა კადრები, – ბრაზობდა პოლკოვნიკი, მაგრამ ქვარცხავა დარწმუნებული იყო, რომ მანიაკი სულ მალე გამოჩნდებოდა ოპერმუშაკების თვალთახედვის არეში.

ერთ დღეს ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ხუთსართულიანი სახლის წინ ფურგონიანი „მოსკვიჩი“ გაჩერდა. ამ სახლში პუბლიკაციის ავტორი ცხოვრობდა და მილიციელებს იქ საგუშაგო ჰქონდათ გახსნილი. „მოსკვიჩი“ საფოსტო იყო. იქიდან შუახნის მამაკაცი გადმოვიდა, შემდეგ სადარბაზოში შევიდა და ათიოდე წუთში უზარმაზარი საფოსტო ტომრით დაბრუნდა უკან. ტომარა მან მოსკვიჩის საბარგულში ჩადო და მშვიდად გაემგზავრა. ოპერები საეჭვო მოსკვიჩს დაედევნენ და ათი წუთის შემდეგ ჯერ მძღოლი დააპატიმრეს, შემდეგ კი ტომარა გახსნეს და იქიდან გონმიხდილი ჟურნალისტი ამოიყვანეს. ჟურნალისტი არაფრის საქმის კურსში არ იყო და როდესაც უთხრეს, თუ რაში იყო საქმე, მას მეორედ წაუვიდა გული.

**ექსპედიტორის ნაამბობი**

ჟურნალისტის სახლთან დაკავებული პიროვნება 50 წლის ლევან ჯორჯიაშვილი აღმოჩნდა. ის ქალაქის ცენტრალურ ფოსტაში მუშაობდა მძღოლ-ექსპედიტორად და მოსკვიჩით გადაადგილდებოდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ჯორჯიაშვილმა შვიდივე მკვლელობა აღიარა და გამომძიებელს მოუთხრო: „1921 წლის 25 თებერვალს კაზაკებმა დედ-მამა დამიხოცეს. მაშინ 10 წლის ვიყავი. გიმნაზიიდან ჯერ სახლში დავბრუნდი, შემდეგ კი პროზექტურაში წამიყვანა ბებიამ. ჩვენ იქ უამრავი დახოცილი ვნახეთ. ისინი შიშვლები იყვნენ და ყველას ბორჯღალი ჰქონდათ ამოჭრილი ზურგზე. იქვე იყვნენ ჩემი დედ-მამაც. გარდა ამისა, მათ კიდურები ჰქონდათ მოკვეთილი. საბრალო ბებიაჩემს გული გაუსკდა. მე გული წამივიდა და ორი კვირა შოკში ვიყავი. როცა გამოვედი, მთავრობამ ბავშვთა სახლში მიკრა თავი. პროზექტურაში ნანახი სურათი თავიდან არ ამომდიოდა და ჯერ კიდევ 14 წლის ვიყავი, პირველ რუსზე რომ ვიძიე შური. ჩვენი სამხედროს მასწავლებელი მისსავე სახლში მოვკალი, ხანჯალი გავუყარე. მას მერე, ორმოცდაათამდე რუსი გამოვასალმე სიცოცხლეს. მოკლულ რუსებს თავებს ვაჭრიდი და მიწაში ვფლავდი. წელს კი გადავწყვიტე, ამ ყველაფრისთვის სიმბოლური დატვირთვა მიმეცა და მოქმედების მკაცრი გეგმა „შევიმუშავე“.

– ანუ, მხოლოდ ჩამოსულ რუსებს ხოცავდით, ბორჯღალს ამოჰკვეთდით ზურგზე და ამით სიმბოლურად ოკუპანტებს ხოცავდით? – ჰკითხა ქვარცხავამ.

– დიახ, – დაუდასტურა ჯორჯიაშვილმა.

– ცხედრებს რატომ ანაწევრებდით?

– იმიტომ, რომ ჩემი მშობლებიც დანაწევრებულები იყვნენ, – თქვა ჯორჯიაშვილმა. მან აგრეთვე დაადასტურა, რომ გვამებს ლათინური ასო Z-ის მოხაზულობის მიხედვით ტოვებდა თბილისში, ქალაქის სხვადასხვა უბანში და ამით რუსული ოკუპაციისთვის სიმბოლურად უნდოდა ბოლოს მოღება.

ამ საქმეს აშკარად პოლიტიკის სუნი ასდიოდა. ამიტომ, ჯორჯიაშვილის ჩვენებიდან პოლიტიკური მომენტები ამოიღეს და ის, როგორც მანიაკი, ისე გაასამართლეს. ჯორჯიაშვილი 1962 წელს მოსკოვში დახვრიტეს. თაზო ქვარცხავას კი მაიორის ჩინი და საბრძოლო წითელი დროშის ორდენი გადასცეს.

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

**27 მაისი**

1328 – საფრანგეთში გაბატონდა ვალუას დინასტია.

1467 – შტატ მასაჩუსეტსში ჩამოახრჩეს პირველი „ალქაჯი“ – აჩა იანგი.

1900 – ბელგიაში ჩატარდა მსოფლიოში პირველი არჩევნები პროპორციული სისტემით.

1905 – ცუსიმას ბრძოლაში იაპონურმა ფლოტმა ადმირალ ტოგოს ხელმძღვანელობით გაანადგურა რუსული ფლოტი.

1921 – ავღანეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1930 – ამერიკელმა რიჩარდ დრიუმ დააპატენტა წებოვანი ლენტა – „სკოჩი“.

**28 მაისი**

1742 – ლონდონში გაიხსნა პირველი გადახურული საცურაო აუზი.

1871 – დაეცა პარიზის კომუნა.

1926 – პორტუგალიაში დამყარდა ხანგრძლივი დიქტატორული რეჟიმი (1974 წლამდე).

1964 – იასირ არაფატმა დააარსა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია.

**29 მაისი**

1660 – ინგლისში 11-წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა მონარქია. გამეფდა ჩარლზ მეორე.

1910 – ამ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სიჩქარეში შეაჯიბრეს აეროპლანი და ორთქლმავალი. გაიმარჯვა ორთქლმავალმა.

1914 – წმინდა ლავრენტის ყურეში ჩაიძირა ბრიტანული ხომალდი, დაიღუპა 1 032 ადამიანი.

1953 – ეჰმუნდ ჰილარი და თანსინგ ნორგეი პირველები იყვნენ ჯომოლუნგმა რომ დაიპყრეს.

1985 – ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე, ინგლისელი ფანების მიერ მოწყობილ ჩხუბში 39 ადამიანი დაიღუპა. ინგლისის გუნდებს რამდენიმე წლით აეკრძალათ ევროტურნირებში თამაში.

**30 მაისი**

1431 – კოცონზე დაწვეს ჟანა დარკი.

1896 – ნიუ-იორკში მოხდა ისტორიაში პირველი ავტოავარია. ჰენრი უელსის ავტომობილი დაეჯახა ივლინ თომასის ველოსიპედს. ველოსიპედისტს ფეხი მოსტყდა.

1897 – ქარბორბალა „ივრინგმა“ მიწასთან გაასწორა ქალაქი ივრინგი კანზასში (ამერიკის შეერთებული შტატები).

1982 – ესპანეთი, დიდი ხნის უშედეგო მცდელობების შემდეგ, გახდა ნატოს წევრი.

**31 მაისი**

1859 – დროის ათვლა დაიწყო „ბიგ ბენის“ საათმა ლონდონში.

1868 – პარიზის გარეუბანში გაიმართა მსოფლიოში პირველი ველორბოლა.

1918 – გაერთიანდნენ ჩეხეთი და სლოვაკეთი ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც ეწოდა ჩეხოსლოვაკია.

**1 ივნისი**

1876 – დაიწყო ბულგარეთის აჯანყება თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1958 – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი გახდა შარლ დე გოლი.

1974 – ისტორიკოსები და თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ ფიკლბოროს (დიდი ბრიტანეთი) ქიმიურ ქარხანაში მომხდარი კატასტროფის შესახებ რეპორტაჟი გავიდა ორი საათით ადრე, ვიდრე ეს ავარია მოხდებოდა.

**2 ივნისი**

1557 – რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა, რომ „ინდიელებიც ადამიანები არიან“.

1886 – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰოვარდ კლივლენდმა ცოლი მოიყვანა – ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედმა პრეზიდენტმა იქორწინა.

1896 – იტალიელმა გულიელმო მარკონიმ დააპატენტა რადიო.

1910 – გვინეაში აღმოაჩინეს პიგმეების ტომი.

1946 – იტალიაში გაუქმდა მონარქია.

**ბოლო ხანს არაერთი ცნობილი თუ უცნობი პიროვნების შესახებ შევიტყვე, წითელა აქვსო; ვისაც არა აქვს, ასაცრელად გარბისო... დამაინტერესა და მოვიძიე ინფორმაცია ზოგადად აცრების, ანუ ვაქცინაციის შესახებ. აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში 10 მნიშვნელოვან მომენტს შორის ვაქცინაციას მეათე ადგილი უჭირავს და 1724 წლით თარიღდება. ეს 10 მომენტია: 1. ლოგიკური აზროვნება – რამდენიმე მილიონი წლის წინ. 2. ქვის იარაღები – 2.6 მილიონი წლის წინ. 3. ცეცხლის კონტროლი – 1 მილიონი წლის წინ. 4. ცხოველების მოშინაურება 10 ათასი წლის წინ. 5. ბორბალი – 6 ათასი წლის წინ. 6. მათემატიკა – 20 ათასი წლის წინ. 7. ლითონის დამუშავება – 10 ათასი წლის წინ. 8. ქაღალდი – ქრისტეშობამდე მეორე საუკუნე. 9. საბეჭდი მანქანა – 1440 წელი. 10. ვაქცინაცია – 1724 წელი. ახლა, რაც შეეხება საქართველოს: ალბათ, ბევრისთვის სიახლეს წარმოადგენს, ის ფაქტი, რომ მეფე ერეკლე მეორე ერთ-ერთი პირველი ნოვატორი ყოფილა, რომელმაც დასაბამი დაუდო აცრებს საქართველოში. ხოლო ერთ-ერთი პირველი, ვინც მისი ინიციატივით აიცრა, მისი ვაჟი – იულონი გახლდათ. ჩვენი რესპონდენტი, ისტორიკოსი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე გვიამბობს.**

# რომელმა ქართველმა მეფემ ჩაუყარა დასაბამი სამედიცინო აცრებს საქართველოში



**მაშინ, ბუნებრივია, არ არსებობდა ტერმინი „აცრა“. ერეკლე მეორემ შემოიღო ტერმინი „აჭრა“**

**ვაჟა კიკნაძე:** ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე ცნობილია, როგორც კარგი მეომარი, უბადლო სარდალი, გეორგიევსკის ტრაქტატის ავტორი და შემოქმედი, მაგრამ, ნაკლებადაა ცნობილი მისი ის თვისებები, რომლებიც ოჯახურ ურთიერთობებში წარმოჩნდებოდა, კერძოდ, ერეკლე, როგორც მოსიყვარულე მამა და ოჯახის უფროსი. ვფიქრობ, საინტერესოა ამ კუთხით მისი პიროვნების განხილვა.

**– აბსოლუტურად გეთანხმებით. არის ასეთი ცნობები შემორჩენილი?**

– საბედნიეროდ, შემორჩა რამდენიმე წერილი, რომელიც მისი შთამომავლების მიერ იქნა შემონახული და რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეში გადაეცა არქივს.

ერეკლე მეორეს სამ ცოლთან, სულ 20-ზე მეტი შვილი ჰყავდა. რომელთაგან განსაკუთრებით უყვარდა თეკლე – თავისი ნაბოლარა ქალიშვილი. როგორც ჩანს, თეკლე სათუთად უფრთხილდებოდა მამის გამოგზავნილ წერილებს, რადგან, ისტორიამ შემოგვინახა ისინი. თეკლე, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებულად მომხიბვლელი ყოფილა, ვაჟკაცური თვისებებითაც გამოირჩეოდა. თურმე, ცხენით ჯირითი, ნადირობა ჰყვარებია. თითქოს არ იყო ეს თვისებები მაინცდამაინც ქალური, მაგრამ, საქართველოში ისინი ყველას და ყოველთვის სჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მამის მხრიდან თეკლა მხოლოდ წაქეზებული იყო ამ თვისებების გამო. სწორედ ამას უკავშირდება მეფის სახუმარო ბრძანებაც, რომელიც დაწერილია მაშინ, როდესაც თეკლა მხოლოდ 4 წლის იყო. ერეკლემ ასეთი ბრძანება გამოსცა: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს – თეკლა ბიჭსა. თუმცა, აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ, ამიერიდგან გიწყალობებ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველას შენს ძმებსა და დებს, ამიერიდან გიწოდონ თეკლა ბიჭი.” გარდა იმისა, რომ ამ სახუმარო ბრძანებას მეფე თვითონ აწერდა ხელს, ამასთან ერთად, კათალიკოსი ანტონი, რომელიც ერეკლეს ძმა იყო და იულონ ბატონიშვილი, ანუ თეკლას უფროსი ძმა, ამტკიცებდნენ ამ სიგელს.

**– ეს წერილი ნათლად მეტყველებს, თუ როგორი იუმორის გრძნობა ჰქონია ერეკლე მეორეს.**

– ერეკლე არ ღალატობს თავის სტილს და ქალიშვილთან კიდევ ერთ წერილს გზავნის (1781 წელს). ჩანს, საქართველოს აღმოსავლეთით ან სამხრეთით იმყოფებოდა მისი წერისას მეფე, რადგან, ბროწეულებს უგზავნის თეკლას. „თეკლას, მამისა და დედის სიხარულს“, – წერს ერეკლე მეორე ქალიშვილს, – „მადლი, წყალობა და მშვიდობა. თეკუნავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი (ანუ წერილი) მომივიდა, რომელისგანაც, შენ ხომ იცი, რა გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მეამებოდა, მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა, უფრო რომ არაბულს ხელს გემსგავსებინა. მეტი სიღრმისაგან ველარ ამოვიკითხეთ რა. შენთვის ახლა პირს კოცნა მიბრძანებია და ჩემ მაგიერად დედაშენმა გაკოცოს. ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ, ღვთით, კიდევ ბევრს შაქრის ყინულს და ნუღლს (დაშაქრულ ნუშს) და შაქარს გამოგიგზავნი და, თუ ღვთის ნებაც იქნება, ჩვენც წამოვალთ”. ამ წერილში კარგად ჩანს, თუ როგორი მოსიყვარულე ბუნების ყოფილა მეფე ერეკლე. მიუხედავად დაუსრულებელი ომებისა, სისხლისა და ბოლო დროს მომრავლებული აჯანყებებისა თუ შეთქმულებისა მის წინააღმდეგ, ერეკლე მაინც ძალიან ტკბილი და ალერსიანი დარჩენილა ოჯახის წევრთა მიმართ. კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო ფაქტი მინდა აღვნიშნო: შეიძლება ითქვას, ერეკლემ კანონიც კი დაარღვია, როდესაც ამ სახუმარო წერილს სახელმწიფო ბეჭდები დაუსვა ყოველმხრივ, ბავშვის გასართობად. კერძოდ, დაუსვა ოთხი სხვადასხვა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭედი: ერთი ლათინურ, ერთი ბერძნულ, ერთი სპარსულ, ერთიც სომხურ ენებზე. ბეჭდები გარშემო შემოუყვება წერილს, რაც, დამეთანხმებით, ბავშვისთვის საკმაოდ მიმზიდველია.

გარდა ამ წერილებისა, მინდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო მომენტს ერეკლე მეორის ბიოგრაფიიდან, რომელიც, ასევე, მის ოჯახის წევრებს ეხება და ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოებისთვის.

**– კონკრეტულად რომელ მომენტს გულისხმობთ?**

– 1772 წელს საქართველოში და, კერძოდ, თბილისში, შავი ჭირის ეპიდემია გავრცელებულა, რომელსაც ძალიან მასობრივი ხასიათი მიუღია. საინტერესოა, რომ ერეკლე მეორეს გამოუჩენია ნოვატორობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დიდი რისკიც კი გაუწევია და ნება დაურთავს კათოლიკე პატრებისთვის, პირველად მისი ძისთვის აეცრათ ყვავილის წინააღმდეგ, რათა სხვებს ერწმუნათ, რომ ყოველივე ეს საშიში კი არ იყო, არამედ, პირიქით – სასარგებლო. შემორჩენილია მეფის წერილი, გაგზავნილი თავის მოხელე რევაზ ამილახორთან, სადაც ვკითხულობთ: ჩვენს შვილს, – იულონს ყვავილი აუჭერითო. ესეც საინტერესო ტერმინია. მაშინ, ბუნებრივია, არ არსებობდა ტერმინი „აცრა”, ერეკლე მეორემ შემოიღო ამის აღსანიშნავად ტერმინი „აჭრა”. პირველი სამედიციო ტერმინი, რომელიც ერეკლე მეფემ გამოიყენა აცრასთან დაკავშირებით, არის: „ყვავილი აუჭერით” და „დიახ, გაცხელებული არის”, ანუ სიცხე აქვსო. შემდეგ ამბობს იმასაც, რომ ქალაქში მრავალი ყვავილი გაჩნდა და დახიზვნასაც ვაპირებთო. როგორც ჩანს, მასშტაბურად ყოფილა ეპიდემია გავრცელებული. საინტერესოა, რომ ამ წერილის გარდა, რომელიც არქივშია დაცული, არსებობს გერმანელი მოგზაურის, იოჰანეს გიულდენშტადტის ჩანაწერებიც. ეს პიროვნება, რომელიც ცნობილი მოგზაური იყო, რუსეთის სამეფო აკადემიამ დაიქირავა კავკასიის შესასწავლად. გულდენშტადტმა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის დაწვრილებითი აღწერილობა დაგვიტოვა. ძალიან საინტერესოა, რომ მათგან ერთი პატარა საკითხი ყვავილის ეპიდემიასაც ეხება, სადაც იოჰან გიულდენშტადტი აღნიშნავს, რომ ერეკლემ გარისკა და ნება დართო კათოლიკე პატრებს, ყვავილის აცრები ჩაეტარებინათ მისი შვილისთვისო. ასე რომ, ერეკლე მეორე ერთ-ერთი პირველი ნოვატორია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და დასაბამი დაუდო აცრებს საქართველოში.

> **ერეკლე მეორეს გამოუჩენია ნოვატორობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დიდი რისკიც კი გაუწევია და ნება დაურთავს კათოლიკე პატრებისთვის, პირველად მისი ძე აეცრათ**

**ეკა სალაღაია**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა HRV“, მარჯვენა საჭით, მართვის მექანიკური კოლოფით, 1.6-იანი ძრავით, 2000 წლის მოდელი. მაინტერესებს, ძრავის ღვედის გაწყვეტის შემთხვევაში, ძრავასაც დასჭირდება შეკეთება თუ მხოლოდ ღვედის გამოცვლა მომიწევს? ზოგიერთ ავტომობილზე მხოლოდ ღვედი ფუჭდება და ზოგიერთი ისე აზიანებს ძრავას, რომ ის გადასაგდები ხდება.**

**პასუხი:** „ჰონდას” მოდელების უმრავლესობის ერთ-ერთი უპირატესობა, ჩემი აზრით, სწორედ ეს მომენტია – ძრავას ღვედის გაწყვეტის შემთხვევაში ის არაფერს აზიანებს, გარდა თვითონ ღვედისა, მაშინ, როდესაც სხვა მოდელებზე ძრავა ან ძალიან სერიოზულად ზიანდება ან საერთოდ უვარგისი ხდება. ერთ-ერთი გამონაკლისია „ჰონდას” მოდელების „ვიტეკის” ტიპის ძრავები. თუ ძრავას

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

ღვედი იმ მომენტში გაწყდა, როდესაც „ვიტეკი” გახსნილია, მაშინ ის ძრავას სარქველს, ეგრეთ წოდებულ „კლაპანს” აზიანებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჯიპი გრანდ ჩეროკი”, 4.0 ძრავით, 2000 წლის, მართვის ავტომატური კოლოფით. შეიძლება თუ არა, სვლის შენელების მიზნით, ბერკეტი მექანიკურად გადმოვიტანო დაბალ სიჩქარეში ან დაღმართზე მოძრაობისას გავანეიტრალო?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეიძლება. სწორედ ამისთვის არსებობს გადამრთველი, რომ, როცა საჭიროა, „დე“-დან დაბალ სიჩქარეში გადმოიტანოთ, თუნდაც მოძრაობისას და, პირიქით, მოძრაობის დროსვე, დაბალი სიჩქარიდან „დე“-ში დააბრუნოთ. რაც შეეხება განეიტრალებას, ესეც შესაძლებელია, უბრალოდ, მართვის ავტომატურ კოლოფს „ნეიტრალში” მოძრაობა არ უყვარს, ამ დროს გაცილებით მეტად ცვდება კოლოფის დეტალები, ვიდრე სიჩქარეში ყოფნისას.

**კითხვა: შევიძინე „ცე” კლასის „მერსედესი“, 1.8-იანი ძრავით, 1998 წლის, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლით. ნაცნობებმა მითხრეს, რომ ის გაგრილება-გათბობის დროსაც იმავე დოზით მოიხმარს საწვავს, როგორც ამას ჩართული კონდიციონერის შემთხვევაში აკეთებს. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

**პასუხი:** კლიმატკონტროლი იგივე კონდიციონერია, რომელიც ავტომატურად არეგულირებს კლიმატს თქვენს სალონში. იმის მიხედვით, თუ რამდენი გრადუსი გნებავთ, რომ იყოს ავტომობილში, კლიმატკონტროლი კონდიციონერისა და გათბობის დახმარებით ამ გრადუსამდე მიჰყავს. ერთი სიტყვით, თქვენი ნაცნობების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება.

**კითხვა: მყავს მანქანა „ფორდ ვინსტარი“, 1999 წლის გამოშვება. ერთხელ მანქანამ თითქოს სტვენა დაიწყო, ჰაერს ისრუტავდა და მას მერე ეს ხმა დარჩა დაბალ გაზზე მუშაობის დროს, მაღალ ბრუნებზე კი რაღაც განსხვავებული ხმა აქვს, თითქოს ძრავა მუშაობის დროს ფეთქავს. ეს ხმა არც გაწევაში და არც სხვა მხრივ უშლის ხელს მანქანას; არც ეგრეთ წოდებულ „ჩეკს“ ანთებს ხელსაწყოების დაფაზე. ვერც ერთმა ხელოსანმა ვერაფერი გაუგო. ხომ ვერ მირჩევდით რამეს, თუნდაც, ამერიკული მანქანების ძრავების კარგ სპეციალისტს?**

**პასუხი:** დისტანციურად ძალიან რთულია დიაგნოზის დასმა ან მსჯელობა, თუ რამ გამოიწვია ეს ხმა, მაგრამ, დადგენა შესაძლებელია და ამას ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებს, ჩემი აზრით, საქართველოში ძრავების საუკეთესო ხელოსანი მამუკა, რომლის ნომერია: 599-55-35-00.

**კითხვა: მყავს იაპონური წარმოების ავტომობილი და ვერაფრით შევეჩვიე მარჯვენა საჭით მართვას. მინდა საჭის გადმოტანა, მაგრამ, მეშინია, სერიოზულად არ დაზიანდეს რამე და დისკომფორტი არ შემიქმნას. ვისაც ვკითხე, ყველა მეუბნება, რომ ეს საკმაოდ სარისკოა. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** საჭის გადატანის შესახებ ჩვენი რუბრიკის საშუალებით არაერთხელ გვისაუბრია. თუ ამას კარგი სპეციალისტი აკეთებს, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. თუმცა, მძღოლებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ ის ნიუანსები, რომლებიც შემდეგ აუცილებლად შეუქმნით დისკომფორტს, მაგრამ, თავიდან ამაზე არც კი დაფიქრებულან. მაგალითად, საჭის გადმოტანის შემთხვევაში საბარგულის, ბენზინის ავზის, ძრავას სექტორის ხუფის ანუ „კაპოტის” ასახდელი მოწყობილობები მარჯვენა მხარეს რჩება. იმ შემთხვევაში, თუ გვერდით ძალიან შინაური ადამიანი არ გიზით, რომ მას ზემოდან გადააწვეთ, მაშინ ამ მოქმედებების შესასრულებლად ავტომობილიდან გადმოსვლა მოგიწევთ და ასეთი ნიუანსი ბევრია. ასევე, კონდიციონერის სისტემები ვერ კეთდება ისე, რომ ზუსტად გამოუშვას ცივი თუ ცხელი ჰაერი; ელექტროგაყვანილობებს უნდა მიექცეს ყურადღება, რათა სიგრძე ეყოს გვერდით საჭემდე. პედლები და სამანიპულაციო ელემენტები ზუსტად უნდა იყოს განთავსებული. ერთხელ მომიწია ისეთი ავტომობილის მართვა, რომელშიც პედლები არაზუსტად იყო დამონტაჟებული და გვერდულად ვიჯექი საჭესთან. ასე რომ, თუ მარჯვენასაჭიან ავტომობილს შეიძენთ, ყველა ნიუანსი გაითვალისწინეთ.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ ხოჭო”. ხშირად, განსაკუთრებით სიცხეში, გრძელი დაღმართების გავლის შემდეგ, ეწყება სამუხრუჭე სისტემის პრობლემები, კერძოდ, იწყებს ძიგძიგს. იქნებ მითხრათ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ავტომობილის სამუხრუჭე სისტემა მზადდება ჩვეულებრივი ლითონის, პლასტმასის, რეზინის თუ სხვა ნივთიერებებისგან. შესაბამისად, ისინიც ისევე რეაგირებენ ტემპერატურის ცვალებადობაზე, როგორც სხვა საგნები. ამიტომ, უნდა შევეცადოთ, ისეთი მნიშვნელოვანი სისტემა, როგორიც სამუხრუჭეა, სწორად მოვიხმაროთ, რათა დავიცვათ სხვადასხვა პრობლემის წარმოქმნისგან. თუ ჩვენ მაღალი ინტენსივობით მოვიხმარეთ მუხრუჭები, ეს იწვევს როგორც სამუხრუჭე დისკოს, ასევე, სამუხრუჭე ხუნდების გადახურებას. თუ ამის შემდეგ მოგვიწია ავტომობილის გაჩერება, სამუხრუჭე დისკოზე ის ადგილი, რომელზეც სამუხრუჭე ხუნდები ეხება, ვერ მოახერხებს გაგრილებას, ხოლო დანარჩენი ადგილები გაგრილდება. ეს გამოიწვევს იმ კონკრეტული ერთი ადგილის გამრუდებას, შემდგომ კი დამუხრუჭებისას, ეს ყველაფერი ავტომობილის ძიგძიგით აისახება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაგვჭირდება ან სამუხრუჭე დისკოს შეცვლა ან მისი გაჩარხვა, რომ ხელახლა მოვიყვანოთ სისწორეში. ასეთივე პრობლემას შეიძლება წავაწყდეთ, თუ ჩვენ გახურებული სამუხრუჭე სისტემით წყალში გავივლით.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



ვიდეოქმნილება
ძვ.ესპანელი ფეხბურთელი
კინოხელოვნებათა აკადემიის პოლივუდური პრემია
ცხოვრების "სტაჟი"
იხილე ფოტო
მაუგლის მგელი
ტანსაცმელი
ტანსაცმლის მოსართავი ქსოვილი
ოთახის და ნაწარმოების ნაწილი
ნულოვანი ვექტორი
კაშკაშა ვარსკვლავი
სისხლის მოწამვლა
ასეთი თითიც არსებობს
დიდი ფილმის ნაწილი
სკანდინავიური თქმულება
განსჯილი ანუ? / ციტრუსი
დაზღვევის საბუთი. / საშვი, საბუთი
მონტე კრისტოს ტიტული
დილის სიმღერა
ევროპის ქვეყანა / დასტაქარი
ასეთი ბგერებია ს,შ,ზ
ჩვენი ყოფილი „დიდი ძმა“
კვალიაშვილი / ერთი (გერმან.)
ზარდახშების მასალა
მურმანს აქვს
ქაოზის მცენარე
დასკვნითი მატჩი
გოლიათი
გადასახადი ძველად
ძველებური შუბი
ტაატით, რონინით
ივერია უკუღმა
გურიის სოფელი
ჭანკვეტაძე
გადასახადის სახეობა
ცეცხლის ენა
მესამე პირების კუთვნილი
ნახევარი დოლი
ყვავილი / ოხერ.... გაუმარჯოს!
გურჯაანის სოფელი
მიწის ნაკვეთი (რუს.)
პატარა ცხენი
რეკორდების წიგნის სახელი
აგულის მამა
„მსუბუქი“ (სიგარეტი)
მთავარი არტერია / ოკეანიის ქვეყანა
მიხოს ცოლი
ყვავილი
მაიმუნი
მარხვის პერიოდი მუსლიმანთათვის
პირის ღრუს ნაწილი / ხელოვანი
პუნების ბელადი
ერთგვარი კონსერვი
იაპონური ელექტროსაქონლის ფირმა
ცუდი ამინდი
უფერო საწვავი აირი
ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი
ძვ. ეგვიპტის ქალაქი
საფეიქრო ბანანი
ასოს ყალიბი პოლიგრაფიაში / ელექტრო დანადგარი
ჩვენი ანბანის პირველი ასო
მიამიტი / შავი ზღვის ნაწილი
(........) ბენ ლადენი
აშშ-ის ორი შტატის სახელი
(.......) და 40 ყაჩაღი
ყუბანელი რუსი / ნამლის ნორმა
რისამე ანაბარა ანუ?
შეურგებელი / თათრული ტომი
კათოდი / სომხეთის ქალაქი
შექსპირის ლექსები
საძირკველი
ალპინისტის ბინა / პატარა ანუ ერთი (.....)
ნაჭრის სათავსი
ჯარი (ძვ. ქართ.)
ზეინკლის იარაღი
მოლური პატარა მაღაზია (ფრანგ.)
სამოქალაქო ანუ როგორი?

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | |
| | | | 1 | 3 | | | | 7 | | | | 3 | | | | | | | | | | | | 9 | | | | | |
| | | | 3 | 1 | 2 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 3 | | | | 9 | | | | 13 | | | 2 | 3 | 11 | 6 | | | |
| | | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 | 2 | 6 | 8 | 7 | 2 | 7 | 7 | 8 | 2 | 9 | 9 | 13 | 4 | 18 | 13 | 8 | 1 | 7 | 2 | | | |
| 1 | 3 | 4 | 5 | 1 | 7 | 7 | 4 | 1 | 4 | 4 | 4 | 1 | 4 | 4 | 4 | 1 | 4 | 4 | 6 | 1 | 4 | 4 | 7 | 1 | 5 | 5 | 4 | 3 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 6 | 4 |
| | | | 8 | 6 |
| | | 12 | 2 | 2 |
| | | 2 | 10 | 2 |
| 1 | 3 | 1 | 10 | 2 |
| | 2 | 6 | 10 | 2 |
| | | | 20 | 2 |
| | | 9 | 8 | 1 |
| | 1 | 3 | 3 | 10 |
| | | 3 | 3 | 10 |
| | | 3 | 4 | 9 |
| | | | 6 | 6 |
| | | | 7 | 7 |
| | | 7 | 3 | 3 |
| | 4 | 3 | 3 | 3 |
| | 2 | 2 | 2 | 3 |
| | 1 | 2 | 1 | 2 |
| | 2 | 2 | 1 | 1 |
| | 2 | 2 | 3 | 3 |
| | | 2 | 2 | 2 |
| | | | | 24 |
| | | 2 | 19 | 3 |
| 7 | 3 | 3 | 3 | 8 |
| | | 4 | 19 | 5 |
| | | | 5 | 6 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 1 | | 7 | | 4 | |
| 8 | 5 | | 3 | | 6 | 9 | 1 | 7 |
| 2 | | 7 | | | 4 | | | 8 |
| | 2 | 1 | | 9 | | 7 | 5 | |
| | 3 | | 5 | | 2 | | 9 | 1 |
| 5 | | 8 | 7 | 1 | | 6 | | 4 |
| 1 | | 5 | | 7 | | 4 | 3 | |
| | 4 | 2 | | 6 | 5 | | 7 | 9 |
| 6 | | 9 | 4 | | 1 | 2 | | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 5 | | | 1 | | |
| | | 4 | | 7 | | | 5 | 3 |
| | | | 1 | | 8 | 4 | | |
| | | 2 | | | 9 | | 8 | |
| 1 | | | | 6 | | 3 | | 2 |
| | 5 | | | | 1 | | 9 | |
| 2 | | | 9 | 8 | 7 | | | |
| | 6 | | | | | 2 | 1 | 8 |
| 3 | | | | 1 | | | | |

# ისწავლეთ ხატვა ზაალ სულაკაურთან ერთად



1. წრეზე დახატული პეპლის ფორმის ბაფთით დაიწყეთ თაგუნიას თავის ხატვა



2. მიახატეთ თაგუნიას ცხვირ-პირი და ყურები



3. შემდეგ – თვალები, აპრეხილი წამწამები და ენა



4. თაგუნიას მიახატეთ ტანი



5. მიახატეთ ხელები



6. შემდეგ მიახატეთ ფეხები და კაბაც



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზებით მივლენ ბავშვები ეტლთან



## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



# ბაყაყები

## (იგავ-არაკი)

ორი ბაყაყი მეზობლობდა. ერთი ღრმა ტბაში ცხოვრობდა, მეორე კი – გზაზე, პატარა გუბურაში. ტბის ბაყაყმა გუბის ბაყაყს ურჩია: გადმოდი, ჩემთან იცხოვრე, ჭირსა და ლხინში ერთად ვიქნებით და შიშიც არაფრის გექნებაო.

გუბის ბაყაყმა თავი შორს დაიჭირა, ამ ადგილს შეჩვეული ვარ, თავს ვერ დავანებებო. გავიდა ცოტა ხანი, გზაზე ფორანმა გაიარა და ბაყაყი გაჭყლიტა.

ახირებულობას ადამიანი ზოგჯერ დაღუპვამდე მიჰყავსო.

## რიცხვრებუსი

,20, 10,, ,,0



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ჩემს ლეკვს კბილების მოცვლის პერიოდი დაეწყო. ზედმეტად მონდომებულია და ყველაფერს კბილებით ეჭიდება. ძალიან მეშინია, არ დაიზიანოს. იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვერ ავიცილეთ თავიდან დაზიანება, რა უნდა გავაკეთო პირველ ყოვლისა?**

**პასუხი:** ეს ნაკლებად დასაშვებია, მაგრამ, თუ თქვენმა ძაღლმა კბილი დაიზიანა და სისხლდენა დაეწყო, დაზიანებულ ადგილას მაშინვე ტამპონი უნდა დაადოთ და ეცადოთ, ძაღლმა პირი დახუროს. გაუკეთეთ ალიკაპი ან ყბები დოლბანდით მჭიდროდ შეუკარით.

**კითხვა: მაინტერესებს, ყველაზე ხშირად რომელი საკვები იწვევს ალერგიას ძაღლებში?**

**პასუხი:** ყველაზე ხშირად ალერგიას იწვევს ხორცის ცილები. არ არსებობს არაალერგენული ცილები. ალერგია არის მკაცრად ინდივიდუალური დაავადება, ზოგს ხორცის ცილაზე აქვს ალერგია ზოგს კი – თევზის. ნებისმიერი ალერგიული დაავადების დროს, აუცილებელია, გამოითიშოს საჭმლისმიერი ალერგიები, რადგან, აღნიშნული არ საჭიროებს მედიკამენტურ მკურნალობას.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთელი ცხოვრება დიეტოთერაპიაა საჭირო. გახსოვდეთ, როცა ცხოველი იფხანს, უნდა დაადგინოთ, არის თუ არა ეს სიმპტომი კავშირში საკვებისმიერ რეაქციასთან.

**კითხვა: მაინტერესებს, უნდა გავაკონტროლო თუ არა საკვების რაოდენობა, რომელსაც ძაღლი ყოველდღიურად იღებს?**

**პასუხი:** ძაღლის საკვების რაოდენობა მუდმივად უნდა გააკონტროლოთ. ამ პროცესს ახორციელებენ ძაღლის მიერ ენერგიის დღიური გამოყენების აუცილებელი რაოდენობისა და საკვებ პროდუქტებში მისი შემადგენლობის გამოთვლის გზით. ძაღლისთვის განკუთვნილი საკვების რაოდენობა რეგულარულად უნდა აიწონოს. საკვების შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ, თითოეული მათგანი რა რაოდენობისა და სახის საზრდო ნივთიერებებს შეიცავს; როგორია მათი კალორიულობა და დანაკარგის პროცენტი გადამუშავების დროს. ამით თქვენს ძაღლს არასასურველ სიმსუქნეს აარიდებთ.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ ორსულობის დროს ძაღლი ფილტვების ანთებით გახდა ავად, უქმნის თუ არა ეს პრობლემას მის ლეკვებს?**

**პასუხი:** პრობლემას ნამდვილად უქმნის. ფილტვების ანთების პერიოდში ძაღლმა შეიძლება საერთოდ ველარ იმშობიაროს, მუცელში მყოფი ლეკვები ორგანიზმმა გაიწოვოს და ეს გამოსაჯანმრთელებლად გამოიყენოს; ან, შეიძლება სუსტი ლეკვები დაბადოს, რომელთა გაზრდა ძნელი იქნება. შესაძლებელია ფილტვების ანთების შემთხვევაში მშობიარე ძაღლმა მკვდარი ლეკვები დაბადოს. ორსულობის პერიოდში, შესაძლოა, ნებისმიერი პათოლოგია განვითარდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა სირთულის ფილტვების ანთება აქვს და რა როდის მოხდა ჩარევა. ფილტვების ანთებისგან ძაღლის გამოჯანმრთელება ექიმის ჩარევის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, როგორც წესი, ეს სიკვდილით მთავრდება. ამიტომ, პატრონი ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: მაინტერესებს, პელარგონიუმის როგორი სახეობები არსებობს?**

**პასუხი:** ამ მცენარის ასობით სახეობა არსებობს. ზოგიერთი მათგანი სურნელოვანი ფოთლებით ფასობს, ზოგი კი ფერადი ყვავილებით. სამეფო პელარგონიუმებს ამშვენებს დიდი ყვავილები, რომლებიც სხვადასხვა ფერისაა: მოშავო, ვარდისფერი, წითელი ან თეთრი. პელარგონიუმის სახეობებიდან ყველაზე გავრცელებულია „ზონალური" პელარგონიუმი. მისი პატარა ყვავილების კონები საკმაოდ შთამბეჭდავია. საერთოდ, ეს მცენარე სათანადო პირობებში მთელი წლის განმავლობაში ყვავის.

**კითხვა: რამდენად პრეტენზიული მცენარეა პტერისი?**

**პასუხი:** ეს ეფექტური და მოხდენილი გვიმრა ნაკლებად ჭირვეული მცენარეა და ის დიდ ყურადღებას არ მოითხოვს. მისი მიწა ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. სითბოში მაღალი ტენიანობის შესანარჩუნებლად მისი ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით და რეგულარულად დანამეთ.

**კითხვა: ჰოლში დასადგმელად რომელ მცენარეს მირჩევთ?**

**პასუხი:** ჰოლში თბილ და მყუდრო გარემოს უამრავი მცენარე ქმნის, თუმცა, კარის ხშირი გაღების დროს ბინაში ქარი და ცივი ჰაერი შემოდის, რასაც ზოგიერთი მცენარე ვერ უძლებს. ჰოლში დასადგმელად შეარჩიეთ განსაკუთრებით გამძლე მცენარეები, რომლებიც მიჩვეული არიან ცივ ღამეებსა და ყინვას. გირჩევთ, ჰოლში დადგათ შემდეგი მცენარეები: აჰავა, სპარმანია, ტოლმია და კორდილინა.

**კითხვა: ბარაქის ხე ჯერ მწვანე იყო, შემდეგ გაყვითლდა. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? კიდევ, მაინტერესებს, რა სიხშირით უნდა მოვრწყა გაზაფხულსა და ზაფხულში?**

**პასუხი:** მიზეზი შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:

1. თუ მზეში გიდგათ და ნიადაგის კომი ხშირად უშრება.

2. თუ ფესვები უკვე დაზიანებულია. ამის შესამოწმებლად მცენარე ამოიღეთ ქურქლიდან, კარგად დაუთვალიერეთ ფესვები, გაფუჭებული ადგილები მოაჭერით და ნიადაგი გამოუცვალეთ.

ბარაქის ხე გაზაფხულზე ირწყვება კვირაში ორჯერ. მას ხშირი მორწყვა არ უყვარს, ამიტომ, ეცადეთ ბევრი წყლით მცენარის ლპობა არ გამოიწვიოთ. ზაფხულში მცენარეს ნიადაგი რეგულარულად გაუნოყიერეთ. ამ დროს მიწა ტენიანი უნდა იყოს. მისთვის აუცილებელია კარგი განათება, განსაკუთრებით – ზამთარში. არგებს რამდენიმე საათი მზეზე ყოფნაც. კარგად გრძნობს თავს 18-24 გრადუსზე. ზამთარში, როცა სინათლე ნაკლებია, სიგრილეში ამყოფეთ, ფოთლები რომ არ დაუწვრილდეს.

**კითხვა: „დეკაბრისტმა" რამდენიმე წლის წინ იყვავილა, ახლა კი აღარ ყვავილობს. რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** „დეკაბრისტს" ხმელთაშუა ზღვის კაქტუსს ეძახიან. მისთვის აუცილებელია, შემოდგომიდან ამყოფოთ გრილ, 5-10-გრადუსიან ადგილას. დეკემბრის დასაწყისიდან კი შეიტანეთ 20-გრადუსიან სითბოში. შეგიძლიათ, ამოიღოთ ქურქლიდან და ნახოთ მისი ფესვების მდგომარეობა.

**კითხვა: სუკულენტს ღეროები უყვითლდება და უკვე ცვენაც დაიწყო. ზომიერად ვრწყავ და სინათლეც ნორმალურად აქვს. ახლა ყვავილობის პროცესშია. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** ამ მცენარეს არ უყვარს ბევრი წყალი, რადგან ის შედის კაქტუსების ოჯახში. ირწყვება ორ კვირაში ერთხელ და მისი კვება მინერალური სასუქებით შესაძლებელია თვეში ერთხელ. ფოთლების ცვენა გამოწვეულია უშუქობისა და უჟანგბადობის გამო. შესაძლოა, არასწორი მორწყვაც იყოს მიზეზი. ზაფხულში დღეში ორი-სამი საათით გაიტანეთ გარეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ იქცა დაბადების დღის სუფრა ოჯახში სასტიკი მკვლელობის ადგილად და რამ აიძულა მამაკაცი, საკუთარი რძალი მოეკლა

ეჭვიანობის გამო 38 წლის ვახო კ-იამ საკუთარი რძალი მოკლა. შემზარავი მკვლელობა ოჯახის წევრებისა და ნათესავების თანდასწრებით იმ სახლში მოხდა, სადაც ორი ძმა ოჯახებთან ერთად ცხოვრობდა. ერთ-ერთი ძმისშვილის დაბადების დღეზე გამართული წვეულება მაზლსა და რძალს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. მათი გაშველება ვერავინ შეძლო. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა რძალს მოწმეთა თანდასწრებით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისე მოულოდნელად ესროლა, რომ ტრაგიკული ინციდენტის თავიდან აშორება ვერავინ შეძლო. 29 წლის მარიკა ხ-ძე თავის არეში მიყენებული გამჭოლი ჭრილობით საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ის ინციდენტიდან სამ საათში, საოპერაციო ბლოკში გარდაიცვალა.

როდესაც სასამართლო პროცესზე რძლის მკვლელს საბოლოო სიტყვა მისცეს, ეს ვახო კ-იამ განაცხადა: „ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს რამდენს მომისჯით, დანაშაული ჩავიდინე და უნდა დავისაჯო. ერთადერთი, რაშიც ვერ დაგეთანხმებით ისაა, რომ განზრახ მკვლელობა მედება ბრალად. ჩემი რძლის მოკვლა განზრახული არ მქონია, ეს ინციდენტი სულიერი აფექტის გამო ჩავიდინე”. თუმცა, ვინაიდან ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც დაკავების დროს ვახო კ-იას ჩაუტარდა, ის მკვლელობის მომენტში აფექტის მდგომარეობაში არ აღმოჩნდა და მხოლოდ ალკოჰოლის გავლენის ქვეშ ყოფნა დაუდასტურდა, სასამართლომ მას ჩადენილი დანაშაულისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურა დამნაშავისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა, იმის გამო, რომ ქალი მაზლმა არასრულწლოვანი შვილების თვალწინ მოკლა. მაგრამ, სასამართლომ ეს დამამძიმებელ გარემოებად არ გაიზიარა და ვახო კ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული განზრახ მკვლელობად მიიჩნია.

ჩადენილი დანაშაულის შესახებ პოლიციაში შეტყობინება საავადმყოფოდან შევიდა. ვახო კ-ია დანაშაულის აღიარებით საკუთარი ნებით ჩაბარდა სამართალდამცველებს, რომელთაც შემთხვევის ადგილზე მკვლელობის რამდენიმე მოწმე დაკითხეს. როგორც ოპერატიული სამსახურის მიერ ჩატარებული სამძებრო ღონისძიებით გახდა ცნობილი, ოჯახში, სადაც მკვლელობა მოხდა, 10 წლის ლაშას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. სახლი, რომელშიც ორი ძმა ოჯახებთან ერთად ცხოვრობდა, პატარა აივნით ორ ნაწილად იყო გადაყოფილი. მკვლელობის დღეს სადღესასწაულო სუფრა სწორედ იმ აივანზე გაიშალა. ძმებს ეზოიანი კერძო სახლი მშობლებისგან მემკვიდრეობით ერგოთ. მათ ერთმანეთთან იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ სახლის გაყიდვა და შუაზე გაყოფა არც უფიქრიათ და დაოჯახების შემდეგაც ერთად ცხოვრობდნენ. ვახო კ-იას უფროსი ძმის, ზაზას ცოლთან, მარიკა ხ-ძესთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა, ბოლო პერიოდში მაზლს რძლის მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა. იმ დროს, როცა უფროსი ძმა ზაზა კ-ია რუსეთში წავიდა კერძო კომერციული საქმიანობის მიზნით, ვახო კ-იასთვის ცნობილი გახდა, რომ რძალი მალულად შორეულ ნათესავს, 55 წლის კოტე ტ-ოვას ხვდებოდა. ვახო კ-იამ ეს ინფორმაცია ნათესავისგან შეიტყო. მოგვიანებით, მან საკუთარ ჩვენებაში განაცხადა: „როდესაც გავიგე, რომ მარიკა ზაზას ღალატობდა, ლამის შოკში ჩავვარდი. ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ეს სიმართლე იყო. მარიკამ და ზაზამ ოჯახი დიდი სიყვარულით შექმნეს. ჩემი რძლისთვის საეჭვო არაფერი შემიმჩნევია. რაც ეს ამბავი გავიგე, რამდენჯერმე ვცადე, ინფორმაციის გადამოწმება, მაგრამ ხომ იცით, ეს ისეთი რამაა, იოლად არ მტკიცდება. თან, ზუსტად არ ვიცოდი, ვის ხვდებოდა მარიკა და ვისზე უნდა მეეჭვიანა. რამდენჯერმე მეგობრის მანქანით უკან მალულად გავყევი. ისე დამტანჯა ჩემმა ეჭვებმა, რომ ამის შესახებ ცოლს ვუთხარი. მანაც დამიდასტურა, რომ თვითონაც ფიქრობდა, მარიკას ღალატის შესახებ. ამის შემდეგ ჩემი ეჭვები უფრო გამძაფრდა. რძალს ერთი თვე ვუთვალთვალებდი, რომ ღალატში გამომეჭირა. ერთ დღეს ჩემი ეჭვები გამართლდა – სამსახურიდან სახლში მომავალი რძალი ჩემი შორეული ნათესავის მანქანაში დავინახე. უკან ვერ გავყევი, გზაში დამეკარგნენ, მაგრამ მეორე დღესვე ვკითხე მარიკას, თუ რა უნდოდა კოტეს მანქანაში. მან ისე უარყო ეს ამბავი, ვიფიქრე, ვინმეს მივამსგავსე-მეთქი. თუმცა, მერე სხვებისგანაც ბევრი რამ გავიგე და როცა ყველაფერში დავრწმუნდი, კოტე მოვძებნე. ჩვენ შორის დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. კოტემ მითხრა: ეს მხოლოდ ჩვენი საქმეაო. მე ხელი გავარტყი. ერთი პერიოდი იმასაც ვფიქრობდი, ეს ამბავი ჩემი ძმისთვის მეთქვა, მაგრამ ვერ გავბედე. საკუ-

## რძალს ერთი თვე ვუთვალთვალებდი, რომ ღალატში გამომეჭირა

თარ თავს ვებრძოდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იმ დღეს ჩემი ძმისშვილის, ლაშას დაბადების დღე იყო, საკმაოდ ბევრი სტუმარი მოგროვდა. ერთი საათი იქნებოდა გასული, რომ მარიკა ველარ შევნიშნე. ჩემს ცოლს ვკითხე, ხომ არ იცი, სად წავიდა-მეთქი? ასე მითხრა, სამსახურიდან დამირეკეს და ცოტა ხნით უნდა გავიდეო. მივხვდი, რომ კოტესთან შესახვედრად წავიდა. ჩემს ძმას გავხედე – ისეთი ბედნიერი იყო, განწყობას ვერ ჩავუშხამებდი. ამის შემდეგ მოვლენები როგორც განვითარდა, ყველამ ნახა.”

გამოძიების მასალების მიხედვით, მარიკა ხ-ძე სახლში ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა და სტუმრებს მოუბოდიშა, სამსახურიდან დამირეკეს, რომ არ წავსულიყავი, გამორიცხული იყოო. მარიკა ხ-ძე კლინიკის ექთნად მუშაობდა და შესაბამისად, სამსახურში რომ გამოეძახებინათ, სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წვეულებაზე დაბრუნებულ მარიკას, მოწმეთა ჩვენებით, მაზლი სუფრასთანვე აუხირდა, რაც ყველას გაუკვირდა. სიტუაციის განმუხტვა ნათესავებმა მოახერხეს. ცოტა ხანში ვახო სუფრიდან გავიდა და მარიკაც იხმო. ერთ-ერთი მოწმის განცხადებით, ოთახთან ჩავლისას საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ უთხრა ვახ-



ომ, შენ ჩემი ხელით უნდა მოკვდეო.

ამის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა – მარიკა ოთახიდან სახეალეწილი გამოვიდა, რაც სუფრაზე მყოფ სტუმრებს არ გამოჰპარვიათ. ვახო სახლში იყო შესული და არ ჩანდა. მარიკა შუა ეზოში იდგა და ერთ-ერთ სტუმარს ესაუბრებოდა, როცა გასროლის ხმა გაისმა. ახალგაზრდა ქალი მოწყვეტით დაეცა ძირს. იარაღმომარჯვებული ვახო კ-ია აივანზე შეშლილი სახით იდგა.

ამონაწერი მოწმის, ნანა ბ-შვილის ჩვენებიდან: „მარიკა ჩემი შვილის ნათლია იყო. ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, თუ მაზლთან ნაჩხუბარი იყო. დაბადების დღის წვეულება ახალი დაწყებული იყო, როცა მარიკა ერთი საათით სახლიდან გავიდა. როცა დაბრუნდა, ანერვიულებული იყო, ექთანია და ვიფიქრე, რომ კლინიკაში რაღაც მოხდა. ცოტა ხანში ვახო მარიკას ცუდად გაეხუმრა, მერე კიდევ უთხრა რაღაც აგრესიულად. არც შემინიშნავს, ცალკე როდის გავიდნენ. სუფრასთან ვისხედით, უცებ გასროლისა და ჩოჩქოლის ხმა გავიგე. იქვე, ეზოში უამრავი ბავშვი თამაშობდა და ძალიან შევშინდი. იქ იყო მარიკას იუბილარი შვილი, ლაშიკოც. სროლის ხმაზე აივნისკენ გავიხედე – დავინახე, მოაჯირთან ლაშა იდგა, ხელში გადაჭრილი თოფი ეჭირა. მარიკა ძირს დავარდა, ეზოში პანიკა ატყდა, ყველანი თავზარდაცემულები ვიყავით. ვერავინ მიხვდა, რატომ ესროლა ვახომ მარიკას.”

მოგვიანებით, დაკავებული ვახო კ-იას განაცხადებით, რძალმა აღიარა, რომ მის ძმას ღალატობდა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „როცა მარტონი დავრჩით, მარიკას ვუთხარი: საკუთარი შვილის დაბადების დღეც არ ჩაატარე ისე, სახლიდან რომ არ გაპარულიყავი-მეთქი. მაშინვე ჩხუბზე გადავიდა, შენი საქმე არაა ჩემი ცხოვრება, შენს ძმას დიდი ხანია, ვღალატობ და თუ ამას გააგებინებ და გამათავისუფლებ, მადლობას გეტყვიო. ეს მითხრა და ოთახიდან მალევე გავიდა. მთვრალი ვიყავი, ამის გაგონებაზე საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი – ჩემს ოთახში შევედი, სადაც იარაღს ვინახავდი. აივანზე გამოვედი და ეზოში მყოფ მარიკას დამიზნებით ვესროლე. ერთადერთი, რის გამოც ჩემს საქციელს ვნანობ ისაა, რომ იქვე, ჩემი პატარა ძმისშვილი იდგა, რომელსაც დედა თვალწინ მოვუკალი. იმ წუთში თავის მოკვლაც მინდოდა. თოფი თითქმის უკვე ჩემკენ მქონდა მოტრიალებული, მაგრამ ვიღაც მომვარდა და იარაღი წამართვა. ამის შემდეგ, იქამდე, სანამ პოლიციას ჩავბარდებოდი, თითქმის არაფერი მახსოვს.”

სასამართლო გამოძიებამ ვახო კ-ია დამნაშავედ ცნო. მისი ადვოკატი ცდილობდა, რომ დანაშაული სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილ ქმედებად შეფასებულიყო, თუმცა უშედეგოდ. ამას ისიც ემატებოდა, რომ განსასჯელი თავიდან ბოლომდე აღიარებდა ჩადენილი დანაშაულის ყველა დეტალს. რომელსაც ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედის სიცოცხლე შეეწირა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28(550)-21(647)

– ჩვეულებრივად. ის სულ მალე გაქრება უკვალოდ და მისგან სველი ადგილიც აღარ დარჩება. თქვენ კი გირჩევთ, უფრო ყურადღებით იყოთ და პირადი დაცვა გააძლიეროთ. თქვენი ბინძური კომპანიონი თავისსავე სამშობლოში გაქრება, თქვენზე ვერავინ აილებს ეჭვს და ნურც ვინმესთან წამოგცდებათ ეს. შევთანხმდით?



– შევთანხმდით.

– ახლა კი მშვიდობით. გენოს გაკოჭისთვის ბოდიშს გიხდით, სხვა გამოსავალი ნამდვილად არ მქონდა, – ვუთხარი თორნიკეს და მისი ბინიდან წამოვედი.

ახმადი სტამბულში მოვიხელთე. ის იმ დროს გავიტაცე, როდესაც საკუთარი მანქანა გარაჟში შეიყვანა და იქიდან გადმოსვლას აპირებდა. მე ის წინასწარ გამზადებულ ბინაში მივიყვანე და ჯერ შუბლი გავუხვრიტე, შემდეგ ცხედარი უზარმაზარ ღუმელში დავწვი, ფერფლი კი წყალს გავატანე... ახმადის მსგავსი ბიზნესმენი არაერთია დღევანდელ საქართველოში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა თორნიკეს მსგავსი პატრიოტი და არც მე – ვარ ყველგან, რომ ჩემი სამშობლოს მტრები გავანადგურო და მცირე წვლილი შევიტანო ქართულ საქმეში. საქართველოს გადარჩენასა და აყვავებას, ჩემ მიერ დახოცილი მოღალატეები ვერ უშველის. ამ საქმეს მტკიცე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და სწორი საერთაშორისო პოლიტიკა სჭირდება.

– მერწმუნე, კოკი, რომ მკვლელის ტყვია დიდი ხნით და ძირეულად ვერაფერს შეცვლის. რა თქმა უნდა, ჩვენ და ჩვენი პროფესიის ხალხს შეუძლია, რაღაც ისტორიული ცვლილებები შეიტანოს სამყაროში, მაგრამ, ბევრს ვერაფერს შეცვლის, თუკი ეს მთელი ქვეყნის, მთელი სახელმწიფოს ნება არ არის, – მასწავლიდა ერთ-ერთი კოჯრელი ინსტრუქტორი, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში მათვითცნობიერებდა.

ინსტრუქტორს რომან იაკოვლევიჩი ერქვა. ის ძველი დიპლომატი იყო; კარგა ხანს არალეგალურად მუშაობდა გერმანიაში და მსოფლიო პოლიტიკას ბრწყინვალედ იცნობდა. მასთან სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა ნებისმიერ თემაზე ლაპარაკი, ამიტომ, ვბედავდი და ვეკამათებოდი ხოლმე.

– რომან იაკოვლევიჩ, არ გეთანხმებით, – ვეტყოდი ხოლმე ინსტრუქტორს და თვალს თვალში ვუყრიდი.

– აბა, მითხარი, რაში არ მეთანხმები, – მომიგებდა რომან იაკოვლევიჩი და კოპებს შეკრავდა.

– თქვენ რომ ამბობთ, ჩვენს ტყვიას ბევრი არაფრის შეცვლა შეუძლიაო, იმაში.

– კონკრეტულად?

– აი, მაგალითად, ჰიტლერი რომ 1939 წელს მოეკლათ, ის ხომ ვერ დაიწყებდა მეორე მსოფლიო ომს და საბჭოთა კავშირიც გადაურჩებოდა ამხელა უბედურებას?

– არავითარ შემთხვევაში. ჰიტლერი რომ მოეკლათ, ომს სხვა ჰიტლერი დაიწყებდა. მეტსაც გეტყვი, 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერი სამხედრო შეთქმულებს რომ მოეკლათ, გერმანია მაინც ვერ გადაურჩებოდა სრულ განადგურებას. 20 ივლისის აფეთქება ჰიტლერის ბუნკერში იმისთვის იყო გამიზნული, რომ ის მომკვდარიყო, ამით ზავი დაედოთ და საბჭოეთის წინსვლა შეეჩერებინათ, მაგრამ, ეს არ მოხდებოდა, სტალინი ამას არ დაუშვებდა. ერთ საიდუმლოს გაგიმხელ...

– რა საიდუმლოს?

– მე იმ პერიოდში გერმანიაში ვმუშაობდი არალეგალ აგენტად და პირადად სტალინისგან მქონდა მიღებული დავალება, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ წამოწყებული ნებისმიერი შეთქმულების შესახებ ინფორმაცია მომეპოვებინა და ის ცენტრში გადამეცა. ცენტრი კი ამ ინფორმაციებს ფაშისტებს აწვდიდა. სხვათა შორის, ჩემნაირი დავალება რამდენიმე ათეულ არალეგალს ჰქონდა და, როგორც ვიცი, შეთქმულთა ხუთი ჯგუფი იქნა აღმოჩენილი და დასჯილი.

– ჰიტლერი სტალინს ომის გასაგრძელებლად და მოსაგებად სჭირდებოდა. ეგ გასაგებია, – ვუთხარი რომან იაკოვლევიჩს და ვკითხე, – სტალინი რომ მოეკლათ ომის წინ, ომს მოვიგებდით?

– აუცილებლად მოვიგებდით. მართალია, ძალიან გაგვიჭირდებოდა, მსხვერპლიც მეტი იქნებოდა და ეს ომი დროშიც გაიწელებოდა, მაგრამ, მაინც მოვიგებდით.

– ანუ, თქვენ უარყოფთ პიროვნების როლს გლობალურ ისტორიულ პროცესებში?

– არ უარვყოფ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიული პროცესების შეჩერება არავის ძალუძს, – ასე მპასუხობდა რომან იაკოვლევიჩი და მას ეს ღრმად სწამდა, ვერ გადაარწმუნებდი. მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არანაირი გარდაუვალი პროცესი არ იყო და, რომ არა გორბაჩოვი, საბჭოეთი არ დაინგრეოდა.

რამდენიმე წლის წინ მაიამიში ერთ კუბელ ემიგრანტს შევხვდი, რომელიც თავის დროზე ფიდელ კასტროს ციხიდან „ცეერუმ" გააქცია და ამერიკის მოქალაქეობა მიანიჭა. მაშინ ის ამერიკელებმა ცხვირწინ აგვაცალეს და, არა მარტო კუბის წინააღმდეგ არამედ, მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ამუშავდნენ. გარსია – ასე ერქვა იმ კუბელს, საკმაოდ განათლებული დემაგოგი იყო და კარგად ფლობდა ანტიპროპაგანდის ხელოვნებას. ის ლანძღავდა ყველასა და ყველაფერს, რაც საბჭოურთან, სოციალისტურთან იყო დაკავშირებული და უამრავ ადამიანს აურია ტვინი. თავად კი ამერიკელების ლაქია, საკმაო ასაკის მიუხედავად, ძველებურად კარგ ფორმაში იყო და დემაგოგიას განაგრძობდა. მე მას ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის ჟურნალისტად წარვუდექი და კარგა ხნის ლაყბობის შემდეგ ვკითხე:

– საბჭოთა კავშირი დაინგრა, ახლა რაში ხედავთ თქვენი მოღვაწეობის მიზანს?

– საბჭოეთი ბოლომდე არ დანგრეულა და მისი ცალკეული ნარჩენები კვლავაც არსებობს. აი, თუნდაც კუბა, ფიდელი ხომ ცოცხალია... და, საერთოდ, სანამ რუსეთი არ დაინგრევა, ჩემი მისია შესრულებული ვერ იქნება.

– თქვენი მისია ამით დასრულდა. მშვიდობით, სენიორ გარსია, მოკითხვა რუსეთიდან, – ვუთხარი კუბელ ემიგრანტს და მაყუჩიანი პისტოლეტით შუბლი გავუხვრიტე. მისი მოკვლა

## ლაშო, ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ!



ლაშო, ჩვენო ლაშო. ერთი წელი გავიდა, ბიჭო, უშენოდ, ერთი გაუსაძლისი წელი. წახვედი და დაგვტოვე. ძნელი წარმოსადგენია, რომ ცრემლიან მონატრებად იქეცი. შენ იმდენ სიკეთეს ასხივებდი, შენ გვერდით ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს. შენი გულწრფელი გულით უზარმაზარ სიყვარულს დაატარებდი და ამ სიყვარულს ყველას უნაწილებდი. ძნელია, უშენობას შევეგუოთ, ლაშო, მაგრამ დროს უკან ველარ დააბრუნებ. გვაქვს დიდი ტკივილი, მონატრება. უშენობის სევდას ვერაფერი მოერევა, ლაშო. ძალიან ძნელია, რომ შენზე წარსულ დროში ვილაპარაკოთ, ბიჭო. ლაშო, შენ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნე, რომ ადამიანები ამქვეყნად მხოლოდ თავის კეთილ სახელს ტოვებენ.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, მოვეფეროთ შენს ნათელ სულს. შენს საფლავთან მუხლმოდრეკილებმა წმიდა სანთლები დავანთოთ და ღმერთს შევევედროთ – ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული.

ჩვენთვის დიდი ტკივილი ხარ, ბიჭო... გვიყვარხარ და ძალიან გვენატრები!

**შენი მეგობრები**

კუბელებმა შემიკვეთეს და მეც სიამოვნებით დავთანხმდი...

გარსიას მსგავსად, მსოფლიოში მრავალი ნაძირალა დემაგოგია და, ყველას რომ „მიხედო“, ამისთვის სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი იდეოლოგიური შხამი ისე მოწამლავს მოსახლეობას, რომ, შეიძლება, შემცდარი ადამიანები საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგაც კი წავიდნენ. ასე ხდება რევოლუციები და, ახალი, ბედნიერი, უზრუნველყოფილი ცხოვრების დაპირებებით მოსული მთავრობები, ხშირ შემთხვევაში, ძველებს ბევრად აჭარბებენ უსამართლობაში და უფრო საძულველნი ხდებიან. ამ ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთ ელიტურ „ტუსოვკაზე“ ვიმყოფებოდი, სადაც ქართული ეგრეთ წოდებული ბომონდი თითქმის სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. ამ საღამოზე მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანიც იმყოფებოდა და მათ რომ ვუყურებდი, მინდოდა, ეს უფორმო, საზიზღარი მასა ერთმანეთში ამეზილა და სამუდამოდ ამომეშალა მათი სახელები ცოცხლების სიიდან, რადგან, ეს ცრუ კერპები, ეს ცრუ მმართველები, ერის სირცხვილს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი სამშობლოს განადგურება და აღსასრულია... ამ შეკრების ოფიციალური საბაბი უნარშეზღუდული ადამიანებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა იყო და ეს, ვითომდა საქველმოქმედო საღამო, ელიტის მორიგ ორგიად გადაიქცა. ეს ძალად შემოქმედნი და ქველმოქმედნი ისე დათვრნენ და ისე გაბრუვდნენ ნარკოტიკებით, რომ ჯერ გაშიშვლდნენ და მუსიკალურ შადრევანში გადაეშვნენ, შემდეგ კი, კოლექტიური სექსი გააჩაღეს და ვიდეოკამერებსაც კი არ მორიდებიან, რომლებიც იქაურობას აკონტროლებდნენ უსაფრთხოების მიზნით. თუმცა, რომელ უსაფრთხოებაზეა ლაპარაკი და რა გვევიდეოკამერება ჩვენ საცოდავებს, როდესაც ასეთი ხალხის ხელშია ქვეყნის უსაფრთხოება და კიდეც ვიმკით მოსავალს... ამ საღამოზე მე ერთ-ერთი უცხოური ფირმის წარმომადგენლის სტატუსით, ვიმყოფებოდი, რა თქმა უნდა, კარგად შენიღბული. სინამდვილეში, მსგავსი ფირმა არ არსებობს და ეს ტყუილი მე იქ შესაღწევად დამჭირდა. საღამოზე იმყოფებოდა ვინმე უსმანიც, ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიელი ტერორისტი, რომელიც ბიზნესმენობას იყო ამოფარებული, სინამდვილეში კი, ხალხის ხოცვა-ჟლეტასთან ერთად, ნარკოტიკებითაც ვაჭრობდა და, რაც უნდა სამწუხარო იყოს, საქართველოს მთავრობა მას „კრიშავდა“... უსმანი ამ საღამოზე ქველმოქმედის სტატუსით წარდგა და მიუხედავად ნარკობარიგობისა და ტერორისტობისა, მისთვის მიუღებელი იყო იქ არსებული სიტუაცია, ამიტომ, ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– ამერიკელი ბრძანდებით, სერ?

– დიახ. თქვენ?

– მე ჩრდილოკავკასიელი ვარ.

– ესე იგი, რუსების მტერი?

– თავისთავად, – თვითკმაყოფილებით მომიგო უსმანმა და ხელი გამომიწოდა: – უსმანი!

– სტივი.

– მისტერ სტივ, გატყობთ, რომ, რაც აქ ხდება, სულაც არ გეპიტნავებათ, ისევე, როგორც მე.

– საიდან მიხვდით?

– სახეზე გაწერიათ.

– თქვენ ფიზიონომისტი ყოფილხართ, – ვუთხარი უსმანს ღიმილით, – მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენელი ვარ, ჩვენთან ასეთი თავგასულობა ნამდვილად არაა მიღებული. თანაც, მე ძველი ტრადიციების კაცი ვარ და, რომ არა საჭიროება, რასაც ჩემი ფირმის ინტერესები მკარნახობს, აქ ფეხსაც არ მოვდგამდი.



– მეც ჩემი ფირმის ინტერესების გამო ვარ აქ, თორემ, ამ ურჯულოებთან რა მესაქმება, – მომიგო ჩემი გულახდილობით შეგულიანებულმა უსმანმა და დაამატა, – შეხედეთ, შეხედეთ მისტერ სტივ, განა ესენი მამაკაცები არიან, ესენი კი – ქალები?

უსმანი სიმართლეს ამბობდა. მისი სიტყვები შხამიანი ისარივით მომხვდა გულზე, მაგრამ, იმ მომენტში ამერიკელი ვიყავი და შედარებით დიპლომატიურად ვუთხარი:

– რას იზამ, ჩემო კარგო, ასეთია მათი დემოკრატია და, თუკი მათ ასე სურთ, ჩვენ რას ვუშველით.

– დიახ, რა თქმა უნდა, – ირონიულად დამიდასტურა უსმანმა.

– თქვენ თქვენი ფირმა ახსენეთ და, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, – ვუთხარი უსმანს, – ბიზნესმენი ბრძანდებით?

– უსმანმა ყელი მოიღერა და ხაზგასმული სიამაყით მომიგო:

– ჩემი ბიზნესი რუსების განადგურებაა და ჩემი ფირმა ყოველმხრივ ასრულებს ამ მისიას.

– გასაგებია, გასაგები, – მხარზე ხელი მოვუთათუნე უსმანს, რომელმაც, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მე მასზე თითქმის ყველაფერი ვიცოდი და იმ საღამოზეც მასზე სანადიროდ ვიყავი მისული.

უსმანი მართლაც ნადირობდა რუსებზე და მათ რამდენიმე ტერორისტული აქტიც კი მოუწყო. თუმცა, თავისი კარიერა მან ქართველების ხოცვით დაიწყო და აფხაზეთის ომში საშინელ სისასტიკეს სჩადიოდა. სოხუმის დაცემის დღეს კი, 27 სექტემბერს, ოჩამჩირეში მან ერთი ქართველის ოჯახი პირადად გაწყვიტა. მან ჯერ ოთხი ქალი – ბებია, შვილი და ორი არასრულწლოვანი გოგონა ძელზე მიბმული მამაკაცების თვალწინ გააუპატიურა, შემდეგ იმ ორ მამაკაცს ქალების თვალწინ თავები დააჭრა და ფეხბურთი ითამაშა, ბოლოს კი ნამუსახდილი ქალებიც დახოცა ავტომატის ჯერით. ამ დროს ოჯახის უფროსი, ბატონი ვასო, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, მძიმედ დაიჭრა და მისმა თანამებრძოლებმა ის თბილისში ჩამოიყვანეს. ბატონი ვასო ერთი თვე კომაში იყო და მხოლოდ მას მერე შეიტყო თავისი ოჯახის ტრაგედიის ამბავი, როდესაც გონს მოვიდა და ის ერთ-ერთმა მეზობელმა ქალმა, ეროვნებით აფხაზმა, მოინახულა პალატაში. ის ქალი ქართველის ცოლი იყო და იძულებული გახდა, თბილისში გადმოხვეწილიყო. ბატონმა ვასომ შეძლო ფეხზე დადგომა და გამოჯანმრთელების შემდეგ სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, იქ ბიზნესი წამოიწყო და ზღაპრულად გამდიდრდა. სწორედ მისი შეკვეთა მქონდა აღებული, რაც პირადად მომცა, როდესაც მას რიო-დე-ჟანეიროში, ცნობილ კლუბ „ფლამინგოში“ შევხვდი. იქ, რა თქმა უნდა, შენიღბული ჩავედი და წარმოდგენაც არ მქონდა, ვის და რისთვის უნდა შევხვედროდი. სულ ერთიანად გაჭაღარავებული ვასო ფეხზე ადგომით შემომეგება, ხელი ჩამომართვა და ინგლისურად მითხრა:

– დაბრძანდით.

– სენიორ, მე პორტუგალიურიც კარგად ვიცი და, თუ ინგლისურად ლაპარაკი არ გსურთ, შემიძლია, მშობლიურ ენაზე გესაუბროთ, – ვუთხარი შემკვეთს, რომლის ვინაობაც იმ მომენტში არ ვიცოდი.

– არც პორტუგალიურია ჩემი მშობლიური ენა, – უკვე პორტუგალიურად მომიგო ვასომ, – მე ქართველი ვარ და ვასო მქვია.



ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...

მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31



– სადაური? ქართველი?

– დიახ. ჩემი სამშობლო კავკასიაში მდებარეობს და ძალიან ლამაზია, ბევრად უფრო ლამაზი, ვიდრე აქაურობა, – ნაღვლიანად მითხრა ვასომ.

– მისტერ ვასო, სამწუხაროდ, ქართული არ ვიცი.

– არა უშავს, პორტუგალიურად ვილაპარაკოთ, – მითხრა ვასომ, შემდეგ თავისი ოჯახის ისტორია დაწვრილებით მომიყვა და ასე დაასრულა: – როგორც ვიცი, იმ უსმანს რუსეთის უშიშროება ეძებს, ის კი საქართველოს აფარებს თავს. მე მილიონ დოლარს გადაგიხდით, თუკი მას ცოცხალს მომგვრით.

– რიოში მოგიყვანოთ?

– არა, თბილისში, აი, ამ მისამართზე, – მითხრა ბატონმა ვასომ და თბილისის კონსპირაციული ბინის მისამართი და მობილურის ნომერი მომცა.

აი, ასეთი პრეისტორია ჰქონდა უსმანთან შეხვედრას თბილისური ბომონდის „ტუსოვკაზე", სადაც მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არც მთავრობას, არც ელიტას და არც ჩვენი ქვეყნის მხარდამჭერ უცხოელებს, საქართველოს ბედ-იღბალი არ ადარდებთ და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ. უსმანი და უსმანისნაირი ნაძირლები კი პირველივე ხელსაყრელ მომენტში ზურგში ლახვარს ჩასცემენ ჩვენს სამშობლოს და კვლავ ისე გულცივად და აზარტით ითამაშებენ ფეხბურთს ქართველების მოჭრილი თავებით, თანაც, რუსთაველის გამზირზე, რომ წარბსაც არ შეიხრიან. საქართველოს მთავრობა კი ასეთ ნაძირლებსა და გარეწრებს გულში იხუტებს, მათ თავშესაფარს აძლევს და ყოველმხრივ უწყობს ხელს.

უსმანის მიხრჩობის სურვილი იქვე მომივიდა, მაგრამ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. მე მას ზურგზე მოვუთათუნე ხელი და ვუთხარი:

– უსმან, ჩემო მეგობარო, თქვენთან სარფიანი შემოთავაზება მაქვს. მოდი, აქაურობას მოვშორდეთ, ნამდვილად არ მაქვს სურვილი, ამ საზიზღრობებს ვუყურო.

– კარგი, ჩემთან გეპატიჟებით, – მითხრა უსმანმა და „ტუსოვკა" დავტოვეთ.

სანამ მანქანამდე მივიდოდით, უკვე შემუშავებული მქონდა მოქმედების ძალიან მარტივი გეგმა: უსმანი თავისსავე მანქანაში უნდა მიმეძინებინა სპეციალური პულვერიზატორით, შემდეგ კი ბატონი ვასოსთვის მიმეყვანა, რომელიც უკვე თბილისში იმყოფებოდა და მოუთმენლად მელოდა. თუმცა, ყველაფერი ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმოვიდგენდი. გარეთ რომ გავედით, უსმანს სამი პირადი მცველი შემოეხვია და მათთან ერთად ჩავჯექი ძვირად ღირებულ, შავი ფერის „ჯიპში", სადაც მძღოლი გველოდა. ერთი მცველი მძღოლის გვერდით მოკალათდა, დანარჩენი ორი კი აქეთ-იქიდან მოგვისხდა და მანქანაც დაიძრა... „აბა, კოკი, მიდი, ახალგაზრდობა გაიხსენე", – გუნებაში ვუთხარი საკუთარ თავს, ხმამაღლა კი ვთქვი:

– უსმან, გააჩერონ მანქანა, გული მერევა.

მძღოლმა მანქანა გააჩერა და ჩემ გვერდით მჯდომი მცველი გარეთ გადავიდა, რომ ჩემთვის გზა გაეთავისუფლებინა. მე მანქანიდან მოკუნტული გადმოვედი, გადასულს წიხლი ვკარი და მიწაზე გავაგორე. შემდეგ ელვისებურად შემოვტრიალდი და მაყუჩიანი პისტოლეტიდან ჯერ უსმანის გვერდით მჯდარი მცველი მოვკალი, შემდეგ – მძღოლის გვერდით მჯდარი მცველი, მას მძღოლიც მივაყოლე და ბოლოს მიწაზე გართხმულ მცველსაც მოვუღე ბოლო. ეს ყველაფერი ორ წამში მოხდა და გაოგნებულ უსმანს ჯერ პისტოლეტი მივუშვირე, შემდეგ პულვერიზატორი მივასხურე და გავთიშე... უსმანი ბატონი ვასოს კონსპირაციულ ბინაში სხვა მანქანით მივიყვანე და, შემკვეთს რომ გადავეცი, პორტუგალიურად ვუთხარი:

– შეიძლება, რომ შურისძიების პროცესს დავესწრო?

– შეიძლება, – არაადამიანური გამომეტყველებით მომიგო ვასომ, შემდეგ უსმანი, რომელსაც სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად ხედავდა, სარდაფში ჩაათრია, გააშიშვლა, მარცხენა ფეხის ცერი თითით ჯაჭვზე ჩამოკიდა და გამოაღვიძა:

– რჯულძაღლო, მოემზადე საშინელი სიკვდილისთვის!

ვასო, უსმანს რუსულ-ქართულად ელაპარაკებოდა. უსმანს ქართული კარგად ესმოდა და თავადაც შეეძლო ლაპარაკი. ამიტომ მან ქართულადვე მიუგო ვასოს:

– შურისმაძიებელი ხარ? სამწუხაროა, რომ არ დაესწარი, როგორ დავხოცე შენიანები. შენს ბიჭებს წიწილებივით წავაგდებინე თავები და ფეხბურთი ვითამაშე. შენი ცოლი, ქალიშვილი და შვილიშვილები კი ძუკნებივით ვიხმარე.

უსმანს ამ საქციელით თავისი ვაჟკაცობისთვის უნდოდა ხაზის გასმა და ვასოს უმტკიცებდა, რომ არც მისი და არც სიკვდილის არ ეშინოდა. ვასომ მშვიდად მოუსმინა მას, შემდეგ კი სასქესო ორგანო მოჰკვეთა, პირში ჩაუტენა და სანამ ის გონებას დაკარგავდა, უთხრა:

– ეს ერთი. წინ კიდევ მრავალი სიურპრიზი გელოდება...

იმ საშინელების აღწერას, რაც ვასომ უსმანს დამართა, არ ვაპირებ, მაგრამ, ერთს კი ვიტყვი, რომ ეს იყო ჯოჯოხეთი. უსმანი მაშინაც კი ცოცხალი იყო, როდესაც მისი დანაწევრებული სხეულის ნახევარი უკვე მშიერ ვირთაგვებს ჰქონდათ შეჭმული, რომლებიც ბატონმა ვასომ სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შეიძინა. მე ამ პროცესს ბოლომდე დავესწარი და, როცა უსმანის თავიც ჩაუვარდა ვირთხებს, ვასოს ქართულად ვუთხარი:

– ასე უნდა დაემართოს ყველა იმ ადამიანს, ვისაც ქართველების მოკვეთილი თავებით უთამაშია ფეხბურთი ან ოდესმე აპირებს ამის გაკეთებას.

ვასოს განსაკუთრებული გაოცება არ გამოუხატავს იმის გამო, რომ ქართულად დაველაპარაკე და მომიგო:

– ამინ! მშვიდობით, ჩემო მეგობარო, დიდი მადლობელი ვარ ყველაფერ იმისთვის, რაც გამიკეთე.

ჩემ მიერ აღწერილი ისტორია, რა თქმა უნდა, საშინელი, საზარელი რამაა, მაგრამ, ასეთი დღე მოელის ყველა მოძალადესა და ნაძირალას და შურისძიების მახვილი ყველგან და ყოველთვის მისწვდება მათ.

– „სისხლი სისხლის წილ", ჩემო კოკი, ესაა ყველაზე სწორი ფორმულა, რაც ადამიანებს მოუფიქრებიათ, – მასწავლიდა ერთ-ერთი კოჯრელი ინსტრუქტორი და დასძენდა: – მეორე ლოყის მიშვერის პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილი, იდეალურთან მიახლოებული საზოგადოებისთვისაა მისაღები, ჩვენ კი ეს არ გამოგვადგება და სწორედაც ძველი აღთქმის ამ ფორმულით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ იდეალურთან მიახლოებული საზოგადოება შევქმნათ და დავიცვათ.

ჩემი ზემოხსენებული ინსტრუქტორი ფილოსოფიური წყობის კაცი იყო და, რასაც ამბობდა, კარგად რომ დავფიქრდებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ მართალი იყო. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიანი, პარიტეტული მოქმედებებია მიღებული, დარტყმაზე ყოველთვის დარტყმით გიპასუხებენ და მეორე ლოყას არავინ მოგიშვერს – კიდევ დამარტყიო. ასეთ ურთიერთობებზე იყო აგებული მთელი საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობები და ერთ დარტყმას ყოველთვის მეორის საპასუხო დარტყმა მოჰყვებოდა ხოლმე. ჩვენ კი, ანუ სპეცაგენტები, ამ დარტყმებს ვახორციელებდით და ამგვარად ვიცავდით ქვეყნის პრესტიჟსა და უსაფრთხოებას.

ერთხელ შჩუკინმა თავისთან დამიბარა და მითხრა:

– ვაშინგტონში უნდა გაემგზავრო და ამერიკელებს დაანახვო, ვინ ვინ არის.

– არაერთხელ დაგვინახვებია და არც ამჯერად დავიხევთ უკან. ბრძანეთ, რა მევალება!

– რა და, სამი დღის წინ მათმა სახელმწიფო მდივანმა ერთ-ერთ კერძო საუბარში საბჭოეთი განავლის კასრად მოიხსენია და თქვა, რომ თავზე რომ არ გადაგვესხას, ეს კასრი უნდა დავცალოთო. ამიტომ, შენ, 4 ივლისს, ანუ ამერიკის დამოუკიდებლობის ზეიმის დროს, გაუშვებ


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ჰაერში უზარმაზარ საჰაერო ბურთს. ეს ბურთი გარკვეულ კვადრატში გასკდება და პატივცემულ ამერიკელებს თავზე ფეკალური მასა გადაესხმევათ. გასაგებია?

გასაგები იყო შჩუკინის სიტყვები, მაგრამ ყველაფერი ეს არასერიოზულად მივიჩნიე. თუმცა, უფროსობის ბრძანება გადასინჯვას არ ექვემდებარება და შჩუკინს გამოვეჯგიმე:

– გასაგებია, ამხანაგო გენერალო!

ვიქტორ იაკოვლევიჩმა გამომცდელად შემხედა და მითხრა:

– გეტყობა, რომ ჩემი ეს დავალება არასერიოზულად მიიჩნიე, მაგრამ, გარწმუნებ, სახელმწიფო პოლიტიკაში წვრილმანები არ არსებობს. იცი, რისთვის დატოვა ერთხელ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა საფრანგეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პარადი პარიზში?

– რის გამო?

– რის გამო და, საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ ლოჟაში მას მეორე რიგში მიუჩინეს ადგილი. ხომ ვითომ არაფერია, მაგრამ, მან ეს დემარში პროტესტის ნიშნად ჩაატარა და პირადად სტალინის შექებაც დაიმსახურა. ჩემი დავალება კი პირადად ლეონიდ ბრეჟნევისგან მომდინარეობს. ჩვენს მეთაურს რომ მოახსენეს ამერიკელი მაღალჩინოსნის ეს ფრაზა, ლეონიდ ილიჩს უთქვამს – ანახვეთ ამერიკელებს, როგორია თავზე დასხმული ფეკალიებიო.

– ყველაფერი გასაგებია. მზად ვარ დავალების შესასრულებლად! – ვუთხარი გენერალს და ორი დღის მერე ამერიკაში ჩავედი.

ამერიკაში კიდევ ოთხი საბჭოთა არალეგალი მზვერავი შემომიერთდა და ჩვენ, ერთობლივი ძალებით, ისეთი შოუ მოვუწყვეთ მოზეიმე ამერიკელებს, რომ ეს მათ არასოდეს დაავიწყდებოდათ. მთელ ამ პროცესს სპეციალური კამერებით იღებდნენ და ნათლად აღიბეჭდა ფირზე, თუ როგორ გადმოესხა თავზე ათი ტონა ფეკალური მასა ამერიკის პოლიტიკურ ელიტას, როდესაც ჰაერში მფრინავი ბურთი გასკდა...

მოსკოვში რომ დავბრუნდი, შჩუკინი დიდი სიხარულით შემომეგება და მითხრა:

– ყოჩაღ, კოკი, კარგი ოინი მოუწყვეთ ამერიკელებს. თურმე, როდესაც ლეონიდ ილიჩს ეს კადრები უჩვენეს, გულიანად ხარხარებდა და ამბობდა, ამერიკელებმა სასარგებლო შხაპი მიიღესო...

მსგავსი უხამსობები სკოლის ონავარ მოსწავლესაც კი არ შეეფერება, მაგრამ, მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები ზოგჯერ მაჩანჩალა „შკოლნიკებზე“ უარესად იქცევიან. მე და ჩემი კოლეგები კი იძულებულები გავმხდარვართ, რომ მათ ნებას დავყოლოდით, რადგან, სპეცდავალებების შესრულება ჩვენი უშუალო მოვალეობა იყო და „ამერიკელების განბანვა“ სპეცოპერაციების რანგში გადიოდა.

ამერიკელებისთვის ჩაშხამებული ზეიმის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდათ, ყველა მშვენივრად მიხვდა, თუ ვინ მოაწყო ეს აქცია. ამიტომ, „ლენგლიში“ საპასუხო ოპერაციის მომზადებას შეუდგნენ. ეს ჩვენმა ხელმძღვანელობამ თავიდანვე გაითვალისწინა და „ცეერუელ“ ინფორმატორს დაავალეს, ამის შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეპოვებინა. შჩუკინი ვარაუდობდა, რომ საპასუხო აქციას შვიდი ნოემბრისთვის, სოციალისტური რევოლუციის წლისთავისთვის დაგეგმავდნენ ამერიკელები. ამ დღეს მოსკოვში, წითელ მოედანზე, მშრომელთა დემონსტრაცია და სამხედრო აღლუმი იმართებოდა ხოლმე, რომელსაც პირდაპირ ეთერში მთელი მსოფლიო უყურებდა.

– თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელები მთელი მსოფლიოს თვალწინ, პირდაპირ ეთერში შეეცდებიან ჩვენს ლაფში ამოსვრას და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც ამერიკული „ლონისძიების“ პატაკი მიიღო ჩემგან და დაამატა: – გული მიგრძნობს, ამ ოპერაციას გაგრძელება ექნება. ამიტომ, მზად იყავი.

– მე ყოველთვის მზად ვარ, ვიქტორ იაკოვლევიჩ, რომ ამერიკელებს შხაპი მივაღებინო.

– ძალიან კარგი. ახლა კი წადი და დაისვენე.



4 ივლისის აქციიდან სამი თვის შემდეგ, ანუ, 7 ნოემბრამდე ერთი თვით ადრე, „ლენგლიდან“ შეგვატყობინეს, რომ ამერიკელების საპასუხო სვლა სულ სხვა ხასიათის იყო, ვიდრე ჩვენ მიერ მოწყობილი „შხაპი“. ვიქტორ იაკოვლევიჩმა სასწრაფოდ თავისთან დამიბარა და მითხრა:

– „ცეერუდან“ გვაცნობეს, რომ ამერიკელებს საშინელების დატრიალება სურთ საშვიდნოემბრო აღლუმზე.

– რას გულისხმობთ, ამხანაგო გენერალო?

– რას და, ისინი აპირებენ, რომ შუა წითელი მოედნიდან „მიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტა გაუშვან და, რას ნიშნავს ეს, შენთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

„მიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტას დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია და წითელი მოედნიდან გაშვებული რაკეტა ნგრევის გარდა, დიდ მსხვერპლსაც გამოიწვევდა. მსგავსი ტიპის რაკეტიანი მანქანები, ისევე, როგორც დანარჩენი სამხედრო ტექნიკა, სრული საბრძოლო აღჭურვილობით გამოჰყავდათ ხოლმე წითელ მოედანზე და დავადგინეთ, რომ ამერიკელები საბჭოთა ოფიცრის ხელით გეგმავდნენ ამ სატანური გეგმის განხორციელებას. ეს ყველაფერი რომ გავიაზრე, შჩუკინს ვკითხე:

– „ცეერუმ“ უკვე მოამზადა ეს ოპერაცია?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | უ | ს | ტ | ა | ნ | გ | ი | | ს | | | | | |
| დ | ა | ჩ | ი | | ჭ | | რ | | | ა | | | | | |
| | ქ | | ლ | | ა | ნ | ი | დ | ე | მ | | | | | |
| ი | ს | ქ | ი | დ | ნ | ე | პ | ა | | ა | | | | | |
| უ | | ა | კ | ო | კ | | ი | ს | უ | რ | | | | | |
| რ | ა | თ | ო | ლ | | ჭ | | ტ | ბ | ა | | | | | |
| ი | ტ | ი | ნ | ო | გ | ა | რ | ა | | ნ | | | | | |
| | ა | ნ | ი | რ | ი | | | | | ჩ | | | | | |
| უ | ბ | ა | | ე | | ა | პ | ი | ს | ი | | | | | |
| რ | | უ | ა | ს | ა | კ | ო | | | | | ა | | ს | |
| ვ | ი | რ | ი | | ნ | ო | რ | ჩ | ე | პ | ი | ნ | გ | ი | |
| ა | მ | ი | რ | პ | | | ტ | ვ | ი | ლ | დ | ი | ა | ნ | ი |
| | ა | | ა | | ა | მ | ი | ე | ნ | ი | | | ბ | ა | ს |
| ი | მ | ი | ნ | ო | ლ | ა | | ნ | ე | ს | ტ | ო | რ | ი | |
| | ი | ფ | ი | რ | ი | ტ | | ი | შ | ე | ბ | | ი | | ლ |
| | | ა | | ე | | ე | | | | ც | ო | ლ | ე | ბ | ი |
| | ი | ნ | ა | ფ | ე | რ | ე | დ | | კ | რ | ო | ლ | ი | |
| ე | ნ | ი | ტ | ს | უ | ი | | ი | ჟ | ა | ი | ლ | ი | რ | გ |
| პ | ე | | უ | | ს | | ი | ქ | | ი | | ა | | ო | |
| ი | ლ | ო | დ | | ე | | ო | ტ | ი | ა | | შ | ი | ფ | ო |
| ზ | | ნ | | ა | ბ | ე | ს | ო | რ | | ი | ვ | ყ | ი | ც |
| ო | ლ | ი | ლ | | ი | ზ | ე | რ | ა | ბ | | ი | ო | ლ | ი |
| დ | | ს | | ბ | ო | მ | ბ | ი | | ო | ე | ლ | | ი | |
| ი | მ | ე | დ | ე | | | ი | | ბ | ი | ძ | ი | ნ | ა | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 2 | 7 | 5 | 1 | 6 | 4 | 8 |
| 1 | 4 | 8 | 6 | 3 | 9 | 2 | 7 | 5 |
| 7 | 5 | 6 | 8 | 2 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 8 | 7 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 2 | 3 |
| 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 8 | 7 | 1 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 2 | 7 | 3 | 5 | 8 | 6 |
| 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 | 4 |
| 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 | 5 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 9 | 5 | 8 | 6 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 5 | 2 | 7 | 8 | 1 | 6 | 3 |
| 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 | 9 |
| 2 | 9 | 4 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 | 1 |
| 6 | 7 | 1 | 3 | 9 | 2 | 4 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 3 | 4 | 6 | 1 | 7 | 9 | 2 |
| 7 | 6 | 8 | 1 | 3 | 9 | 2 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 | 1 | 6 |
| 1 | 3 | 2 | 5 | 4 | 6 | 9 | 7 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. მზისგან დასაცავად – ქმნიდა ჩრდილს. 2. ბანკა (გატეხვა – rotto. აქედან წარმოიშვა სიტყვა – ბანკროტი). 3. ავიცენა, იგივე იბნ სინა. 4. იმპერატორსა და ქვეშევრდომებს შორის. 5. ხე-ტყე აუცილებელი იყო ფლოტის მშენებლობისთვის. 6. შვეიცარიას. 7. ქააბა. 8. ვაშინგტონში. მთარგმნელმა სიტყვა-სიტყვით თარგმნა კასაბლანკა – თეთრი სახლი. შეხვედრა კი მაროკოში იყო დანიშნული. 9. კარლ ბენცმა მიიღო პირველი მართვის მოწმობა. 10. პარიზი, რომი (ვატიკანი), ნიუიორკი, ლონდონი.**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-21(647)

ქალები ხშირად საუბრობენ უთანასწორობაზე, თავიანთ დარღვეულ უფლებებზე, მაგრამ, არც ერთი არ არის მზად იმ პატარა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რომლებიც მხოლოდ სუსტი სქესისთვის არის დამახასიათებელი. რა მოხდა მერეო, – იტყვით, – ვის რა უშავდება უწყინარი ახირებებითა და კაპრიზებით, ისეთს ხომ არაფერს გიშავებთო... რა არის ნაკლიო?! – წამწამებს დააფახულებს ქალი გაოცებით და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული იქნება. არგუმენტს თუ დაუსახელებთ, ისევ დააფახულებს წამწამებს და გულის სიღრმემდე შეძრული იტყვის: „ესენი ხომ ქალური სისუსტეებია... მომხიბვლელი, ქალური სისუსტეები“... ამ დროს, რა ხდება მამაკაცის პოზიციიდან? – მათთვის მომხიბვლელი, ქალური სისუსტეები სხვა არაფერია, თუ არა ახირებები და კაპრიზები.

***

ლიზა ნებიერად გაიზმორა და მის მკლავთან მიწოლილ, თვალებმილულულ ზუკას თმა მოუჩეჩა:

– აბა, ახლა გამოტყდი, ეს ერთი კვირა სად იყავი დაკარგული და რატომ არ გინდოდა ჩემთან შეხვედრა?!

– ხომ გითხარი, სამსახურში ბევრი საქმე მქონდა-მეთქი. ვერ მოვახერხე.

– როგორ უსინდისოდ ცრუობ, – გადაიკისკისა ქალმა, – შენ გგონია, ვერ ვხვდები, როდის იტყუები?! პატარა თაღლითო... მე ვერაფერს გამომაპარებ...

– არც ვაპირებ, ტყუილი მეც მეჯავრება, მაგრამ, მართლა არ მეცალა.

ლიზა მისკენ შებრუნდა და გახელებულმა დაუწყო კოცნა.

– ისე ძალიან მომენატრე... დღესაც რომ არ შემხვედროდი, თვითონ მოგაკითხავდი სამსახურში.

ზუკას გული გადაუქანდა.

– რა?! იცი, სად ვმუშაობ?

ლიზამ თვალები მოჭუტა და კეკლუცად გაიღიმა:

– ვაიმე, შენ როგორი ბავშვი ხარ? მე შენზე ყველაფერი ვიცი... ყვე-ლა-ფე-რი – სად ცხოვრობ, სად მუშაობ, სად დადიხარ საღამოობით, რომ ცოლი არ გყავს...



– კიდევ?

– კიდევ რა? ჰო, ფეხსაცმლის ზომას ახლა გკითხავ. პარიზში მივდივარ რამდენიმე დღით და, მინდა, საჩუქარი ჩამოგიტანო.

– არა, – მოუჭრა ზუკამ და ასადგომად წამოიწია.

ლიზას გაუკვირდა:

– მოიცა, რას აკეთებ?

– უნდა წავიდე.

– რატომ? მთელი ღამე წინ გვაქვს. ჩემი ქმარი ხვალ საღამომდე არ ჩამოვა, შენც არავინ გელოდება...

– მელოდება, – ზუკამ ღრმად ჩაისუნთქა და რამდენიმე წამით მდუმარედ მიაშტერდა ქალს. მერე ამოისუნთქა და ნელა წარმოთქვა – არა, არავინ მელოდება, უბრალოდ, წასვლა მინდა.

– არ მესმის...

– არც მე მესმის, მაგრამ, ვგრძნობ, რომ ახლა წასვლაა საჭირო.

– ბავშვივით ნუ იქცევი... მომწონს, მაგრამ, დიდხანს ნუ გაჯიუტდები. იმდენი სიამოვნების მონიჭება შემიძლია...

ზუკამ ამოიოხრა და ქალის ცხელ კოცნას ტუჩები მიაგება...

დილით ლიზას მხარზე შეხებამ გაალვიძა.

– მძინარა, ადექი, უკვე დროა.

ზუკამ უხალისოდ გაახილა თვალები:

– რომელი საათია?

– ცხრა სრულდება. საუზმეს ნომერში მოგვიტანენ. დავრეკე უკვე. სამსახურში მშიერი ხომ არ წახვალ?

– მეჩქარება. არ მინდა საუზმე, სამსახურში დავლევ ყავას. თიკოს ვთხოვ და მომიდუღებს.

ლიზა შეიჭმუხნა.

– თიკო ვინ არის? – იკითხა გაღიზიანებული ხმით.

– ჩემი თანამშრომელია. რა იყო? – მხრები აიჩეჩა ზუკამ, – კარგი გოგოა, ბიჭებს ყავას გვიდუღებს ხოლმე.

– იცოდე, ეჭვიანი ვარ, – გაიცინა ლიზამ, თან თითი გამაფრთხილებლად დაუქნია.

– ხუმრობ?

– სულაც არა. მე ჩემს ქმართანაც ასე ვარ.

– როგორ? – ქმრის ხსენებამ ზუკაზე უარყოფითად იმოქმედა. ფერი დაკარგა და თითები შესამჩნევად აუთრთოლდა.

– როგორ და, ვეჭვიანობ. აბა, გამიბედოს და ვინმესთან მიღალატოს!..

ზუკამ გაოცებით შეხედა. ლიზამ ხმამაღლა გადაიკისკისა.

– გიკვირს? მე ასეთი ვარ – მესაკუთრე. ის, რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს. ასეა. ამიტომ, ფრთხილად იყავი.

ბიჭმა გვიან მოიაზრა ქალის ნათქვამი.

– მოიცა, რა იგულისხმე? მეც შენი საკუთრება ვარ?

– ვაიმე, რა საყვარელი ხარ! მეცო... კარგი, რა?! რომელი ქალი გინახავს, რომელსაც განსაკუთრებული ხასიათი არ ექნება? კაცებიც ზუსტად ასეთები ხართ. ნუ გეშინია, როგორც საკუთრებას, იურიდიულად არ გადაგიფორმებ, მაგრამ, სანამ ჩემთან იქნები, მარტო ჩემთან უნდა იყო – ამაში უჩვეულო არაფერია, ხომ მართალი ვარ?

– მაგაში მეც გეთანხმები, ვარ ერთგულების მომხრე. თუმცა... – ზუკას უნდოდა, ეთქვა, შენ ხომ ჰღალატობ ქმარს, ამის საქმე როგორღა იქნებაო, მაგრამ, ბოლო წუთს გადაიფიქრა. ლიზა მაინც მიუხვდა, ლოყაზე აკოცა და შემპარავი ხმით წასჩურჩულა:

– შენ არ გიღალატებ, ნუ გეშინია...

ზუკამ შუბლზე მოისვა ხელი.

– ლიზა... მე ძალიან მიჭირს ამ ყველაფერთან შეგუება. გუშინ რომ მკითხე, რატომ არ გინდოდა ჩემთან შეხვედრაო... მინდოდა, ძალიან მინდოდა... საქმეც მქონდა – ეს დღეები ახალი კლიენტის პროექტზე ვმუშაობდით და მართლა არ მეცალა, მაგრამ, შენთან შეხვედრისთვის დროს აუცილებლად ვიპოვიდი...

– მერე, რატომ გაჩუმდი?

– ხომ გიხსნი... მარტივი არ არის ჩემთვის ამ ყველაფერთან შეგუება.

– უი, ხომ არ შეგიყვარდი, საყვარელო? – ლიზა გამხიარულდა.

– არ ვიცი. მართლა არ ვიცი... ამიტომ, გთხოვ, როცა შენს მესიჯს ან ზარს არ ვუპასუხებ, დრო მომეცი ხოლმე და ნუ გამიბრაზდები. კარგი?

ლიზამ ტუჩები გაბუსხა:

– რატომ ართულებ ყველაფერს? ერთად კარგად ვართ. არაჩვეულებრივი სექსი გვაქვს. მომწონს შენთან ყოფნა. სანაცვლოდ არაფერს გთხოვ... პირიქით, მინდა პატარ-პატარა სიურპრიზებით გასიამოვნო... შენ კი მაინც იგრუზები. არ მიყვარს, როცა კაცი იგრუზება... ქმარს კიდევ ავიტან ასეთს, მით უმეტეს, შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ, მაგრამ, საყვარელი?! მეტისმეტია... საუზმეც მოგვიტანეს ამასობაში. მოდი, გემრიელად ვისაუზმოთ. მერე ერთხელაც მოვესიყვარულოთ ერთმანეთს და ყველაფერი კარგად იქნება. მე ორ დღეში პარიზში წავალ, შენ კი ამასობაში მოგენატრები და სულელურ, უაზრო რაღაცეებზეც აღარ იფიქრებ.

ლიზა პასუხს არ დალოდებია, პატარა მაგიდაზე დაწყობილ ჭურჭელთან მირბინა და აღტაცებით შემოჰკრა ხელი ხელს...

– ყველაფერია, რაც მიყვარს... სექსის მერე ყოველთვის კარგი მადა მაქვს და ბევრსაც ვჭამ. ყავასაც დაგისხამ – ის შენი თანამშრომელი ასეთ ყავას ნამდვილად ვერ მოგიდუღებს...

***

ქეთი მთელი დღე მოუსვენრად წრიალებდა და ადგილს ვერ პოულობდა. თითქოს საქმესაც გულს ველარ უდებდა. კონსულტაციაზე გასულ პაციენტებსაც გულგრილად პასუხობდა შეკითხვებზე. ლელამ რამდენჯერმე შეხედა გამაფრთხილებლად, მაგრამ, ადეკვატური რეაქცია რომ არ მოჰყვა მის უსიტყვო შენიშვნას, სამზარეულოში გაიხმო:

– რა გჭირს შენ დღეს?

– მე? რაზე მეკითხები? – გაიოცა ქეთიმ და სიგარეტს მოუკიდა.

– მშვენივრად ხვდები. მთელი დღეა, თვალყურს გადევნებ... ასე არ გამოვა, ქეთი, ხომ იცი, ერთი უკმაყოფილო პაციენტიც კი როგორ უარყოფითად მოქმედებს კლინიკის იმიჯზე?

– ამას რატომ მეუბნები? რა თქმა უნდა, ვიცი და ვზრუნავ კიდეც კლინიკის იმიჯის ამაღლებაზე.

– დღეს რაღაც არ გეტყობოდა, – თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლელამ, – ძალიან უყურადღებოდ მუშაობდი. გთხოვ, როცა ოჯახში პრობლემა გექნება, საერთოდ ნუ მოხვალ. გაგიგებ.

– ოჯახში არანაირი პრობლემა არ მაქვს. მართლა, – გაიღიმა ქეთიმ, – მე და ვახოს ყველაფერი შესანიშნავად აგვეწყო.

– მიხარია. მაშინ, რა მოხდა?

– სინდისი მაწუხებს.

– სინდისი გაწუხებს? რამე დააშავე?

– ჰო. ვახოზე ვიეჭვიანე სულ ტყუილად და ვნანობ.

– დიდი ამბავი! ცოტა ეჭვიანობა სასარგებლ-

ოც არის.

– არა, არა, ცუდად მოვიქეცი. სამსახურში მივადექი მზვერავივით და ეწყინა.

– ჰოო... ნდობის დეფიციტი ძალიან საშიშია. საბოლოოდ ამას მეუღლეთა დაშორიშორება მოჰყვება ხოლმე. ის თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა.

– მეც ამას ვამბობ, სისულელე ჩავიდინე. არადა, თურმე, როგორი საჩუქარი ჰქონია ჩემთვის მომზადებული! წარმოგიდგენია? საგზური იყიდა და პარიზში მივყავარ ერთი კვირით. საყვარელი... ჰოდა, ამიტომაც, ორმაგად მაწუხებს სინდისი.

– ანუ, ერთი კვირა სამსახურში არ ივლი?

– ჰო. ჩემი შვებულებიდან ერთ კვირას ახლა გამოვიყენებ. ხომ გამიშვებ?!

– სხვა რა გზა მაქვს?! – გაეღიმა ლელას.

– რაო, რაო? ვინ მიდის პარიზში? – სამზარეულოს ზღურბლიდანვე დაიძახა ნატამ, – გოგო, აქამდე როგორ არ მითხარი?

– ვაპირებდი, მაგრამ, შენზე გაბრაზებული ვარ. თუმცა, შენ რას გერჩი, მე არ უნდა დამეჯერებინა და თავი სასაცილო მდგომარეობაში არ ჩამეგდო.

– შენ ურჩიე, ვახოსთან სამსახურში მისულიყო? – მოუბრუნდა ლელა ნატას.

– ჰო, რა მოხდა მერე?! როცა ეჭვი ჩნდება და არსებობს საშუალება ამ ეჭვის გასაფანტავად, რატომ არ უნდა გამოიყენო ეს საშუალება?

– საქმეც ეგაა! გამოიყენა და ქმარს აწყენინა, – ნიშნის მოგებით მიუგო ნატოს ლელამ.

– ეტყობა, ძალიანაც არ ეწყინა, პარიზში რომ მიჰყავს. მეც სიამოვნებით ვაწყენინებდი ვინმეს, თუ ეიფელის კოშკის ნახვას მაღირსებდა. გოგო, საჩუქრებს ხომ ჩამოგვიტან? – გადაიკისკისა ნატამ.

– აბა რას ვიზამ? აუჰ, რამდენ რამეს ვიყიდი ჩემთვის!.. – სახე გაუბრწყინდა ქეთის...

***

მამაკაცები თავიანთი მესაკუთრული ფსიქოლოგიიდან და, ასევე, ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, ვერაფრით იქნებიან სიყვარულში ერთგულები. თანაც, მათი სიყვარული ქალის სიყვარულისგან მკვეთრად განსხვავდება და ამაშიც მისი უდიდებულესობა ფიზიოლოგიაა „დამნაშავე". კაცს ქალი უყვარს როგორც ნადავლი და, მით უფრო მძაფრია ეს განცდა, რაც მეტი წვალება დასჭირდა მის მოსაპოვებლად. ქალის სიყვარული გაცილებით მშვიდი და უანგაროა – დედობრივ ზრუნვასთან, სინაზესთან, მადლიერების გრძნობასთან გაჯერებული. ჰორმონი ოქსიტოცინი, რომელიც სიყვარულის ყველაზე მაღალ სტადიაში – ფიზიკური სიახლოვისას გამოიყოფა, იწვევს მიჩვევას და დამოკიდებულებას პარტნიორზე. ეს თითქმის კანონია და ორივე სქესზე თანაბრად ვრცელდება. ასე რომ, არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ეს მამაკაცებს ჰგონიათ – ერთხელ „გავიგულავებ" და ამით არაფერი დაშავდება. თურმე, „შავდება", ბატონო! ეს ოხერი ოქსიტოცინი შენ არაფერს გეკითხება – გამოიყოფა და მოქმედებს, მერე კი არკვიე, სიყვარულია ის, რასაც ჯერ კიდევ გუშინ, სრულიად უცხო ადამიანის მიმართ განიცდიდი თუ სპორტული აზარტი და ეროტიკული ინტერესი. მერე მამაკაცებს როგორ უყვართ რთული სიტუაციები?! ერთი სიტყვით, ეგრეთ წოდებულ მგზნებარე სიყვარულს მხოლოდ ყმაწვილობის ასაკში შეუძლია, ადამიანი უკეთესი გახადოს. ის წარმოდგენას ცხოვრებაზე მხოლოდ მანამდე ცვლის, სანამ პიროვნების ფორმირება დასრულდება. უკვე დიდებს კი მარტო იმის გაკეთება შეგვიძლია, რომ ადამიანს თავი მოვაწონოთ და ამისთვის ზოგჯერ თამაშის აკრძალული წესებიც გამოვიყენოთ. რას იზამ, იტყვი, მიზანი ამართლებს საშუალებასო და, თავსაც დაიმშვიდებ, თუ ზოგჯერ სინდისი „გაიფხაკუნებს". რეალურად ადამიანის ხასიათი და მისი შეხედულება ცხოვრებაზე ძნელად ემორჩილება კორექციას. ამიტომ, ის ისეთი უნდა მივიღოთ, როგორც სინამდვილეშია, თუკი, რა თქმა უნდა, მის გვერდით ყოფნა გვინდა.

***

ქეთიმ აივნის კარი გამოაღო, ზღურბლზე დადგა და ხელები გაშალა. სახე ბედნიერებისგან უციმციმებდა. მერე შემობრუნდა, ფეხის წვერებზე შემდგარი, ლოგინზე წამოწოლილი ქმრისკენ გაქანდა და მოეხვია.

– იცი, რა ბედნიერი ვარ?! უბედნიერესი! მეგონა, ჩემი ოცნება ოცნებად დარჩებოდა. ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ პარიზში წამომიყვანდი.

– რატომ? – გაიცინა ვახომ, – პარიზი რომელი მიუწვდომელი ქალაქი ნახე. სულაც არ ყოფილა შორს.

– რა საყვარელი ხარ... იცი, გადავწყვიტე, აღარასდროს ვიეჭვიანო შენზე და აღარც უმიზეზოდ გეჩხუბო. მარტო მოგეფერები და იმაზე ვიფიქრებ, როგორ გასიამოვნო.

ვახოს გაეღიმა ცოლის ბავშვურ ტიტინზე, თმაში ალერსით შეუცურა ხელი და ამოიოხრა:

– კარგია, თუ ამისი სურვილი გაქვს. მაგრამ...

– რა – „მაგრამ", არ გჯერა ჩემი? – ქეთიმ ტუჩები გაბუსხა და საავდროდ მომზადებული ღრუბელივით მოიქუფრა.

– მჯერა, რა თქმა უნდა მჯერა, – სასწრაფოდ გადათქვა კაცმა, – იმის თქმა მინდოდა, რომ მიხარია, ეს გადაწყვეტილება რომ მიიღე. მაგრამ, ახლა ასეთ ყოფით თემებზე ფიქრი არ მინდა.

– კარგი, არც მე მინდა, – ქეთი ისევ გახალისდა, – არ ადგები?

– არა. სად გვეჩქარება? საუზმე ნომერშიც შეგვიძლია, შევუკვეთოთ და რამე საინტერესო საქმიანობით დავკავდეთ. მერე სადილზე ჩავიდეთ და ქალაქში გავიდეთ. მანამდე ვისეირნოთ, სანამ არ დავიქანცებით. მოგწონს ჩემი დღის განრიგი? მგონი, იდეალურია და კორექციას არ საჭიროებს.



ქეთის ყოყმანი დაეტყო.

– რა იყო? მგონი, რაღაცის თქმა გინდა. მითხარი, რომელი პუნქტი არ მოგეწონა და ხელახლა განვიხილოთ.

– ყველაფერი მომეწონა. უბრალოდ, იმ ქალს რომ შევპირდი, საუზმის შემდეგ შევხვდებოდი და მაღაზიებში ერთად გავიდოდით...

ვახო მოიღუშა:

– ეგ სულ დამავიწყდა. შენც, რას ჰპირდებოდი? გუშინვე არ მომეწონა ეგ ამბავი. სიმართლე გითხრა, არც ის ქალი არ მომეწონა. ვერ ვიტან ეგეთებს – მეტისმეტად გადაპრანჭულებს და ხელოვნურებს. საერთოდაც, რატომ გამოელაპარაკე?

ქეთიმ მხრები აიჩეჩა:

– ჯერ ერთი, პირველი თვითონ გამომელაპარაკა და, მეორეც, მე მომეწონა – ძალიან მხიარული ვინმეა, უკომპლექსო. თან, მითხრა, პარიზი ჩემი სახლივით არის, მისი ყველა კუთხეკუნჭული ვიცი, მაღაზიებშიც მე გაგყვები და ისეთ რაღაცეებს გაყიდვინებ, თბილისში რომ ჩახვალ, ხალხს შოკში ჩააგდებო.

– ეეე, კარგი, რაა... მე თანახმა არ ვარ, მე მინდა, ჩემი ცოლი მარტო მე მაგდებდეს შოკში. ახლა კი, მიდი და ის საცვლები ჩაიცვი, გუშინ ერთად რომ ვიყიდეთ. მერე ჩემთან მოდი, ძალიან საინტერესო წინადადება მაქვს შენთან, – ვახომ მსუბუქად უბიძგა ცოლს ზურგში და წასახალისებლად შიშველ მხარზე აკოცა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

DENTOCLUB

პირველად საქართველოში და მხოლოდ „დენტოკლუბში"

უნიკალური მეთოდით, „მხიარული გაზით" სტომატოლოგიური მკურნალობა!

„მხიარული გაზის" დახმარებით პაციენტები ხალისიანად, უმტკივნეულოდ და შიშის გარეშე იტარებენ სტომატოლოგიურ მანიპულაციებს.

„მხიარული გაზის" გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის. ბავშვი მშვიდად და უმტკივნეულოდ, მულტფილმების ყურებით გართული იტარებს სტომატოლოგიურ მანიპულაციებს და ხალისიანი ტოვებს კლინიკას. მხიარული გაზი საუკეთესოა უფროსი ასაკის პაციენტებისთვისაც. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სტომატოლოგთან ვიზიტის ეშინია.

„დენტო კლუბში" მკურნალობა შესაძლებელია, ასევე, ზოგადი ნარკოზით.



DENTOCLUB

http://www.dentoclub.ge, facebook ID-DENTOCLUB

თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №14ა, ტელ. 214 18 14

# შეგიძლიათ სიკეთის დანახვა?

**ძალიან საინტერესო ტესტია. მთავარია, გულახდილი იყოთ. სულ ცოტა წარმოსახვა, ფანტაზიის უნარი და – საგულისხმო ინფორმაციას მიიღებთ.**



**მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ მაღაზიაში რაღაც შეიძინეთ, ფული გადაიხადეთ და გარეთ გამოხვედით. ქუჩაში ხსნით ცელოფანს და ხედავთ, რომ მაღაზიის ადმინისტრატორს საჩუქრად რამდენიმე კანფეტი ჩაუდევს. როგორ გგონიათ, რამდენი კანფეტი იქნება?!**

**პასუხები:**

**2-3 ცალი კანფეტი:** ხედავთ და აფასებთ დადებით ურთიერთობებს. მაგრამ, იმასაც არ განიცდით, როცა ვინმე ზედ არ გყვებათ. „არავინ არაფრით არ არის ვალდებული ჩემ წინაშე“ – ეს არის თქვენი დევიზი. სამაგიეროდ, ასევე არ მიიჩნევთ საკუთარ თავსაც ვინმესთან ვალდებულად.

ფსიქოლოგიური ჰარმონიაა საკუთარ თავთან და გარემოსთან, მაგრამ, სულ ცოტა გულგრილობასთანაც გვაქვს საქმე.

**4-5 ცალი კანფეტი:** ძალიან მოგწონთ და გიყვართ კეთილი საქმეების კეთება. ასევე, კეთილი რჩევების მიცემა. თუმცა, მიგაჩნიათ, რომ აქედან დივიდენდებიც აუცილებლად უნდა მიიღოთ. გიყვართ საჩუქრები, მაამებლური ფრაზები...

თუ ამ ყველაფერს ვერ იღებთ, ძალიან გწყინთ. ადამიანი ბედნიერი მაშინ იქნება, როცა სიკეთეს უანგაროდ გასცემს. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაგიბრუნდებათ უკან – ეს აქსიომაა.

**6 ცალზე მეტი კანფეტი:** სიკეთე თქვენს ცხოვრებაში საკმარისზე მეტია, მაგრამ, ძირითადად ახლობელი ადამიანების, ოჯახის წევრების მხრიდან და თქვენ დამოკიდებული ხართ ამ სიკეთეზე.

ეს ის შემთხვევაა, როცა პოზიტიური დამოკიდებულება ნეგატიურად გიქვეითებთ დამოუკიდებლობას. ცუდი არ იქნება, თუ სიკეთეს განიხილავთ ისე, როგორც სიკეთეს, და არა როგორც თქვენს მხსნელ-გადამრჩენს – ასე, გაცილებით უკეთ იგრძნობთ თავს.



## გრძნობების იმპერიაში...

ამბობენ, რომ სიყვარული მართავს მსოფლიოს, მაგრამ პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ხალხი საკუთარ გრძნობაზე სხვადასხვანაირად ლაპარაკობს, საკმაოდ საინტერესო ნიუანსებით...

კონსერვატორი ბრიტანელები – ინგლისელები ნამდვილად არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ფანტაზიით. წყვილების გაცნობისა და ურთიერთობის მეთოდებიც საკმაოდ ტრადიციულია. კლასიკა უპირველეს ყოვლისა, – მიაჩნიათ მათ.

ბერძნები – ერთდროულად სენტიმენტალურებიც არიან და ძალიან ვნებიანებიც. მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ერად არიან მიჩნეულები და მათი მამაკაცები ფლირტზე გიჟდებიან.

თურქეთი – ოსმალეთის იმპერიაში მოდაში ჰარამხანები იყო. თანამედროვე თურქი კაცებიც განსაკუთრებული „მადით“ გამოირჩევიან, როცა საქმე სიყვარულს ეხება. თურქი კაცები გამორჩეული ეჭვიანებიც არიან.

გერმანელი – არასოდეს შეიყვარებს თავდავიწყებით. მისთვის უმთავრესი პარტნიორის პიროვნული ღირსებებია. თუმცა, დაგეთანხმებიან იმაში, რომ სექსი თავის ტკივილს შველის.

შვედები – ტემპერამენტით არ გამოირჩევიან, მაგრამ არც ისეთი ცივები არიან, როგორებიც ჩანან. თითოეულ შვედ ქალს ცხოვრების განმავლობაში 11 პარტნიორი მაინც ჰყავს.

ბრაზილიელებს – სიყვარულისადმი ლტოლვა თავიანთ ცხელ სისხლში აქვთ. ისინი სექსუალურობით მსოფლიოს რეკორდსმენები არიან. თუმცა, აქაურ მამაკაცებს ძალიან ეშინიათ ქალის მხრიდან უარის.

ამერიკელებს – უნდათ ყურადღება და სითბო. ამერიკელი ქალების უმრავლესობა უჩივის იმას, რომ მამაკაცების ალერსი არ ჰყოფნით. მათ მოსწონთ და სჭირდებათ ხანგრძლივი სასიყვარულო პრელუდია.

## ენამოსწრებული ლოთი

მამაკაცების უმრავლესობას უყვარს ალკოჰოლი, მაგრამ ზოგიერთისთვის ის განუყრელი მეგობარია. საფრანგეთის დიდ მარშალს, დე ვილარის უზომოდ უყვარდა დალევა და ომის დროსაც არ ამბობდა უარს გამოთრობაზე.

1734 წელს, პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლის დროს, მარშალი იტალიაში ჩავიდა, არმიისთვის რომ ეხელმძღვანელა. გზაში რამდენჯერმე შეჩერდა, რომ ცოტა გადაეკრა. სარდინიის მეფესთან შეხვედრისას კი, უკვე ისეთი მთვრალი იყო, ცხენიდან გადმოსული, პირდაპირ მის ფეხებთან დაენარცხა. მარშალმა ისლა მოახერხა, ენამოსწრებულად წამოეძახა: „გთხოვთ, მომიტევოთ, ჩემი ბუნებრივი რეაქცია. იმდენ ხანს ველოდი ამ შეხვედრას და თქვენს ფეხთა წინაშე დამხობას, რომ თავი ველარ შევიკავე...“

* იყო დრო, როცა საფრანგეთში ყველაზე პოპულარული და საინტერესო გასართობი დუელი გახლდათ. დუელში გამოწვევისთვის ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო საბაბი კმაროდა. მაგალითად, რაღაც ისე ვერ შემომხედეო, ამაზე ხოცავდნენ ერთმანეთს.

დუელი ისე შემოვიდა მოდაში, რომ მასში მონაწილეობას სწავლულებიც იღებდნენ. დუელში დაიღუპა ოცი წლის, უდიდესი ფრანგი მეცნიერი, რომლის მსგავსიც საფრანგეთს დეკარტის მერე არ ღირსებია – ევარისტ გალუა. ეს დიდი დანაკარგი იყო ქვეყნისთვის.

დუელში გამოიწვიეს ლუი პასტერიც. ერთ-ერთ გრაფს მისი ჩაღიმება არ მოეწონა. მეცნიერმა გამოიყენა იარაღის არჩევის უპირატესობა და გრაფს შესთავაზა, ორი სინჯარიდან ერთ-ერთი აერჩიათ და დაელიათ. ერთში იყო სუფთა წყალი, მეორეში – მომაკვდინებელი ვირუსი. გრაფმა უკან დაიხია და ხელი აიღო თავის განზრახვაზე. განაცხადა, რომ ამ „არაკეთილშობილური“ იარაღით მე არ ვიბრძოლებო.

## პირველი ასიგნაციები

პირველი ქაღალდის ფული ჩინეთში დამზადდა. ევროპას მათ შესახებ პირველად მეცამეტე საუკუნეში ამცნო ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა მარკო პოლომ.

ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ქაღალდის ფულის ბეჭვდა გაცილებით გვიან დაიწყეს. პირველი იყო მასაჩუსეტსის შტატი – 1690 წელი, მეორე საფრანგეთი – 1718 წელი.

რუსეთში კი ასიგნაციების (ანუ, ქაღალდის ფული) ბეჭდვას ორიგინალური ამბავი უძღოდა წინ. იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულის დროს, ქვეყანაში კრიზისი გაჩნდა. შვიდწლიანმა ომმა უფრო მეტი ქვემეხის გამოდნობა მოითხოვა. იმ დროის მათ ბრინჯაოსა და სპილენძისგან ამზადებდნენ – ანუ, იგივე მასალისგან, რითაც მონეტებს ჭედდნენ. რომ არა სენატორ შახოვის ინიციატივა, ბრუნვაში ქაღალდის ფული გავეუშვათო, ქვემეხების ისევ მონეტებად გადადნობა მოუწევდათ. ასმანეთიანმა კუპიურამ რუსული ქვემეხები გადადნობას გადაარჩინა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# მომაკვდავის სიტყვები

## ელერი ქუინი

კევინ კუონი ძალიან იშვიათად მიმართავდა მამას დახმარებისთვის, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. გადამდგარი პოლიციელი დადლი კუონი მემუარების წერით იყო დაკავებული, თუმცა, მოსწონდა, როცა წარსულში აბრუნებდნენ და ამა თუ იმ საქმის გამოძიებაში დახმარებას სთხოვდნენ.

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ ქალაქში ახალი „კოზა-ნოსტრა“ შეიქმნა? – ჰკითხა კევინს მამამ და თვალები მოჭუტა.

– ღმერთმა უწყის. პრობლემა ის არის, რომ ოთხივე ძალიან ძლიერია და, არ ვიცი, ვის უნდა ჩავავლო. წარმოგიდგენია?! – ვერც კი დავიჯერე, სანამ ფაქტები არ დავაწყვე მაგიდაზე. ისეთ ბნელ საქმეებს აკვარახჭინებენ, გაოგნდები. არადა, ერთი მათგანი ჰუგო დე ვიტეა – ბანკირი უოლტ-სტრიტიდან; მეორე – ჯონ იუნგია – არა, არ მოგესმა, ნავთისა და ნახშირის მეფე; მესამე – ფილიპ ფალკონე – სატვირთო ავტომობილების მძღოლებისა და მშენებლობების მეფე; ხოლო მეოთხე – რაილ ბერკი. სწორედ ის ეპოქალური ბერკი. ქალაქი თითქოს დავალებულიც კი არის მისგან იმ პროგრესისთვის, რომელიც განახორციელა.

– ჰმ, რატომ უნდა თამაშობდეს ეს ოთხეული ბინძური წესებით? – შუბლი მოისრისა დადლი კუონმა, – ხომ არ მამასხარავებ?

– აბა, რას ამბობ! იმდენი ხანია, ამ საქმეს გარშემო ვუვლი და, როგორც იქნა, ერთ მოწმეზე გავედი. რაღაც ხელის ჩასაჭიდი გამოჩნდა და დიდი იმედი მაქვს, რომ დამეხმარება.

– ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს დაგპირდები. ვინ მოწმეა?

– მოვა და თავად ნახავ. მგონი, მოვიდა კიდეც.

კუონის კაბინეტში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. სასიამოვნო გარეგნობის ეთქმოდა, მაგრამ, ისე იყო რაღაცისგან თუ ვიღაცისგან შეშინებული, სახის ნაკვთებიც კი უკანკალებდა.

– დაბრძანდით, ძალიან გთხოვთ. ჩვენმა თანამშრომელმა ხომ მოგაცილათ განყოფილებამდე?

– დიახ, მაგრამ, მაინც ძალიან შემეშინდა, – ქალმა მიიხედ-მოიხედა, – ჯონის გამოც ძალიან ვნერვიულობ. მგონი, ციხეში უფრო უსაფრთხოდ იყო.

– მოგვიყევით ყველაფერი, რაც იცით.

– ჩემი ქმარი დიდი რაოდენობის თანხების მითვისება-გაფლანგვისთვის დაიჭირეს, მაგრამ, მას ეს არ უქნია. სხვისი დანაშაული აიღო საკუთარ თავზე. აალებინეს. ეს გარიგებასავით იყო.

– გარიგებასავით? – შეიჭმუხნა დადლი კუონი.

– დიახ. ჯონს ყველაფერი არ უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მივხვდი. რაც დაჭერილია, ყოველთვე გვიგზავნიან კონვერტით რვაას ორმოცდაათ დოლარს. სულ ეს არის. გარდა ამისა, ჩვენი პატარა სახლის გირაოც გადაიხადა ვიღაცამ. ბავშვები და მე ამ ფულის ამარა ვართ. ციხეში პაემნების დროს ქმარს რამდენჯერმე ვკითხე, ვინ გზავნის ამ ფულს-მეთქი, მაგრამ, არ მიპასუხა. მან, რა თქმა უნდა, იცის.

– სინგ-სინგის ციხიდან ხვალ უშვებენ თქვენს ქმარს, ხომ ასეა?

– დიახ. მთხოვა, იქ არ მივიდე და სახლში დაველოდო. მან ბევრი იცის. ხომ არ მოკლავენ? – ქალს დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

– ჩვენ დაცვას უზრუნველვყოფთ, – დაჰპირდა კევინი.

– როგორ მინდა, სადმე, ძალიან შორს გავემგზავროთ. ისე შორს, რომ აქაურობა საერთოდაც დამავიწყდეს. მაგრამ, მგონი, არ დამთანხმდება.

ქალი ისევ ინსპექტორმა გააცილა.

– ესეც ასე. მისის პრინსი ამბობს, რომ მისმა ქმარმა ბევრი იცის. მეც ასე ვფიქრობ. ხვალ ციხესთან უნდა დავხვდე. უნდა ვაიძულო, მითხრას, ვინ არის იმ ოთხში მთავარი.

– არ უნდა აიძულო. შენც რაღაც უნდა შესთავაზო. მთავარია, იმათ არ დაგასწრონ. ამ კაცმა თავისი პატიოსანი სახელი გაწირა, ფულისთვის ციხეში ჩაჯდა. შეიძლება, საამისოდ ჰქონდა მიზეზები. სამი წელი ციხეში ჯდომა სასიამოვნო არ უნდა იყოს.

– მე საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამ კაცმა იცის, ვინ არის ბოსი და მე ეს ინფორმაცია უნდა მივიღო. სანამ დაიჭერდნენ, პრინსი დე ვიტესა და იუნგის მითითებებს ასრულებდა. მოკლედ, მამაჩემო, დამეხმარები თუ არა?!

დადლი კუონმა თავი დაუქნია.

მეორე დღეს ინსპექტორი მოულოდნელობას წააწყდა: პოლიციელებმა ციხესთან კორიდორი მოაწყვეს, რომ ბუღალტრისთვის დაცვა უზრუნველეყოთ. მათვე მიაცილეს სახლამდე, ისტსაიდში, მრავალსართულიან სახლთან. ყველაფერმა თითქოს ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა ბუღალტერი თითქმის სამშვიდობოს იყო და ერთ წუთში სახლის ზღურბლსაც გადააბიჯებდა, მოსახვევიდან დიდი სიჩქარით გამოვარდნილი ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე მოცელა. პრინსი ტროტუარს დაენარცხა. კუონი მამასთან ერთად მივარდა წაქცეულთან. ყველაფერი დამთავრდა – ბუღალტერი პრაქტიკულად მკვდარი იყო. კუონი სიმწრისგან ლამის ღმუოდა. მომაკვდავთან დაიხარა და ჩასძახა:

– პრინს, პრინს, გესმის ჩემი? მომეხმარე, დავიჭიროისინი.

– ისინი ოთხნი არიან, – მოულოდნელად და კუონის გასახარად ამოიხრიალა ბუღალტერმა, – ოთხნი... როგორც ოთხი ქალაქი... ბოსტონი... ფილადელფია... ბერკლი... – ხმა ნელ-ნელა ქრებოდა. კუინი კანკალებდა მოუთმენლობისგან.

– ვინ, ვინ არის მათ შორის მთავარი?

– ჰიუსტონი... – საბოლოოდ ამოიხრიალა მომაკვდავმა და გათავდა.

კუონი იმედგაცრუებული წამოჩტა და ორივე ხელი აიქნია.

– კიდევ ცოტაც და, მეტყოდა! ჯანდაბა, ეს როგორ დამემართა! ახლა რა უნდა ვქნა? მთელ იმედებს მასზე ვამყარებდი...

– თუ ის გაინტერესებს, ვინ არის ამ ოთხში ბოსი, საცოდავმა პრინსმა ეს უკვე გითხრა, – მშვიდად და დამაჯერებლად მიუგო შვილს დადლი კუონმა.

– რანაირად? მას ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. ქალაქების სახელები რაში მჭირდება, საერთოდ ვერ ვხვდები.

– მე აგიხსნი. ეს კოდია, – გაიღიმა უფროსმა კუონმა.

– და, შენ იცი, იმ ოთხს შორის ბოსი რომელია?

– რა თქმა უნდა!

– მამა, ამას სერიოზულად ამბობ?

– მომისმინე. ქალაქები შემთხვევით არ აურჩევია. მოდი, ვცადოთ და თითო ქალაქი ოთხეულიდან თითოს მივუსადაგოდ. შეხედე, რა ხდება? ჰიუ დე ვიტე – ჰიუსტონი, ფილიპ ფალკონე – ფილადელფია... – მგონი, სწორად მივყვები... – რაილ ბერკი – ქალაქი ბერკლი და... რა დაგვრჩა? ერთადერთი ქალაქი – ბოსტონი, რომელიც, ჩვენი პრინციპით, ჯონ იუნგს არ ესადაგება. მაგრამ, რადგან ჩვენ მეხუთე პერსონა არ გვყავს, ბოსტონი მისია. თუმცა, რა პრინციპით? რა აზრია მასში ჩადებული?

კუონი-უმცროსი დაფიქრდა და უცებ შუბლზე შემოირტყა ხელი, – ღმერთო, როგორ ვერ მივხვდი! მთავარი აქ სიტყვების საწყისი მარცვალია – ბოსტონი, ანუ ბოსი. რა მარტივია!.. გმადლობ, მამა. ბოსი ის არის, ჯონ იუნგი! საწყალი პრინსი, გულწრფელად მეცოდება. მაინც მოახერხა, დამხმარებოდა.

– ჰმ, მე რომ არა.. – გაიცინა კუონიუფროსმა...

თარგმნა
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-19(645)

ნიკა საკმაოდ დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. შემდეგ მობილურ ტელეფონს გადასწვდა და ეკრანზე გამოსახულ დოდოს ნომერს დახედა. ნანამ დაძაბულმა გახედა.

– დამიჯერე, ასე სჯობია, – ჩაილაპარაკა ნიკამ და გამოძახების ღილაკს დააჭირა თითი.

ორიოდე ზუმერის შემდეგ ყურმილში დოდოს ხმა გაისმა:

– გისმენ...

– სად ხარ? – ჰკითხა ნიკამ.

– ჯერჯერობით სახლში.. ვისი სიახლოვეც ახლა მჭირდება, უარს მეუბნება დახმარებაზე, ის კი, ვინც სიხარულით მოვიდოდა ჩემთან, მე არ მჭირდება. ასე რომ... – აღარ დაასრულა დოდომ.

– დავიჯერო, ასე აუცილებელია შენთვის პროზექტურაში მისვლა? – განაგრძო ნიკამ.

– მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, – გაღიზიანდა დოდო, – რა არის აუცილებელი, მე თავად გადავწყვეტ. შენ კი ის გადაწყვიტე, გინდა თუ არა ჩემი დახმარება.

– კარგი, დამელოდე, თხუთმეტ წუთში შენთან ვიქნები, – ნიკამ მობილური გათიშა, შემდეგ ადგა, ტუმბოს უჯრიდან პისტოლეტი ამოიღო, ქამარზე მოირგო და ნანას მიუბრუნდა, რომელიც ჩაფიქრებული ადევნებდა თვალს:

– გიკვირს?

– არა, – თავი გაიქნია ნანამ, – მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: რას უკავშირდება შენი წასვლა – საქმეს თუ ქალს?

– ორივეს... – მოკლედ უპასუხა ნიკამ და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

... დოდომ კარი გააღო და გვერდზე თავჩახრილი გადგა. ნიკა ბინაში შევიდა, კარი დაკეტა და გაოცებულმა შეათვალიერა საშინაო ხალათში გამოწყობილი ქალი. ბუნებრივია, რომ, ადამიანი, რომელიც სადმე აპირებდა გამგზავრებას, სხვანაირად უნდა ყოფილიყო ჩაცმული. თანაც, დოდოს აშკარად ეტყობოდა, რომ რამდენიმე ჭიქა სასმელიც ჰქონდა დალეული.

– რას ნიშნავს ეს? – ჰკითხა მან მცირე პაუზის შემდეგ.

– მაპატიე... ყველაფერს აგიხსნი, – დოდო შებრუნდა და სასტუმრო ოთახს მიაშურა.

ჟურნალის მაგიდაზე ვისკის ბოთლი და ჭიქა იდგა. ნამწვავებით სავსე საფერფლე იმაზე მიანიშნებდა, რომ დოდოს საკმაოდ დიდი დრო გაეტარებინა მაგიდასთან.

ქალი სავარძელში ჩაეშვა და ისევ ვისკის ბოთლს წაეტანა. ნიკამ ხელი გაუკავა და ბოთლი გვერდზე გადადგა. შემდეგ თითები ნიკაპქვეშ ამოსდო, თავი მაღლა ააწევინა და ჰკითხა:

– რა ხდება, დოდო?

– მეშინია... – ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

– პროზექტურაში წასვლას არც აპირებდი?

დოდომ უხმოდ გაიქნია თავი.

– მაშინ, რატომ მითხარი ამის შესახებ?

– მინდოდა, რომ ჩემთან მოსულიყავი.

– უბრალოდ გეთქვა: მოდი... რა საჭირო იყო რაღაც ზღაპრების შეთხზვა?! – უკმაყოფილოდ თქვა ნიკამ.

– რომ მეთქვა – მოდი, შენი სიახლოვე მჭირდება-მეთქი, მოხვიდოდი? – თვალებში ჩააცქერდა დოდო.

ნიკამ დუმილით უპასუხა.

– არ მოხვიდოდი, – გულისტკივილით ჩაილაპარაკა დოდომ, – შენთვის ხომ მხოლოდ ერთი ქალი არსებობს!

– თუ გინდა, რომ არ წავიდე, ყველაფერი უნდა ამიხსნა! – მოიღრუბლა ნიკა, – რა მოხდა?

– მეშინია... – ულონოდ ჩაილაპარაკა დოდომ და თვალები დახუჭა.

– იპოდრომის თანამშრომლის მკვლელობას გულისხმობ?.. რა ერქვა იმ ბიჭს?

– დიმა.

– და, რა გაკავშირებდა მასთან? – ჰკითხა ნიკამ.

– როგორ აგიხსნა... – საფეთქლები მოისრისა დოდომ, – დიმა ჩემი კომპანიის ხელმძღვანელის, მერაბ ინწკირველის ახლობელი იყო. ის დაახლოებით ექვსი თვის წინ გავიცანი. მერაბმა მისთვის კომპანიაში რამე სამუშაოს შერჩევა მთხოვა. საბუთების გაცნობისას გაირკვა, რომ ის ახალი გათავისუფლებული იყო ციხიდან, სადაც სასჯელს ყაჩაღობის ბრალდებით იხდიდა. ცხრა წელი ჰქონდა მისჯილი. აქედან ხუთი წელი მოიხადა და „აქტიროვკით“ გათავისუფლდა. ბუნებრივია, ასეთი წარსულის მქონე პიროვნებას კომპანიაში სამუშაოდ ვერ მივიღებდით. ის სასჯელის მოხდის შემდეგ ან შეწყალებით მაინც რომ გათავისუფლებულიყო, სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ, „აქტიროვკა“ ყველაფერს ცვლიდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება იმას ნიშნავდა, რომ პიროვნებას სასჯელი არ ჰქონდა მოხდილი და სახელმწიფო მხოლოდ კეთილი ნების გამოვლინების ნიშნად უშვებდა სახლში. თანაც, ის ბიჭი სრულიადაც არ ჰგავდა მძიმე ავადმყოფს. პირიქით, კარგად ნავარჯიშევი, ჩაკუნთული ტიპი იყო. აშკარად ჩანდა, ვიღაცამ სერიოზულად იჩალიჩა, რომ „აქტიროვკით“ გამოეყვანა. ასეთ ტიპს სამსახურში ხელაღებით ვერ მივიღებდი და ეს პირდაპირ ვუთხარი ინწკირველს. ჩემდა გასაოცრად, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია – მშვიდად გამომართვა დიმას საბუთები და ყველაფრის დავიწყება მთხოვა.

– მაგრამ, შენ მაინც დაუახლოვდი იმ ტიპს! – ჩაურთო ნიკამ.

– ჰო... დავუახლოვდი... – უპასუხა დოდომ, – ერთია ადამიანზე მშრალი დოკუმენტებით მსჯელობა და მეორე – მისი პირადად გაცნობა... იმ დღის შემდეგ დიმამ ოფისში მოსვლას მოუხშირა. არ ვიცი, რა საქმეები ჰქონდა ინწკირველთან. მაგრამ, ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც შემოივლიდა ხოლმე. კომუნიკაბელური ტიპი იყო, სწრაფად დაუახლოვდა ოფისის გოგონებს. ხელცარიელი არასდროს მოდიოდა – ყვავა, ტკბილეული, ხილი, შამპანური ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის. გოგონების სადმე დაპატიჟებაზეც არ იხევდა უკან. მოკლედ რომ გითხრა, კარგი ტიპი იყო. ვინანე კიდეც, ინწკირველს უარი რომ ვუთხარი. მაგრამ, მალე მომეცა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა... – დოდომ სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო, – დიმას გამოჩენიდან ერთი თვე იყო გასული, როდესაც ინწკირველმა ისევ მთხოვა მისი დახმარება. მეგონა, ისევ კომპანიაში აყვანას მთხოვდა, მაგრამ, ჩემთვის მოულოდნელად მერაბმა იპოდრომზე ჩამომიგდო სიტყვა. თურმე, დიმა წარსულში სპორტსმენი ცხენოსანი ყოფილა და, მერაბს სურდა, რომ იპოდრომის ხელმძღვანელობასთან დიმასთვის რეკომენდაცია გამეწია. გამიკვირდა. არ ჰგავდა ის იმ კაცს, რომელიც საჯინიბოში სხვისი ცხენის მოვლით შეიწუხებდა თავს. მერაბმა დამამშვიდა: დიმას თავად სურს იპოდრომზე მუშაობა. ეს ყველაფერი ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა, მაგრამ, აღარაფერი მითქვამს...

– ესე იგი, ის ბიჭი შენი დახმარებით მიიღეს სამსახურში?

– ჰო, ასე იყო, მაგრამ, იმასაც არ ვიტყვი, რომ დიმას განსაკუთრებული სამსახური გავუწიე – იპოდრომი ისედაც მიიღებდა სამუშაოდ გამოცდილ სპორტსმენ ცხენოსანს. მიუხედავად ამისა, დიმა მაინც ჩემგან დავალებულად გრძნობდა თავს, – უპასუხა დოდომ.

– ასეა თუ ისე, მაინც ის ყოფილა შენთან ვალში და არა შენ – მასთან, – ჩაილაპარაკა ნიკამ.



– მე ყველაფერი არ მითქვამს... დამისხი ვისკი, გთხოვ... – ყრუდ ჩაილაპარაკა დოდომ.

ნიკა უხმოდ გადასწვდა ბოთლს, ჭიქა შეუვსო და ახლოს მიუწია. დოდომ ერთი ყლუპი ვისკი მოსვა და ლაპარაკი განაგრძო:

– არ ვიცი, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი კარგად იწყებოდა... რისთვის მოხვედი? ჯობდა, საერთოდ არ შემოგედგა ფეხი ჩემს ოფისში, ან, იმ დღეს იქ არ ვყოფილიყავი და აღარასოდეს შეგხვედროდი!..

– რატომ ამბობ ამას? – გაუკვირდა ნიკას.

– იმიტომ, რომ შენმა გამოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. რამდენჯერ უნდა დაენგრას ადამიანს ოცნება? როდემდე უნდა იცხოვროს ილუზიებში?.. ეს, შეიძლება, ერთხელ მოხდეს, ორჯერ, სამჯერ... მაგრამ, უსასრულოდ არაფერი გრძელდება. მეც მომაბეზრა თავი ოცნებების მსხვრევამ. გადავწყვიტე, აღარასდროს მეცხოვრა ილუზიებში და, ამ დროს გამოჩნდი შენ...

ნიკა ვერ ხვდებოდა რისი თქმა სურდა დოდოს, მაგრამ, შინაგანად გრძნობდა, რომ ქალს რაღაც აწვალებდა. მის დასამშვიდებლად მკლავზე მოჰკიდა ხელი და თავისკენ მიიზიდა. დოდო მსუბუქად დაჰყვა, მისკენ გადმოინაცვლა, მუხლებზე ჩამოუჯდა, მკლავები კისერზე შემოხვია, თავი მხარზე ჩამოადო და თითქმის ჩურჩულით განაგრძო ლაპარაკი:

– კაცებს არ უყვართ ასეთი რამეების მოსმენა, მაგრამ, შენს მოტყუებას არ ვაპირებ. ისედაც იცი, რომ მონაზონივით არასდროს მიცხოვრია... მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში იყო ერთი კაცი. ეს საოცარი გრძნობა იყო. მიყვარდა?.. არ ვიცი... ალბათ, არა. ასეთ კაცს მხოლოდ, თავქარიანი გოგონა თუ შეიყვარებდა. უბრალოდ მასთან ყოფნა მსიამოვნებდა; მომწონდა მისი გიჟმაჟი, ბობოქარი ხასიათი. მაგრამ, ისიც ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის კარს გაიკეტავდა და უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. დამივიწყებდა და წავიდოდა იქ, სადაც მისი ადგილი იყო – თავის ოჯახში... მაგრამ გადიოდა დრო, ის კი წასვლას არ აპირებდა. გვიან მივხვდი, რომ მართლაც ღრმად შევტოპე. იმის მოთმენა, რომ ქმარი კვირაში ერთ ან ორ ღამეს სხვაგან ათევს, ბევრ ქალს შეუძლია. მაგრამ, როდესაც ორი ღამე ჯერ სამი ხდება, შემდეგ – ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... ბოლოს კი ირკვევა, რომ მას ორი თვის განმავლობაში ერთი ღამეც არ გაუთევია შინ, იწყება პრობლემები... როდესაც მივხვდი, რომ ის მართლაც აღარ წავიდოდა, მე თვითონ ვცადე მისი შეჩერება. არ მინდოდა, სხვისი ბედნიერების მოზიარე ვყოფილიყავი. თავიდან გაზაფხული იყო – გართობა და მეტი არაფერი, თითქოს რაღაცას ვთამაშობდით. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვებოდა, შემდეგ – შემოდგომა; ზამთარი კი ყველაფერს თავისთავად გააცივებდა. მაგრამ, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მას უფრო და უფრო უძლიერდებოდა ჩემთან ყოფნის სურვილი... მან ვერ გამიგო. ყველა მამაკაცი ხომ მესაკუთრეა და, ჩათვალა, რომ სხვა კაცთან მქონდა რომანი. მაშინ დავინახე მისი ნამდვილი სახე და დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი ჩემს გადაწყვეტილებაში. ის გაშმაგებული მოითხოვდა იმ მამაკაცის დასახელებას, ვის გამოც გადავწყვიტე მისი მიტოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით მემუქრებოდა და ეს მხოლოდ მუქარა არ იყო – მის მზერაში ამოვიკითხე, რომ სიტყვას შეასრულებდა. არ შევშინებულვარ, პირიქით, მისმა მუქარამ ბრაზი და ზიზღი მომგვარა, მაგრამ, მაინც შეშინებულ დედაკაცად მოვაჩვენე თავი – კანკალით მოვუხადე ბოდიში. შემდეგ კი, როდესაც მან უარი თქვა ჩემი ცხოვრებიდან წასვლაზე, მე თავად გავეცალე. კომპანიის საქმეებიდან გამომდინარე, სამი თვით გავემგზავრე უკრაინაში. მან არაფერი იცოდა ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ და საქართველოში დამეძებდა. მეძება ერთი კვირა... ორი... ერთი თვე. ვერ მიპოვა, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც დამშვიდდა. მიხვდა, რომ ძებნას აზრი არ ჰქონდა – რომც მოვეძებნე, მაინც ვერ დამიბრუნებდა.... – დოდო უკან გადაიწია, თვალებში ჩააცქერდა ნიკას და ჰკითხა: – იცი რატომ გიამბობ ამას?



– არა... მაგრამ, თუ ეს შვებას განიჭებს, შეგიძლია, განაგრძო.

– მანიჭებს, მაგრამ, საქმე მხოლოდ ეს არ არის. დაახლოებით ერთი თვის წინ მან ისევ გამიხსენა და იპოდრომზე მომაკითხა. გარეთ, ავტოსადგომზე დამხვდა. ცივად შევხვდი. თავადაც დაბნეული ჩანდა. ეტყობოდა, რომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს, როგორც იქნა, მაინც მოუყარა თავი სათქმელს. როგორც მითხრა, ცოლთან გაშორება და ჩემთან ურთიერთობის აღდგენა ჰქონდა გადაწყვეტილი. წარსულში დაბრუნება აღარ მსურდა და უარი ვუთხარი. მაშინ მეორედ დავინახე მის თვალებში ნაცნობი ნაკვერჩხალი. გაშმაგებული მეცა, მხრებში მწვდა, მანჯღრევდა და თან ყვიროდა: ჩემი თუ არა, არავისი არ იქნებიო. ამ დროს იპოდრომიდან დიმა გამოვიდა. ის, როგორც ჩემი ნაცნობი და როგორც მამაკაცი, უმალ გამომესარჩლა. ჩემმა „ყოფილმა“ არ დაუთმო, დიმა კი საკმაოდ ფიცხი ბიჭი იყო. მოკლედ, მათ შორის ჩხუბი მოხდა. დიმამ გვარიანად სცემა, შემდეგ ქეჩოში სწვდა, გუდურასავით შეაგდო მანქანაში და იქიდან მოშორება უბრძანა. ჩემდა გასაოცრად, ის დაემორჩილა – ძრავა დაქოქა და მანქანა საბურავების წივილით მოსწყვიტა ადგილს. წასვლის წინ კი დიმას დაემუქრა, რომ მწარედ ანანებდა ამ დღეს...

– და, შენ ფიქრობ, რომ...

– არა... არაფერს არ ვფიქრობ. უბრალოდ, ის გითხარი, რაც ამდენი ხნის განმავლობაში მაწუხებდა, – არ დაასრულებინა დოდომ.

ნიკამ მხრებში მოჰკიდა ხელი, მზერა გაუსწორა და თქვა:

– დოდო, ის ბიჭი მოკლული იპოვეს ლისის ტბაზე!

– რა სწრაფი ხარ, – სევდიანი ღიმილი მოერია ქალს, – შენთვის უკვე ყველაფერი ნათელია: ბიჭები წაიჩხუბნენ. გუშინ კი ერთი მათგანი მოკლული იპოვეს ლისის ტბაზე. რა გამოდის? გამოდის, რომ ის მეორემ მოკლა!.. სხვათა შორის, ახლაც რაღაც ამდაგვარ საქმეზე არ მუშაობ?

– მაშ, რას უკავშირდება ეს? – ნიკამ ვისკის ბოთლზე მიანიშნა.

დოდომ მზერა აარიდა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

– ვინ იცის. იქნებ, მართალიც ხარ.

– ვინაა ის პიროვნება? – ჰკითხა ნიკამ.

– ცუდად გცნობივარ, – დოდომ უკმაყოფილოდ გააქნია თავი, – კაცს, რომელთანაც თუნდაც ერთი წუთით კარგად ვიგრძენი თავი, პროკურატურას არასოდეს ჩავუგდებ ხელში!..

– საქმე მკვლელობას ეხება! – შენიშნა ნიკამ.

– თუნდაც ასე იყოს. ეს გამოძიებამ გაარკვიოს.

– მაკვირვებ... შენ ხომ ყოფილი გამომძიებელი ხარ!

– ისევე, როგორც შენ!.. – მწარე ირონიით ჩაილაპარაკა დოდომ, – მაგრამ, მოდი, ის საქმე მოქმედ გამომძიებლებს დავუთმოთ.

– მაგრამ, შენ გეშინია!

– მეშინია... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ, იმ დღის შემდეგ მუდამ დაძაბული ვიყავი, რაღაც ცუდის მოლოდინი მქონდა. შემდეგ კი შენ გამოჩნდი და რაღაცნაირად ყველაფერი მიმავიწყე. როგორ მოიქცევი ახლა, როცა ორი ქალი გყავს დასაცავი? მეც შენს ბინაში გადამასახლებ თუ მას მოიყვან აქ?

– დოდო, ეს სახუმარო საქმე არ არის! – მოიღრუბლა ნიკა.

– მე არ ვხუმრობ. თუ გინდა ოფიციალურად დაგიქირავებ.

– მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ.

– მაინც, როგორ წარმოგიდგენია ეს სერიოზული საუბარი? – ჰკითხა დოდომ.

– სულ მცირე, შენს ყოფილ მეგობართან დაკავშირებული ვითარება უნდა გაირკვეს კარგად.

– სხვას ვერაფერს შემომთავაზებ? – უკმაყოფილო მზერა შეავლო დოდომ.

– ჯერ რაღაცეები უნდა გავარკვიო, დანარჩენს შემდეგ მოვიფიქრებთ, – უპასუხა ნიკამ.

დოდო მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ

თქვა:

– დაივიწყე, რაც გითხარი, ნიკა, თავს უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაიყენებ. მე ვინც არ უნდა მკითხოს, ყველას ერთი პასუხით გავისტუმრებ: არც ის ჩხუბი მომხდარა და არც ჩვენი საუბარი შემდგარა. შენ კი... შენ კი მხოლოდ ერთს გეტყვი: დიმას მკვლელობამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. დაბნეული ვარ. იქნებ, მეშინია კიდეც, ან – ორივე ერთად. მაგრამ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ მარტო ყოფნა არ მინდა და, ერთადერთი ადამიანი, ვის სიახლოვესაც ვისურვებდი, შენ ხარ... დანარჩენი თავად გადაწყვიტე – შეგიძლია წახვიდე, შეგიძლია, ჩემთან დარჩე. მაგრამ, თუ ახლა წახვალ, უკან ვეღარასოდეს დაბრუნდები. ჩავთვლი, რომ შენ მაშინ მიმატოვე, როდესაც ყველაზე ცუდად ვგრძნობდი თავს და შენი სიახლოვე მჭირდებოდა... – დოდო სასტუმრო ოთახიდან გავიდა.

ნიკა დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, შემდეგ ადგა და დერეფანს მიაშურა. მარჯვნივ ბინიდან გასასვლელი კარი მდებარეობდა. მარცხნივ – დოდოს საძინებლის კარი, რომელიც ოდნავ ღია იყო. ოთახიდან ხმადაბალა ისმოდა დოდოს საყვარელი ჯგუფის „ლივინ ბლუზის" კომპოზიცია. ის ყოველთვის ამ მელოდიას უსმენდა, როდესაც დაღლილი იყო და განტვირთვა სურდა. ნიკამ ჯერ გასასვლელ კარს გახედა, მერე საძინებელს მიუბრუნდა. ისევ დაეუფლა ნაცნობი აუხსნელი გრძნობა: რაღაც ძალა გასასვლელი კარისკენ უბიძგებდა. ამ კარში რომ გასულიყო, დაბრუნდებოდა სახლში, სადაც ელოდა ნანა – ქალი, რომელსაც მან დახმარების, დაცვის პირობა მისცა. მეორე კარს მიღმა კი დოდო იმყოფებოდა, რომელიც ახლა, ამ წუთას ელოდა მისგან დახმარებას.

ნიკა ყოყმანით მიუბრუნდა გასასვლელ კარს, მაგრამ, ძალა მხოლოდ ორიოდ ნაბიჯის გადასადგმელად ეყო. შემდეგ წამით შედგა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, სწრაფად აკრიფა მესიჯი, ადრესატს გაუგზავნა და დოდოს საძინებლის კარს მიაშურა.

* * *

ნიკა დილით დაბრუნდა შინ. სააგენტოს დაცვის თანამშრომლების მანქანა პირობისამებრ სადარბაზოსთან იდგა. ნიკას არ შეეძლო, დაცვის გარეშე დაეტოვებინა ნანა. ამიტომაც, საღამოსვე დაუკავშირდა სააგენტოს და მცველების თავისი ბინის სამეთვალყუროდ გაგზავნა მოითხოვა. მისი შემჩნევისას მცველები გამოცოცხლდნენ – დამკვეთის შინ დაბრუნება მათი მორიგეობის დასრულებას ნიშნავდა. როგორც კი ნიკამ მანქანა შეაჩერა, ისინიც გადმოვიდნენ და მიესალმნენ.

– როგორ ხართ, ბიჭებო? – სალამი დაუბრუნა ნიკამ, – ხომ არ გაგიჭირდათ ღამის მანქანაში გატარება?

– სამუშაოა, – უპასუხეს მცველებმა, – თანაც სასარგებლო.

ნიკამ იცოდა რასაც გულისხმობდნენ ისინი „სასარგებლოში". შენობის გარეთ მორიგეობისას, ტარიფით განსაზღვრულ ანაზღაურებასთან ერთად, მათ სპეციალური დანამატიც ეძლეოდათ.

– სიმშვიდე იყო? – განაგრძო ნიკამ.

– ჰო... ათი წუთის წინ ის მოვიდა, – მცველმა ჟესტით მიანიშნა ზურაბის მანქანაზე, რომელიც იქვე იდგა, – კიდევ გჭირდებით?

– არა. თავისუფლები ხართ. შეგიძლიათ წახვიდეთ, – თქვა ნიკამ და სადარბაზოს მიაშურა.

ნანა მოწყენილი მზერით შეეგება. ნიკა შესანიშნავად გრძნობდა მისი უკმაყოფილების მიზეზს, მაგრამ, ახლა რამის ახსნა არ შეეძლო. თანაც, ბინაში ზურაბიც იმყოფებოდა.

– სასტუმრო ოთახში გელის. ყავას დალევ? – კარის დაკეტვისთანავე უთხრა ნანამ.

– მადლობელი დაგრჩები... ნუ ბრაზობ, შემდეგ აგიხსნი ყველაფერს, – უპასუხა ნიკამ.

– რა უნდა ამიხსნა, მე ხომ არაფერი მიკითხავს შენთვის, – ჩაილაპარაკა ნანამ და სამზარეულოში გავიდა.

ზურაბი აშკარად გაოცებული ჩანდა. ნიკას სავარძელზე დაჯდომაც კი არ აცალა, თვალი – თვალში გაუყარა და ცივი ხმით ჰკითხა:

– რას აკეთებ, ბიჭო?

– დამიჯერე... ასე იყო საჭირო, – უხალისოდ უპასუხა ნიკამ.

– რა იყო საჭირო?! – უკმაყოფილოდ განაგრძო ზურაბმა, – თუ მისი დაცვის შესაძლებლობა არ გაქვს, აქ რისთვის მოიყვანე?! ასეთ მცველებსა და ბინას მეც გამოვუნახავდი!

– ასე იყო საჭირო, – გაიმეორა ნიკამ.

– იმასთან იყავი?

ნიკამ უხმოდ დაუქნია თავი.

– ცეცხლს ეთამაშები!

– რატომ? ისეთი რა გავაკეთე? – გაიკვირვა ნიკამ.

– მე თავიდანვე გაფრთხილებდი, რომ ეს რიგითი საქმე არ იყო. შენ კი, იმის ნაცვლად, საქმეს მიხედო...

– შენ ყველაფერი არ იცი, – შეაწყვეტინა ნიკამ, – როდესაც ვითარებას აგიხსნი, სხვანაირად შეხედავ საქმეს.

– მაინც, რა უნდა ამიხსნა? – ჰკითხა ზურაბმა.

– მაგას მოგვიანებით გეტყვი, ჯერჯერობით კი გაბისონიას მკვლელობის დეტალები მაინტერესებს, – უპასუხა ნიკამ.



– ხელჩასაჭიდი ჯერ არაფერი მაქვს. გაბისონია საღამოს შვიდი საათისთვის გავიდა იპოდრომიდან. თავისი მანქანა ავტოსადგომზე დატოვა და, რით წავიდა იქიდან, უცნობია, – წამოიწყო ზურაბმა.

– ადამიანი, რომელსაც გამართული მანქანა ჰყავს, ტაქსით და ავტობუსით არ სარგებლობს, – შენიშნა ნიკამ.

– ბუნებრივია, – დაეთანხმა ზურაბი, – მას ვიღაც ელოდა, მაგრამ, იპოდრომის სათვალთვალო კამერებმა ვერავინ დააფიქსირა. შეიძლება, ეს შემთხვევითობაა, მაგრამ, მე მგონია, რომ ის, ვინც გაბისონიას ელოდა, კამერების სათვალთვალო ზონასაც იცნობდა და შეგნებულად აარიდა თავი იმ ზონაში მოხვედრას. თუმცა, იპოდრომის შიდა ტერიტორიაზე მყოფმა თანამშრომელმა თვალი მოჰკრა გაბისონიას, რომელიც მუქი ფერის მანქანაში ჩაჯდა.

– ფერი ვერ გაარჩია?! – გაუკვირდა ნიკას.

– ღობიდან შორს იმყოფებოდა, თანაც, ბუჩქებს მიღმა ხედავდა მანქანას. მისი თქმით, ეს იყო რომელიმე იაპონური ფირმის მუქი ფერის მანქანა, სავარაუდოდ, შავი ან მუქი ლურჯი, – უპასუხა ზურაბმა.

ამ დროს ოთახში ნანა შემოვიდა და ჟურნალის მაგიდაზე ყავიანი ფინჯანი დადგა.

– მე კიდევ ერთს დავლევ, ძალიან მომწონს შენი გაკეთებული ყავა, – გაუღიმა ზურაბმა და, ფინჯანი, რომელიც ნიკას მოლოდინში გამოსცალა, ნანას გაუწოდა.

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი და უკან გაბრუნდა.

– იგივე მანქანა დაფიქსირდა ლისის ტბაზეც, – ნანას ოთახიდან გასვლის შემდეგ განაგრძო ზურაბმა.

– მოდელი და მარკა ამჯერადაც უცნობია? – ჰკითხა ნიკამ.

– უცნობია, – დაუდასტურა ზურაბმა, – მანქანა მეთევზემ შენიშნა. ის უკვე დაიკითხა. ჩვენების თანახმად, გაბისონია და საშუალო ასაკის მამაკაცი მანქანასთან საუბრობდნენ, თან ლუდს სვამდნენ. ბუნებრივია, რომ ეს ლისის ტბისთვის სრულიად ჩვეულებრივი სურათია. ამიტომაც, მეთევზეს განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. ისევე, როგორც იპოდრომის შემთხვევაში, ეს მოწმეც უჩვენებს, რომ მანქანა მუქი ფერის იყო, მოდელზე კი წარმოდგენა არა აქვს. სროლის ხმა არ გაუგია – ჩანს, მკვლელმა მაყუჩიანი პისტოლეტი გამოიყენა.

– გვამი ვინ აღმოაჩინა?

– იმავე მოწმემ. ის დაახლოებით სამი საათის შემდეგ ბრუნდებოდა შინ და, იმ ადგილას, სადაც მანამდე მანქანა შენიშნა, გაბისონიას გვამი იპოვა.

– გაბისონიას თანამოსაუბრის აღწერილობა თუ გაქვს? – განაგრძო ნიკამ.

– საშუალოზე მაღალი, გამხდარი. ეცვა მუქი ტანსაცმელი.

– ცოტაა... ძალიან ცოტა, – ნიკამ ყავა მოსვა.

– მკვლელობა ჩადენილია „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით. ტყვია შუბლში მოხვდა გაბისონიას. ექსპერტის აზრით, ის უმალ გარდაიცვალა, – თქვა ზურაბმა, – საქმე



განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული. ახლა ბიჭები გაბისონიას ნაცნობ-მეგობრების წრეს არკვევენ. შენ არ გესწავლება, რა ძნელია რამდენჯერმე ნასამართლევი ადამიანის სამეგობრო წრეში გარკვევა. რა გაარკვევს, რომელ წელს ვისთან ერთად იჯდა საკანში, ვის გვერდით იყო ზონაში და ვინ გაიცნო „ეტაპში"?!

– შენ ფიქრობ, რომ ეს მკვლელობა რაიმე სახით უკავშირდება იმ მკვლელობებს?

– არ ვიცი, მაგრამ, ყველა ვერსია უნდა განვიხილოთ, – უპასუხა ზურაბმა.

– ერთ ვერსიას მე დაგიმატებ, მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ, ვიდრე ყველაფერს დეტალურად არ გაარკვევ, იმ პიროვნებებთან დაკავშირებული მონაცემები საქმის მასალებში არ მოხვდება.

– რა თქვი?! – გაოცებით შეჰყვირა ზურაბმა, – რას ნიშნავს – საქმის მასალებში არ მოხვდება?!

– დოდოს მიზეზით გაბისონია ერთ პიროვნებას ეჩხუბა, ის პიროვნება კი მას შურისძიებით ემუქრებოდა.

– ვინაა ის პიროვნება? – სწრაფად ჰკითხა ზურაბმა.

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ნიკამ.

– მოიცა, მოიცა... – მოიღრუბლა ზურაბი, – ამის შესახებ დოდომ გითხრა?

– ჰო.

– და, იმ პიროვნების სახელი არ ახსენა?! – ეჭვით ჰკითხა ზურაბმა.

– არ ახსენა, მაგრამ, ეს ხელს არ შეგიშლის. ჩხუბი იპოდრომის ავტოსადგომზე მოხდა და მცველები აუცილებლად დააფიქსირებდნენ იმ პიროვნების მანქანის მოდელსა და ნომერს. ეცოდინებათ მისი აღნაგობაც. სხვა თუ არაფერი, სავარაუდო ეჭვმიტანილთან შესადარებელ მონაცემებს მაინც მოიპოვებ. ასევე, უნდა დაიკითხოს ინწკირველიც...

– ისევ ინწკირველი? – დაიძაბა ზურაბი.

– ჰო, ინწკირველი და „ინტელგრუპჯორჯია", – დაუდასტურა ნიკამ, – გაბისონია მისი ახლობელია. სწორედ მან სთხოვა დოდოს გაბისონიას სამსახურში მოწყობა. რას იტყვი, ვარგა ასეთი მიმართულება სამუშაო ვერსიისთვის? – ჰკითხა ნიკამ.

– ვნახოთ... ჯერჯერობით ყველაფერი უნდა გადამოწმდეს.

– პირობა არ დაგავიწყდეს: გთხოვ, ზურაბ, ეს საქმე არაფრით არ უნდა დაუკავშირდეს დოდოს სახელს, თუნდაც მოკვლევის ეტაპზე.

– კარგი, კარგი, რამეს მოვახერხებ, – თავი დაუქნია ზურაბმა, – მაგრამ, ერთ პირობას შენც ჩამოგართმევ, უფრო სწორად, ეს პირობა კი არა, გაფრთხილებაა: კიდევ ერთი ასეთი ღამეული ვოიაჟი და დარწმუნებული იყავი, რომ შინ დაბრუნებული ნანას ვეღარ ნახავ. მე უკვე მივეცი ჩემი მობილურის ნომერი და გავაფრთხილე, მარტო თუ მიატოვებ, მაშინვე დამიკავშირდეს. იმის იმედიც ნუ გექნება, რომ შენი სააგენტოს მცველები შეძლებენ ჩემს შეჩერებას... – ზურაბმა პაუზა გააკეთა, შემდეგ წინ გადაიხარა და ჩურჩულით უთხრა: – ენდე ჩემს გამოცდილებას – ორ ლამაზ ქალთან ერთად ურთიერთობა ყოველთვის ცუდად მთავრდება!...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## შადრევნის ქვეშ მოგიზგიზე მუდმივი ცეცხლის გამოცანას მეცნიერები ვერ ხსნიან

ინდიანას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები კარგა ხანია, აკვირდებიან, ნიუ-იორკის Chestrut Ridge-ის პარკში მოგიზგიზე მუდმივ კოცონს. დაადგინეს, რომ ამ ტერიტორიის მთის ქანებს არ გააჩნია გაზის გამოსამუშავებლად აუცილებელი ტემპერატურა, რაც ნიშნავს, რომ მუდმივი ცეცხლი, რომელიც ზუსტად შადრევნის ქვეშაა, სულ სხვა მექანიზმით გამომუშავებული გაზით იკვებება, მაგრამ, კერძოდ რით, სპეციალისტებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს. საერთოდ, ყველაზე ხშირად გაზი გრუნტიდან გამოიყოფა, სადაც ბაქტერიები შთანთქავენ მეთანს და გარდაქმნიან ნახშირმჟავა გაზად. ეს გაზი სწრაფად იფანტება და ალით მისი წვა შეუძლებელია. ნიუ-იორკის შემთხვევაში, გაზი ქვების ღრიჭოში, ბუნებრივ კამერაში გამოდის, რაც ხელს უშლის გაზის გარდაქმნას, შესაბამისად – მის გაფანტვას და ის ამგვარად ინარჩუნებს თვისებას, იყოს ბუნებრივი საწვავი. ამიტომაა, რომ კოცონი, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ადგილობრივებმა ათასი წლის წინათ დაანთეს, ჩაუქრობლად ანთია.

ბუნებრივი მუდმივი ცეცხლი, ისეთი, როგორიც ნიუ-იორკის შტატშია, დედამიწაზე საკმაოდ იშვიათია. ის ყველაზე მეტი კონცენტრაციით შეიცავს ეთანსა და პროპანს. მისი წვის ტემპერატურა წყლის დუღილის წერტილთან, ანუ, 100 გრადუსთან მერყეობს.

## ყველაზე ძველი წყალი კანადაში აღმოაჩინეს

წყლის „ჯიბე" (იზოლირებული წყალი), რომლის ასაკი დაახლოებით 2,6 მილიარდ წელს შეადგენს, კანადის ერთ-ერთ მაღაროში, 2,4 კილომეტრ სიღრმეზე აღმოაჩინეს. მისი ფორმირება მრავალუჯრედიანი სიცოცხლის წარმოშობამდე მოხდა. ჯერჯერობით მეცნიერებს არ შეუძლიათ, გვითხრან, იმყოფებოდნენ თუ არა ცოცხალი ორგანიზმები წყალში, რომელიც ორ მილიონ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გარე სამყაროსგან იყო იზოლირებული, მაგრამ, მეთანისა და წყალბადის მაღალი დონე მიუთითებს ამის მაღალ ალბათობაზე.

წყლის მცირე ჯიბეები, რომლებიც მინერალების დანალექების სიღრმეებშია განლაგებული, სასარგებლო წიაღისეულის ფორმირების პროცესში წარმოიშვა. აქამდე აღმოჩენილი მსგავსი ტიპის ყველა წყლის ჯიბე მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიონი წლის განმავლობაში იყო იზოლირებული.

მეცნიერები იძლევიან იმის გარანტიას, რომ, წყალი, რომელიც სულფიდის დეპოზიტის ნაპრალებში, სპილენძისა და თუთიის საბადოებში, ოჰაიოს შტატ ტიმინსის ახლოს იპოვეს, საბადოს ჰაერთან კონტაქტში არ შესულა. ტორონტოს უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სპეციალისტი ბარბარა შერვუდი და მისი კოლეგები, რომლებიც 1980 წლიდან არიან დაკავებულნი მთელ მსოფლიოში ღრმა მაღაროების კვლევით, აცხადებენ, რომ წყალს შეუძლია, მიედინებოდეს კლდის ნაპრალებში და იმყოფებოდეს იქ სრულ იზოლაციაში გარე სამყაროსგან, ანუ, წარმოადგენდეს თავისებურ კაფსულას, რომლის შესწავლით შეიძლება გავიგოთ, როგორი იყო გარემო შორეულ წარსულში.

გასული წლის ზაფხულში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აფრიკის ოქროს საბადოებში, 2,8 კილომეტრ სიღრმეზე აღმოჩენილ წყლის ჯიბეებში, რომლებიც აგრეთვე იზოლირებულია გარემოსგან ათეული მილიონი წლების განმავლობაში, მიკრობებს შეეძლოთ არსებობა. ეს „რეზერვუარები" ზევრჯერ უფრო მარილიანი იყო, ვიდრე ზღვის წყალი, ქიმიური შემადგენილობა კი ოკეანის ფსკერის თერმული წყლების მსგავსი ჰქონდათ – მათში გახსნილი იყო ბევრი წყალბადი და სხვა შენაერთები, რომლებიც ხელს უწყობენ სიცოცხლეს.

## იღბლიან ამერიკელს – ოთხი უდიდესი მოგება

მელვინ უილსონმა, რომელიც ვირჯინიის შტატში ცხოვრობს, 2004 წლიდან უკვე მეოთხედ მოიგო მსხვილი თანხა. უილსონი რეგულარულად ყიდულობდა მომენტალურ (სკეტჩ-კარტი) ლატარიას. პირველად მხოლოდ 25 ათასის მოგება ხვდა წილად; ერთი წლის შემდეგ – უკვე მილიონ 500 ათასი დოლარი; ბოლოს კი, რამდენიმე დღის წინ, ლატარიით 500 ათასი დოლარი მიითვალა. თავის იღბალს უკვე მილიონერი მელვინ უილსონი იმით ხსნის, რომ უბრალოდ, საჭირო ადგილზე საჭირო დროს აღმოჩნდება ხოლმე.

**მოამზადა ლაშა გაბელიამ**

**„მეცხრე არხის“ დღის საინფორმაციო გამოშვებებში „ცხელ ამბებს“ არაჩვეულებრივი, ნათა ასათიანი მოგვითხრობს, რომელიც ჩემი არასუბიექტური აზრით, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სატელევიზიო სახედ ჩამოყალიბდება, თავისი უშუალობით, წამყვანის გულწრფელი და ადამიანური დამოკიდებულებით ამა თუ იმ ამბის მიმართ. ნატას ოჯახის წევრებს, სხვადასხვა პოზიციით ხშირად ვხედავთ ამა თუ იმ პოლიტიკურ თოქ-შოუში. ნატაც მიჩვეულია განსხვავებული აზრის მოსმენასა და პატივისცემას, რაც ასახულია მის დამოკიდებულებაზე მედიის მიმართ.**

# გახდება თუ არა ნათა ასათიანი პოლიტიკოსის ცოლი და როდის აქვს მას ოჯახში ხმამაღალი გარჩევები



**მოდუნებისა და „ვერ გავიგეს“ თქმის უფლება არ გაქვს**

**ნათა ასათიანი**: „მეცხრე არხზე“ მუშაობა დავიწყე, როდესაც ეკა ბერიძის გადაცემისთვის პროდიუსერი დასჭირდათ. პროდიუსინგში მქონდა გამოცდილება და ეს ჩემთვის საინტერესო საქმიანობა იყო, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციაში ვწერდით დებატებს საპარლამენტო ოპოზიციასა და მაჟორიტარ დეპუტატებს შორის რეგიონალური ტელევიზიებისთვის. ასე რომ, ეკას შემოთავაზება დიდი სიხარულით მივიღე, მასთან მუშაობა ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის. თან, ეს იყო ყოველდღიური გადაცემა, ლაივ-ფორმატის, ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე. არხის რეორგანიზაციისა და ახალ ოფისში გადასვლის შემდეგ, ლუბა ელიაშვილმა და საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, იმედა დარსალიამ, შემომთავაზეს საინფორმაციო გადაცემის წამყვანობა, რასაც სიხარულით დავთანხმდი. ცოტა კი მეშინოდა, რადგან რამდენიმე წელი გავიდა „პირველი არხის“ დილის გადაცემის შემდეგ და ეკრანზე აღარ გამოვჩენილვარ. ვნერვიულობდი, მაგრამ ყველა ძალიან დამეხმარა.

**– საინფორმაციო სხვა ჩარჩოებს მოითხოვს, სხვა დამაჯერებლობა სჭირდება.**

– თერთმეტი წელი რადიოში ვიმუშავე, აქედან, ძალიან დიდი ხანი ვიყავი საინფორმაციოს წამყვანი. მაგრამ, ტელეეთერი კიდევ სხვაა. ელემენტარულად, სხვანაირად უნდა გეცვას, აკადემიური სტილი უნდა მოირგო. ამდენწლიანი პაუზა მანერვიულებდა. ყოველდღიურად ეთერში ჯდომის დროს, ამ ყველაფერს ისე ეჩვევი, რომ შენი ყოველდღიურობის ნაწილი, ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. მაგრამ, ამ სფეროს სპეციფიკაა ისიც, რომ ძალიან მალე ამოვარდები ფორმიდან და მერე ცოტა შიში გაქვს დაბრუნებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ საჭირო უნარ-ჩვევებისა და დამაჯერებლობის დაბრუნებაში დამეხმარნენ იგივე ლუბა, იმედა, ყველა პროდიუსერი და წამყვანები: სოფო ჩაკვეტაძე და ნინო ვარდოსანიძე. მათი ძალიან მადლობელი ვარ. ძალიან დამეხმარა, ასევე, ჩემი მეგობარი და თანამშრომელი ლაშა ოსიტაშვილი, რომელმაც აქ მოსვლის დღიდან გადაწყვიტა, რომ ეთერში უნდა ვმჯდარიყავი *(იცინის).* ჩემთვის ეთერში ყოფნა მთავარი მიზანი არასდროს ყოფილა. ყოველთვის მთავარია, ეთერში თუ მის გარეთ საქმეს ვაკეთებდე და მოსახლეობას სწორ ინფორმაციას ვაწვდიდე.

**– როგორი იყო პირველი ეთერი და პირველი შეფასებები? შენი ოჯახის წევრები, ალბათ, გამადიდებელი შუშით გიყურებენ.**

– საშინლად ვნერვიულობდი მეც, თან თავისუფალი ტიპის, გასართობი გადაცემის შემდეგ, ძალიან რთულია. ვერ გაჩუმდები, ვერ დააფიქსირებ შენს აზრს, განწყობით, დამოკიდებულებით უნდა გადმოსცე ემოცია. აქ მთავარია, ძალიან კარგად გესმოდეს ის ამბავი, რომელიც მაყურებელს უნდა გააგებინო. მოდუნების და იმის თქმის უფლება არ გაქვს, რაღაც ვერ გავიგეო. ადამიანი ხარ და შენი დამოკიდებულება გაგაჩნია. ამიტომ, ზუსტად ზღვარია ძალიან რთული დასაცავი ორ მომენტს შორის – არც უბრალოდ კითხულობდე ტექსტს და არც თავს ახვევდე ვინმეს შენს დამოკიდებულებას. მოკლედ, რთული ამბავია...

**– ოჯახი როგორ შეხვდა შენს გადაწყვეტილებას?**

– დადებითად. ხან მიყურებენ ხან, არა. ვერ გეტყვი, რომ მთელი ოჯახი ერთად, სავარძლებში მოკალათებულები კმაყოფილი სახეებით, არც ერთ საინფორმაციო გამოშვებას არ ტოვებენ-მეთქი, მაგრამ შიგადაშიგ მიყურებენ, მოსწონთ, რჩევებსაც მაძლევენ. თავადაც ვხვდები, რომ რაღაცეები დასახვეწია. ირმას და ბექას რჩევები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– თმის ფერის გალიავებამ იმიჯზე ხომ არ იმოქმედა, ხომ არ დააყენა დღის წესრიგში საინფორმაციოს წამყვანობამ უფრო მუქი, კლასიკური თმის ფერის მოთხოვნა?**

– როგორც აღმოჩნდა, ქერა ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპი არცთუ ბოლომდე შეესაბამება სიმართლეს და რადგან, სანამ შევიღებავდი, ამის შიში მქონდა – ვნერვიულობდი დამოკიდებულებაზე, როგორ შეხვდებოდნენ. თან, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ქერად არ ვითვლები, საქართველოში ყოველთვის ქერა გოგო ვიყავი. ახლა უბრალოდ, ტონალობაა ოდნავ განსხვავებული და ეს ტონალობა დამოკიდებულებაში არ აღიქმება. ეტყობა, მკვეთრი ყვითელი თმა უფრო განსხვავებულად მოქმედებს. თმაზე საუბარი არ გვქონია. ძალიან კარგი მხატვრები გვყავს, რომლებიც გამოსახულებასა და მათ შორის წამყვანების ვიზუალზე ზრუნავენ. მათ თვალდახუჭული ვენდობი.

**თუ ჩვენთან მოსულია ირმა და ჩემი დაც ჩამოსულია პრაღიდან, ისეთები ხდება, სახლიდან უნდა წახვიდე**

**– პოლიტიკური პოზიციების განსხვავებულობა არხსა და შენი ოჯახის წევრებს, ან შენს პირად დამოკიდებულებას შორის, როგორ გვარდება?**

– ეს პრობლემა არჩევნებამდე იდგა. იმისთვის, რომ ტელევიზიაში მუშაობის უფლება გქონოდა, ერთაზრობრივ ორბიტაზე უნდა ყოფილიყავი ქვეყნის მმართველ ძალასთან, მაშინ იქნებოდი წამყვანი, გექნებოდა სუნთქვის უფლება. არ უნდა გეოცნება იმაზე, რომ რომელიმე პრონაციონალურ არხზე მუშაობას დაიწყებდი, მაშინ, როცა მეუღლე მკვეთრად გამოხატული ოპოზიციონერი იყო. ასე იყო ქმარიც, დაც, დედაც და თვითონ მეც. არჩევნების შემდეგი პერიოდისთვის ვიცოდი და ეს მუშაობამაც მაჩვენა, რომ იქ აბსოლუტურად გახსნილი ველია, სრული სარედაქციო თავისუფლება გვაქვს, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სრულიად გულწრფელი ვარ ამაში და ეს თავისუფლება ძალიან დიდ კომფორტს უქმნის თითოეულ თანამშრომელს. ამას წლების განმავლობაში მოკლებული ვიყავი და მიხარია, რომ სწორედ ამ პერიოდში ვარ „მეცხრე არხის“ თანამშრომელი. მეცხრე არხი ჯერ ერთი წლისაა და წინ არაერთი საინტერესო გეგმა აქვს განსახორციელებელი, შემიძლია გაგიმხილოთ, რომ ძალიან მალე არხი ორ ახალ, მასშტაბურ თოქ-შოუს შემოგთავაზებთ. ძალიან საყვარელი და ცნობილი წამყვანებით, რომელთა ვინაობასაც ჯერ ვერ გაგიმხელთ. ასევე, სულ მალე, არხის დაფარვის არეალიც გაიზრდება, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია ერთი წლის ტელევიზიისთვის.

**– სახლში რა ადგილი უკავია პოლიტიკას?**

– უდიდესი. საერთოდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ძალიან მიკვირს, როდესაც ვინმე ამბობს, სრულიად აპოლიტიკური ვარო. როგორ შეიძლება, არ გაინტერესებდეს ის, რაც მომავალში განსაზღვრავს, თუ როგორ სკოლაში ისწავლის შენი შვილი, რამდენად კომფორტული იქნება შენი სამუშაო გარემო და სხვა. დღევანდელ დღეს თქვა აპოლიტიკური ვარო – ქვეყნის ღალატია. ასეთი რაღაცეები გამოვიარეთ ამდენი წლის განმავლობაში და უცებ დღეს შეგეძლოს ათ საათზე ოფისში მიდიოდე, ექვს საათზე გამოდიოდე და საერთოდ არ გაინტერესებდეს რა ხდება ქვეყანაზე. რა კანონებს იღებენ და ცვლიან, რომელიც ხვალ შენს ცხოვრებაზე აისახება, როგორ შეიძლება არ გაინტერესებდეს?! აქედან გამომდინარე, ჩემი ოჯახის ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ჩემი მეუღლე მთლად პოლიტოლოგია, პოლიტიკაზე საუბარს უდიდესი ადგილი უკავია.

**– ალბათ, სულ მსჯელობა და ყაყანია.**

– თუ ჩვენთან მოსულია ირმა, ჩემი დაც ჩამოსულია პრაღიდან, მაშინ სახლიდან უნდა წახვიდე, ისეთები ხდება. ვიღაცა ვიღაცას არასდროს ეთანხმება და სულ არის ძალიან ხმამაღალი მსჯელობა *(იცინის).* მაგრამ ეს ძალიან მომწონს, ეს ცხელი გარჩევები მირჩევნია, ვიდრე უემოციოდ და ურეაქციოდ დატოვება იმ მოვლენებისა, რაც ქვეყანაში ხდება.

**– როგორ შეხვდები იმ ფაქტს, რომ შენმა მეუღლემ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტოს?**

– სრულიად დადებითად და შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ასეც მოხდეს. ამის განათლებაც აქვს. ალბათ, წავა, მაგრამ უფრო კონკრეტულად ამაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან სულ ეს არის ის ინფორმაცია, რაც ახლა მაქვს.

**– შენს შვილზეც მომიყევი, ეთერს გარეთ ცხოვრებას, ალბათ, მთლიანად ის ავსებს.**

– კი, სამსახური და შვილი, სხვა არაფრის დრო აღარ მრჩება. დღის ეთერია, მაგრამ სხვა დროსაც სულ სამსახურში ვარ, თან ვსწავლობ ჩემი კოლეგებისგან და თან, ვმუშაობ. სამსახურის გარეთ მხოლოდ ჩემი რეზიკოა, რომელთანაც გაცილებით მეტი დროის გატარება მინდა და სულ ვფიქრობ, იქნებ, ეს ყველაფერი არ ღირს იმად, რასაც რეზიკოს ვაკლებ-მეთქი. სულ სინდისის ქენჯნა და დისკომფორტი მაქვს ამის გამო. ამ ხელისუფლებამ დაიწყო ცვლილებები შრომის კოდექსში, იმედი მაქვს, ამ მიმართულებით სამუშაოებს გააგრძელებენ, დაიხვეწება დეკრეტული შვებულების აღების ვადებიც და დედებს ექნებათ უფლება, მეტი დრო გაატარონ პატარებთან.

**სალომე გველესიანი**



## რამაზ რომას ექსკლუზიური ქსოვილებით შექმნილი „პეპელა“ – ქართველი ქალებისთვის

19 მაისს კრწანისის რეზიდენციის საცურაო აუზი დიზაინერ რამაზ რომას საზაფხულო ჩვენებით ოფიციალურად გაიხსნა. როგორც დიზაინერმა აღნიშნა, ფერადი, მხიარული, ხალისიანი, ჰაეროვანი კოლექციის ინსპირაციის წყარო პეპელა გახდა, რომელიც მან რეალობაში, საკუთარ კოლექციაში გადმოიტანა. რაც მთავარია, სპეციალურად ამ კოლექციისთვის მან თავად შექმნა ქსოვილები, რომელმაც დამსწრე საზოგადოებასა და თავად მოდელებში ზაფხულის, სითბოს, ფერადი ემოცების ასოციაცია გამოიწვია. ამ ჩვენებისთვის სპეციალურად ჩამოვიდნენ თურქეთში მოღვაწე სუპერმოდელი ნინა კოტენიკოვა და „მის გლობუსი“ – ოქსანა კლაჩკოვა. კოლექცია, ასევე, წარადგინეს „ლუქ მოდელსის“ მოდელებმა, ხოლო ჩვენება დახურა კრისტი ყიფშიძემ. ჩვენების პარალელურად, წარმოდგენილი იყო ჯიჯი რეჯინის ფოტოპროექტი და შოთიკო ბოჭორიშვილის ვიდეოარტი.

## ახალი, ქართული მისტიკა, სამეცნიერო ფანტასტიკა, „ნაწილები“



10 მაისს კინოთეატრ „ამირანში“ ახალი ქართული ფილმის – „ნაწილების“ პრემიერა, რომელიც „ვერსიო ფილმსმა“ წარმოგვიდგინა, წარმატებულად შედგა. ფილმის რეჟისორია ნიკოლოზ ჯავახიშვილი; აღმასრულებელი პროდიუსერი – ოთარ ჭუმბურიძე; პროდიუსერები – ნოდარ მამულაშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი, დავით ქაცარავა; სცენარისტები – ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ნინო კელაურიძე; დამდგმელი ოპერატორი – იგორ ტოჩილნიკოვი; დამდგმელი მხატვრები – კაკადუ, ნიკოლოზ ჯავახიშვილი; მუსიკა – ნიკა მაჩაიძე, ნატალია ბერიძე. რაც შეეხება მსახიობებს, ესენი არიან: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ლაშა ონიანი, გიორგი კალანდაძე, ნოდარ მამულაშვილი, გიორგი გურგულია, დავით ქაცარავა და მარინა ჯანაშია. დრამა, მისტიკა, სამეცნიერო ფანტასტიკა – ეს არის ფილმის ჟანრი, რომელიც საინტერესო სანახავია, არაერთ კითხვას ბადებს და ცოტათი გძაბავს კიდეც. მოკლედ, „სპირალის“ შემდეგ, ეს არის ამ ჟანრში გადაღებული პირველი ფილმი, რომლის გატანასაც საპროდიუსერო ჯგუფი უცხოეთში გეგმავს. თუმცა, მანამდე ქართველ მაყურებელს მისი ნახვა თბილისის კინოთეატრებში შეუძლია.

## საქართველოს ჩემპიონატი სტილისტებს, ვიზაჟისტებსა და მანიკიურის სპეციალისტებს შორის

22 მაისს „დიდუბე პლაზაში“ ერთი ძალიან საინტერესო ღონისძიება შედგა – საქართველოში პირველად ჩატარდა ჩემპიონატი სტილისტებს, ვიზაჟისტებსა და მანიკიურის სპეციალისტებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ 30 სალონის წარმომადგენლები. როგორც მეზობელი ქვეყნებიდან მოწვეულმა ჟიურიმ აღნიშნა, ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა და საქართველოში ამ სფეროში საკმაოდ კვალიფიციური ადამიანები მუშაობენ.



23 მაისს კი კლუბ „ტრიუმფში“ შედგა გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც ჟურნალ „სალონის“ რედაქტორი, საქართველოს სალონებისა და ესთეტიკური ცენტრების მენეჯერი, ანა კვირიკაშვილი უძღვებოდა.

ჟიურის წევრები მოწვეულები იყვნენ უკრაინიდან, სომხეთიდან და ისრაელიდან. გამარჯვებულები სექტემბერში გაემგზავრებიან მოსკოვში, სადაც 27-28 სექტემბერს ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი. გამარჯვებულები 17 ნომინაციაში გამოვლინდნენ. მათ შორის სურენ პაპაიანი – კრეატიულ ვარცხნილობებში, ვიზაჟი – ლიკა ნიორაძე და მანიკიური – თინა კუჭუხიძე.

## „ფორსაჟი 6-ის“ პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“

23 მაისს საქართველოს კინოთეატრებში „ფორსაჟი 6-ის“ პრემიერა გაიმართა, რომელიც ამ ჟანრის ნამდვილი კლასიკაა და მთელი მსოფლიოს ქუჩისა და პროფესიონალი მრბოლელების საყვარელი ფილმია. მიუხედავად იმისა, რომ წინა სერიებშიც და ფილმის მეექვსე ნაწილშიც, ეგრეთ წოდებული სამანქანო ტრიუკები რეალობის ზღვარს სცდება და ფანტასტიკის სფეროდან უფროა, ყველა დამწყები თუ მოქმედი მრბოლელისთვის მისაბაძი ილეთებია და, თუ ზუსტად იმავეს გამეორებას არა, დაახლოებით მსგავსის გაკეთებას ცდილობენ. ფილმის პრემიერის წარმდგენი „თეგეტა მოტორსი“ და „მოტული“ იყვნენ. კინოთეატრის შესასვლელი „ფორსაჟის“ შესაფერისი ატრიბუტიკით იყო გაფორმებული, იქვე იყვნენ გამომწვევად ჩაცმული გოგონები, რომელთა გარეშეც არც ქუჩის და არც პროფესიული ავტოსპორტი არავის წარმოუდგენია.




## უკვე 75 წელია – ყავა „ნესკაფესთან“ ერთად

19 მაისს „თბილისი მოლში“ „ნესკაფეს“ 75 წლის იუბილე აღინიშნა. „ნესკაფე“ 1938 წლის 1 აპრილს შვეიცარიაში მეცნიერ მაქს მორგენტალერისა და მისი გუნდის 8-წლიანი მუშაობის შედეგად „დაიბადა“. ღონისძიება „ნესკაფეს“ ბარში ყავის დეგუსტაციით გაიხსნა. თემატურად გამოწყობილი პრომო გოგონებმა სტუმრებს ბრენდის შესახებ საინტერესო ფაქტები გააცნეს.




იუბილეს მუსიკალურად აფორმებდა დავით ილურიძის ბენდი, სადაც შესრულდა 30-იანი წლების ჯაზის, ჰიპ-ჰოპისა და 60-იანი წლების მსოფლიო ჰიტები. პირველად საქართველოში, „ნესკაფემ“ წარმოადგინა ნისლის ეკრანის სანახაობა, რომელზეც „ნესკაფეს“ სარეკლამო რგოლები იქნა ნაჩვენები. თითოეულმა სტუმარმა საკუთარი სურვილები და მილოცვები დატოვა სპეციალურად განთავსებულ „სურვილების ტილოზე“. მკითხველს კი შევახსენებთ, რომ მსოფლიოში, ყოველ ერთ წამში, დაახლოებით, 5 000 ჭიქა „ნესკაფეს“ სვამენ.

## რა სიურპრიზს უმზადებს მელომანებს საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ოაზისი“

ქართველ მელომანებს ცოტა ხანში კიდევ ერთი სიურპრიზი ელით. 22-23 ივნისს, მცხეთაში, „თეატრონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ოაზისი“ გაიმართება, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდება. ფესტივალი ქართული და ლატვიური კომპანიების – „ემ ეს ივენთისა“ და „ლაივ კონცერტის“ ორგანიზებით იმართება. ლატვიური კომპანია „ლაივ კონცერტის“ გენერალური დირექტორი კირილ ხიმიჩევი რუსი მომღერლის, ზემფირას ტურმენეჯერია. კირილი საქართველოში გასულ წელსაც იყო ჩამოსული და სწორედ მაშინ გაჩნდა მცხეთაში ფესტივალის ჩატარების იდეა. საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ისეთი ცნობილი მომღერლები და ჯგუფები, როგორებიც არიან: Jahcoozi, Juveniles, WhoMadeWho, Mumy Troll. ბილეთების გაყიდვა 15 მაისს დაიწყო.



## „მისტერ და მის თბილისი 2013“

„მისტერ და მის თბილისი 2013“ 2 ივნისს „ქორთიარდ მერიოტში“ საღამოს 8 საათზე გაიმართება. საღამოს წაიყვანს თიკო სადუნიშვილი, ჟიურის წევრები არიან: ჟიურის თავმჯდომარე – კრისტი ყიფშიძე, გია ჯაჯანიძე, დალი ჩიტალაძე, დათუნა სულიკაშვილი, ავთანდილ ცქვიტინიძე, ჯიჯი რეჯინი, ნინო კუზანოვი, თამარ ნადირაძე, დიმიტრი ჩხეიძე, მაკა შალიკაშვილი, მამუკა ლიპარტელიანი, თამარ პოპიაშვილი, ზალიკო ბერგერი, ლიზა ვადაჭკორია, „ემტევეს“ საბერძნეთის მუსიკალური პროდიუსერი და NEW-YORK fashion life-ის გენერალური მენეჯერი ამიერკავკასიაში. „მის და მისტერ თბილისის“ გამოვლენის შემდეგ „სითი კლუბში“ გაიმართება „აფთერ ფართი,“ სადაც იმღერებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები. ღონისძიების სპონსორები არიან: „ორბი ჯგუფი“, სილამაზის სალონი „პოდიუმი,“ „ისი პარი“, კლინიკა „კუზანოვი“, „თამარ სუჯაშვილი“, მოდის სახლი „მარი გოლდი“, საცურაო აუზი „თეთრი ტბა“, სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელსი.“



**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც სქესის შეცვლის ოპერაცია კეთდება. პროფესორი ივა კუზანოვი ერთადერთი პლასტიკურ-რეკონსტრუქციული ქირურგია, რომელსაც ქართველი ტრანსსექსუალები სქესის შეცვლის თხოვნით მიმართავენ. თუმცა, ოპერაციამდე მათ საკმაოდ რთული და გრძელი გზა უნდა გაიარონ, საოპერაციოში კი მხოლოდ სპეციალური ეთიკის კომისიის დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდებიან. ვინ არიან ჭეშმარიტი ტრანსსექსუალები და რით განსხვავდებიან ისინი დანარჩენი სექსუალური უმცირესობისგან – ამ კითხვებზე ორი პროფესორი: ესთეტიკურ-რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგი ივა კუზანოვი და ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კლინიკის დირექტორი ანდრო კანდელაკი გვიპასუხებენ.**

# დღეისთვის რამდენი ტრანსსექსუალი ელოდება სქესის შეცვლის ოპერაციაზე თანხმობას

**ივა კუზანოვი**: ფალოსის შექმნა მიკროქირურგიული ოპერაციაა. ჩემთვის პირველი ოპერაცია იყო ქირურგის უდიდესი ინტერესი და, შეიძლება ითქვას, გამოწვევაც კი საკუთარი თავის მიმართ. საქართველოში ამ ოპერაციას, დღემდე, ჩემ გარდა არავინ აკეთებს. კარგ მიკროქირურგს, ფაქტობრივად, ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მათ შორის – სრულყოფილი ფალოსისაც, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ანატომიური თვალსაზრისით, თან, ვიზუალურადაც მსგავსი რომ იყოს ჩვეულებრივი ფალოსისა. ჩვენი მეთოდით ფალოსი კეთდება პაციენტის მესამე თითის გამოყენებით. ასევე, აღებული უნდა იყოს კანი და კანქვეშა ქსოვილი. თითის ფალანგები უკვე აძლევს ფალოსს იმ სიმაგრეს, რომელიც საჭიროა სექსუალური კავშირის დასამყარებლად. ასევე, თითის კანი ძალიან კარგი მასალაა „შესაფუთად“.

**– ანუ, თითისგან შექმნილი ფალოსი ყველაზე ახლოს არის ბუნებრივ ფალოსთან?**

– დიახ, როგორც ზომით, ისე ფიზიოლოგიური, ესთეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით. მთელ მსოფლიოში ფალოსს კუნთოვანი ქსოვილისგან ქმნიან, მარტო ჩვენს კლინიკაში კეთდება ის თითისგან და გაცილებით წარმატებულად. თუ ჩვენს პაციენტს თითებს სპეციალურად არ დაუთვლი, ვერც კი მიხვდები, რომ თითი აკლია, რადგან, საგანგებო მეთოდით იკერება და სრულიად შეუმჩნეველია. თითიდან ფალოსის შექმნის მეთოდის უპირატესობა ისიც არის, რომ ერთეტაპიანი ოპერაციაა და თორმეტ საათში სრულდება.

**– რატომ უნდა გაიკეთოს ქალმა თითისგან ფალოსი, მამაკაცი კი თავის სასქესო ორგანოს შეელიოს?**

– ამაზე ბატონი ანდრო უკეთ გიპასუხებთ. ეს ის შემთხვეაა, როცა ადამიანი იბრუნებს თავის ჭეშმარიტ სქესს. მეკითხებიან ხოლმე, რამდენი ფალოსი გაქვთ შექმნილიო. საქმე ისაა, რომ ფალოსის აღდგენა იმ პაციენტებთანაც ხდება, რომლებსაც სიმსივნის შემდეგ ამ ორგანოს ამპუტაცია დასჭირდათ. ესენი არიან ჩვეულებრივი მამაკაცები – არა ტრანსსექსუალები, რა თქმა უნდა. რაც შეეხება შემთხვევას, როცა მამაკაცი იცვლის სქესს, ეს უფრო ადვილი ოპერაციაა. რვა წლის წინ გაკეთდა პირველი ფალოსი სქესის შეცვლის მიზნით და ის ადამიანი დღეს სრულფასოვანი მამაკაცია. ჰოლივუდში დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს ჩემზე და ჩვენს პაციენტზე და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უჩვენებდნენ.

**– როცა მამაკაცი იცვლის სქესს, მაშინ თითის გამოყენება საჭირო არ არის...**

– რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში „მასალა“ ადგილზეა. ხდება პენისის ამპუტაცია და მისი ქსოვილების გამოყენება საშოს შესაქმნელად. სათესლე ჯირკვლებისგან კეთდება დიდი და პატარა სასირცხვო ბაგეები. ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი არის ადამიანი დაბადებული ანომალიით. მას ძალიან დიდი პრობლემები აქვს. ადამიანის სქესს განსაზღვრავს თავის ტვინში არსებული ორი ბირთვი და არა მისი ფიზიკური წარმონაქმნი. წარმოიდგინეთ ქალი, რომელსაც მხოლოდ ანალოგიური აგებულება აქვს ქალის, ისე კი – მამაკაცია. საქართველოში, რატომღაც, ტრანსსექსუალი ქალების რიცხვი უფრო მეტია, მთელ მსოფლიოში პირიქით არის, იქ ორმოცდაათი ორმოცდაათზეა

**– ანუ, ჩვენთან ქალები უფრო ხშირად იცვლიან სქესს?**

– დიახ, თუმცა, მიზეზს ვერ გეტყვით. ზოგადად, ჭეშმარიტი ტრანსსექსუალების რიცხვი დიდი არ არის. მათ არანაირი საერთო არ აქვთ ჰომოსექსუალებთან და ლესბოსელებთან. როგორც იბადება ადამიანი, მაგალითად, გულის მანკით, ასევე ტრანსსექსუალია მანკით დაბადებული. ათი ათას ახალშობილში მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ტრანსსექსუალი. ოპერაციის შემდეგ ეს ადამიანები საკმაოდ მყარ ოჯახებს ქმნიან. მათთვის ჰომოსექსუალიზმი იმიტომ არის მიუღებელი, რომ საზოგადოება ვერ ასხვავებს ამ ჯგუფებს ერთმანეთისგან და ამიტომაც უჭირთ სოციუმში ინტეგრირება.



**მთელ მსოფლიოში ფალოსს კუნთოვანი ქსოვილისგან ქმნიან, მარტო ჩვენს კლინიკაში კეთდება ის თითისგან და გაცილებით წარმატებულად**

**– ბატონო ივა, ყოფილა შემთხვევა, როცა ქალს შეუცვლია სქესი, გამხდარა მამაკაცი, მაგრამ, მოუთხოვია, დაეტოვებინათ მისთვის რეპროდუქტიული ორგანოები?**

– არა. ისინი არ აღიქვამენ საკუთარ თავს ქალებად და არც არიან ქალები. შეცდომა არ უნდა მოხდეს. მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ სქესის შეცვლის ოპერაცია უკეთდება მხოლოდ ჭეშმარიტ ტრანსსექსუალს, ეს კი უნდა დაადგინოს სპეციალურმა გამოკვლევებმა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, პლასტიკურ ქირურგებს გვეძლევა საშუალება, გავაკეთოთ სქესის შეცვლის ოპერაცია. ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი არ ინდომებს პარტნიორად ჰომოსექსუალს, ეს პრაქტიკულად, გამორიცხულია. მათ ჯანსაღი სექსუალური ორიენტაციის მქონე პარტნიორები ჰყავთ.

**ანდრო კანდელაკი** ***(პროფესორი, სექსოლოგი, ფსიქოლოგი):*** ტრანსსექსუალები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი არიან. ისინი ბავშვობის ასაკიდანვე იტანჯებიან.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ დაბადებულები არიან თანდაყოლილი გენდერული იდენტურობის აშლილობით. მათ მიაჩნიათ, რომ თავიანთი ქრომოსომული სქესის საპირისპირო გენდერი აქვთ. აქედან გამომდინარე, გააჩნიათ ძლიერი სურვილი, იცხოვრონ ისე, როგორც ცხოვრობენ მათი ანატომიური სქესის საპირისპირო გენდერის მქონე ადამიანები და ცდილობენ, თავიანთი სხეულისა და გენიტალიების შეცვლას. ასეთი რწმენა, ჩვეულებრივ, ბავშვობიდან ყალიბდება, მაგრამ განსაკუთრებულად მწვავე ინტრაფსიქიკური ტრავმის სახეს იღებს, როცა თვალსაჩინო ხდება სქესის განმასხვავებელი ნიშნები. მაგალითად, ქალურობის მახასიათებელი ერთ-ერთი კარდინალური ნიშანი, მენსტრუაცია სრულიად მიუღებელია მათთვის და იძენს მძიმე ფსიქიკური ტრავმის ხასიათს. მუდმივ კონფლიქტში არიან საკუთარ ფიზიკურ სხეულთან. როცა გოგონა იცვამს ბიჭის ტანსაცმელს და ინტერესდება მამაკაცისთვის შესაფერისი თამაშებით თუ თემებით, ტრანსსექსუალის შემთხვევაში, ეს ნორმალურია. რადგან ქალის სხეულში ცხოვრობს მამაკაცი. ჯერჯერობით, ზუსტად არავინ იცის, რა იწვევს ამ ანომალიას. ფაქტია, რომ ნაყოფს მუცლადყოფნის პერიოდშივე ეწყება ის ცვლილებები, რომლის შედეგადაც ტრანსსექსუალი იბადება. ამ მოვლენას არ აქვს არც ეროვნება, არც გეოგრაფია და არც სოციუმის განსაკუთრებულობა. მთელ მსოფლიოში სტატისტიკა ერთნაირია: დაახლოებით ასი ათას ადამიანში ერთი ტრანსსექსუალი იბადება და მოიცავს ყველა რეგიონს. საქართველოში სულ სამი მილიონი ადამიანიც არ ცხოვრობს და, თავად დათვალეთ, რამდენი ტრანსსექსუალი იქნება. თავდაპირველად ისინი პლასტიკურ ქირურგს მიმართავენ. მათ არა აქვთ არც იურიდიული და არც მორალური უფლება, დაუყოვნებლივ ჩაატარონ სქესის შეცვლის ოპერაცია. პაციენტი იგზავნება სექსოლოგთან. დგება აღრიცხვაზე მინიმუმ ერთიდან ორ წლამდე. ამ პერიოდში უტარდება სრული ფსიქოსომატური გამოკვლევები, რის დროსაც უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს ფსიქიკური აშლილობა, ჩატარდეს გენეტიკური, ჰორმონული, უროგენიტალური დიაგნოსტიკა, ფსიქოლოგიური ტესტირება. შემდგომ იწყება ჰორმონული თერაპიის ეტაპი, პაციენტი იცვლის საპასპორტო სქესს და ამის შემდეგ იგზავნება პლასტიკურ ქირურგთან სქესის ოპერაციული გზით შეცვლის მიზნით. რაც შეეხება ტრანსსექსუალთა დამოკიდებულებას ჰომოსექსუალიზმისადმი, მათთვის ამ ტიპის სექსუალური ორიენტაცია რადიკალურად მიუღებელია. ისინი ფიქრობენ, როგორ, მე ჩემი სხეული დავიბრუნო, გავხდე ის, რაც ვარ და ჩემივე სქესის სექსუალური პარტნიორი გავიჩინო?! ისინი საკუთარ თავს ჰეტეროსექსუალებად მიიჩნევენ.

**– ლგბტ – ანუ ლიბერალი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი – ეს ერთი ჯგუფია?**

– ავადობასთან მიმართებაში არ არის ერთი ჯგუფი. ტრანსსექსუალი არის თანდაყოლილი გენდერული იდენტურობის აშლილობა და შეტანილია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში. რაც შეეხება ლესბოსელს, გეის და ბისექსუალს, ისინი 20 წელზე მეტია, ამოღებულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციებიდან და შესაბამისად, ავადმყოფებად არ განიხილებიან.

**ნინო წულუკიძე**

**თბილისში, კერძოდ, ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების სახით. თუმცა ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით 60 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია ის შექმნა ცნობილმა ქირურგმა და მეცნიერმა ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძემ სწორედ იმ დროს, როდესაც არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში.**

# როგორ აგრძელებენ ავადმყოფები „კამენილის" დახმარებით სიცოცხლეს და რა უნიკალური თვისებებით გამოირჩევა ის

**კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში გაჩნდა დიაგნოსტიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა, კიბოს განვითარების ადრეული ეტაპი იყოს დაფიქსირებული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საქართველოში ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ, რომ კიბოს საწინააღმდეგო ყველაზე უტყუარი მეთოდი არის მისი პროფილაქტიკა – სწორი და ხარისხიანი კვება. მრავალი პროდუქტი (მცენარეული თუ ცხოველური) შეიცავს მეტად საჭირო ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის იმუნიტეტის გაჯანსაღებას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდის იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და, შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთ შესანიშნავ იმუნომოდულატორს წარმოადგენს პრეპარატი „კამელინი“. იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება და, სიამაყით მინდა ვთქვა, რომ, „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გაიარა მეტად პრესტიჟული და რთულად გადასალახავი ბარიერი, რომელსაც ჰქვია „ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტო“ და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე.

დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ-1-ის“ და „კამელინ მ-2-ის“ გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომლებიც მიღწეული იყო სხვადასხვა სიმსივნის უმძიმესი დიაგნოზის (მე-4 სტადიის) მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება; ნარკოტიკული საშუალებების შემცირება; რიგ შემთხვევებში კი – დროებით მოხსნა; სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება; მადისა და ენერგიის მატება; დეპრესიული ფონის მოხსნა; მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი.

„კამელინის“ სამკურნალო თვისებებით დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ რამდენიმე პაციენტის ისტორიას, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებები.

1. ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი: სიმსივნე კუჭზე. აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები, სისუსტე, ვერ ჭამდა. რამდენიმე ხნის წინ დაიწყო „კამელინით“ მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თავს უკეთესად გრძნობს და კვლავ განაგრძობს „კამელინით“ მკურნალობას.

2. ახალგაზრდა ქალბატონს ჰქონდა საშვილოსნოზე სიმსივნე. თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. მისმა ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინის“ ნემსების გაკეთება. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები და ამჟამად შრომისუნარიანია, ცხოვრებას ჩვეულ რიტმში განაგრძობს და პროფილაქტიკისთვის, როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლებიც, ყოველთვის იყენებენ „კამელინს“.

3. პაციენტს დაუსვეს ქრონიკული პროსტატიტის დიაგნოზი. ჩაიტარა ანტიბაქტერიული თერაპიის, ფიტოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის კურსი. შემდეგ, ექიმის რჩევით, გადაწყვიტა, „კამელინის“ ინიექციითა და სანთლებით დაეწყო მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 2 კურსი და ულტრაბგერითი კვლევების საფუძველზე მას დაუფიქსირდა პროსტატის მოცულობის შემცირება და ლეიკოციტოზის ნორმალიზაცია. მესამე წელია, მისი მდგომარეობა სტაბილურია – ცვლილებების გარეშე.



4. პაციენტს ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე. გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ შემდეგში მეტასტაზები განვითარდა. ბოლოს, გადაწყვიტა, დაეწყო „კამელინის“ ამპულებითა და კაფსულებით მკურნალობა. ჩაიტარა ზედიზედ სამი კურსი. უკვე მესამე წელია, პაციენტი თავს შესანიშნავად გრძნობს.

5. პაციენტი ყელის კიბოთი – მკურნალობს „კამელინის“ კაფსულებითა და სპრეით. მესამე წელია, კარგად გრძნობს თავს.

6. პაციენტი ფილტვის სიმსივნით – უკვე ორი წელია, მკურნალობს „კამელინით“ და მეორე წელია, მისი მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა.

7. ფილტვის სიმსივნე, მეოთხე სტადია – მესამე წელია, შენარჩუნებულია დაავადების დადებითი დინამიკა. პაციენტი ამჯერად მხოლოდ „კამელინის“ კაფსულებით განაგრძობს მკურნალობას. თავს მხნედ და კარგად გრძნობს.

8. პაციენტი მკერდის ავთვისებიანი სიმსივნით – მოჰკვეთეს მკერდი, მაგრამ, შემდგომ დაიწყო მეტასტაზების განვითარება. პაციენტმა ჩაიტარა ქიმიოთერაპია, რის შემდეგაც გადაწყვიტა „კამელინით“ მკურნალობა. მესამე წელია, მისი მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა. წელიწადში ორჯერ იტარებს კამელინოთერაპიას კაფსულებითა და სანთლებით.

9. პაციენტს 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი. ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია და გასცვივდა თმა. იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს. დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის დონე. დაიწყო „კამელინ მ-1-ის“ ინიექციითა და „კამელინ მ-2-ის“ ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუმჯობესდა საერთო მდგომარეობა; ამიტომ, გადაწყდა, გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალში საცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა და დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.

10. პაციენტს დაახლოებით 4 წლის წინ აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე, მრავალი პრეპარატით მკურნალობდა. ახლობელმა შეატყობინა საქართველოში წარმოებულ, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატის – „კამელინის“ არსებობის შესახებ. დაიწყო მკურნალობა და შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. დღეს პაციენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

11. პაციენტს 6 წლის წინ დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა. რენტგენოგრაფიული გამოკვლევით დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში მეტასტაზური კერა. ყველას გასაკვირად, მან უარი თქვა კონსერვატიულ მკურნალობაზე და გადაწყვიტა კამელინოთერაპია. პაციენტი არავის უმხელდა, რით მკურნალობდა. მან პირველი კურსიდანვე დაიწყო წონაში მომატება, სიმპტომებიც თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ კი, ხელახალი რენტგენოგრაფიით მეტასტაზური კერა აღარ დაფიქსირდა – ის დიდი ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა. პაციენტი ექიმია და პირადი გამოცდილებიდან თამამად ურჩევს თავის პაციენტებს „კამელინის“ გამოყენებას.

***P.S. კონსულტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე ბევრ ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და იმედი, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89; 599-58-09-07; 599-23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**ეკა კვალიაშვილის ყოფილი მეუღლე, მსახიობი თემურ გვალია ციხიდან სულ ცოტა ხნის წინ – გასული წლის ნოემბერში გამოვიდა. ის ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით ქსნის ციხეში იჯდა. სამწუხაროდ, ამნისტია არ შეეხო და სრული ორი წელი მოიხადა. ამბობს, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა და ამ ჯოჯოხეთს ხშირად ოდიოზური ძმები ახალაიები აწყობდნენ ციხეში.**

# რა ჯოჯოხეთი მოუწყვეს ციხეში თემურ გვალიას ძმებმა ახალაიებმა და რა ლექსი მიუძღვნა მან ნაციონალებს

**თემურ გვალია**: შარშან ნოემბერში გამოვედი ციხიდან. ამჟამად გოგა პიპინაშვილის საბავშვო თეატრში ვმუშაობ. ვარ მიშა თუმანიშვილის თეატრშიც. ახლახან დაარსდა „რეგიონ ოპერაც" და იქ მთავარ რეჟისორად ვმუშაობ. ძალიან დემორალიზებული და დანევროზებული გამოვედი, ნელ-ნელა მოვდივარ აზრზე. ეს პირველი საპატიმრო ვადა არ იყო ჩემთვის, პირველად 2007-ში დამიჭირეს, მაშინაც ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით. ბრალად მედებოდა სამი სახეობის ნარკოტიკის მოხმარება... არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი, არ მსიამოვნებს... დაძაბული სიტუაცია იყო მაშინ თბილისში, ომები და, მეც შევეჩვიე ამ უბედურებას. ჩვენი თაობის პრობლემა იყო ეგ. ნახევარი სამეგობრო ნარკოტიკების გამო დავკარგე. ფაქტობრივად, ეს მეორე დაჭერა „გამიჩალიჩეს".

**– პოლიტიკური შეხედულებების გამო?**

– არა, პოლიტიკა რა შუაშია? მე მანამდე აპოლიტიკური ადამიანი ვიყავი, რაც ციხიდან გამოვედი, პოლიტიკურად აქტიური მას მერე გავხდი. უბრალოდ, ამით ფულს შოულობდა მთავრობა – საპროცესო გარიგებების საშუალებით.



ეკა ჩემი მეორე მეუღლე იყო. ნუკი ერთი წლის იყო, რომ დავშორდით. ორივემ ასე გადავწყვიტეთ, რომ დაშორება ჯობდა. ყოველგვარი სკანდალების გარეშე გავცილდით

**– ამბობთ, რომ პატიმრების წამებასა და ცემას უშუალოდ ძმები ახალაიები ხელმძღვანელობდნენო.**

– დიახ, ასეა და, მინდა ვთქვა ის, რაც აქამდე მედიის საშუალებით არსად მითქვამს. ეს იყო გახმაურებული ფაქტი: 2007 წლის აგვისტოში ციხეში შემოცვივდა სპეცნაზი, 300 კაცი და მთელი კამერა გადაატრიალეს. წარმოიდგინე, 90 კაცი ვიყავით ერთ კამერაში, ფეხზე ვიდექით. თურმე, რა ხდებოდა, იცი? ჯონდი ბაღათურია მართავდა ციხის წინ პატარა მიტინგს პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით, მერე აქციას ნელ-ნელა მიემატა ხალხი და ამის გამო მოხდა, რაც მოხდა. მოგვიგონეს, რომ „ობშიაკის" ფულს ვაგროვებდით და ტელევიზიებმაც ასე გააშუქეს, არადა, ვენტილატორის ფულს ვაგროვებდით, რომ გვეყიდა, თან ხან საჭმელი გვინდოდა, ხან სიგარეტი *(იცინის)* – ელემენტარული, რაც გვჭირდებოდა. ტელეფონები მოჰქონდათ, რომ ოჯახის წევრებთან გვერეკა და ფული გვეთხოვა. მერე ამ ტელეფონების მოსმენა წავიდა და მაგაზე გაკეთდა გადაცემა, ვითომ ქურდულ „ობშიაკს" ვაგროვებდით. 49-ე კამერაში ვიჯექი და ყველა პატიმარს, ვინც კი ამ კამერაში იჯდა, ახლობლები დაუჭირეს. შემოცვივდნენ, გაგვრეკეს დილაუთენია გარეთ, კორიდორი ჰქონდათ გაკეთებული. უკან მანქანით ძმები ახალაიები მოგვყვებოდნენ, მელაძე და მთელი მაგათი ხროვა. შეგვყარეს მანქანებში ნიღბიანებმა დუბინკებით და წაგვიყვანეს რუსთავის მეორე ციხეში. მაშინ ნახევარი „ზონა" იყო, ნახევარი – „კრიტი". შეგვყარეს კრიტში, გვაგინებდნენ, იფურთხებოდნენ, გვცემდნენ. მე ვისიმულიანტე, ვითომ კრუნჩხვებში ჩავვარდი და ამან გადაგვარჩინა მეც და დანარჩენი ბიჭებიც. შემაგდეს კრიტში და ერთი კვირა მეძებდა ოჯახი, კაციშვილმა არ იცოდა, სად ვიყავი. არც ერთ ციხეში არ ვიყავით აღრიცხვაზე – ახლა 2007-ის ამბებს ვყვები. ბოლოს ქსნის ციხეში გადამიყვანეს, საშინელებები გადავიტანე. საერთო სიბინძურისგან მუნი გამიჩნდა, ბეტონზე ვიწექით. უსაშინლესი საკვები იყო ციხეში, ყველას ღვიძლი დაუავადდა. საჭმელს იმხელა ქონი ჰქონდა თავზე, კომბინირებული ცხიმი, რომ რეცხავდნენ, თეფშებს ვერ აცლიდნენ. ის ორგანიზმს რას უზამდა, წარმოგიდგენია? მეექვსე ციხეში სხვადასხვა კამერაში გადავდიოდი... მეორეჯერ რომ დამიჭირეს, რაც მე გლდანის ციხეში ვნახე, ეგეთი ჯოჯოხეთი არსად მინახავს: დერეფანი ჰქონდათ გაკეთებული, მუხაძე იდგა თავის ვირთხებთან ერთად და, ვინც გამოდიოდა, ყველას ურტყამდნენ – ახალგაზრდას, მოხუცს... ახლა რომ ვუფიქრდები, მეგრელი რომ ვარ, გვალია, ცოტა ამან მიშველა – მთელი სამეგრელო იქ იყო შეყრილი.

**– იცით მეგრული?**

– არ ვიცი. მესმის, მაგრამ, ვერ ვლაპარაკობ.

საშინელებაა, კაცი ხარ, ვაჟკაცი და ვერაფერს აკეთებ. სულ ვფიქრობდი, ოღონდ დედა არ შემაგინონ-მეთქი – დედის გინებაზე მეკეტება, შეიძლება, კაცი მოვკლა. შვილისხელა ლაწირაკმა, „ბასტიმ" წიხლი ამომარტყა და თან მეკითხება: რა იყო, გეწყინა თუ გეტკინაო. კამერაში საერთოდ საშინელება იყო, 2 ნარი იყო სულ. ფეხზე ვიდექით. კარცერებიდან ისეთი ხმები გამოდიოდა... ღამით ვუყურებდით, მიცვალებულები როგორ გაჰყავდათ საკაცით, ხალხი სიცხისგან როგორ იხოცებოდა. ექიმი ჩვენთვის არ იყო. ყველანაირად ცდილობდნენ, დავემცირებინეთ... საერთოდ აღარ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, ვნერვიულობ ხოლმე, რომ ვიხსენებ. თუ ვინმე ეტყოდა, ექიმი მინდაო, მივარდებოდა სპეცნაზი, გაიყვანდნენ, სცემდნენ და უკან აბრუნებდნენ, თან დაგვცინოდნენ – კიდევ ხომ არ გინდათ მკურნალობაო. ორთაჭალის ციხეში ისეთი ანტისანიტარია იყო, მუნიანები ვისხედით იქ.

**– ყველაზე მეტად ვინ გედგათ მხარში ამ რთულ პერიოდში?**

– ჩემი მეგობრები – გია აბესალაშვილი, გოგა პიპინაშვილი, ჩემი მეუღლე – თეა, და-ძმა... ძალიან დამეხმარნენ.

**– მგონი, ციხეში ლექსებსაც წერდით.**

– დიახ, ციხეში დავიწყე ლექსების წერა. ერთი ასეთი ლექსი მაქვს:

„ჩემისთანები აქ მრავლადა ზის,
ყველას გვაქვს ერთი დარდი,
რად არ შეგ.....რეთ 5 წლის უკან
ის ეკლიანი ვარდი" *(იცინის).*

**49-ე კამერაში ვიჯექი და ყველა პატიმარს, ვინც კი ამ კამერაში იჯდა, ახლობლები დაუჭირეს**

ხომ მკითხე, ყველაზე მეტად რას ნანობ ცხოვრებაშიო. იმას ვნანობ, რომ ნაციონალებს ვუჭერდი მხარს. ციხეში მარტო მაგათი ტელევიზიები აჩვენებდა და ისეთ რაღაცეებს იტყუებოდნენ, რომ, რა ვიცი... ერთი რადიოფიზიკოსი გვყავდა, ჩუმ-ჩუმად რადიოობიექტივს ვიჭერდით და ვუსმენდით ხოლმე. ნეტავ, ახლა ახალაიას კამერაში ვიჯდე, ჯოჯოხეთად ვუქცევდი ცხოვრებას.

**– დავანებოთ ციხის ამბებს თავი, თორემ, ძალიან დავითრგუნე. მოდი, თქვენი ახალგაზრდობის ამბები მომიყევით, სტუდენტობით დაიწყეთ...**

– თეატრალურში ვსწავლობდი და მიშა თუმანიშვილის ჯგუფში მოვხვდით მე, ჩემი ბავშვობის მეგობარი ლევან აბაშიძე, გია აბესალაშვილი... მოკლედ, ვარსკვლავური ჯგუფი გვყავდა. მაშინ სულ სხვანაირი თბილისი იყო, ყველას ვიცნობდი, ვისაც კი რუსთაველზე ვხვდებოდი. ჩვენ გავაკეთეთ თეატრალურის გვერდზე სასწავლო თეატრი. ჩვენ, კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია...კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. რამდენი გვიცელქია სტუდენტობის დროს *(იცინის)...* მე და ლევანი ერთად ვიზრდებოდით. ძალიან მაგარი ადამიანი იყო, კრასავჩიკი, გიჟდებოდნენ მასზე ქალები. ხიფათა ბავშვი იყო, სულ რაღაცას იტეხდა – ხან ხელს, ხან ფეხს *(იცინის).* მთელ თბილისს უყვარდა, ძალიან უშუალო და ჩვეულებრივი იყო.

**– წავიკითხე, რომ მურმან ჯინორია თქვენი ბიძაა.**

– დიახ, ბიძად მეკუთვნის. მაგრამ, ცხოვრებაში ბიძია არ დამიძახია. მურმანმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. ძალიან ზარმაცი ვიყავი, არაფერი არ მინდოდა, არც სწავლა. მამაჩემს ვეუბნებოდი: კაცი იყავ კაცური და, სადაც გინდა, იქ ილოცე-მეთქი *(იცინის).*

**– აბა, ავტოქარხანაში მუშაობა გინდოდათ და სწავლა არა?**

– *(იცინის)* არც ავტოქარხანაში მინდოდა მუშაობა. მოკლედ, ორ თვეში მოვემზადე, ჩავაბარე თეატრალურში და მოვხვდი მიშა თუმანიშვილის ჯგუფში. საოცარი კაცი იყო ბატონი მიშა, უდიდესი რეჟისორი და, თან, ძალიან მკაცრი, სამართლიანი ადამიანი. მანამდე ჩემები გერმანულზე მატარებდნენ – გინდა თუ არა, გერმანულზე უნდა ჩააბაროო. არადა, არ მაინტერესებდა ეს გერმანული, ტყუილად მტანჯავდნენ *(იცინის).*

**– საუბარში თქვით, ლამის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვსო. არასდროს გიფიქრიათ სადმე დარჩენა?**

– არასდროს. ვერ წარმომედგინა თბილისის გარეშე ცხოვრება. გავგიჟდი ლათინურ ამერიკაზე – იქ ვიცხოვრებდი. კუბა საშინელებაა – ულარიბესი, უსაცოდავესი, ყველაფერი ტალონებზე იყიდებოდა, მაისურს ვერ იყიდდი. მეძავები დაგვდევდნენ და ერთ დოლარად გვეხვეწებოდნენ, მოკლედ, იყო ერთი ამბავი. კონდომები მაშინ უცხო ხილი იყო. ვიფიქრე, ვიყიდი და თბილისში საჩუქრად ჩავუტან მეგობრებს-მეთქი *(იცინის).* ვერაფრით ვერ გავაგებინე აფთიაქარს, რა მინდოდა. გაბრაზდა და უშველებელი ყუთით გამომიტანა კონდომები – გინდა თუ არა, წაიღეო *(იცინის).* ინგლისში დამიჭირეს, ციხეში ვიჯექი – ჯაყვა მედო ჯიბეში და... მერე ქეთი დოლიძე დამეხმარა და გამათავისუფლეს.

**– ეკაზე და ნუკაზე მინდა გკითხოთ. ვიცი, არ გიყვართ, არ გსიამოვნებთ ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ, მაინც...**

– ნუკა ძალიან მიყვარს. მე ჩემს შვილებთან კონტაქტი არასდროს გამიწყვეტია, უბრალოდ, რაღაც მოხდა ამ ეტაპზე და... ნაწყენია ნუკა ჩემზე. მე და ეკა სულ ორი წელი ვცხოვრობდით ერთად. ეკა ჩემი მეორე მეუღლე იყო. ნუკი ერთი წლის იყო, რომ დავშორდით. ორივემ ასე გადავწყვიტეთ, რომ დაშორება ჯობდა. ყოველგვარი სკანდალების გარეშე გავცილდით. პირველი ქორწინებიდანაც მყავს ორი შვილი, ნუკის და მათ ნორმალური ურთიერთობა აქვთ.

**– როგორ გულშემატკივრობთ შვილს პროექტში?**

– ძალიან ვნერვიულობ, რომ ვუყურებ ხოლმე. ესემესებსაც ვუგზავნი.

**ქეთი დიდებულიძე**

**მომღერალი მის-თიკა არის შემსრულებელი, რომელიც უზღვავი ენერგიითა და მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოირჩევა. მის ირგვლივ ყოველთვის რაღაც ხდება და, შესაბამისად, ინტერესიც დიდია. ჩვენი რესპონდენტი მაისის ბოლოს საქართველოდან ხანგრძლივ ტურნეში მიემგზავრება. რით არის ამჟერად დაკავებული და რა სიახლეებია მის ცხოვრებაში, მის-თიკა სიამოვნებით გიამბობთ.**

# როგორ შეიქმნა მის-თიკას სექსუალური იმიჯი და ვის უმზადებს ის გრანდიოზულ სიურპრიზს

**– მიეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც არასდროს ჩერდებიან და საკუთარი საქმის კეთება სიამოვნებას ანიჭებთ. შენი რეპერტუარი ყოველთვის სიახლით გამოირჩევა, რითაც უარყოფ აზრს, რომ საქართველოში შოუ-ბიზნესი არ არსებობს.**

– თითქმის სულ ვმუშაობ, არასდროს ვჩერდები; მით უმეტეს – ახლა, რაც ჩემი სტუდია გავაკეთე, იქ ვაღამებ და ვათენებ. უკვე არაფერი აღარ მიშლის ხელს იმაში, რომ ახალ-ახალ პროექტებზე შეუფერხებლად ვიმუშაო. სტუდია სახლში მაქვს, ამიტომ, როგორც კი რაღაც მომაგონდება ან იდეა გამიჩნდება, მაშინვე მუშაობას ვიწყებ. ამიტომაც, შედეგი ხარისხიანი და კარგი გამოდის.

**– შენი კლიპები არ ჰგავს ქართულს, რაშიც ყველა დამეთანხმება, ვისაც ისინი ერთხელ მაინც უნახავს.**

– ჩემი კლიპები მართლაც არაქართული კადრებით არის სავსე. ვფიქრობ, კლიპი უფრო ევროპულს უნდა დაამსგავსო და შედეგად გაცილებით თანამედროვე იყოს, ვიდრე ქართულია. ამ ეტაპზე ახალ კლიპზე დავამთავრე მუშაობა, რომელსაც მაყურებელი მალე იხილავს. პარალელურად კიდევ ერთ კლიპზე ვმუშაობ, რომელიც, ჩემი აზრით, ჩემს შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო უნდა გამოვიდეს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ კლიპი გაჯერებული იქნება გლამურული კადრებით, რაც ძალიან ლამაზი სანახავია. ამ ეტაპზე სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია. მოგვიანებით მაყურებელი თავად იხილავს შედეგს – მათ ძალიან გრანდიოზული სიურპრიზი ელით ჩემგან.

**„მაგთი ფანიდან" და „საქართველოს ვარსკვლავიდან" დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, თუ მივიდოდი, ყველანაირი ქასთინგის გარეშე, როგორც ჟიურის ფავორიტი, პროექტში ჩავჯდებოდი. მიუხედავად ყველაფრისა, გარკვეული მიზეზების გამო, უარი ვთქვი**

**– რეპერტუარში არ გაქვს ქართული სიმღერები. რატომ?**

– იმიტომ, რომ უფრო უცხოურ ქალაქებზე ვმუშაობ. მალე თურქეთის ტურნე დამეწყება, აგვისტოში კი საბერძნეთში გადავინაცვლებთ. ახალ ალბომზეც დავამთავრე მუშაობა, რომელიც ჩანთაში ჩავიდე და მზად ვარ გასამგზავრებლად. ბოლო პერიოდი თითქმის სულ ამ ალბომზე ვმუშაობდი, მინდოდა ძალიან კარგი და თანამედროვე ჟღერადობის გამოსულიყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩე იმ ტემპს, რაც უცხოეთშია. სხვათა შორის, თურქეთში ძალიან წარმატებული გასვლა მქონდა. თავიდან ცოტა ისე გვიყურებდნენ, რადგან, არ იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კმაყოფილები დარჩნენ ისინიც და ჩვენც.



ჩემი რჩევაა, ძალიანაც ნუ მომბაძავენ, რადგან, შეიძლება, რაღაც სასწაული გავაკეთო

**– მათი ეჭვი, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რადგან, ბევრი ქართველი არ მღერის კლუბური სტილის სიმღერებს.**

– ბოლო ალბომი მთლიანად კლუბური გავაკეთე, რომელშიც დაფსტეპიც ჩავრთე. ძველი ჰიტები ჩემი ინტერპრეტაციით გადავაკეთე და აბსოლუტურად სხვა სახე მიიღო. ვფიქრობ, ის ყველანაირად ერგება იმ სტილს, რასაც იქ ხალხი უსმენს და საკმაოდ მომგებიანია. ამ ყველაფერთან ერთად, ჩემს თითოეულ სიმღერას ცეკვის ანტურაჟი გავუკეთე. ძალიან ლამაზი გამოდის და ვნანობ, რატომ აქამდე არ ვაკეთებდი ამას. კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ მყავს საკუთარი დიჯეი, რომელიც კიდევ უფრო საინტერესოსა და მაგარს გახდის ჩემს გამოსვლებს. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ შოუ გამოვიდეს ძალიან მაგარი.

**– საქართველოში ბევრი მუსიკალური პროექტია, შენ კი არსად გამოჩენილხარ. ბევრი, შენ ადგილას, ამ პროექტებს თავის კიდევ უფრო მყარად დასამკვიდრებლად გამოიყენებდა და მონაწილეობას მიიღებდა. უარს შეგნებულად ამბობ თუ, მიგაჩნია, რომ მუსიკალური პროექტები შენი სტილი არ არის?**

– ამასთან დაკავშირებით, გეტყვი, რომ ორი სატელევიზიო მუსიკალური პროგრამიდან დამიკავშირდნენ, ესენია: „მაგთი ფანი" და საქართველოს ვარსკვლავი" და შემომთავაზეს, თუ მივიდოდი, ყველანაირი ქასთინგის გარეშე, როგორც ჟიურის ფავორიტი, პროექტში ჩავჯდებოდი. მიუხედავად ყველაფრისა, გარკვეული მიზეზების გამო, უარი ვთქვი – თითქოს, საკუთარმა ინტუიციამ არ გამიშვა. სამაგიეროდ, ძალიან ვიხალისე ერთი პროექტით. დამიკავშირდნენ „კომედი არხიდან", სადაც ძალიან ნიჭიერი ხალხი მუშაობს და ისინი მე ძალიან მიყვარს. დავით გოგოხიამ შემომთავაზა დუეტის ჩაწერა მიშკა ცინცაძესთან, რაზეც დავთანხმდი. დუეტი ძალიან კარგი გამოვიდა. კლიპიც გადავიღეთ და ბევრიც ვიხალისეთ. კლიპი „კომედი არხზე" სოლო ხუთეულში გავა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონება მაყურებელს. მართალია, კლიპი სერიოზულია, მაგრამ ტექსტი ძალიან სასაცილოა.

**– ტურნე როდის გეწყება?**

– მაისის ბოლოს თურქეთის კურორტებზე ვიწყებთ ტურნეს, შემდეგ კი, როგორც უკვე გითხარით, საბერძნეთში გადავინაცვლებთ. მიყვარს ამ ქვეყნებში ტურნეების მოწყობა, რადგან მათ კარგად ვიცნობ – ვიცი, რა მოსწონთ და ზუსტად ვიცი მათი სამზარეულოც.

**– იმიჯით ყოველთვის გამოირჩევი. ვინ გირჩევს მას?**

– იმიჯს მე და ჩემი მენეჯერი ვირჩევთ ერთობლივად, რაც ხშირად ამართლებს და მიბაძვის საგანიც კი ხდება. ისე, ჩემი რჩევაა, ძალიანაც ნუ მომბაძავენ, რადგან, შეიძლება, რაღაც სასწაული გავაკეთო.

**– მსმენელს ჰგონია, რომ სექსუალური გოგონა ხარ. ასეთი ბუნებრივად ხარ თუ ხელოვნურად ირგებ?**

– ხელოვნურად შექმნილი იმიჯები არ მხიბლავს, რაც ვარ, ეს ვარ. ვფიქრობ, არც ძალიან სექსუალური ვარ და არც ძალიან „სვეცკი". საკმაოდ უბრალო ადამიანი ვარ – ასეთი ვიყავი დაბადებიდან და ასეთი ვიქნები ყოველთვის. რაც მთავარია, ვიქნები თავმდაბალი, რადგან, ამპარტავნები არ მიყვარს. მიმაჩნია, რომ, პირველ ყოვლისა, ადამიანი უნდა იყო და მხოლოდ ამის მერე – ნებისმიერი დარგის პროფესიონალი.

**– როგორ ფიქრობ, მის-თიკა საქართველოში უფრო წარმატებული და პოპულარულია თუ იმ ქვეყნებში, სადაც საგასტროლოდ დადიხართ?**

– ვინაიდან აქ არაფერი არ ხდება, ძირითადად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწევს მოღვაწეობა. ამიტომ, უცხოეთში უფრო მეტი დაფასება მაქვს, ვიდრე აქ.

**– დუეტის ჩაწერას ხომ არ გეგმავ?**

– დუეტების ჩაწერაზე ჯერჯერობით უარი ვთქვი, რადგან, მთლიანად ალბომზე ვიყავი გადართული და სხვა ყველა პროექტი გვერდზე გადავდე. სამომავლოდ ვნახოთ, შეიძლება, ჩავწერო კიდეც.

**– როგორ წარმოიშვა სახელი „მის-თიკა" და რას უკავშირდება ის?**

– ჯერ ერთი, ძალიან მიყვარს მისტიკა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება. ჩემს ფსევდონიმს, ასევე, საბერძნეთთანაც აქვს კავშირი. ათენში, სამოდელო სააგენტოში რომ ვმუშაობდი დიზაინერად, იქ მეძახდნენ „მის თიკას" და იქიდან გამომყვა. თან, ორაზროვნადაც მოვირგე ეს სახელი, რომელიც ყველაში სხვადასხვა ასოციაციას იწვევს.

დიდი მადლობა ჩემს ფანებს ასეთი სიყვარულისთვის. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათი გული გავახარო.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**უაილდი**: ზნეობა პოზიაა, ჩვენ მას ვიყენებთ იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენთვის არასასიამოვნონი არიან.

**ვედეკინდი**: ზნეობა მე წარმომიდგენია, როგორც რეალური ნაყოფი ორი მოჩვენებითი სიდიდისა. ეს მოჩვენებითი სიდიდეებია მოვალეობა და სურვილი.

**ფიშერი**: ზნეობრივი ყოველთვის თავისთავად გასაგებია.

**დემოკრიტე**: თუ ზომას გადახვალ, ყველაზე დიდი სიამოვნება ყველაზე დიდ უსიამოვნებად გადაგექცევა.

**ლინკოლნი**: მსოფლიოს დღემდე ვერ უპოვნია კარგი დეფინიცია სიტყვისა „თავისუფლება".

**ლობერგერი**: თავისუფალი ის არის, ვისაც ის სურს, რაც ევალება.

**სენეკა**: რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერება.

**ვან დაიკი**: კულტურა არის ჩვეულება, რომ კმაყოფილებას გვგრიდეს ყველაზე უკეთესი რამ და თან იცოდე, თუ რატომ.

**ჰიუგო**: ვინც ძერას დაშავებული ფრთა მოურჩინა, ის პასუხს აგებს მისი კლანჭების მოქმედებაზე.

**კუდცუსი**: დაბერება იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის ატანას ეჩვევი.

***

შიში არის ხარკი, რომელსაც მოძრაობის უნარისთვის ვიხდით. მცენარეებსა და ქვებს არავითარი შიში არა აქვთ.

**ჰიუჩესონი**: სიბრძნე ნიშნავს მისწრაფებას უკეთესი მიზნისკენ უკეთესი საშუალებებით.

**ანიტა**: გულკეთილობა სისუსტეა, სიკეთე კი – ძალა.

**ზოიმე**: ვისაც სიკვდილის ეშინია, მან სიცოცხლე დაკარგა.

**ფულერი**: ლამაზ სახეს კეთილი სახელი სჯობია.

**შექსპირი**: სისულელე ბრძენებს უფრო ჰგვრის, ვიდრე სიბრძნე სულელებს.

**გუასტი**: სულელთან ჭკვიანურად ლაპარაკი იგივეა, რაც ბრმისთვის – სანთელი.

**ეზოპე**: ღარიბ კაცს მუდამ ცუდი დღე ელის, თუ გვერდით მისი ბატონი სახლობს.

**კირკეგარდი**: სიძულვილი სიყვარულია, რომელიც დაძარცხდა.

**ლაროშფუკო**: სიძუნწე უფრო შორს არის მომჭირნეობისგან, ვიდრე თვით მფლანგველობა.

**ბირსი**: სიძუნწეა, ულირსად ცდილობდე, ის შეინარჩუნო, რაც მრავალ დამსახურებულ ადამიანს სურს იქონიოს.

**ბრიტენი**: სწავლა ჰგავს ნიჩბის მოსმას დინების საწინააღმდეგოდ. როგორც კი გაჩერდები, დინება უკან წაგიღებს.

**შილერი**: უბრალოება მონიფულობის შედეგია.

**ტოლსტოი**: თავის გათავისუფლება შრომისგან არის დანაშაული.

**ესქილე**: სახარბიელო როდია მისი ბედი, ვისაც არავის შურს.

**ჩაპეკი**: ყველაზე დიდი უბედურება ცივილიზაციისა ის არის, რომ მისი ნაყოფია სწავლული ბრიყვი.

**ნიცშე**: ცილისწამებანი სხვათა დაავადებებია, რომელიც ტანზე ამოგაყრის.

**როსტანი**: შეიძლება წარმოიდგინო მხოლოდ ქალებისგან შემდგარი კაცობრიობა, მხოლოდ კაცებისგან შემდგარს კი ვერ წარმოიდგენ.

# თუ გამოიცნობთ

1. პომპეის შენობათა კედლებზე ახლაც შეიძლება ნახოთ წარწერები, რომლებიც იუწყებოდა თეატრალური წარმოდგენების შესახებ, აღნიშვნით – vela erunt, რაც მიუთითებდა, რომ „არის განსაკუთრებული მზის იალქანი". **რისთვის იყო საჭირო ის?**

2. შუა საუკუნეების ვენეციაში თითოეულ მევახშეს ან გამცვლელს გამოყოფილი ჰქონდა ხის სკამი, რომელზეც ის ჯდებოდა და ემსახურებოდა კლიენტებს. როდესაც რომელიმე მათგანი ვერ ართმევდა თავს თავის მოვალეობებს – კრედიტორებს უგვიანებდა გადახდას ან თაღლითობდა პროცენტების გამოთვლის დროს, მას ბაზრობიდან აძევებდნენ, მის სკამს კი ამტვრევდნენ. **როგორ გამოითქმის იტალიურად სიტყვა „სკამი"?**

3. მან შეადგინა უამრავი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წიგნი. მუსლიმანურ აღმოსავლეთში იყო თავისუფალი აზროვნებისთვის ყველაზე მამაცი მებრძოლი. გარდაიცვალა ციხეში, თუმცა, ლათინურად თარგმნილი მისი სამედიცინო ენციკლოპედია – „კანონი" – შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთი მთავარი სამედიცინო წიგნი იყო. **დაასახელეთ, ვინ იყო ის.**

4. კონფიცურობაში გამოიყოფა ადამიანებს შორის ურთიერთობათა 5 ძირითადი ტიპი: მეხუთე ადგილზე დგას – ურთიერთდამოკიდებულება მეგობრებს შორის; მეოთხეზე – მეუღლეთა შორის; მასამეზე – უფროს და უმცროს ძმებს შორის, მეორეზე – მამასა და ვაჟს შორის. **ვის შორის ურთიერთობა დგას პირველ ადგილზე?**

5. მეცამეტე საუკუნეში პორტუგალიის მეფემ, დინიშ პირველმა, გამოსცა სპეციალური ბრძანებულება ფიჭვის ტყეების გაშენების შესახებ, რაც ქვეყნის ყოველმხრივი გაძლიერებისთვის იყო საჭირო. **რატომ?**

6. ეს ქვეყანა მსოფლიოში მოწინავე ადგილს იკავებს სამხედრო მოსამსახურეების, თვითმფრინავების, ტანკებისა და არტილერიის რაოდენობით 1 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე. ძველ დროს მისი მეომრები იბრძოდნენ დევიზით: „დაცვის უნარი თავისუფლების დარია". თუმცა, ამ ქვეყანას უკვე 190 წელია, არც ერთ ომში არ მიუღია მონაწილეობა. **რომელ ქვეყანას?**

7. ამ ტაძრის საფუძვლის ჩამყრელად ისმაილი ითვლებოდა – აბრაამის გაძევებული ვაჟი, რომელსაც ანგელოზმა გაბრიელმა ციდან ქვა ჩამოუტანა. **დაასახელეთ ეს ტაძარი.**

8. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულმა დაზვერვამ სერიოზული შეცდომა დაუშვა თარგმანში. მათ ხელთ ჩაუვარდათ შეტყობინება, რომ ჩერჩილი და რუზველტი ერთმანეთს კასაბლანკაში უნდა შეხვედროდნენ. ამ შეცდომის წყალობით, ჩერჩილი მოტაცებას გადაურჩა. **სად ჩაუსაფრდნენ გერმანელები ჩერჩილს მოსატაცებლად?**

9. კარლ ბენცმა 1885 წელს შექმნა პირველი ავტომობილი, 1886 წელს მიიღო პირველი პატენტი. **რით იყო მისთვის აღსანიშნავი 1888 წელი?**

10. რამდენიმე ქალაქს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია მსოფლიოს დედაქალაქის ტიტულზე. ერთი მათგანი უკვე დიდი ხანია, ხელოვნების ყველა დარგისა და მოდის ქალაქად ითვლება, მეორე – ქრისტიანული სამყაროს ოფიციალური ლიდერია, მესამე – თანამედროვე გიჟური ტემპის განსახიერებაა, ხოლო მეოთხე – ძველი, დარბაისლური, საქმიანი სამყაროს დედაქალაქია. **დაასახელეთ ეს ქალაქები.**

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* 1987 წელს ჩინელმა მეცნიერებმა გაზომეს მზის დიამეტრი და, როდესაც 1715 წლის მონაცემს შეადარეს, განსხვავებამ 820 კილომეტრი შეადგინა.

* ამერიკის შეერთებული შტატების მინესოტას შტატში არის პატარა ქალაქი – მოსკოვი. როგორც ამბობენ, ეს სახელი ქალაქმა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო ხანძრის გამო, რომელმაც მის „ნათლიებს" რუსეთის დედაქალაქი მოაგონათ.

* ბევრს ახსოვს, რომ პირველი კოსმონავტი იური ალექსეევიჩ გაგარინი იყო, მეორე – გერმან სტეპანოვიჩ ტიტოვი, მაგრამ, ძალიან ცოტამ იცის, რომ მანეკენს, რომელსაც კოსმონავტის სავარძელში ათავსებდნენ საცდელი გაშვებების დროს, ივან ივანოვიჩი ერქვა.

* ერთმა ბრიტანელმა, რომელმაც იცოდა, რომ განწირული იყო, სიკვდილის წინ ანდერძად დაიბარა, მისი ფერფლი გამოეყენებინათ სამწუთიანი ქვიშის საათის მასალად – მას ძალიან უყვარდა თოხლო კვერცხი, რომლის მოხარშვას ადუღებიდან 3 წუთი სჭირდება.

* შეიქმნა მინიკომპიუტერით აღჭურვილი სათვალე, ჩარჩოში ჩადგმული ეკრანითა და მინიდინამიკით – გულმავიწყებისთვის.

* გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს წარმატებით იყიდებოდა სამხედრო ფლოტის სრულიად საიდუმლო იარაღი – გაწვრთნილი დელფინები. ამერიკელები მათ წარმატებით იყენებდნენ სპარსეთის ყურის ოპერაციების დროს.

* მსოფლიოში კარგად ცნობილია ტიპური ამერიკელის სიმბოლო – ძია სემი. ჯონ ბული კი ტიპური ინგლისელის სიმბოლოა.

* დადგინდა, რომ საბავშვო ბაღებში დარღვეულია იქ მომუშავეთა უსაფრთხოების წესები – აღმზრდელებს და სხვა პერსონალს არ ურიგდება ხმაურის ჩამხშობი საშუალებები (ყურსაცობი, ყურსასმენი), ბავშვების ყვირილი კი 89 დეციბალს, ანუ, პნევმატური ჩაქუჩის სიძლიერეს აღწევს.

* გაირკვა, ამერიკელ უცოლო მამაკაცთა საზოგადოების თხოვნით, 1961 წლიდან, 22 მარტი კაცების დღედ გამოაცხადა.

* ყველაზე გრძელი ჰიმნი აქვთ ბერძნებს, მერე მოდიან არგენტინელები, შემდეგ – სალვადორელები.

* „პელმენი" უნგრულად „ცომის ყურებს" ნიშნავს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh1-b7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



გამვლელმა შეამჩნია, რომ ერთ საფლავთან მდგარი მამაკაცი მწარედ ტირის... ახლოს მივიდა და თანაგრძნობით ჰკითხა:




– თქვენი ახლო ნათესავი იყო?
– არა, ჩემი ცოლის ყოფილი ქმარი...

***

– გავიგე, ბიზნესისთვის მოგიკიდია ხელი. ამართლებს?
– კი. მცირე ფინანსებით ვამუშავებ, მოგება მეტი მრჩება, თანაც – სიახლეა...
– მაინც რა ბიზნესია?
– „შიშის ოთახი“ გავხსენი – შედიხარ, სიბნელეა და ყველგან ფორჩხები ყრია.

***

ექიმი, რომელიც გარწმუნებთ, რომ თქვენ სრულიად ჯანმრთელი ხართ, მხოლოდ სამხედრო გაწვევის კომისიაშია...

***

ქალი და კაცი ერთმანეთს გაეცნენ:
– თქვენ პროფესიით ვინ ხართ?
– პედაგოგი. თქვენ?
– ექიმი.
– გინეკოლოგი?
– არა, მაგრამ, შემიძლია, გაგსინჯოთ..

***

მე-4 კორპუსში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მერი დეიდას ამსტერდამის ტურის საგზური შეუძინეს: დაე, ნახოს, როგორები არიან ნამდვილი ნარკომანები და მეძავები...

***

ორი დაქალი მესამეს პაემნისთვის ამზადებს:
– მიდი, 50 გრამი გადაჰკარი – გამბედაობისთვის.
– ჯობია, 100 გადაჰკრას, სიმსუბუქისთვის.

***

– ექიმო, ოპერაციის გაკეთება მინდა... მეტი შვილი რომ არ მეყოლოს.
– იცით, ქალბატონო, ასეთი საკითხის მარტო გადაწყვეტა არ შეიძლება. დღეს აღარ გინდათ შვილი, ხვალ, შეიძლება, სურვილი გაგიჩნდეთ და ცუდ დღეში ჩავარდებით... ეს ოჯახში უნდა განიხილოთ და გადაწყვიტოთ.
– უკვე განვიხილეთ: წინააღმდეგი – 2, მომხრე – 17...

***

– ეეჰ, შვილო, ძალიან კარგად მახსოვს ჩემი სკოლის წლები: როგორ წამიყვანა დედამ პირველ კლასში და როგორ წამომიღო მამამ გამოსაშვები ბანკეტიდან...

***

გინეკოლოგის მისაღებში მამაკაცი შევიდა, ბოლო ვინ არისო, იკითხა და მოსაცდელში დაჯდა.
– იცით, – მოკრძალებით მიმართა ერთმა ქალბატონმა, – ეს ქალების ექიმია.
– ვიცი... სპირალს ქალებს ხომ ეგ უდგამს?
– დიახ.
– ესე იგი, მოხსნითაც ეგ მოხსნის...

***

მთაში ლხინია: ჭედილები დაკლეს, ზოგი ხორცი მოხარშეს, ზოგით ხინკალი მოახვიეს, არაყს სვამენ... მივიდა ახალგაზრდა ვაჟი აპარეკასთან:
– პაპი, არასდროს მოგდომებია ქეთო ბაბოსთან განქორწინება, გაყრა?
– განქორწინება – არა, ხანჯლის გაყრა – კი.

***

– მაყვალ, დაჯე ურემზე, ვენახამდე მიგიყვან.




– მაგდენი დრო არა მაქვს, მიტო, მეჩქარება...

***

გაძარცვეს ბანკი. წაღებულია 2 მილიონი. ბანკის მმართველი რეპორტიორს ეუბნება:
– დაწერეთ, რომ 3 მილიონია გატაცებული. დახოცონ იმ ნაძირლებმა ერთმანეთი...

***

ლექციაზე:
პროფესორი: სტატისტიკის მიხედვით, ქალების 70 პროცენტს აქვს პარტნიორის შეცვლის სურვილი, 38-პროცენტს ერთხელ მაინც უღალატია ქმრისთვის, 20 პროცენტი კი – რეგულარულად ღალატობს ქმრებს.
სტუდენტი: სტატისტიკა მათ მისამართებს თუ გვატყობინებს?

***

ქორწინების პირველი ღამე... ქმარი ამზადებს ცოლს:
– საყვარელო, ახლა ცოტა გეტკინება, მერე კი ძალიან სასიამოვნო იქნება....
რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლი ინტერესდება:
– როდის მეტკინება?
– ხუთ წუთში... ცოტა დამაცადე და მაგარ მუშტს მიიღებ ყბაში...

***

პოლიციის განყოფილებაში ქალი მივიდა.
– ქმარი დამეკარგა, უკვე მეოთხე დღეა, შინ არ მოსულა...
– ჩავიწერთ მონაცემებს და მოვძებნით, ვიპოვით...
– თუ შეიძლება, როცა იპოვით, პირველ რიგში უთხარით, რომ დედაჩემი უკვე წავიდა.

***

დილით ექთანი პალატაში შედის. ერთ-ერთი პაციენტი მორიდებით ეუბნება:
– თქვენ დღეს საწოლის მეორე მხრიდან ამდგარხართ...
– საიდან მოიტანეთ?
– ქირურგის „ტაპოჩკები“ გაცვიათ.

***

გამოცდაზე:
– როდის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი?
– არ ვიცი.




– რა მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს?
– არ ვიცი.
– რა ხდებოდა თბილისში 1989-1992 წლებში?
– არ ვიცი.
– რას იტყვით აფხაზეთსა და შიდა ქართლზე?
– არ ვიცი.
– რა ხდებოდა 2008 წლის აგვისტოში?
– არ ვიცი.
– საიდან ხართ?
– ზემო რაჭიდან...
– ახლავე წამიყვანე თქვენთან...

***

– შვილო, შენ უკვე დიდი გოგო ხარ და, მინდა, რომ სექსზე ვილაპარაკოთ.
– კარგი, დე... აბა, რა გინდა, რომ გაიგო?..

***

– დაზარალებულო, იცნობთ ადამიანს, რომელმაც თქვენი მანქანა გაიტაცა?
– ბატონო მოსამართლევ, ადვოკატის გამოსვლის შემდეგ უკვე ეჭვი მეპარება, საერთოდ მყავდა თუ არა მანქანა...

***

როდესაც 18 წლის გოგონას სთავაზობენ ვაჟის გაცნობას, ის კითხულობს: – ლამაზია?
21 წლისა – კარგია?
28 წლისა – ფულიანია?
33 წლისა – სად არის?

***

თუ თქვენ გეშინიათ გასუქების, ჭამამდე დალიეთ 50 გრამი კონიაკი – კონიაკი დაგიკარგავთ შიშის გრძნობას.

# ვინ იყო თენგიზ ჩანტლაძის „წურბელა“ და რატომ „ჩაიმატა“ მან გვარში ასობგერა „ც“

ქართულ კინოსერიალებში გამოჩნდა პიროვნება, რომელიც თავისი გარეგნული იერსახით, გარდასახვის ნიჭითა და მართლაც გასაოცარი სამსახიობო ტექნიკით, მაყურებელმა „ლუი დე ფიუნესად“ მონათლა – ნოდარ ხუციშვილი (ქართველი ფიუნესი). ერთ „ხოხმას“ გავიხსენებ მათთან დაკავშირებით.

ერთად ვმოღვაწეობდით თენგიზ ჩანტლაძის თეატრში გასული საუკუნის მიწურულს.

ნოდარი თენგიზ ჩანტლაძის „წურბელად“ მოევლინა სამყაროს. მუდამ წესრიგის დამრღვევის სახელი „მოიხვეჭა“, მაგრამ, როგორც კოლორიტულსა და ამ თეატრისთვის ფრიად საჭირო მსახიობს, თენგიზი ვერ იმეტებდა... გაუბრაზდებოდა, გამოლანძღავდა, მაგრამ მეორე დღეს გულში იკრავდა – „ჰო, რაც იყო იყოს“ ძახილით. ესეც გათამამდა... გაყოყოჩდა... და ხანდახან გაქანებული სპექტაკლის დროს ქუჩიდან შემორბოდა ტალახიანი ფეხსაცმელებით სცენაზე და იყო ერთი ამბავი – „გაგაგდებ!“ – „ბოდიში!!! “ და ასე შემდეგ.

– ეს მომკლავს მე ერთ ღრუბლიან დღეს! – ამბობდა გაბრაზებული ჩანტლაძე, – ეს მომიღებს ბოლოს! არადა ამხელას, ეს როა (გაბარიტებზე ამახვილებდა ყურადღებას), ჩემი მეუღლე სტაფილოს აჭრის „ბორშჩში“.

ნოდარი თავისას უბერავდა.

ერთ რეპეტიციაზე ნასვამი მობრძანდა. დიდი მსმელი კი არ გახლდათ, მაგრამ თავისი წილი სასმელიც კარგად ჰყოფნიდა, თენგიზი რომ გადაერია.

– ახლავე დატოვე სცენა! – გამოცრა თენგიზმა.

ნოდარამ ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა (ინერციით). დროზე შეტორტმანდა, ინსტინქტურად გადადგა ორი ნაბიჯი უკან და საწყის პოზიციას დაუბრუნდა. დადგა და აბსოლუტურად „უმანკო“ თვალები გაუსწორა ჩანტლაძეს.

– წადი-მეთქი! – გადაირია ჩანტლაძე.

ნოდარამ უადგილოდ დაასლოკინა და შებრ-




უნდა. კულისებიდან უკან დაიძრა და... ჩაქრა შუქი სცენაზე.

თენგიზი გადაირია... შუქი რამ ჩააქრო?!

მალე გაირკვა, რომ ნოდარს გამოურთავს. სამ წუთში „ცოცხალ-ცოცხალი“, ხელში ატაცებული შემოიყვანა კარისკაცმა (მე შენ გეტყვი და ვერ ასწევდა).

– ამან ჩააქრო, თენგიზ! – „ჩაუშვა“ დაუნდობლად.

გადარეულ თენგიზს დანა კბილს არ უხსნის.

– რატომ ჩააქრე? – გამოცრა კბილებიდან, როგორც იქნა.

ნოდარმა ბორძიკ-ბორძიკით, მაგრამ მკაფიოდ ახსნა.

– კედელზე გაკრულ ფირნიშზე ეწერა: ბატონო თენგიზ, „გასვლისას ჩააქრეთ შუქი!“ და... მეც ჩ... ჩავაქრე, რა, ტო!

ყველაფერს აიტანდა თენგიზი ბოლო – „ტოს“ გარდა, მაგრამ ბუნებით კეთილმა, რაღაც მანქანებით თავი შეიკავა, რომ მთელი მრისხანება თავზე არ დაეტეხა პატარა „ფიუნესისთვის“.

მოგეხსენებათ, თენგიზი იუმორის განსახიერება გახლდათ და მრისხანება დროზე ჩაახშო იუმორში:

– მოდი ერთი, შენ აქ! – თავშეკავებულად მიმართა ხუციშვილს.

ნოდარი ნელა დაიძრა და ბარბაცით მიუახლოვდა. მიუახლოვდა და ინსტინქტურად აიფარა სახეზე ორივე ხელი – ახლა მხეთქავსო. მსახიობები სასწაულის მოლოდინში გაისუსნენ.

მაგრამ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

– რა გვარი ხარ შენ? – ეკითხება ჩანტლაძე.

– რა გვ...გვ... რა გვარ... რიი და ხუციშვილი, – გაიხსენა, როგორც იქნა თავისი გვარი ნოდარიკო-ფიუნესმა.

– აფერისტი ხარ შენ!

– რატომ , ბ... ბატ... ტონო თ...ენგიზ? – ამოისლუკუნა ძლივს.

– რატომ და შენს გვარში – ასო „ც“ ჩამატებული გაქვს სპეციალურად... კაცურად, რა დაგიჯდა, მაგ „ც“-ს ჩამატება?

მხოლოდ ნახევარი წუთი დასჭირდა გააზრებას და ატყდა სიცილი!!! მსახიობები ერთმანეთს შეასკდნენ...

ნოდარი მაშინაც გადარჩა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ ეთვლება ჩინელ ბიჭს საქართველოში ნაკლად ის, რაზე უარესსაც ქართველები თავად სჩადიან უცხოეთში

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ყველა ძალიან მენატრებით.

გუშინ ბაზარში ვიღაც ქალმა ჩემთან ბევრი რამე იყიდა და მერე მითხრა, იაფი კი ღირს, მაგრამ, ნაგავს ეზიდებით და ჩვენზე ასაღებთო. მე ვუთხარი თუ ნაგავია, რაღას ყიდულობმეთქი და კინაღამ თავზე დამამხო ყველაფერი – რას ჩამოეთრიეთ აქო.

დედა, ქართველების ნახევარი უცხოეთშია წასული და, დღე არ გავა, რომ ტელევიზორში არ გამოაცხადონ ემიგრანტი ქართველების კრიმინალის შესახებ.

ქართველების დიდი ნაწილი ევროპაში მიდის. ქალები ძირითადად მოხუცებს უვლიან, კაცები კი ტანსაცმელსა და საჭმელს იპარავენ.

საქართველოში არც ერთ ჩინელს არასდროს კრიმინალი არ ჩაუდენია და კიდევ ჩვენ გვეჩხუბებიან.

ჩვენი უბნის ბირჟაზე რომ ბიჭები დგანან – კობას ძმაკაცები, თითქმის ყველა დეპორტით არის გამოგდებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

როცა ქართველი უცხოეთში ცხოვრობს, რაღაცნაირად, სხვებზე მაღლა დგას. მათ მშობლებს ჰგონიათ, რომ ახლობელმა რაღაც კარგი სამუშაო უშოვა; მშობლებისაგან კი ნათესავებმა იციან, რომ რაღაც დიდ პროექტზე მიიწვიეს, როგორც ექსპერტი; მარტო ამ ბიჭის უბნელებმა იციან, სინამდვილეში რისთვის არის წასული.

ერთ-ერთი ასეთი ყოფილი ემიგრანტი, როცა არ უნდა გახვიდე, ჩვენი უბნის ბირჟაზე დგას და ამაყად უყვება ბიჭებს იქაურ ტყუილ-მართალ თავგადასავლებს.

ეს ბიჭი ორი წლის წინაც ასე იდგა და რაღაცეებს ყვებოდა, მაგრამ, ახლა შეცვლილია: შა-




ვი, პრიალა ფეხსაცმლის ნაცვლად, სპორტული ბოტასები აცვია; შავი ძველი შარვლის ნაცვლად – ოდნავ გახეხილი ღია ფერის ჯინსები; ობობის ქსელის ნახატიანი გახუნებული მაისურის ნაცვლად – სპორტული თხელი ქურთუკი. თმაც სხვანაირად აქვს: ადრე გვერდზე გადავარცხნილი და დაბურული ჰქონდა, ახლა – შუაში აჩეჩილი და რაღაცით გაპრიალებული. მერე რა, რომ ერთი ლარიც არ უდევს ჯიბეში, სამაგიეროდ, უბანში ყველა პატივს სცემს; მერე რა, რომ დედამისის პენსიას ელოდება, რომ გოგოს შეხვდეს, სამაგიეროდ, ბევრი უბნელი გოგო ეპრანჭება; მერე რა, რომ არც ერთი წიგნი არ აქვს წაკითხული, სამაგიეროდ, უცხოეთშია ნაცხოვრები და ყველას განათლებული ჰგონია.

მაგალითად რუსეთში, კრიმინალური ავტორიტეტების 70 პროცენტი, თურმე, ქართველები ყოფილან; ევროპაში საჭმელსა და ტანსაცმელს იქ მყოფი ქართველების 40 პროცენტი იპარავს და, ამის ფონზე, ჩვენ გვეჩხუბებიან. ვაჭრობა თუ დანაშაულია, თვითონ ქართველები არ ვაჭრობენ თუ რა?!

ჩვენ დაგვცინიან, ერთ ოთახში ბევრნი რომ ვცხოვრობთ, ვითომ, თვითონ არ ცხოვრობდნენ ასე უცხოეთში. უცხოეთში კი არა, თბილისშიც ბევრ ოთახს ნახავ ასეთს, სადაც ჩვენზე მეტნი ცხოვრობენ ერთად, მაგრამ, გარეთ გამოდიან და ჩვენ დაგვცინიან.

როდესაც ქართველი უცხოეთში მიდის, ან დიდ წარმატებას აღწევს, ან ციხეში ხვდება; ძირითადად, მეორე ვარიანტი უფრო ხშირია. თითქმის ყველა ფულის დაგროვებას და უკან ჩამოსვლას გეგმავს, მაგრამ, ან ბევრი წლით რჩებიან იქ, ან მალევე ბრუნდებიან უკან დეპორტირებულებისთვის განკუთვნილი თვითმფრინავით.

მართალია, საქართველოდან გაქცევას ქართველებს სოციალურად გაუსაძლისი პირობები აიძულებთ, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ყველაფრის ფონზე, არც ჩინელებს და არც სხვა ერის წარმომადგენლებს არ უნდა მოექცნენ ცუდად. ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტოზი ვონგი**





გვ. 72

ივა კუზანოვი: მთელ მსოფლიოში ფალოსს კუნთოვანი ქსოვილისგან ქმნიან, მარტო ჩვენს კლინიკაში კეთდება ის თითისგან და გაცილებით წარმატებულად



გვ. 14

რატომ ეძახის მარიკო ლეჟავა საკუთარ თავს „მეამბოხესა“ და „უცნაურს“ და რატომ დაიწყო მის ცხოვრებაში საგიჟეთი

როგორ შეიქმნა მის-თიკას სექსუალური იმიჯი და ვის უმზადებს ის გრანდიოზულ სიურპრიზს

გვ. 75

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო[...]ი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი • 27 მაისი – 2 ივნისი • №22 (648) • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge